

ონლაინ არქეოლოგია
Online Archaeology

N 12
2017

სარჩევი

- ინტერვიუ 8
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის, ნიკოლოზ ანთიძის წლის ანგარიში “ონლაინ არქეოლოგიის“ მკითხველს 8
- არქეოლოგიური დაიჯესტი 29
- ძალისი — ივნისი — 2017 29
- ზიარი — ივნისი — 2017 31
- დიდნაური — ივლისი — 2017 34
- სამაროვანი 35
- სვერის ციხე — ივლისი — 2017 36
- სვანეთი — ივლისი — 2017 38
- ხვამლი — აგვისტო — 2017 39
- მსხალგორი — აგვისტო — 2017 40
- არმაზისხევი — აგვისტო — 2017 43
- ციხესულორი — აგვისტო — 2017 45
- ხუნწი — სექტემბერი — 2017 46
- ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა 58
- ივრისპირი 58
- სტატიები 98
- შეჯავშნული მხედრის ბრინჯაოს ქანდაკების ნაშთები ვანის ნაქალაქარიდან 98
- საქართველო განვითარების ევროპულ გზაზე ალექსანდრე ორჯონიკიძე 136

სარჩევი

- რეპორტაჟი გათხრებიდან 152
- ნოქალაქევი - ნიკოლოზ მურღულია, პოლ ევერილი და ბესიკ ლორთქიფანიძე 154
- თვალსაზრისი 172
- ვინ არის ადამიანი ჭრუჭულის მღვიმედან? - ნიკა თუშაბრამიშვილი 172
- პროექტი 186
- ნაომარი გორა - კოტე ფიცხელაური 186
- საეტაპო ძეგლები 194
- უფლისციხე 194
- გაიცანით საქართველო 206
- სულ სხვა ჯავახეთი - ქეთევან დიღმელაშვილი 206
- ხორნაბუჯი - ქეთევან დიღმელაშვილი 225
- მუზეუმები და არტეფაქტები 234
- უფლისციხე - ირმა დოლიძე, ქეთევან ნადირაშვილი 234
- რეცენზიები 246
- რეცენზია დავით ლომიტაშვილის მონოგრაფიაზე "ნოქალაქევის ნაქალაქარი IV-VII სს. არქეოლოგიური მასალების მიხედვით" 247
- ცნობისათვის 260
  ბოლნისის სიონის სამი უძველესი წარწერა - გურამ ყიფიანი 260

სარჩევი

- სტუდენტური გვერდი 290
- ადამიანის განვითარების გზა პალე-
- ოლითის ეპოქაში და მისი სადგომ-
  სახელოსნო კახეთში — დათო ყაჭეიშვილი - 290
- არქეოლორიკა 302
- მარინა მიწიშვილი 302
- საინტერესო გამოცემები 340
- არქეოლოგიური აღმოჩენების პირველადი
  დახმარება - დევიდ ვატკისონი, ვირჯინია ნილი 341
- მასალები ორონტის ანტიოქიის დასავლეთით
  მდებარე ქართული მონასტრების კვლევა-
  ძიებისთვის - ვახტანგ ჯობაძე 342
- რუსუდან გვერდწითელი, შრომები I 343
- ფიროსმანის კოლექცია სუვენირად 344

Contents

- INTERVIEW 20
- Annual Report of General Director of National Agency For Cultural Haritage Preservation of Georgia Mr. Nikoloz Antidze for "Online Archaeology" readers 20
- ARCHAEOLOGICAL DIGEST 50
- DZALISI- June - 2017 50
- ZYARI - June - 2017 52
- DIDNAURI - July - 2017 53
- THE TOMB 54
- SVERI FORTRESS - July - 2017 55
- SVANETI - July - 2017 56
- KHVAMLI - August - 2017 57
- NEW ARCHAEOLOGICAL DISCOVERY 90
- IVRISPIRI 90
- ARTICLES 122
- REMAINS OF A BRONZE EQUESTRIAN STATUE FROM VANI - Elena Gigolashvili, Marina Pirtskhalava 122
- GEORGIA ON THE EUROPEAN WAY OF DEVELOPMENT - Aleksandre Orjonikidze 146

Contents

- REPORTAGE FROM EXCAVATIONSËË 164
- NOKALAKEVI - Nikoloz Murghulia, Paul Everili and Besik Lortkipanidze 164
- THE VIEWPOINT 180
- WHO IS THE MAN FROM DJRUCHULA CAVE? - Nika TushabramiSvili 180
- PROJECT 190
- “EMBATTLED HILL’” (“NAOMARI GORA”) - Kote Pitskhelauri 190
- LAN DMARK MONUMENTS 202
- UPLISTSIKHE 202
- GET TO KNOW GEORGIA 218
- OTHER JAVAKHETI - Ketevan Dighmelashvili 218
- KHORNABUJI - Ketevan Dighmelashvili 230
- MUSEUMS AND ARTIFACTS 242
- UPLISTSIKHE - Irma Dolidze, Ketevan Nadirashvili 242
- REVIEWS 254

ყდაზე: უფლისციხე

Contents

- REVIEW ABOUT DAVID LOMITASHVILI'S MONOGRAPH "NOKALAKEV'S SETTLEMENT ACCORDING TO IV-VII CC. ARCHAEOLOGICAL MATERIALS" - 254
- STUDENT PAGE 296
- THE PATH OF HUMAN DEVELOPMENT IN THE EPOCH OF THE PALEOLITHIC AND HIS PLACE OF WORK IN THE KAKHETI REGION - David Kacheishvili 296
- ARCHAEOLYRICS 324
- Marina Mitsitshvili 324

ინტერვიუ

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის, ნიკოლოზ ანთიძის წლის ანგარიში

“ონლაინ არქეოლოგიის” მკითხველს

2017 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, მნიშვნელოვან სეგმენტებზე მიზნობრივად ორიენტირებული 22 არქეოლოგიური ექსპედიცია გავიდა ველზე; სახელმწიფომ ნახევარ მილიონ ლარზე მეტი დახარჯა არქეოლოგიური გათხრების დაფინანსებაზე, რაც იმის მოტივაცია იყო, რომ თითოეული არქეოლოგიური ექსპედიცია უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოჰკიდებოდა საქმეს. შედეგად: ამ ეტაპზე შესწავლილია ყველა ეპოქისა და მნიშვნელობის კულტურული ფენები თუ არტეფაქტები, რაც მეტყველებს მასზედ, რომ ქვეყნის არქეოლოგიური სეგმენტი უკვე ფუნდამენტურად გაძლიერდა.

საინტერესოა, რას ფიქრობს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი, კიდევ რა არის საჭირო საქართველოს არქეოლოგიის განვითარების ხელშესაწყობად? რომელი ინოვაციები დაინერგება და რა ახალი პროექტები განხორციელდება არქეოლოგიური მიმართულებით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატიცით 2018 წელს?

ამ და სხვა შეკითხვებს ნიკოლოზ ანთიძე პასუხობს ყოველწლიური, საახალწლო რუბრიკით - "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის წლის ანგარიში "ონლაინ არქეოლოგიის" მკითხველს".

- ბატონო ნიკა, "ონლაინ არქეოლოგიის" შარშანდელი წლის ანგარიშით თქვენ აუწყეთ საზოგადოებას, რომ კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის პირველად ვერსიაზე მუშაობა დასრულებულია. არის თუ არა უკვე შემუშავებული კოდექსის საბოლოო ვერსია და რა ახალი რეგულაციებია გათვალისწინებული?

- დიახ, კულტურული მემკვიდრეობის კოდექსი უკვე მზად არის, ამჟამად მიმდინარეობს უწყებათაშორისი განხილვები. ეს მარტივი საქმე არ გახლავთ, რადგან მოგეხსენებათ, რომ კოდექსი საკმაოდ მოცულობითი დოკუმენტია. საჭიროა მუშაობა სპეციალისტებთან კოორდინაციით, ეს კი გარკვეულ დროს ითხოვს. ვფიქრობ, 2018 წლის გაზაფხულზე უკვე დაიწყება დოკუმენტების განხილვები. რაც შეეხება კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, ჩემი აზრით, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი სეგმენტი დავამატეთ - ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა, რაც ამ დრომდე არანაირი რეგულაციებით გათვალისწინებული არ იყო.

- თუ შეიძლება განვუმარტოთ ფართო საზოგადოებას, რას ნიშნავს ბუნებრივი მემკვიდრეობა და რატომ არის ასეთი აუცილებელი მისი დაცვა?

- ბუნებრივ მემკვიდრეობაში იგულისხმება ბუნების მიერ შექმნილი ძეგლები, ტყე-პარკები, გარემოს დაცვითი მიმართულება. ჩვენ ყველა ვიცნობთ და საქართველოც ამაყობს დმანისის პრეისტორიული ძეგლით. ვიცით, რომ დმანისში არის ადამიანის ხელით ნაკეთი არტეფაქტებიც და ისეთი ლანდშაფტური ფლორა-ფაუნა, ნამარხი ფაუნის პალეონტოლოგიური ნაშთებიც (ხმალკბილა ვეფ-

ხვის, მამონტის, სირაქლემას და ა.შ.), როგორიც საქართველოში დღეს აღარ არსებობს, ამიტომ მათი შენარჩუნება მეტად მნიშვნელოვანია. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში დმანისის გარდა არსებობს ძალიან ბევრი ისეთი ტერიტორია, სადაც დაფიქსირებულია პირველყოფილი ადამიანის კვალი, მაგ.: დედოფლისწყარო, ჭიათურა, ხარაგაული. ლეჩხუმში, ხვამლის მთაზე არაერთი განამარხებული თევზისა თუ ზღვის ცხოველის ნაშთებია, არის ნამარხი ზღარბებიც. ისინი უამრავ, ძალიან მნიშვნელოვან სამეცნიერო ინფორმაციას შეიცავს. დღეს კი, მათი დაზიანებისთვის, გატეხვისთვის, გადაგდებისთვის, ნებისმიერი სახის ხელყოფისთვის პასუხი არავის მოეთხოვება. პალეონტოლოგიურ ძეგლებს სტატუსი არ გააჩნია, კანონი მათ არ იცავს. კანონი იცავს მხოლოდ კულტურულ მემკვიდრეობას, ანუ ადამიანის მიერ ან მისი ზემოქმედებით შექმნილ მოძრავ ან უძრავ მემკვიდრეობას, ბუნებრივი მემკვიდრეობა კი, დაუცველია. ამიტომ ჩვენ შემოგვაქვს ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის ახალი დეფინიცია. შესაძლოა, დარღვევები სისტემატიურად არ დაფიქსირდეს, მაგრამ ზოგადად, ბუნებრივი მემკვიდრეობა, რომელიც ასე ამდიდრებს ჩვენს ისტორიას დაცული იქნება.

გარდა ამისა, ამ ახალი რეგულაციით შედგება კავშირი ბუნებრივ მემკვიდრეობასა და კულტურას შორის. ამ დრომდე პალეონტოლოგიას (ცხოველური, განამარხებული ფაუნისტური ნაშთების სახით), ბუნებრივ მემკვიდრეობასა და კულტურას შორის დიდი ვაკუუმი იყო. ახალი კანონი ბუნებას, პალეონტოლოგიასა და კულტურას ერთმანეთთან დააკავშირებს. ის ყველა მიმართულებით გავრცელდება.

- *რითი იქნება მომავალი, 2018 წელი გამორჩეული ჩვენი ქვეყნის არქეოლოგიისა და არქეოლოგებისთვის?*

- მომავალი წელი განსაკუთრებული იქნება არქეოლოგიისთვის, რადგან წელს აქცენტებს გავამახვილებთ ახალგაზრდობაზე. მიგვაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობის, სტუდენტების ჩართვა არქეოლოგიური გათხრების პროცესში. ამიტომ სატენდერო პირობებში შევიტანეთ სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფის აუცილებლობა. ანუ, 2018 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ არქეოლოგიურ შესყიდვებზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილე არქეოლოგებისთვის სავალდებულო იქნება მინიმუმ 5 სტუდენტის წაყვანა ველზე, მაქსიმალური რაოდენობა არ წესდება, რაც მეტ სტუდენტს წაიყვანენ მით უკეთესი. სხვა შემთხვევაში გათხრების დაფინანსებისთვის სახელმწიფო ფულს არ დახარჯავს. ახალგაზრდების მუშაობას, რა თქმა უნდა, სააგენტოს მონიტორინგის სამსახურიც გადაამოწმებს.

ჩვენი აზრით, დარგის განვითარებისთვის, არქეოლოგიური ძეგლების შესწავლაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობის პროფესიონალური აღზრდა. საჭიროა ახალი ძალებით ახალი სისხლი გადაისხას და უფრო მეტი კრეატივით გამდიდრდეს არქეოლოგია. არქეოლოგია ხომ უკვე მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ საინტერესო ატრაქციად იქცა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უამრავი შემეცნებით-გასართობი არქეოლოგიური პროგრამა ხორციელდება. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ფეხი ავუწყოთ სამყაროს ახალ მოთხოვნებს.

- ანუ, მომავალი თაობის ჩართულობა 2018 წლისა და ზოგადად სამომავლო არქეოლოგიური მუშაობის პრიორიტეტია. კიდევ რაიმე ხომ არ იცვლება არქეოლოგიური გათხრების სანებართვო სისტემასთან მიმართებით?

- წელს დეკემბერში ვგეგმავთ ამგვარ ცვლილებას: სააგენტოს მიერ დაფინანსებული ყველა არქეოლოგიური ექსპედიცია თავის ანგარიშს წარმოადგენს არა მხოლოდ დოკუმენტურად, როგორც ამ დრომდე ხდებოდა, არამედ საგანგებოდ მოწვეულ სესიაზე. ექსპედიციის ხელმძღვანელები მოგვითხრობენ რა დახვდათ ძეგლზე ველზე გასვლის დღეს, როგორი იყო მუშაობის პროცესი, რა შედეგები დაიდო, რატომ და ვისთვის არის ეს შედეგები მნიშვნელოვანი, რა განვითარების პერსპექტივები აქვს ძეგლის კვლევას. სესიაზე ყურადღებას მივაქცევთ მათ ემოციურ ფონსაც, დიახ, საინტერესოა ემოციებიც, რადგან წარსული მუშაობის პოზიტიური ემოცია სამომავლო დადებითი დინამიკის საწყისია. სწორედ ამ სესიებზე წარმოდგენილი თხრობითი ანგარიში იქნება მათი მომავალი დაფინანსების ერთ-ერთი საფუძველი და არა მხოლოდ მათი, მოგეხსენებათ, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ნებართვებს გასცემს არა მარტო საკუთარი დაფინანსებით წარმოებულ გათხრებზე. მე ვფიქრობ, ეს ძალიან საჭირო ნოვაციაა, რადგან ამჟამად ჩვენთან მხოლოდ ტექნიკური დოკუმენტაცია შემოდის. დარგის წამყვან სპეციალისტებს, დარგის წამყვან დაწესებულებას კი, უნდა ჰქონდეს სრულფასოვანი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რისთვის გაიცა ნებართვა, რა შედეგებია მიღებული და ა.შ. ასე რომ წლევანდელი წელი იყო ის გარდამტეხი წელიწადი, რომელიც არქეოლოგიურ მიმართულებას 2018 წელს რადიკალური უკეთესობისკენ შეცვლის.

- ბატონო ნიკა, 2017 წლის რომელ კვლევებს გამოყოფთ, როგორც ინტერდისციპლინარული კვლევების ნიმუშს? სააგენტოს მიერ დაფინანსებულ გათხრებს შორის სად არის ყველაზე მეტად შერწყმული სამეცნიერო ამბიციები სახელმწიფოებრივ მომგებიანობასთან?

- ძალიან მიჭირს რომელიმე კონკრეტული ძეგლის დასახელება, მაგრამ ამ თვალსაზრისით წელსაც ყველაზე გამორჩეულად მიმაჩნია გრაკლიანი გორის, დიდნაურისა და ზიარის კვლევები. ამ ძეგლების არქეოლოგიურ კვლევებში ჩართულები არიან საერთაშორისო ექსპერტები, გარდა ამისა, ამ საიტებზე მოქმედი ექსპედიციების წევრები არა მხოლოდ ანალიზურად იკვლევენ მოპოვებულ, კონკრეტულ არტეფაქტებს (მოძრავსა თუ უძრავს), არამედ გარემოსაც სწავლობენ. გათხრები მიმდინარეობს გამორჩეულად ინტერდისციპლინარულ პლანში, რასაც სააგენტო ხელს უწყობს და ხელს შეუწყობს მომავალშიც.

ტურიზმთან მიმართებით გრაკლიანსა და გუდაბერტყას გამოვყოფ. ისინი სწორედ ტურისტულ სეგმენტზეა გათვალისწინებული, ჩემი ხედვით არქეოლოგიამ კიდევ ბევრი სხვა კონკრეტული სიკეთე უნდა მოუტანოს ქვეყანას, მაგრამ ვფიქრობ, ყველა არქეოლოგიური სამუშაოს საბოლოო მიზანი არის მიღება იმისა, რასაც დღეს გრაკლიანსა და გუდაბერტყაზე ვიღებთ. რაც შეეხება სხვა ძეგლებს, ვფიქრობ, აქ უბრალოდ ეტაპებსა და დროს აქვს მნიშვნელობა (გრაკლიანი უკვე 4 წელია, რაც ფინანსდება), დროთა განმავლობაში ყველგან ასეთივე შედეგებს მივიღებთ.

- ბატონო ნიკა, შარშან ახალ წელს თქვენ ბრძანეთ, რომ სააგენტომ უზრუნველყო გეოსაინფორმაციო სისტემა, რომელსაც დარგის მართვის ძირითადი ინსტრუმენტი უწოდეთ. შარშან ეს სისტემა სატესტო რეჟიმში მუშაობდა, წელს როდესაც უკვე მთელი დატვირთვით ამუშავდა, რას გვეტყვით გაამართლა თუ არა GIS-ის პორტალმა თქვენი მოლოდინი?

- დიახ, GIS-ის სისტემა სატესტო რეჟიმში წლის დასაწყისში ავამუშავეთ. საზოგადოების წინაშე პორტალის სრული დატვირთვით ამუშავების პრეზენტაცია ოქტომბერში შედგა. წარდგინებას ესწრებოდნენ კულტურის მინისტრი, სააგენტოს წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები.

შემიძლია თამამად ვთქვა, რომ პორტალმა მოლოდინი გაამართლა. პორტალის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია მისთვის საინტერესო ძეგლის შესახებ ინტერნეტ სივრციდან შეიტყოს ყველაფერი - აქვს თუ არა ძეგლს სტატუსი, სად მდებარეობს კონკრეტულად, როგორია მისასვლელი გზები და სხვ. ცხადია, რაღაც ხარვეზები ჯერ კიდევ არსებობს, სრულად ამომწურავი ინფორმაცია პორტალზე განთავსებული ვერ იქნება. ეს ერთ წელიწადში ვერ მოხერხდებოდა, საამისოდ აუცილებელი ინვენტარიზაციის პროცესები მრავალწლიან გეგმას გულისხმობს, შესაძლოა, 5 წელიც კი არ აღმოჩნდეს საკმარისი. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია უკვე განთავსებულია.

შევეცდები უფრო კონკრეტულად, ნოქალაქევის მაგალითზე ავხსნა ამ სისტემის კომფორტულობა: როდესაც ნოქალაქევის ნაწილში შეხვალთ თქვენ შეძლებთ იქ აღმოჩენილი ყველა ნივთის ნახვას, განურჩევლად იმისა თუ როდის აღმოჩნდა და სად არის ამ-

ჟამად დაცული ესა თუ ის არტეფაქტი - ადგილობრივ, ლოკალურ თუ ეროვნულ მუზეუმში. პორტალი ყველა ინფორმაციას ერთად აწვდის მომხმარებელს და, რაც მთავარია, სისტემა მუდმივად შევსებადია, მუდმივად განახლებადი, მასში ჩართულია არა მხოლოდ სააგენტო, არამედ კერძო პირები, მთელი საზოგადოება. ყველას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა და თუნდაც საველე პირობებიდან (მოყვარულებმა თუ პროფესიონალებმა) შეავსონ პორტალი. შემდეგ, რა თქმა უნდა, ინფორმაცია პროფესიონალების რევიზიას გაივლის, მაგრამ არსი მისი სწორედ მთელი საზოგადოების ჩართულობაა, რასაც ის უკვე უზრუნველყოფს.

GIS-ის პორტალის გასამყარებლად ჩვენ შევქმენით კლუბი - "ემეგობრე მემკვიდრეობას". ეს კლუბიც ისე, როგორც ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს ამგვარი კლუბები, ემსახურება საზოგადოების ჩართულობას კულტურულ პროცესებში. ზოგადად საზოგადოება სოციალური ქსელებით ძალიან აქტიურია, მაგრამ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისგან ხშირად თავს იკავებს, ამიტომ საჭიროა, კარგად განემარტოს მას ამა თუ იმ აქტივობის მიზეზი და არსი.

კლუბის წევრობა სასარგებლო და მომგებიანია, როგორც მოქალაქეებისთვის ისე, სააგენტოსთვის, რადგან ჩვენგან კლუბის წევრები ყიდულობენ ისეთ პროდუქტს, რომელსაც მათთვის კონკრეტული საყოფაცხოვრებო სიკეთეც მოაქვს. განვმარტავ: ვთქვათ, თქვენ გადაიხადეთ 50 ლარი (ეს არის წლიური გადასახადი), გახდით ჩვენი კლუბის წევრი, შესაბამისად, ყიდულობთ პაკეტს და გიმზადდებათ კლუბის წევრობის ბარათი. ამ ბარათით თქვენ მთელი წლის განმავლობაში შეძლებთ ჩვენს მუზეუმებსა და მუზეუმ -ნაკრძალებში უფასოდ შესვლას; ისარგებლებთ ფასდაკლებებით გარკვეულ სახელმწიფო დაწესებულებებში (თეატრი, მუზეუმები და სხვ.), აგრეთვე, შეღავათები გექნებათ საყოფაცხოვრებო სეგ-

მენტში - აფთიაქში, რომელიც ჩვენი პარტნიორი გახდება, ბენზინგასამართ სადგურებსა თუ სუპერმარკეტების ქსელში. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მომხმარებლის მიერ გადახდილ 50 ლარს ჩვენ მიზნობრივად ვახარჯავთ მის მიერ არჩეულ ძეგლს, ცხადია, იგულისხმება სააგენტოს მიერ დაფინანსებული ძეგლები, პრიორიტეტები უკვე განსაზღვრული გვაქვს, მათ შორის 2 არქეოლოგიური ძეგლია. მომხმარებელი თვითონვე აკონტროლებს თავის ფინანსებს, თუ როგორ და რა დაიხარჯა იმ კონკრეტულ ობიექტზე, რომელიც მან აირჩია, გარდა ამისა, სარგებლობს ბარათის შეღავათებით, რაც მისთვის ძალიან მომგებიანია. ჩვენთვის კი მომგებიანია ის, რომ თუ ვთქვათ, რომელიმე ძეგლისთვის (ვგულისხმობ მომხმარებლის მიერ არჩეულ ძეგლს) გამოყოფილი გვქონდა გარკვეული თანხა, კლუბის წევრების თანამონაწილეობით შემოსული თანხის შედეგად გამოთავისუფლებული ფინანსებით უკვე ახალი პროგრამებისა და ახალი მიმართულებების დაწყებას შევძლებთ. ანუ: მომხმარებელი იხდის წელიწადში 50 ლარს (თვეში 4 ლარი) და ეს 50 ლარი მას უკანგებით უბრუნდება (საწვავიდან დაწყებული აფთიაქით დამთავრებული შეღავათების დაჯამების შედეგად დავინახავთ, რომ საკმაოდ სერიოზული თანხა გროვდება); მის მიერ უკანგებით მიღებული თანხა ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას ხმარდება, გარდა ამისა, ადამიანი თავისი ქვეყნის ერთ-ერთი ელიტარული კლუბის წევრი ხდება. ჩემთვის პირადად ამ კლუბის წევრობა პრესტიჟულია, მე მისი პირველი წევრი ვარ და არასდროს დავტოვებ, მიუხედავად თანამდებობრივი პოზიციებისა თუ ახლა და თუ მომავალში. ყოველთვის ვისარგებლებ სააგენტოს მუზეუმებში უფასო დაშვებით, მთელი წლის განმავლობაში რამდენჯერაც მომინდება იმდენჯერ ჩავალ ვარძიაში, უფლისციხეში და სხვ. ვისარგებლებ პარტნიორი თეატრებისა თუ მუზეუმების ფასდაკლებებით.

- ბატონო ნიკა, ახლა ტრადიციული კითხვა: რას ეტყვით და რას უსურვებთ ამ ახალ წელიწადს "ონლაინ არქეოლოგიას", მის მკითხველს, მთელ საქართველოს?

- ჟურნალს ვუსურვებ დიდ წარმატებას, განსაკუთრებით თქვენს ახალ საყმაწვილო აქტივობა - "არქეოლენდს". გავიმეორებ იმას, რაც უკვე ვთქვი, არქეოლოგია არ არის მხოლოდ ისტორიოგრაფიის შესწავლა, ის საქართველოშიც უნდა გახდეს ისეთივე მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ატრაქცია, როგორიც მთელ მსოფლიოშია, რომლის ფარგლებშიც ადამიანები ერთობიან, იღებენ განათლებას, მონაწილეობენ ახალ გამოწვევებში, ქვეყნის ისტორიოგრაფიის განვითარების მნიშვნელოვან სეგმენტში, ეცნობიან ერთმანეთს და ა.შ.

2014 წელს, ჩემს პირველ ინტერვიუში "ონლაინ არქეოლოგიის" მკითხველს, დავსახე არქეოლოგიური სფეროს რამდენიმე მიმართულებით განვითარების გეგმა. ახლა, როდესაც ამ ჟურნალის საშუალებით მესამე ახალ წელიწადს ვულოცავ საზოგადოებას, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სახელმწიფოს ხელშეწყობით, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტი არქეოლოგიის განვითარებაა, რაც ძალიან საამაყოა ჩვენთვის, ჩვენ უკვე მივაღწიეთ მთავარ მიზანს - საქართველოს არქეოლოგია, რომელიც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში უყურადღებოდ იყო მიტოვებული, წინა პლანზე წამოვწიეთ და გავაძლიერეთ.

2018 წელს სააგენტო ჟურნალის მკითხველებს, კლუბ "ემეგობრე მემკვიდრეობის" წევრებსა და მთელ საზოგადოებას უმზადებს სიურპრიზს. თუმცა, სიურპრიზი აღარ გამოვა, რადგან ახლავე ვა-

ანონსებ: გარკვეულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ჩვენ ვაფუძნებთ კულტურული მემკვიდრეობის ფორუმს - “ღია ცის ქვეშ”. ეს იქნება რამდენიმე დღიანი ფესტივალი, აქ ყოველი ღერძი იტრიალებს კულტურული მემკვიდრეობის გარშემო - დაწყებული კარვებიდან, მოხსენებებითა და ატრაქციებით დამთავრებული. ფორუმი ჩატარდება კულტურული მემკვიდრეობის რომელიმე ობიექტზე, ადამიანებს ექნებათ საშუალება გაეცნონ ყველაფერს, რაც კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ხდება, წარმოადგინონ მოსაზრებები, მიიღონ მონაწილეობა ღონისძიებებში, საგანმანათლებლო პროგრამებში.

მთელ საქართველოს ვუსურვებ ბედნიერ შობა-ახალწელიწადს და მჯერა, რომ ერთმანეთის თანადგომით შევძლებთ საქართველოს არქეოლოგიური სეგმენტის კიდევ უფრო გაძლიერებას, მის პოპულარიზაციასა და საერთაშორისო-სამეცნიერო სივრცეებში უფრო მეტად ინტეგრირებას.

ინტერვიუ მიჰყავდა მაია ჩოლოყაშვილს

Annual report of Nikoloz Antidze, General director of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

In 2017, funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, Important segments, targeted oriented, 22 Archaeological expeditions were passed on the field; The state has spent more than half a million GEL on funding of archaeological excavations, Which was motivated by the fact that each archaeological expedition would have been more responsible for the task. As a result: at this stage cultural layers or artefacts of all epochs and significance have been studied, which indicates that the archaeological segment of the country has been fundamentally strengthened.

It is interesting what the director general of the National Agency for Cultural Heritage Preservation thinks, what else is needed to support Georgia's development of archeology? Which innovations will be implemented and what new projects will be implemented in the archaeological direction by the initiative of National Agency for Cultural Heritage Preservation in 2018?

These and other questions are answered by Nikoloz Antidze with annual, New year's rubbish –'' Annual report of General director of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, for "Online Archaeology" reader''.

- Mr. Nika, in the last year's annual archeology report, you have informed the public that the first edition of the Cultural Heritage Code has been completed.Is the final version of the code already developed and what new regulations are envisaged?

- Yes, the Cultural Heritage Code is already ready, currently interagency discussions are under way.This is not a simple case, since you know that the Code is a very voluminous document.It is necessary to work with coordinators and this requires some time.I think in the spring of 2018 the documents will be discussed.As for the amendments to the Code, in my view, we added one very important segment - protection of natural heritage, which has not yet been envisaged by any regulations.

- If you can explain the wider community, what is the natural heritage and why is it so necessary to protect it?

The natural heritage is meant by nature-created monuments, forest-parks, environmental direction.We all know and Georgia is proud of Dmanisi's prehistoric monument.We know that in Dmanisi there are human artifacts and landscape flora-fauna, paleontological remnants of fossil fauna (swollen tiger, mammoth, ostrich, etc.) such as there is no longer in Georgia, that's why they keep them very important. But in our country, there are too many areas of Dmanisi, where the traces of the primitive man are recorded, for example: Dedoplistskaro, Chiatura, Kharagauli.In Lechkhumi, on the mountain of Khvamli, there are many fossils of fish and seafood, there are fossil fences.They contain lots of very important scientific information.Today, nobody is required

to respond to any damage or damage to their injuries.Paleontological monuments have no status, the law does not protect them.The Law protects only the cultural heritage, that is the movable or immovable heritage created by man or his influence, and the natural heritage is unprotected.Therefore, we have a new definition of natural heritage protection.Perhaps the violations are not systematic, but in general, the natural heritage that is so rich in our history will be protected.In addition, this new regulation consists of a connection between natural heritage and culture.

Till now Paleontology (animal, defective fauna) is a great vacuum between natural heritage and culture.The new law will connect nature, paleontology and culture to each other. It will spread in all directions.

- What will be the future, 2018 year of archeology and archaeologists of our country distinguished?

- The next year will be special for archeology, because this year we will focus on youth.We believe that it is very important to involve young generation students in archeological excavation.Therefore, in the tender conditions, we need to provide students with engagement.That is, in 2018, the National Agency for Cultural Heritage Preservation will be obligatory for archeologists participating in the tender announced on archeological procurement at least 5 students in the field,the maximum number is not regulated, the more the students will get the better.Otherwise the state does not spend money for financing excavations.Of course, the Monitoring Service of the Agency will verify the work of the youth.

In our view, the professional development of the young generation is not less important for the development of the field, the study of archeological sites.It is necessary to put new blood into new forces and archeology to enrich as much creativity.Archeology has become one of the most exciting adventures in the world, with many cognitive-entertaining archaeological programs in different countries around the world.It is very important that you keep the leg's new requirements.

- That is, the involvement of the next generation is a priority for future archeological work in 2018 and in general.Is there any change in relation to the archaeological excavation system?

- In December this year we plan to make such a change: all archaeological expeditions financed by the Agency represent its report not just as documented, but at a specially convened session.The heads of the expedition tell us what was happening on the site on the site of the field, what was the process of work,Why and who are these results are important, what development prospects do the monumental research. The emphasis will be on the session, yes, the emotions are also interesting, as the positive emotion of past work is the starting positive dynamic of the future.The narrative report presented at these sessions will be one of the foundations of their future financing and not only their,as you know, the National Agency for Cultural Heritage Preservation grants permits not only to their own financing excavations.I think this is a very necessary innovation, because now we only have technical documentation.The leading specialists of the sector and the leading institution of the field should have full information about the reasons for which the results were obtained, etc.So, this year it was a year of turning, which will change the archeological direction in radically better in 2018.

- Mr. Nika, what are the studies of 2017 as an interdisciplinary research sample? Where is the Agency-funded excavation where the most ambitious scientific ambitions with state profitability?

- I find it hard to name a specific monument, but in this sense, I consider the Garkliani Gori, Didnauri and Ziari studies the most important of the year.International experts in these monuments are involved in international research, and the expeditions operating on these sites are not only analyzed in the study of specific artefacts (motion or immovable) but also the environment.Excavations are in the interdisciplinary plane, which the agency promotes and will contribute to the future.

In connection with tourism, I will reveal Grakliani and Gudabertka. They are exactly the tourist segment,in my vision archeology should bring many other good things to the country,but I think the ultimate goal of all archaeological work is to get what we get today at Grakliani and Gudbertka.As for other monuments, I think here are just stages and time (Grakliani has been funded for 4 years already), we will get similar results over time.

- Mr. Nika, last year you ordered that the Agency provided the Geoinformation System, which is called the main tool for management of the field. Last year this system worked in test mode, this year, when you've been working on the whole load, what will you tell if GIS's portal is your expectation?

- Yes, we developed GIS system in test mode at the beginning of the year. Presentation of the mobile full mobile service to the public was held in October. The presentation was attended by the Minister of Culture, representatives of the Agency and invited guests.

I can boldly say that the portal has justified the expectation. Through the mobile, users can learn about the interesting monument from the Internet space, - Does the status of a monument exist, where exactly the access roads and others are located.Of course, there are still some flaws, but the complete information cannot be placed on the portal. This could not happen in a year, but the inventory processes necessary for this would mean a multi-year plan, maybe not five years old.However, all available information is already available.

I will try more specifically, on the example of Nokalakevi, the comfort of this system:When you enter the Nokalakevi section, you will be able to see all the items found there, regardless of when and where it is currently stored or artefact - Local, local or national museum.The portal provides all the information together with the customers and, most importantly, the system is constantly updated, constantly renewed, involved not only the agency, but also private individuals, the whole community.Everyone can participate and even fill out the field conditions (lovers or professionals).Then, of course, information will go through the revision of the professionals, but the essence of its whole community is what it already provides.

To create GIS mobile, we have created a club - "The friendship of the heritage. "This club, like all such civilized states, serves the public in the cultural processes.In general, society is very active with social networks, but often refrains from concrete steps, so it is necessary to explain the reason and essence of this activity.

Membership of the Club is useful and profitable for citizens as well as for the agency, since the members of the club are buying a product that brings them some kind of household goods.Explain: Let's pay 50 GEL (this is an annual fee) Become a member of our club, so you buy a package and get a club membership card.With this card you will be able

to enter our museums and museum-reserve for free all year round; You will enjoy discounts in certain state institutions (theater, museums, etc.)You will also have benefits in the household segment - drugstore, which will become our partner in gas stations or supermarket networks.It is very important that we pay 50 GEL paid by the customer to the monument chosen by him, obviously, the monuments financed by the Agency are already defined, priorities have already been defined, including 2 archeological sites.The Customer himself controls his finances on how and what has been spent on the particular object that he has chosen and also benefits the card benefits, which is very profitable for him.It is profitable for us to have a certain amount of money for any monument (I mean the monument chosen by the user), and we will be able to start new programs and new directions with the funds released by the club members' participation.That means: the customer pays 50 GEL per month (GEL 4 per month) and returns 50 GEL (back to the pharmacy starting from the pharmacy), we see that a very serious amount is collected);The money received by him is used by the cultural heritage of the country and in addition, a member of one of the elite clubs of his country becomes a member.For me personally, this club membership is prestigious, I am his first member and will never leave me, despite the positions of position or now and in the future.Always use the Agency's free access to museums, throughout the year, how many times will I go to Vardzia, Uplistsikhe and others. You will benefit from partner theater or museums.I will benefit from partner theater or museums with discounts.

- Mr. Nika, now a traditional question: what will you say and what do you wish for this new year "Online Archeology", its reader, the whole Georgia?

- I wish you a great success in the magazine, especially your new childhood activity - "Archeoland".I will repeat what I have already said, archeology is not just a study of historiography, it should become an important educational attraction in Georgia as it is in the whole world,Within the framework of which people are celebrating, getting educated, participating in new challenges, important segments of the history of the country's history, getting acquainted with each other, etc.

In my first interview in 2014, an online archeology reader, I've set up an archeological field in several directions development plan.Now, when I congratulate the public for the third year with this magazine, I can say that with the support of the state, one of the priorities of which is archeology development, which is very proud to us, we have already achieved the main goal - The archeology of Georgia, which had been neglected for a long time, was taken up and strengthened in the foreground.

In 2018, the agency is preparing journalists, members of the Club "The friendship of the heritage" and the whole community.However, no surprise will come, because now I suggest: together with certain non-governmental organizations we are establishing a cultural heritage forum - "Open air".It will be a multi-day festival, where each axis turns around the cultural heritage - starting from tents, reports and attractions.The forum will be held on a site of cultural heritage, people will be able to get acquainted with everything that is happening in the cultural heritage area, to present their opinions, participate in events and educational programs.

I wish all of Georgia happy Christmas and I believe that we will be able to strengthen the archaeological segment of Georgia, its popularization and more in the international scientific sphere.

The interview was led by Maia Cholokashvili

ძალისი — ივნისი — 2017

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2017 წლის ივნისში არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა ძალისის ტერიტორიაზე (ხელმძღვ. გოდერძი ნარიმანიშვილი).

არქეოლოგიური გათხრები წარიმართა 180 კვ.მ ფართობზე; ჰუმუსის ფენა მოიხსნა 0.3 მ სიღრმეზე; ექსპედიციამ შეისწავლა კულტურული ფენები საშუალოდ 1.0 მ სიღრმეზე. გაითხარა 2 მიწური

ნაგებობის ნაშთი, 1 სამეურნეო ორმო, 2 ორმოსამარხი და დიდი ნაგებობა (ტაძარი).

მიწური №1 მიწაში ჩაკვეთილი სადგომია; დამხრობილი ჩრდილო-დასავლეთ - სამხრეთ-აღმოსავლეთის ხაზზე; იატაკი თიხატკეპნილია. გათხრების პროცესში დაფიქსირებული ძელების ანაბეჭდი მიუთითებს მასზე, რომ მიწურს ბანური გადახურვა ჰქონდა. მის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 0.6 მ დაშორებით გაითხარა ოვალური ფორმის სამეურნეო ორმო.

მიწური №2 (გაითხარა მხოლოდ ნაწილი) №1 მიწურის ანალოგიურია და ის მიჩნეულია აკლდამად.

ძალისის აკლდამის ჩრდილო-აღმოსავლეთით გაითხარა 2 სამარხი. სამარხები აკლდამის თანადროული ჩანს და ადრეული შუა საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

2017 წელს გაჭრილი თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლინდა დიდი ნაგებობა. გაითხარა მისი ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლების მცირე მონაკვეთები. კედლები ნაგებია ალიზით, რომლებსაც რიყის ქვის საფუძველი აქვს. ალიზის აგური სტანდარტული ზომისაა და დამზადებულია ბზენარევი თიხისგან. მათი ნაწილი ძლიერი ცეცხლით არის გამომწვარი. დიდი ნაგებობა კრამიტით ყოფილა გადახურული. მისი სრული გეგმის წარმოდგენა ძნელია, თუმცა, ჩანს, რომ ცენტრში კიდევ ერთი მოზრდილი ნაგებობა იყო ჩადგმული. ამ ნაგებობის მხოლოდ ერთი კუთხეა გამოვლენილი. დიდი ნაგებობის დასავლეთ კედელსა და შიდა ნაგებობის დასავლეთ კედელს შორის კიდევ ერთი კედელია, რომლის მეშვეობითაც ამ სივრცეში წარმოქმნილია ორი კორიდორი.

გათხრების მიმდინარეობისას გამოვლინდა მთის ბროლის ფრაგმენტები და რკინის ნივთები, რკინის აჟურული ფირფიტები, სხვადასხვა კონფიგურაციის რკინის ნივთები და ლურსმნები.

აგრეთვე, ლურჯი მინის ჭურჭლის ფრაგმენტები და მინისებური პასტის თხელი ფირფიტები.

კორიდორის აღმოსავლეთით თავისუფალი სივრცეა, რომელიც აღმოსავლეთით გაუთხრელ ნაწილში შედის. ყველაზე მეტი თიხის ჭურჭლის ნატეხი ამ სივრცეშია მოპოვებული. უმეტესობა დიდი ზომის ჩაფის ფრაგმენტია. ჩაფის სიახლოვეს გიშრის ნახევარსფერული ნაკეთობა აღმოჩნდა, ოდნავ მოშორებით კი, გამოვლინდა თიხის ბულა. ის კავკასიაში აღმოჩენილი ბულებისგან გამოირჩევა — ანაბეჭდზე ირანის შაჰია გამოსახული, გარშემო კი, არამეული წარწერა შემოუყვება. ეჭვსგარეშეა, რომ საბეჭდავი შაჰის კანცელარიის არის და ძალისში აღმოჩენილი ბულით მნიშვნელოვანი გზავნილი იყო დალუქული.

დიდ ნაგებობაში აღმოჩენილი ბულა, მინის ჭურჭელი და კრამიტი კომპლექსს III-IV სს-ით ათარიღებს.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ნაგებობის მხოლოდ მცირე ნაწილია გათხრილი, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ის გრანდიოზული და მნიშვნელოვანია, ამაზე მიუთითებს, როგორც კედლები ისე, იქ აღმოჩენილი არტეფაქტები. არ არის გამორიცხული, რომ ნაგებობა სატაძრო კომპლექსის ნაწილი იყოს.

ზიარი — ივნისი — 2017

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2017 წლის ივლისში, არქეოლოგიური გათხრები განხორციელდა გურჯაანის მუნიციპალიტეტში, გომბორის ქედის ფერდზე მდებარე ქვედა და შუა პალეოლითურ სადგომებზე — „ზიარი-ფხოველსა“ და „ზიარი 2“-ზე (ზიარ-ქოდალო) (ხელმძღვ. ნიკა თუშაბრამიშვილი)

ძეგლებზე 2014 წლიდან მიმდინარეობს ინტენსიური სამუშაოები. გასული წლების არქეოლოგიური, გეოლოგიური, პალეოგეოგრაფიული და გეომორფოლოგიური კვლევების შედეგად ორივე ძეგლზე დაფიქსირდა 8 ლითოლოგიური ფენა, რომელთაგან ერთი კულტურულად სტერილურია. აღსანიშნავია, რომ გეოფიზიკური და კომპიუტერული ტომოგრაფიის მეთოდით ჩატარებული

კვლევების შედეგად (2016 წელს) შესაძლებელი გახდა იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ღრმად ჩადის ფენები, რა სიმძლავრისაა თითოეული მათგანი, როგორია მათი შემადგენლობა და ა.შ. აღმოჩენილი ქვის მასალის ნაწილი რიყის ქვები, მანუპორტები გახლავთ. ქვედა ფენებში კირქვაზე ნაკეთები პრიმიტიული იარაღები ჭარბობს.

ზიარ-ფხოველი ღია ტიპის სადგომია. საველე კვლევები გაგრძელდა მე-7 და მე-8 ლითოლოგიური ფენების გარკვეულ კვადრატებში. მიმდინარე სეზონზე გაირკვა, რომ დაუზიანებელი, in situ მხოლოდ მე-8 ლითოლოგიური ფენაა. ფენაში

გამოვლინდა 150 არტეფაქტი, მათ შორის ჭარბობს კირქვაზე ნაკეთები პრიმიტიული არტეფაქტები. ზედა დაზიანებულ ფენებში დადასტურდა მუსტიეური ტიპის კაჟის იარაღიც.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმოჩენები ზიარ-ფხოველზე 2017 წლის საველე-არქეოლოგიური სეზონის ფარგლებში:

1. 2017 წლის საველე სეზონზე ზიარ-ფხოველზე გამოვლინდა დამწვარი კაჟის რამდენიმე ნივთი, რაც ფენის თერმოლუმინესენციის მეთოდით დათარიღების პერსპექტივას ქმნის.
2. ფენაში აღმოჩნდა განამარხებული ცხოველის ძვლების ნაშთები, რაც მნიშვნელოვანია, როგორც დათარიღებისთვის ისე, პალეოგარემოს განსასაზღვრავად.

ზიარი-2 ღია ტიპის ქვის საბადო-სახელოსნოა, სადაც კირქვისა და კირქვიერი კაჟის ძარღვთან მდებარე უძრავ, in situ მდგომარეობაში დაფიქსირებულია ლითოლოგიური ფენები. საველე სამუშაოები გაგრძელდა მე-7 და მე-8 ფენებში. აღმოჩენილი მასალა (74 ერთეული) მეტად პრიმიტიულია და ერთ რომელიმე სქემას არ ესადაგება. ძალიან ჰგავს ანატკეცების (ნატეხი ქვების) ოლდუვაურ კულტურას. აქ აღმოჩენილი ქვის მასალა ტიპოლოგიურად და ტექნოლოგიურად დმანისის მასალის მსგავსია, შესაბამისად, ზიარი-2

საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიაზე ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომლის კვლევის გაგრძელება მნიშვნელოვანია, როგორც სამეცნიერო ისე, ისტორიული თვალსაზრისით.

დიდნაური — ივლისი — 2017

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2017 წლის ივლისში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ჰერეთის (შირაქის) ზეგანზე, მის დასავლეთ ნაწილში, ადგილ „დიდნაურზე“ (დიდნარუალში), ქ.წ. 13-ე საუკუნის ნაქალაქარსა და სამაროვანზე წარიმართა არქეოლოგიური სამუშაოები (ხელმძღვ. კონსტანტინე (კიაზო) ფიცხელაური).

მიმდინარე წელს უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გალავნით შემოზღუდულ ოთხკუთხა ფართობზე 1 თხრილის (100X10მ) საპრეპარაციო სამუშაოებმა. ერთი შეხედვით, მძლავრი გალავნით შემოკავებული ეს ოთხკუთხა ფართობი ხეთური ტიპის საკულტო ნაგებობის-ტაძრის შთაბეჭდილებას ახდენდა, რადგან ქალაქის გალავანზე შიდა მხრიდან, მის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მიდგმული ამ ნაგებობის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთი კედლები განსაკუთრებით განიერია და თითქმის 20 მეტრს აღწევს. იმავდროულად, მის შიდა მხარეზე, სადაც საპრეპარაციო სამუშაოები განხორციელდა, გამოვლინდა კედელზე მიდგმული მცირე სათავსების ნიშნები, რომელთა კედლები თიხის უნდა იყოს. ამ სათავსთა შიდა მხარეს, რომელიც დიდი ოთხკუთხა ფართობის ცენტრალური ნაწილია, დიდი დადაბლებაა. ეს სავარაუდოდ მეტყველებს იმაზე, რომ გალავანს შემოყოლებული სათავსები საკმაოდ დიდ სიმაღლეზეა შემორჩენილი. მთელი ეს გეგმარება კი ხეთური ტაძრების მსგავ-

სია. ყოველივე ეს ამ ფართობის (100X100 მ) სრულად შესწავლის აუცილებლობაზე მიგვითითებს.

გალავანს 1.5 კმ მანძილზე შემოუყვება 20 მ სიგანის თავდაცვითი თხრილი. მის შიდაპირსა და ქალაქის გალავანს შორის რამდენიმე მეტრი სიგანის ჰორიზონტალური, ქვით მოგებული ზოლია. თავდაცვითი თხრილის მონაკვეთში, ორივე ფართობზე, თხრილის მთელ სიღრმეში მკვეთრად იკითხება ჩაქცეული გალავანი, რაც იმის მანიშნებელია, რომ ქალაქი მაშინ დაინგრა, როდესაც თავდაცვითი თხრილი მთლიანად ცარიელი იყო. თავდაცვით თხრილში არ შეინიშნება მდგარი წყლის კვალი, რადგან ქალაქის სამხრეთ გალავანთან მდებარე არხის ქვედა ნიშნულსა და ჩრდილო გალავანთან მდებარე თავდაცვითი თხრილის ქვედა ნიშნულს შორის სხვაობა რამდენიმე მეტრია, რაც მასში წყლის არსებობას გამორიცხავს.

მიმდინარე წლის სამუშაოებმა რიგი სიახლეები გამოკვეთა ქალაქის დამცავი გალავნის კონსტრუქციასთან დაკავშირებით. ქალაქის ამ მონაკვეთშიც მკვეთრად დაფიქსირდა მისი სიგანე — 7 მ. პირველი თხრილის დასავლეთ ნაწილში მდებარე გალავნის კედლის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა დაახლოებით 1.5 დიამეტრის მრგვალი ორმო, რომელიც შევსებულია ხის უწმინდესი ნაცრით. საეჭვოც არ არის, რომ ეს მშენებლების მიერ გამართული რიტუალური ძეგლია, შესაძლოა, სათანადო შესაწირით.

სამაროვანი

დიდნაურის ნაქალაქარის სამაროვანი ქალაქის ჩრდილოეთით მდებარეობს. მისი ზღუდიდან დაახლოებით 200-205 მეტრ მანძილზე. იგი ამჟამად სხვადასხვა ზომის ბორცვებით არის წარმოდგენილი და სიგრძივ მიემართება თითქმის 400 მეტრის მანძილზე. გასული ორი წლის განმავლობაში შესწავლილია I უბანი, რომელიც ასევე ბორცვით არის წარმოდგენილი. სულ თერთმეტი ბორცვი

მოჩანს, რომელთა გეგმარება კარგად ისახება კვადროკოპტერით გადაღებულ ფოტოებზე.

მიმდინარე წელს სამაროვანზე, აღმოსავლეთით მდებარე განაპირა ბორცვზე (70ხ75მ) II უბანი გაიხსნა. ბორცვის ცენტრალურ ნაწილში მთელ სიგრძეზე თხრილი გაივლო. თხრილის გაჭრისას უკვე ოციოდე სანტიმეტრზე ამოდიოდა თიხის ჭურჭლის ნატეხები. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს მახვილის ფრაგმენტებიც.

სვერის ციხე — ივლისი — 2017

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2017 წლის ივნისში სვერის ციხეზე (ჭიათურის მუნიციპალიტეტი) არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა (ხელმძღვ. ზურაბ ბრაგვაძე).

არქეოლოგიური სამუშაოები წარიმართა ციხის სამხრეთ ფერდობსა და აღმოსავლეთ ფერდობის ქვედა ტერასაზე. ნამოსახლარი ფენების სტრატიგრაფიის დასადგენად სამხრეთ ფერდობზე გაიჭრა მართკუთხედი ფორმის თხრილი. რის შედეგადაც დადგინდა: ჰუმუსოვან ფენას (30 სმ) მოსდევდა ქვაყრილიანი ფენა, რომლის სიმაღლეც ზოგ ადგილას 50 სმ-ს აღწევდა. ქვაყრილიანი ფენის ქვეშ დაფიქსირდა I ნამოსახლარი ფენა, მისი სიმძლავრე 40-50 სმ-ია; I ფენა II-სგან გამიჯნულია 10-20 სმ სიმაღლის სტერილური შრით, უშუალოდ II ფენის სიმაღლე 30-40 სმ-ს აღწევდა.

ქვაყრილიანი ფენა წარმოქმნილია ციხის კედლებიდან ჩამოცვენილი ქვებისგან და მასში არტეფაქტები არ დაფიქსირებულა. სვერის

ციხის სამხრეთ ფერდობზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის პარალელები ზემო იმერეთის დუმალას კოშკზე წარმოდგენილია ანალოგიური კერამიკით. დუმალას კოშკის არქეოლოგიური ფენა იქ მოპოვებული თურქული მონეტების მიხედვით მე-18 საუკუნის II ნახევრით თარიღდება, შესაბამისად, ანალოგიური პერიოდით უნდა განისაზღვროს ციხის სამხრეთ ფერდობის I ფენის ასაკიც და ის ციხის ფუნქციონირების უკანასკნელ ფაზას უნდა დაუკავშირდეს.

II ფენის არქეოლოგიური მასალა ძირითადად კერამიკული ნაწარმია, მათ შორის არის ორნამენტირებული ქოთნების პირები, შავი ფერის პირგადაშლილი ჯამები, ნაჭდევებით შემკული და სადა დოქების გვერდების ფრაგმენტები, დოქების სადა ყურები, დოქების ძირებისა და პირ-გვერდების ფრაგმენტები. ამავე ფენაში გამოვლინდა ქვის ხელსაფქვავიც. სვერის ციხის სამხრეთ ფერდობის II ფენა ადრეანტიკურ ხანას მიეკუთვნება, ხოლო არქეოლოგიური მასალა ქ.წ. VI-V სს-ით თარიღდება.

აღმოსავლეთ ფერდობის ქვედა ტერასაზე სამაროვნის გამოვლენის მიზნით გაიჭრა სამი თხრილი. გამოვლინდა ორი სამარხი.

№1 სამარხში დადასტურდა რკინის შუბისპირი, აბზინდა, მშვილდსაკინძი, ვერცხლის ბეჭედი, პასტის მძივები, თიხის, წითელი ფერის დოქი და სხვ.

№2 სამარხში გამოვლინდა მხოლოდ წითელი ფერის დოქის ნატეხები, სასაფეთქლე რგოლები და მძივები.

მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ჩაბარდა ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

სვანეთი — ივლისი — 2017

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2017 წლის ივლისში, აიპ "ახალგაზრდა მისიმიელთა ლეგიონის" არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ზვიად კვიციანი) მესტიის მუნიციპალიტეტში, ჭუბერის თემის, ნენსკრას ხეობაში განახორციელა არქეოლოგიური ინვენტარიზაცია და არქეოლოგიური დაზვერვები სოფლებში — ჭუბერი, ნაცრა, ბეჩო, ბობრეში.

სამუშაოები მიზნად ისახავდა მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. ბეჩოს ტერიტორიაზე არსებული კულტურულ-ისტორიული ობიექტების ინვენტარიზაციას. სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ საველე-არქეოლოგიური სამუშაოები გააგრძელა ნაკრის ველზე, სადაც 2016 წელს, ამავე ექსპედიციამ (ხელმძღვ. ზვიად კვიციანი) გამოავლინა ანტიკური ხანის ნამოსახლარი.

განხორციელდა სოფელ ნაკრის თემის სოფლების კულტურულ-ისტორიული ძეგლების საინვენტარიზაციო სამუშაოები. საველე სამუშაოები ჩატარდა ჭუბერის თემის სოფ. ლახამში.

ექსპედიციის მიერ გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები მნიშვნელოვნად ავსებს ამ კუთხის მატერიალური კულტურის ძეგლებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ სვანეთის, არამედ კავკასიონის მთიან ზოლში მოსახლე სხვა ქართველი ტომების შორეული წარსულის გასაშუქებლად, საქართველოს ისტორიაში მათი როლისა და მნიშვნელობის გასარკვევად.

ხვამლი — აგვისტო — 2017

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2017 წლის ივლისში, ა.(ი).ი.პ „ხვამლის ამქარმა“ არქეოლოგიური გათხრები განახორციელა ხვამლის მთის პლატოზე (ხელმძღვ. დავით სულხანიშვილი).

საველე სამუშაოები ჩატარდა ორ უბანზე: 1. საცხოვრებელი ბანაკიდან ჩრდილო-დასავლეთით, ზღვის დონიდან 1848 მეტრზე. აქ

გაითხარა 260 კვ.მ ფართობი, გამოვლინდა შუა საუკუნეების კირის გამოსაწვავი ქურა. ქურა ოვალური ფორმისაა, ჩრდილოეთის მხრიდან მცირე ზომის საბერველი აქვს, სამხრეთით 1,5 მეტრში რკალად შემოუყვება 70 სმ სიგანის ქვის ყორე. ამავე მხრიდან „ეზოში“ დაფიქსირდა ხის ძელების ფრაგმენტები. ძელები სარ-ლასტის ღობისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ნაგებობის შიდა სივრცეში დადასტურდა დამწვარი ძელების ნაშთები, ნახშირის 30 სანტიმეტრიანი ფენა და 170 სმ სიღრმეზე, კლდოვან იატაკზე კირის 20 სანტიმეტრიანი ფენა.

ბანაკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, მეორე უბანზე გამოვლინდა კიდევ ერთი კომპლექსი, რომელშიც ერთიანდება გალავანზე მიშენებული 12 წრიული ნაგებობა და 2 მღვიმე. მათზე მიდგმულია ნახევარწრიული კედლები. სამშენებლოდ გამოყენებულია უხეშად დამუშავებული კლდის ქვა. გალავნის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს ზედაპირულად გაიწმინდა ერთი წრიული ნაგებობა.

მსხალგორი — აგვისტო — 2017

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2017 წლის აგვისტოში ააიპ ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნულმა კომიტეტმა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო მსხალგორში, წმ. გიორგის არქიტექტურულ კომპლექსზე არქეოლოგიური გათხრები განახორციელა (ხელმძღვ. დავით ყვავაძე).

სამუშაოები ჩატარდა 3 უბანზე: წმ. გიორგის ტაძრის დასავლეთ პერიმეტრზე, მის ჩრდილოეთ პერიმეტრზე და ერთნავიანი საწნახ-

ლის მიმდებარე ტერიტორიაზე.

წმ. გიორგის ტაძრის დასავლეთ პერიმეტრზე (3X13 კვ.მ) სამუშაოების შედეგად გამოიკვეთა ტაძრის დასავლეთი კედლის ცოკოლი, რომელიც რელიეფის შესაბამისადაა მოწყობილი და ნაშალი ფენა, რომელიც ტაძრის ნგრევის შედეგია. სამუშაოებმა ვერ დაადასტურა ტაძრის დასავლეთით კარიბჭის არსებობა. პერიმეტრის დასავლეთ კიდეში, გაყოლებაზე დაფიქსირდა დარღვეული კედლის წყობა, რომელიც ტაძრის ჩრდილოეთით მდებარე გალავნის დაბოლოებაა.

საკვლევი მონაკვეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ნაშალ ფენაში აღმოჩნდა მრავალფრად მოჭიქული ჯამები, რომელთა მსგავსი ჭურჭელი განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება.

ტაძრის ჩრდილოეთი კედლისა და ჩრდილოეთი მინაშენის დასავლეთი კედლის კუთხეში გაკეთდა შურფი 22X0,7 მეტრზე, რომელმაც აჩვენა, რომ ტაძრის ჩრდილოეთი კედელი კირხსნარის სუბსტრუქციაზე დგას, ხოლო ჩრდილოეთი მინაშენის დასავლეთი კედელი, მსგავსად ამ მინაშენის სხვა კედლებისა, საძირკვლის გარეშეა ნაგები და მიწის ახლანდელი ზედაპირიდან 40 სმ-ში სრულდება. ჩრდილოეთ პერიმეტრზე წარმოებულმა სამუშაოებმა დაადასტურა, რომ ტაძრის ნგრევის მომენტისთვის, უკვე არსებობდა ჩრდილოეთი მინაშენი, თუმცა, მი-

ნაშენი მიშენებულია, ტაძრის მშენებლობიდან გარკვეული დროის შემდეგ.

2016 წ. არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ერთნავიანი საწნახელი, რომელიც ნაგებობის კედელზე იყო მიდგმული.

გასულ წელს ამ ნაგებობის შესწავლა არ მოხერხდა. ამიტომ 2017 წ. დაიგეგმა საწნახელის გარშემო პერიმეტრის არქეოლოგიური კვლევა. საწნახელის დასავლეთით (10X6 კვ.მ) აღმოჩნდა ტაძარი სამხრეთის გალერით. ტაძარი ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით დუღაბზე. ტაძრის ცენტრალური ნაწილის აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდია, რომელიც ნაოსისგან გამოყოფილი იყო მხრებით. მშენებლობის შემდგომ ეტაპზე საკურთხეველი გაუდიდებიათ: მხრების წინ მოუწყვიათ ბემა და ჩამოსაჯდომი საფეხური ორივე მხარეს. საკურთხეველი ნაოსისგან გამოყოფილია 66 სმ სიმაღლის კედლით, რომელიც ორივე მხრიდან შელესილია კირხსნარით.

ტაძრის კვლევისას, ინტერიერში ჩნდებოდა დიდი რაოდენობით ბრტყელი და ღარიანი კრამიტის ნატეხები, რაც იმას მიმანიშნებელია, რომ ტაძარი გადახურული იყო ორივე სახის კრამიტით. ტაძრის ინტერიერში არქეოლოგიური მასალა მცირე რაოდენობით გა-

ინვ.№64

ინვ.№65

ინვ.№66

ინვ.№70

მოვლინდა. ცენტრალური ნაწილის საკურთხევლის გაწმენდისას დაფიქსირდა მცირე ზომის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი და მრავალფრად მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტები.

სამხრეთის გალერეის ჩრდილოეთ კედელთან, პილასტრის დასავლეთით კამარიდან ჩაწოლილი ნაშალი ფენის თავზე აღმოჩნდა სამარხი, რომელიც ყველა მონაცემით გამართულია ტაძრის დანგრევის შემდეგ. ტაძარი არქეოლოგიური კვლევის ამ ეტაპზე სრულად შესწავლილი არ არის. მომავალში გასარკვევია მისი დასავლეთი და ჩრდილოეთი ნაწილის გადაწყვეტა.



არმაზისხევი — აგვისტო — 2017

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2017 წლის ივნისში არმაზისხევის არქეოლოგიურ კომპლექსზე არქეოლოგიური

სამუშაობი განხორციელდა (ხელმძღვ. გოდერძი ნარიმანიშვილი).

გათხრები ჩატარდა სამ უბანზე:

1. ნაკვეთები XVII, XVIII, XXII, XXIII — მოიცავს მონაკვეთს აბანოსა და ერისთავთა სამარხებს შორის. გაიწმინდა დაახლოებით 800 კვ.მ; მიწისა და მცენარეული საფარისგან გასუფთავდა ერისთავთა სასახლე, მრავალსენაკიანი და ორსენაკიანი ნაგებობები, ბერსუმა პიტიახშის, სერაფიტას, ასპარუგისა და სხვა სამარხები. ამავე ფართობზეა გაუთხრელი მონაკვეთიც, სადაც in situ კულტურულ ფენაში გამოვლინდა ნაგებობის კედლის ფრაგმენტი და ქვის ფილებით მოგებული მოედანი (იატაკი?).

2. ნაკვეთები XIX, XXIV, XXIX — მოიცავს ერთსენაკიანი ნაგებობის გარშემო არსებულ ფართობს ორსენაკიანი ნაგებობის ჩრდილოეთ კედლამდე. 600 კვ.მ ფართობზე მოიხსნა 30-50 სმ სიღრმის მიწის ფენა. არქეოლოგიური სტრუქტურების გამოვლენის მიზნით, გაიჭრა 100-130 სმ სიღრმის საძიებო თხრილები.

3. ნაკვეთი XXXIII — მდებარეობს კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. მოიცავს, ე.წ. გაუთხრელ ფართობს ერთსენაკიანი ნაგებობის ჩრდილო-აღ-

მოსავლეთით და ორსენაკიანი ნაგებობის აღმოსავლეთით. უბნის აღმოსავლეთ კუთხეში გაიჭრა ორი თხრილი, ერთ-ერთ თხრილში კულტურულ ფენაში გამოვლინდა ქვიშაქვის დაუმუშავებელი ლოდებით ნაგები კედლის ფრაგმენტი და ქ.წ. V-IV საუკუნეების კერამიკა.

დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ამ პერიოდის ნამოსახლარი ფენა პირველად გამოვლინდა.

ციხესულორი — აგვისტო — 2017

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2017 წლის ივლისში, ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ციხესულორში ა(ა)იპ „ბაგინეთმა“ განახორციელა არქეოლოგიური გათხრები (ხელმძღვ. გურამ ყიფიანი).

გათხრების ძირითადი მიზანი იყო კულტურული ფენების დადასტურება ხევის მარცხენა მხარეს. საკვლევად წინასწარ შეირჩა სამი პუნქტი.

გათხრების დროს გამოვლინდა ადრე შუა საუკუნეების, ელინისტური და რომაული პერიოდის არტეფაქტებისა და არქიტექტურული სტრუქტურების ცალკეული ფრაგმენტები.

ის ელინისტური და რომაული ხანის კომპლექსებიდან (სურ. 6), აგრეთვე, კლასიკური სამყაროს სხვა ცენტრებიდან [ბოლი 1978: ტაბ. 35, №№ 190, 194; ტაბ. 49, №№ 237-239; ბერგემანი 1990: ტაბ. 48, № 61; ოდი 2002: 98-101, სურ. 1; ჯიუმლია-მაირი 2002: 93-97, სურ. 4]. ვანის ცხენის ფიგურის ჩლიქების მსგავს ჩლიქებს ჩვენ ვხედავთ არტემისიონის კონცხთან ჩაძირული გემის ტვირთში ნაპოვნი ცხენის ბრინჯაოს ცნობილ ქანდაკებაზე (სურ. 7), რომელიც ელინისტური სკულპტურის იშვიათ ნიმუშადაა აღიარებული და უკანასკნელი გამოკვლევით დათარიღებულია ქ.წ. 150 წლით [ჰემინგუეი 2004: 49-51, 92-93, ტაბ. 3]. ვანის ქანდაკების ფრაგმენტების არქეოლოგიური კონტექსტიც იმავე თარიღს გვთავაზობს – ისინი ნაპოვნია ნაქალაქარის ნგრევის ფენაში, ქ.წ. II-I სს. მასალის თანხლებით [ფირცხალავა, ყიფიანი 1986: 64].



სურ. 20-25

ამავე არქეოლოგიურ კონტექსტშია აღმოჩენილი ორი ყურის ფრაგმენტი, მათი წვერები (სურ. 8). ყურები უკან კი არ არის გადაწვენილი, როგორც ეს მრბოლავ ცხენს ახასიათებს, არამედ ზეაწეულია, რაც ცხოველის სტატიკური, ან ყალყზე შემდგარი პოზის მაუწყებელია. ანალოგიურად გამოსახულ ყურებს, კიდეებზე ირიბი ღარებით, ვხვდებით გვიანელინისტური (სურ. 10) და რომაული ხანის ცხენის ბრინჯაოს ქანდაკებებზე (სურ. 9) და როგორც პარალელური მასალიდან ჩანს, ყურების მსგავსი მოდელირება უცვლელია ხანგრძლივი დროის განმავლობაში [ბოლი 1978: 68, ტაბ. 62, № 371; ბერგემანი 1990: 103, № P 50, ტაბ. 7d; 105, № P 51, ტაბ. 78-80, 7b].

შემდეგი ფრაგმენტი (სურ. 11-12) პირობითად მივიჩნიეთ ცხენის კუდად, მისი მსგავსების გამო მონტე ცირცეოს ცხენის ბრინჯაოს ქანდაკების კუდთან (სურ. 13-14). ეს ქანდაკება ადრეავგუსტუსის ხანის ქმნილებად მოიაზრება (ავგუსტუსი – ქ.წ. 23 - ქ.შ. 14 წწ.), თუმცა, იქვე აღნიშნულია, რომ ადრეელინისტური სტილის ნიშნებიც ახასიათებს [ბერგემანი 1990: 108-110, № P 52, ტაბ. 79]. ვანის ფრაგმენტი შედგება ორი ფენისგან: გარეთა შრე, მონტე ცირცეოს კუდის მსგავსად, ტალღოვანი ბეწვითაა დაფარული, რაც ჭდეული ტალღისებრი ხაზებითაა გადმოცემული; ესაა რელიეფური, თმიანი დეტალი; თმის კონები გამოსახულია ცალ-ცალკე, ფრაგმენტის კიდის გაყოლებით; რაც შეეხება ქვედა შრეს, ის გლუვი და შეზნექილია. ფრაგმენტის ვიწრო ბოლოსთან მილისებრი სიღრუეა (სურ. 12), რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ ადგილას კუდი გავას უერთდებოდა. ასეთივე მილისებრი გადასვლა ჩანს მონტე ცირცეოს ცხენის კუდზე (სურ. 13).

ცხენის ქანდაკების სხვა ფრაგმენტები არ გვაქვს. რაც შეეხება შეჯავშნული მხედრის ფიგურას, ვანის კოლექციაში ჩვენ შევძელით მხოლოდ მისი სამოსის (და არა სხეულის ნაწილების) ამოცნობა, ვინაიდან, ადამიანის სხეულის შემორჩენილ ფრაგმენტებზე არ

არის თუნდაც მცირე მინიშნება მასზედ, რომ ფიგურა შეჯავშნული მხედრის იყო – მათ შორის, არც ერთი არ არის ისეთი, რომელზეც შერჩენილია საბრძოლო სამოსის დეტალი.

ასე რომ ჩვენ განვიხილავთ ჯავშნის ფრაგმენტებს. ეს არის კლასიკურ სამყაროში კარგად ცნობილი ჯავშნის ტიპის, ე.წ., ანატომიური კირასის ნაწილები. უფრო თვალსაჩინო რომ გახდეს თითოეული ამ ფრაგმენტის ადგილი ჯავშნის სტრუქტურაში საჭიროა, გავიხსენოთ კირასის აგებულება; აღწერისას საილუსტრაციოდ ვიყენებთ ანატომიური კირასით შემოსილ საყოველთაოდ ცნობილ ფიგურებს შტემერის კატალოგიდან, რომელიც კირასიანი ქანდაკებების კლასიფიკაციას ეძღვნება (სურ. 15-19) [დ'ამატო 2009: 13, სურ. 4; სამნერი 2002: 18; შტემერი 1978: ტაბ. 1-3].



სურ. 26-27

ანტიკურ ხანაში სხვადასხვა სახის სხეულის დამცავ სამოსს შორის ერთ-ერთი ძირითადი იყო "ანატომიური კირასა" [დ'ამატო 2009: 38-42, 122-124, 130-131, 134-140]. ეს გახლდათ მეტალის ან ტყავის კორსეტი, რომელიც შედგებოდა მკერდისა და ზურგის დამცავი ორი ფირფიტისგან. მეტალის კირასის მკერდსაფარი, ჩვეულებრივ, შემკული იყო დაბალ რელიეფში ჭედვით შესრულებული, ან დარჩილული გამოსახულებებით, უფრო ხშირად ეს გახლდათ გრიფონის თავები, მითოლოგიური პერსონაჟები და სხვა სახეები,

შეთავსებული მცენარეულ ორნამენტთან – აკანთოს ფოთლები და ხვეული ყლორტები ასრულებდა დეკორაციას.

შემდეგი ნაწილია მხრის დამცავი სამხრეები, სამხარე "ფრთები", ანუ ფოჩებით დაბოლოებული ვიწრო ლენტები. გარდა ამისა, კორსეტის ქვეშ ეცვათ დამცავი სამოსი, რომელიც ხშირად სელისგან იყო ნაქსოვი და ქვედა კიდეზე ახლდა ე.წ. pteryges - ფრთები (ბერძნული სიტყვიდან pterux – ფრთა) – მეომრის ბარძაყის დამცავი, ტყავის, თექის ან სელის, მეტწილად ლითონით გამყარებული და ფოჩებით დაბოლოებული ლენტისებური ფირფიტები. ასეთივე ფირფიტები რიგ შემთხვევაში უშუალოდ კირასის, ანუ კორსეტის ქვედა კიდიდან ეშვებოდა ერთ ან ორ რიგად; ზოგჯერ კი კორსეტის ქვედა ნაწილს საზღვრავდა მის კიდეზე მიმაგრებული მომრგვალებული ფესტონებისმაგვარი დეტალები, რომლებიც მეტალის აპლიკაციებით იყო შემკული: გამოსახული იყო რელიეფური თავები, პალმეტები, ვარდულები და სხვა სახეები.

ლითონის ანატომიური კირასა უპირატესად მხედრობისა და საერთოდ სამხედრო რანგის პირთა რჩეული აკაზმულობა იყო, ისე როგორც იმპერატორის აკაზმულობა რომში. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ამ ტიპის კირასა – სამხრეებით, მკერდსაფარითა და "ფთერიქსებით" ხასიათით ელინისტურია და ალექსანდრე დიდისა და მისი მემკვიდრეების საველე ჯავშანს ბაძავს.

ვანის კოლექციიდან წარმოდგენილია ანატომიური კირასის შემდეგი ნაწილები: 1. რელიეფური მცენარეული მოტივით შემკული მკერდსაფარის სამი სხვადასხვა ფრაგმენტი (სურ. 20, 22, 24); აქ ვხვდებით ყვავილის ღეროებს, ხუთფურცლიან ვარდულს, წერტილებით დაფარულ ღარს, აკანთოს ფოთოლსა და ირიბი ჭდეებით დაფარულ ღეროებს. რელიეფური მცენარეული ორნამენტი კირასაზე, განსაკუთრებით კი აკანთოს ფოთლები და ყლორტები, ისევე როგორც ჩაჭდეული წერტილები, პოპულარული მოტივებია ანტი-

კურ ხანაში [შტემერი 1978: ტაბ. 1; ვერმიული 1980: 14, სურ. 7, 11]. ვანის ყოველი ფრაგმენტის გასწვრივ ილუსტრაციაზე წარმოდგენილი გვაქვს შესაბამისი ანალოგები კლასიკური სამყაროდან, ამ შემთხვევაში ჩვენ ისინი მოვიძიეთ ბრინჯაოს რომაულ მონაპოვართა შორის, ე.წ. ინდუსტრიის დასახლებიდან: აქ არის ვანის ნიმუშის მსგავსი მკერდსაფარის ფრაგმენტები რელიეფური ყლორტისა და ვარდულის გამოსახულებით (სურ. 21); კირასის ფრაგმენტი წერტილებით დაფარული ღარით [მერკანდო, ზანდა 1998: 116, 117, №№ 76, 77, ტაბ. LXVII] (სურ. 23); მოკლე ირიბი ჭდეებით დაფარული რელიეფური ღერო [მერკანდო, ზანდა 1998: 117, № 78, ტაბ. LXVII] (სურ. 25).

შემდეგი ფრაგმენტი (სურ. 26), ჩვენი ვარაუდით, კირასისქვეშა ტუნიკის (ქსოვილის, მეტწილად სელის) კალთის ბოლოს უნდა იყოს. იგი გრავირებული გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული. გამოსახულია სარტყლით გამიჯნული ურთიერთდაპირისპირებული სამკუთხედები; მოპირდაპირე სამკუთხედები, რომლებიც წვერებით შიგნით არის მიმართული და სარტყელი მათ შორის – მოოქრულია. მოოქრულია, აგრეთვე, ფრაგმენტის ქვედა, დასრულებული ფორმის კიდე. ოღონდ ის არათანაბარი სიმაღლისაა, მარჯვნივ სიმაღლეში იმატებს (0,5 – დან 1 სმ – მდე); გარდა ამისა, ზედა რიგთან შედარებით მომატებულია ქვედა რიგის სამკუთხედების ფუძეებიც (1,3 სმ და 1 სმ). ეს განსხვავებები ზომებში იმის მაუწყებელია, რომ ნივთი ქვემოთ ფართოვდება, ამიტომ ის მართლაც სამოსის კალთის ქვედა ნაწილია. “სამკუთხედების თემის“ ძიებამ ისევ და ისევ რომის, ე.წ., ინდუსტრიის დასახლებაზე მოპოვებული მასალა გაგვახსენა, სახელდობრ, ბრინჯაოს ფრაგმენტი მოვერცხლილი სამკუთხედებით, რომელიც განსაზღვრულია, როგორც კირასისქვეშა ტუნიკის კალთის ფრაგმენტი და ამავე დროს მინიშნებულია მისი ადგილი კირასის გრაფიკულ რეკონსტრუქციაზე [მერკანდო, ზან-

სურ. 28-30

და 1998: 116, № 75, ტაბ. LXVI, LXXIV]. აქ ჩვენ ვხედავთ რეკონსტრუირებულ კირასას (სურ. 27), რომლის ქვემოდან მოჩანს კირასისქვეშა ტუნიკის კალთის ბოლო, შემკული მოვერცხლილი სამკუთხედებით შედგენილი სარტყლით. თუ ეს დამთხვევები შემთხვევითი არ არის, მაშინ ვანის სხვა ფრაგმენტების რაობის გათვალისწინებით დასაშვებია, რომ ეს ფრაგმენტი კირასიან ქანდაკებას ეკუთვნის. ინდუსტრიის დასახლების ბრინჯაოს მონაპოვარი ფართო ქრონოლოგიურ ჩარჩოშია მოქცეული და I-III სს. მოიცავს. კონკრეტულად რეკონსტრუირებული კირასის მიმართ კი აღნიშნულია, რომ ეს ქანდაკება სტილითა და დეკორით უფრო მეტად I საუკუნის ქმნილებებს ენათესავება [დ'ამატო 2009: 123, სურ. 149].

კიდევ ერთი ფრაგმენტი (სურ. 28), რომელიც კირასას უკავშირდება, ეს არის მხრის დამცავი, ე.წ., სამხარე "ფრთები" — ფოჩებით დაბოლოებული ლენტები. შემორჩენილია ხუთი ლენტი და ფოჩის სამი "სექცია". ფოჩები ოდნავ გვერდზეა გადახრილი. ორმაგი ღარი, რომელიც დაფარულია მოკლე ირიბი, წიწვისებურად განლაგებული ჭდეებით, გამოყოფს ფოჩებს ლენტებისგან. ასეთი მხრის დამცავი საფარი, ანუ სამხრე, დამახასიათებელია ელინისტური სამხედრო სამოსისთვის და უცვლელია ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამავე ტიპის სამხრეებს ვხვდებით ელინისტური და რომაული ხანის ბრინჯაოსა და მარმარილოს კირასიან ქანდაკებებსა და მათ ფრაგმენტებზე [შტემერი 1978: 126, ტაბ. 1,2,3 და შმდგ.; ბერგემანი 1990: P4, ტაბ. 12, 28; № 61, ტაბ. 48]. მაგალითისთვის დავასახელებთ ქ.წ. 100 წლით დათარიღებულ მხედრის მარმარილოს ტორსს დელოსი-

დან ანალოგიური სამხრეებით [ჰალეტი 2005: 133, ტაბ. 81] (სურ. 30). ასეთივე მხარის დამცავი აქვს უკვე ნახსენებ ნაკლულ ქანდაკებას შტემერის კატალოგიდან. ვანის ფრაგმენტის ზუსტ ანალოგად მიგვაჩნია მეტროპოლიტენის მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ფრაგმენტული ტორსი [კლასიკური სამყაროს ხელოვნება 2007: 447, № 211]. იგი ეკუთვნის მხედარს, რომლის ტანსაც ელინისტური ტიპის კირასა მოსავს (სურ. 29). მოსასხამი უფარავს მარცხენა მხარს, მარჯვენაზე ვანის ნიმუშის მსგავსი სამხრეა, ტიპური ფოჩებით, რომლებიც ლენტებისგან, ორმაგი ღარითაა გამოყოფილი (ჩვენი ფრაგმენტის მსგავსად). აქვე, მარჯვენა მხარეს, იკითხება ვარდულიც. კატალოგში მითითებულია თარიღი - ქ.წ. II – ქ.შ. II სს. შესაბამისი განმარტებით: ბერძნული თუ რომაული, ელინისტური თუ იმპერიული? ასეთ ვითარებაში ეს ნიმუში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან იგი ქ.წ. I საუკუნის არქეოლოგიური კონტექსტიდან მომდინარეობს [ფირცხალავა, ყიფიანი 1986: 60-61, 64, სურ. 44,2].

სურ. 31-34

ვანში კირასის ფრაგმენტების კიდევ ერთი კატეგორია გვაქვს (სურ. 31-32) — კირასის ფოჩებიანი ქობა. ერთ-ერთ მათგანზე ვხედავთ გრეხილფოჩებიან ქობას, ფოჩები გადახლართული და განზე გაწეულია, რაც თითქოს იმის მაუწყებელია, რომ ფიგურა მდგომარე პოზაში არ უნდა იყოს გამოსახული. ამგვარ ფოჩებიან ქობას მრავალი პარალელი ეძებნება კლასიკური სამყაროს ბრინჯაოსა

და მარმარილოს კირასიან ქანდაკებებს შორის: ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ კირასის ფოჩებიანი კიდის ფრაგმენტები ოლიმპიიდან [ბოლი 1978: ტაბ. 62, №№ 294-296] (სურ. 33-34); განსაკუთრებული მსგავსებაა ვანის ფრაგმენტსა (სურ. 31) და ოლიმპიის ორ ფრაგმენტს შორის, სადაც ვხედავთ იმავე ჰორიზონტალურ გრეხილ ორმაგ სარტყელს და შვეულ გადახლართულ ფოჩებს (სურ. 34). ეს მასალა ზოგადად გვიანელინისტური და რომაული ხანითაა განსაზღვრული. განსაკუთრებულად საინტერესოა ვანის გრეხილ-ფოჩებიანი ქობის ხედი ქვემოდან (სურ. 35): ქვედა სიბრტყე ღრმა ღარებით რომბისებური ბადითაა დაფარული, რომლის თითოეული უჯრედი სამკუთხა ჭდეებითაა შევსებული. ეს არის ფოჩების დაბოლოებების ერთგვარი იმიტაცია. ანალოგიური ბადე აქვს ბრინჯაოს კირასის ფრაგმენტს ოლიმპიიდან [ბოლი 1978: 69, ტაბ. 63, № 386] (სურ. 37).

მასალის ფრაგმენტულობა და სიმცირე კირასის სწორი რეკონსტრუქციის საშუალებას არ გვაძლევს, მაგრამ იმის თქმა შესაძლებელია, რომ კირასის ქვედა სტრუქტურის მოდელირება, ისევე როგორც ზემოთ აღწერილი სამხრეებისა, მას გვიანელინისტური და რომაული ხანის ბრინჯაოსა და მარმარილოს კირასიან ქანდაკებებთან აახლოებს [ბოლი 1978: 62, №№ 294-296; ვერმიული 1980: სურ. 7, 11, № 73; შტემერი 1978: ტაბ. 1, 2, 3 და შმდგ.; მერკანდო, ზანდა 1998: 114-115, ტაბ. LXIII]. ცნობილია, რომ ელინისტურ და რომაულ სამყაროში კირასიანი მხედრის ბრინჯაოს ქანდკებას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. რომაელები ხშირად ესესხებოდნენ ელინისტური ტიპის კირასას, ეს ფაქტი კი შემორჩენილი, მეტწილად უკონტექსტო ნიმუშების ზუსტ დათარიღებას საკმაოდ ართულებს. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ვანში ფოჩებიანი ქობის ფრაგმენტი ნაპოვნი იყო თორმეტსაფეხურიანი საკურთხევლის გვერდით, ხანძრისგან განადგურებული “საგანძურის“

ნანგრევებში, კომპლექსში, რომელიც ქ.წ. I საუკუნით თარიღდება [ფირცხალავა, ყიფიანი 1986: 63-64]. ვინაიდან, ფრაგმენტი "საგანძურის" ნანგრევებშია ნაპოვნი, გამოდის, რომ "საგანძურის" დაწვის დროს ქანდაკება უკვე დაქუცმაცებული იყო. როგორც ცნობილია, ბრინჯაოს ქანდაკებებს ან მძარცველები ამტვრევდნენ კულტის თუ მმართველის შელანძღვის მიზნით, ან მოხმარებიდან გამოსულ, დაზიანებულ ბრინჯაოს ნაწარმს აგროვებდნენ მისი ხელახალი გადადნობისთვის.

ვანის ბრინჯაოს კოლექციაში არის ფრაგმენტები, რომლებიც პირობითად შეიძლება სამხედრო მოსასხამს დაუკავშირდეს. ეს არის დრაპირების ფრაგმენტები (სურ. 39), კვანძად მოკეცილი მოსასხამის ნაწილი (სურ. 38), ფოჩებიანი ქობის ფრაგმენტები (სურ. 40) და მოსასხამის კიდის დასაჭიმი, ე.წ. საწაფი-საძირავები (სურ. 41). ანტიკურ ხანაში სამხედრო მოსასხამი შეჯავშნული სამოსის შემადგენელი ნაწილი იყო. მას ან მარჯვენა მხარზე შეკრულს ატარებდნენ და ამ შემთხვევაში ის მთელ ტანს ფარავდა, ან მარცხენა მხარეს ზურგს უკან, ან კი გვერდზე ჰქონდათ გადაფენილი და ქვემოთ ნაკეცებად ეშვებოდა, ხოლო კვანძად მოკეცილი ნაწილი მარცხენა მხარზე ჰქონდათ შემოდებული და წინ მკერდისკენ გადმოწეული. ხშირად მოსასხამის კიდის დასაჭიმად, ე.წ., საწაფ-საძირავებს იყენებდნენ. ვანში მოპოვებული მოსასხამის საძირავების ანალოგიური საწაფ-საძირავები ცნობილია ოლიმპიის ბრინჯაოს კოლექციიდან, რომელიც ზოგადად ანტიკური ხანითაა განსაზღვრული [ბოლი 1978: ტაბ. 59, a-f] (სურ. 42). ამ კატეგორიის ნივთები ელინისტური ხანიდანაა ცნობილი და როგორც მასალიდან და გამოსახულებებიდან ჩანს დიდი ხნის განმავლობაში იყენებდნენ სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, მაგ., იმპერატორ ვესპასიანეს ბიუსტზე ვხედავთ საძირავ-საწაფს, რომლითაც დაჭიმულია მარცხენა მხარზე გადმოფენილი მოსასხამის კიდე, ხოლო ქსოვილს საძირავთან, ვა-

ნის ნიმუშების ანალოგიურად, მიღებული აქვს სამკუთხედის ფორმა [ძველი რომის ისტორია 1971: 311] (სურ. 43). რომაულ ხანაში ასეთ მოსასხამებს ატარებდნენ იმპერატორები, როგორც ინსიგნიის შემადგენელ ნაწილს, გარდა ამისა, ფოჩიანი მოსასხამი რომში გამორჩეული პიროვნების სამოსის ნაწილი იყო [ჰალეტი 2005: 132]. პლუტარქესთან ვკითხულობთ, რომ ლუკულუსს, რომაელ პროკონსულს, ტიგრანოკერტის ბრძოლაში ქ.წ. 69 წელს ჯავშნის ზემოდან მხრებზე მოგდებული ჰქონდა ფოჩიანი მოსასხამი [პლუტარქე, ლუკულუსი, XXVIII].



სურ. 35-37

თუ მისაღებია ზემოთ განხილული ვანის ბრინჯაოს ქანდაკების ფრაგმენტების ჩვენეული იდენტიფიკაცია, გამოდის, რომ გვიანელინისტურ ხანაში ვანში, ჭაბუკის შიშველი ფიგურისა და სხვადასხვა ქანდაკების გვერდით, იდგა შეჯავშნული მხედრის ბრინჯაოსგან ჩამოსხმული, ნაწილობრივ მოოქრული ქანდაკება. თუ ეს ასეა, ჩნდება კითხვები: ვის წარმოსახავს ეს ქანდაკება? ვისი დაკვეთითაა აღმართული? როდის ჩამოასხეს ის და რომელი საზოგადოებისთვის? კითხვების უმეტესობა უპასუხოდ რჩება.

რამდენადაც ვანის ბრინჯაოს ყველა ფრაგმენტი ნგრევის ფენიდან მომდინარეობს, რომელიც ქ.წ. I საუკუნითაა განსაზღვრული, ჩვენ მხოლოდ მათი განადგურების თარიღზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ

და არა შექმნის დროზე. არსებობს ვარაუდი, რომ მათი უმრავლესობა ჩამოსხმულია ქალაქის არსებობის ფინალურ სტადიაზე, დაახლოებით ქ.წ. II-I სს-ში [ლორთქიფანიძე ოთ. 1996: 27-29; მატუში 1996: 215]. მას შემდეგ, რაც ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე აღმოჩნდა ბრინჯაოს სადნობი ქურის ნაშთები – სამსხმელო ორმო მასში ყალიბის ბაზითა და თიხის ყალიბის ფრაგმენტებით, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოსხმასთან დაკავშირებული სხვა ნარჩენები, როგორიცაა ძაბრი (ანუ სასხამი), ბრინჯაოს შლაკი, ტიგელისა და საქშენი მილის ფრაგმენტები [გიგოლაშვილი, თოლორდავა, ფირცხალავა 2008: 14-18] – საფუძველი შეექმნა ვარაუდს,

სურ. 38-39 სურ. 40

რომ ქანდაკებათა ნაწილი მაინც ადგილზეა დამზადებული. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ბერძნულისთვის უჩვეულო შენადნობის შემადგენლობა (რომელიც შეიცავს 88% სპილენძს, 10% კალას, 1,5% ტყვიას, უმცირესი რაოდენობის ვერცხლს, რკინას და დარიშხანს) [მატუში 1996: 213-214; ლორთქიფანიძე ოთ. 1996: 29]. რაც შეეხება ვანის სკულპტურების ბერძნულ ხასიათს, ცნობილია, რომ ოსტატები და მოდელები ბერძნულ ცენტრებს ძლიერ დაშორებულ ქვეყნებში მოგზაურობდნენ და ასე ვრცელდებოდა კანონიკური მხატვრული სახეები ელინისტური სამყაროდან მოწყვეტილ რეგიონებში.

ცნობილია, რომ ცხენოსნის ქანდაკებები ელინისტურ ხანაში უმე-

ტეს შემთხვევაში რეალურ პიროვნებებს წარმოსახავდა [პრესიჩე 1990: 16]. ამ პერიოდში ყოველი ქანდაკების აღმართვა ემთხვეოდა განსაკუთრებულ შემთხვევას და ჰქონდა თავისი სპეციფიკური დანიშნულება. მას უნდა დაეკმაყოფილებინა ოთხიდან ერთი ძირითადი ფუნქცია: საკულტო, ვოტივური, დაკრძალვასთან დაკავშირებული და პატივმისაგები. ეს უკანასკნელი ძალზე მნიშვნელოვანი კატეგორია იყო და ამ ფუნქციის ქანდაკებები თითქმის ყოველთვის ბრინჯაოსგან მზადდებოდა [სმიტი 2006: 9-10]. მხედრის შეჯავშნული ქანდაკებები ჩვეულებრივი მოვლენა იყო მთელ ელინისტურ სამყაროში, მიუხედავად იმისა, რომ მათგან ძალიან ცოტაა დაუზიანებლად შემორჩენილი. ქ.წ. II-I საუკუნეებში საბრძნეთში დგამდნენ ქანდაკებებს, რომლებიც წარმოსახავდა ელინისტური ხანის მმართველებს, მათ გენერლებს, საპატიო მოქალაქეებს. იგივე ხდებოდა რომში, სადაც რომაელები აგრძელებდნენ ელინისტურ ტრადიციას (თუნდაც კირასიანი სკულპტურის შექმნის ტრადიციას) [ბერგემანი 1990: 57; შტემერი 1978: 139; ჰალეტი 2005: 43, 144].

ის ფაქტი, რომ ვანის მხედრის ქანდაკება მოოქრული იყო, გამოსახული პიროვნების მნიშვნელოვნებასა და შეძლებულობაზე მიუთითებს. ტუნიკის მოოქრული კალთის ფრაგმენტის გარდა ვანის ბრინჯაოს კოლექციაში გვაქვს მოოქრული ფრაგმენტები (სურ. 44-45), რომელთაც დაბეჯითებით ამ ქანდაკებას ვერ მივაკუთვნებთ – თუმცა, მაგალითად, პალმეტიანი ნატეხის (სურ. 44), ასევე მცენარეულორნამენტიანი ორად გატეხილი ლენტისებური დეტალის (სურ. 45), რომელზეც გრავირებით გამოსახულია არაცეას ყვავილისა და ყლორტების ხვიის განმეორებადი რიგები, შორეული პარალელის სა-

ხით შეგვიძლია დავასახელოთ აპულეური ანატომიური კირასის სალტე ანალოგიური ორნამენტით, რომელიც ქ.წ. IV საუკუნითაა დათარიღებული [კანი 1990: 116] (სურ. 46). ეს არის მხედრის ბრინჯაოს კირასა, და არა ქანდაკება. მის გრაფიკულ ასახულობაზე ჩვენ ვხედავთ კორსეტის გვერდს, სადაც იკვრება მკერდისა და ზურგის დამცავი ნაწილები, მათი ნაპირების გაყოლებით კი დარჩილულია ბრინჯაოს წაგრძელებული ფირფიტები, დაფარული სპირალურად ჩახვეული ყლორტებისა და არაცეას ყვავილის რიგებით. ასე რომ ასეთი ორნამენტი კირასაზე უცხო არ არის. რაც შეეხება ბრინჯაოს ქანდაკების მოოქვრის ტექნიკას, მიუხედავად იმისა, რომ შედარებით იშვიათია იმპერიის ეპოქაზე უფრო ადრინდელი ხანის მოოქრული ქანდაკების აღმოჩენის შემთხვევები, ცნობილია არაერთი ფრაგმენტი ბრინჯაოს მოოქრული სკულპტურისა, რომელიც განსაზღვრულია ელინისტური ხანით [მატუში 1996: 28, 125, 128; ოდი და სხვ. 1990: 105-121]. მონაცემთა ამ ერთობლიობამ გვაფიქრებინა, რომ ჩვენს ხელთ არსებული ფრაგმენტები შეჯავშნული მხედრისაა და რომ ის წარმოსახავდა პატივსაცემ პიროვნებას, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან პოლიტიკურ ან სამხედრო ლიდერს.

თუ თვალს გადავავლებთ პატივმისაგები ქანდაკებების აღმართვის შემთხვევებს იმდროინდელ სამყაროში, უბრალოდ, ეპოქის სულისკვეთების წარმოდგენის მიზნით, ვნახავთ, რომ ამ დანიშნულების ქანდაკებებს სხვადასხვა ადგილას დგამდნენ ელინისტური სამეფო დინასტიის წევრებისთვის, ან თვითონ დინასტიის წარმომადგენლები აღმართავდნენ. მათ დგამდნენ, როგორც საზოგადოებრივ ისე, საკულტო ადგილებში. მაგალითისთვის, კუნძული დელოსი ყველაზე სასურველი ადგილი იყო პატივმისაგები ქანდაკებების, ნაგებობებისა და ძეგლების აღმართვისთვის. დადგენილია, რომ აქ ქ.წ. 166-88 წწ. შორის 50-მდე მეფის პორტრეტული ქანდაკება იდგა. წყაროები მოგვითხრობს, აგრეთვე, დელოსზე, მითრიდატე VI-ის სამეფოს ფარგლებს გარეთ, კონცენტრირებული

მითრიდატე ევპატორის პატივმისაგები ძეგლების შესახებ [კროიცი 2009: 132, 133, 141, სქ. 15].

მაშასადამე, პატივმისაგები ქანდაკების აღმოჩენა ამა თუ იმ რეგიონში არ ნიშნავს იმას, რომ პიროვნება, რომელსაც ქანდაკება წარმოსახავდა, მეფე იქნებოდა იგი თუ სხვა გავლენიანი ფიგურა, უსათუოდ ამ ქვეყნიდან უნდა ყოფილიყო. ქანდაკება აღიმართებოდა იმ ეპოქის ცნობილი, ან გავლენიანი დინასტიის პატივსაცემად. ასეთი ქანდაკებების დადგმა სამეფო იდეოლოგიის ნაწილი იყო. ამ ფუნქციის ქანდაკებანი (თითქმის ყოველთვის ბრინჯაოსი), უფრო პოლიტიკური დანიშნულების იყო, ვიდრე მხატვრული ღირებულებისა [სმიტი 2006: 10].

რა თქმა უნდა, ჩვენ კარგად გვესმის, რომ არ იქნება გამართლებული ვანის, ზემოთ მოტანილი ფრაგმენტების საფუძველზე, ქანდაკებაში წარმოსახული პიროვნების განსაზღვრა, მით უმეტეს, რომ გასაოცარია ფაქტი: ნაქალაქარზე არ არის ნაპოვნი ქანდაკების არც ერთი ბაზა შესაბამისი წარწერით, როგორც ეს ანტიკური სამყაროს ქალაქებშია დადასტურებული, სადაც ხშირ შემთხვევაში კვარცხლბეკების რაოდენობა შემორჩენილი ქანდაკებების რაოდენობას აღემატება, მაგრამ ისევ და ისევ, ეპოქის სულისკვეთების ილუსტრაციის მიზნით, წარმოვიდგინოთ ვითარება ქ.წ. I საუკუნის კოლხეთში. რაც არ უნდა ვუ-



სურ. 41-43

წოდოთ კოლხეთს ამ ხანაში – სამეფო თუ სატრაპია, ფაქტიურად, ის მეზობელი უძლიერესი სახელმწიფოს მმართველის, მითრიდატე VI ევპატორის სამხედრო და სხვა მიზნებს ემსახურება. კოლხები მითრიდატეს არმიის შემადგენლობაში მსახურობდნენ, სანამ რომთან ბრძოლაში საბოლოოდ არ დამარცხდნენ [ლორთქიფანიძე ოთ. 2010: 229-238; ლორთქიფანიძე გ. 1970: 17-24, 26; მაქსიმოვა 1956: 195; ლომოური 1979: 167-180]. ვანში არის ტაძარი, დათარიღებული ქ.წ. II-I საუკუნეთა მიჯნით, სადაც დიონისეს სცემდნენ თაყვანს; როგორც მეცნიერები ფიქრობენ, ელინისტური კულტურის გავლენით მისი სახით აქ უძველესი ადგილობრივი ღვთაებაა; მის ნანგრევებში მოყოლილი იყო ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭელი, შემკული დიონისეს თანამგზავრ ღვთაებათა თავების ჰორელიეფური გამოსახულებებით, რომლებიც პერგამონული წრის მხატვრულ პლასტიკასთან ავლენს დიდ მსგავსებასა და სიახლოვეს [ლორთქიფანიძე ოთ. 1972: 30-34; სურ. 138-142]. არის ვარაუდი, რომ ამ ტაძრის აღმართვა, ისევე როგორც დიონისეს, სატირებისა და სილენების ტერაკოტული ნიღბების გავრცელება კოლხეთში, მითრიდატე ევპატორის, როგორც "ახალი დიონისეს", პოლიტიკური და იდეოლოგიური პროპაგანდის სახეობაა (ეს მოხდა საკმაოდ მალე მეფე პერგამონის ტრიუმფის შემდეგ ქ.წ. 88 წელს ან, შესაძლოა, უფრო ადრეც) [ლორთქიფანიძე გ. 1970: 124; საპრიკინი 2009: 250-251]. ეს თემა საგანგებო კვლევას ითხოვს, ჩვენი კი გვსურს დავაფიქსიროთ ერთი საყურადღებო დამთხვევა: პლუტარქე პონტოს მეფის გაღმერთების ცერემონიის აღწერისას გვამცნობს, რომ პერგამონის თეატრში საგანგებო მოწყობილობების საშუალებით ზემოდან ეშვებოდა (მითრიდატეზე) ნიკეს გამოსახულება გვირგვინით ხელში [პლუტარქე, სულა XI, 169; ნეველოვი 1973: 44]; ვანის ტაძარში დიონისეს წრის ღვთაებების თავებთან ერთად აღმოჩენილი ნიკეს ბრინჯაოს მცირე ქანდაკება ამავე ჭურჭლის მხატვრულ გვირგვი-

ნად არის მიჩნეული – ფიგურა თითქოს სწრაფად ეშვება ზეციდან გამარჯვების მაცნედ [ლორთქიფანიძე ოთ. 1972: 31].

მითრიდატეს სხმული ქანდაკებები რომ სხვადასხვა ადგილას იყო აღმართული, ამაზე საკმაოდ ნათლად მეტყველებს ანტიკური წყაროები [ჰოიტე 2009: 155-157; კროიცი 2009: 132, 133]: რომში გამართული ლუკულუსისა და პომპეუსის ტრიუმფების დროს მოპოვებულ ნადავლთა შორის ნახსენებია მითრიდატეს ქანდაკებანი - პლინიუსის ცნობით, მითრიდატეს დამარცხების შემდეგ, პომპეუსის ტრიუმფით შესვლისას რომში მოჰქონდათ მითრიდა-



სურ. 44-46

ტეს ვერცხლის ქანდაკება (HN 33, 151); აპიანეს მიხედვით კი, ასევე პომპეუსის მსვლელობისას, მრავალ ძვირფას ნადავლს შორის მოჰქონდათ მითრიდატეს "რვაწყრთიანი გამოსახულება მთლიანი ოქროსი" (აპიანე, 116) [ყაუხჩიშვილი 1959: 224]; პლუტარქეს თა-

ნახმად, ლუკულლუსის ტრიუმფის დროს ჩამოატარეს „თვით მითრიდატეს ოქროს ქანდაკება, ექვსი ფუტის სიმაღლისა“ (პლუტარქე, ლუკულლუსი, XXXVII) [პლუტარქე 2001: 205]. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ეს იყო ბრინჯაოს მოოქრული ქანდაკება [კროიცი 2009; 141, სქ. 17].

ცხადია, წარმოდგენილ ინფორმაციაში არაერთი სადავო საკითხია, თუნდაც ის, თუ რატომ ვაკუთვნებთ ყველა ამ ფრაგმენტს მაინცადამაინც ერთ ქანდაკებას, ან თანადროულია თუ არა ყოველი მათგანი, ხომ არის დასაშვები, რომ ნაქალაქარზე მდგარი ბრინჯაოს ქანდაკებები სხვადასხვა დროს იყოს ჩამოსხმული? ამ მხრივ ეჭვს აღძრავს კირასისქვეშა ტუნიკის მოოქრულსამკუთხედებიანი კალთის კიდის ფრაგმენტი, რომელსაც, დანარჩენი აქ განხილული ფრაგმენტებისგან განსხვავებით (რომელთა მოდელირება ელინისტურ ეპოქაში იღებს სათავეს), მხოლოდ ქ.შ. I-II საუკუნეების ბრინჯაოს ქანდაკებებს შორის ეძებნება ანალოგები. ვიმედოვნებთ, რომ წარმოდგენილ ვერსიებს მომავალი აღმოჩენები და კვლევა უთუოდ დააკონკრეტებს - დაადასტურებს ან უარყოფს.

ლიტერატურა

* *ბერგემანი 1990: Bergemann, J. RSmische Reiterstatuen. Mainz. 1990.*
* *ბოლი 1978: Bol, P.C. Grossplastik aus Bronze in Olympia. Olympia IX. Berlin. 1978.*
* *გიგოლაშვილი, თოლორდავა, ფირცხალავა 2008: გიგოლაშვილი, ე., თოლორდავა, ვ., ფირცხალავა, მ. ბრინჯაოს ქანდაკება და ბრინჯაოს წარმოების ნაშთები ვანის ნაქალაქარზე. იბერია-კოლხეთი. ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის გამოცემის – “ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში” დამა-*

ტება. 4. 14-18. თბილისი, 2008.

* დ'ამატო 2009: D'Amato, R. and Sumner, G. Arms and Armour of the Imperial Roman Soldier. From Marius to Commodus, 112 BC – AD 192. London. 2009.
* ვერმიული 1968: Vermeule, C. C. Roman Imperial Art in Greece and Asia Minor. Cambridge.
* ვერმიული 1980: Vermeuele, C. C. Hellenistic and Roman Cuirassed Statues. Boston. 1980.
* კანი 1990: Cahn, D. Set of Armor from a Burial. In: Glories of the Past. - Ancient Art from the Shelby White and Leon Levy Collection. Ed. by Dietrich von Bothmer. The Metropolitan Museum of Art. 114 – 122. New York. 1990.
* კლასიკური სამყაროს ხელოვნება 2007: Art of the Classical World in the Metropolitan Museum of Art. Carlos A. Picón, Joan R. Mertens, Elisabeth J. Milleker, Christopher S. Lightfoot, and Seán Hemingway. Yale University Press, New Haven and London. 2007.
* კროიცი 2009: Kreuz, Patric-Alexander. Monuments for the King: Royal Presence in the Late Hellenistic World of Mithridates VI. in: Mithridates VI and the Pontic Kingdom. Edited by Jakob Munk Højte. Black Sea Studies, 9. the Danish National Research Foundation's Centre for Black Sea Studies. 131-144. Aarhus University Press. 2009.
* ლომოური 1979: Ломоури Н. К истории Понтийского царства. Тбилиси, 1979.
* ლორთქიფანიძე გ. 1970: Лордкипанидзе, Г. К истории древней Колхиды. Тбилиси, 1970.
* ლორთქიფანიძე ნ. 2010: ლორთქიფანიძე, ნ. ახლადაღმოჩენილი განძი ვანიდან და მისი შესწავლის პერსპექტივები. იკონოგრაფიული ინტერპრეტაცია. საერთაშორისო კონფერენცია "საქართველოს არქეოლოგია საუკუნეთა მიჯნაზე: შედეგები და პერსპექტივები", მიძღვნილი აკადემიკოს ოთარ ლორთქი-

ფანიძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი. მოხსენებათა თეზისები. 21-24. თბილისი, 2010.

* ლორთქიფანიძე ოთ. 1972: ლორთქიფანიძე, ოთ. ვანის ნაქალაქარი (გათხრები. ისტორია. პრობლემები). ვანი I. რედაქტორი ოთ. ლორთქიფანიძე. 7-42. თბილისი, 1972.
* ლორთქიფანიძე ოთ. 1996: Lordkipanidze, Ot. Vani – ein Antikes ReligiSses Zentrum im Lande des Goldenen Vlieses (Kolchis). Sonderdruck aus Jahrbuch des RSmisch-Germanischen Zentralmuseums. Mainz. 42.), 353-401. Jahrgang 1995 (1996), 353-401.
* ლორთქიფანიძე ოთ. 2010: ლორთქიფანიძე, ოთ. ძველი საქართველო [კოლხეთი და იბერია] სტრაბონის გეოგრაფიაში. ახალი კომენტარები. თბილისი, 2010.
* მატუში 1996: Mattusch, C. C. Classical Bronzes. The Art and Craft of Greek and Roman Statuary. Cornell University Press. Ithaca and London. 1996.
* მაქსიმოვა 1956: Максимова, А.И. Античные города Юго-Восточного Ïàèëàíîìà¼¿. Москва – Ленинград, 1956.
* მერკანდო, ზანდა 1998: Mercando, L., Zanda, E. Bronzi da Industria. Roma. 1998.
* ნეველოვი 1973: Неверов, О. Митридат – Дионис. Сообщения Государственного Эрмитажа, XXXVII. 41-45. Ленинград, 1973.
* ოდი და სხვ. 1990: Oddy, W.A., Cowell M.R., Craddock, P.T., and Hook, D.R. The Gilding of Bronze Sculpture in the Classical World. In Small Bronze Sculpture, 103-124. Malibu, Calif. 1990.
* ოდი 2002: Oddy, W.A. The technology and conservation of two fragments of life-size gilt bronze Roman statuary. In: Journal of Roman Archaeology. Supplementary series number 39. 98-103. Portsmouth, Rhode Island. 2002.
* პლუტარქე 2001: Плутарх. Сравнительные жизнеописания; том II. ÑÀaêg-Ïåg̊aÁ³aÃ. 2001.

* პრესიჩე 1990: Presicce C. P. The Equestrian Statue of Marcus Aurelius in Campidoglio. Milan. 1990.
* სამნერი 2002: Samner G. Roman Military Clothing (1). 100 BC – AD 200. Oxford, New York. 2002.
* საპრიკინი 2009: Saprykin, Sergei Ju. The Religion and Cults of the Pontic Kingdom: Political Aspects. in: Mithridates VI and the Pontic Kingdom. Edited by Jakob Munk Højte. Black Sea Studies, 9. The Danish National Research Foundation's Centre for Black Sea Studies. 249-275. Aarhus University Press. 2009.
* სმიტი 2006: Smith, R.R.R. Hellenistic Sculpture. Thames and Hudson. 2006.
* ფედოროვა 1979: Федорова Е. В. ÈïïåaÀgîabêèé Рим в лицах. Москва. 1979.
* ფირცხალავა, ყიფიანი 1986: ფირცხალავა, მ., ყიფიანი, გ. ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978-1981 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები. ვანი VIII. არქეოლოგიური გათხრები (რედაქტორი ოთ. ლორთქიფანიძე). 52-78. თბილისი. 1986.
* ყაუხჩიშვილი 1959: ყაუხჩიშვილი თ. აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ყაყხჩიშვილმა. თბილისი, 1959.
* შტემერი 1978: Stemmer, K. Untersuchungen zur Typologie, Chronologie und Ikonographie der Panzerstatuen. ArchÄeologische Forschungen, Band 4. Berlin. 1978.
* ძველი რომის ისტორია 1971: История Древнего Рима (Под редакцией А. Г. Бокщанина и В. И. Кузищина). Москва, 1971.
* ჯიუმლია-მაირი 2002: Giumlia – Mair, A. Technique and Composition of Equestrian Statues in Raetia. Journal of Roman Archaeology. Supplementary Series Number 39. 93- 97. Portsmouth, Rhode Island. 2002.

* *ჰალეტი 2005: Hallett Ch. H. The Roman Nude. Heroic Portrait Statuary 200 BC – AD 300. Oxford. 2005.*
* *ჰემინგუეი 2004: Hemingway S. The Horse and the Jockey from Artemision. A Bronze Equestrian Monument of the Hellenistic Period. Berkeley, Los Angeles, London. 2004.*
* *ჰოიტე 2009: Højte Jakob Munk. Portraits and Statues of Mithridates VI. in: Mithridates VI and the Pontic Kingdom. Edited by Jakob Munk Højte. Black Sea Studies, 9. The Danish National Research Foundation's Centre for Black Sea Studies. 145-162. Aarhus University Press. 2009.*

ილუსტრაციები

* *1-7. ცხენის ბრინჯაოს ქანდაკების ჩლიქების ფრაგმენტები: 1-5. ვანი; 6. ოლიმპია (ბოლის მიხედვით); 7. არტემისიონი (ჰემინგუეის მიხედვით).*
* *8-10. ცხენის ბრინჯაოს ქანდაკების ყურების ფრაგმენტები: 8. ვანი; 9. ოლიმპია (ბოლის მიხედვით); 10. რომი (ბერგემანის მიხედვით).*
* *11-14. ცხენის ბრინჯაოს ქანდაკების კუდის ნიმუშები: 11-12. ვანი; 13. მონტე ცირცეო; 14. იგივე, დეტალი (ბერგემანის მიხედვით).*
* *15-19. შეჯავშნული მარმარილოს ფიგურების ცნობილი ნიმუშები: 15. იმპერატორ ავგუსტუსის პრიმა პორტას ქანდაკება (დ'ამატოს მიხედვით); 16. იმპერატორ მარკუს ავრელიუსის ქანდაკება. ბალტიმორის გალერეა (სამნერის მიხედვით); 17-19. ქანდაკებანი შტემერის კატალოგიდან.*
* *20-25. ანატომიური კირასის მკერდსაფარის ფრაგმენტები: 20, 22, 24. ვანი; 21, 23, 25. ინდუსტრიის დასახლება (მერკანდოსა და ზანდას მიხედვით).*

* *26-27. კირასისქვეშა ტუნიკის კალთის ქვედა კიდის ფრაგმენტები: 26. ვანი, მოოქრული ბრინჯაო; 27. ტუნიკის ქვედა კიდე (მოვერცხლილი ბრინჯაო) და კირასის გრაფიკული რეკონსტრუქცია, სადაც მინიშნებულია ამ ფრაგმენტის ადგილი. ინდუსტრიის დასახლება (მერკანდოსა და ზანდას მიხედვით).*
* *28. ანატომიური კირასის სამხრის ფრაგმენტი. ვანი.*
* *29. შეჯავშნული მხედრის ქანდაკების ტორსი. ბრინჯაო. მეტროპოლიტენის მუზეუმი (კლასიკური სამყაროს ხელოვნება მეტროპოლიტენის მუზეუმის მიხედვით).*
* *30. მხედრის მარმარილოს ტორსი. დელოსი (ჰალეტის მიხედვით).*
* *31-34. ანატომიური კირასის ფოჩებიანი ქობის ფრაგმენტები: 31, 32. ვანი; 33-34. ოლიმპია (ბოლის მიხედვით).*
* *35-37. კირასის ფოჩებიანი ქობის ქვედა სიბრტყე: 35, 36. ვანი; 37. ოლიმპია (ბოლის მიხედვით).*
* *38. კვანძად მოკეცილი ქსოვილის ფრაგმენტი. ვანი.*
* *39. დრაპირების ფრაგმენტი. ვანი.*
* *40. მოსასხამის (?) ფოჩებიანი ქობის ფრაგმენტები. ვანი.*
* *41-42. მოსასხამის საძირავები: 41. ვანი; 42. ოლიმპია (ბოლის მიხედვით).*
* *43. იმპერატორ ვესპასიანეს ბიუსტი საძირავ-საწაფით მხარზეგადმოფენილი მოსასხამის კიდეზე (ფედოროვას მიხედვით).*
* *44. ფირფიტა პალმეტის გრავირებული გამოსახულებით. მოოქრული ბრინჯაო. ვანი.*
* *45. ფირფიტა გრავირებული მცენარეული ორნამენტით. მოოქრული ბრინჯაო. ვანი.*
* *46. აპულეური ანატომიური კირასა. ბრინჯაო (კანის მიხედვით).*

REMAINS OF A BRONZE EQUESTRIAN STATUE FROM VANI

Elena Gigolashvili and Marina Pirtskhalava

In excess of a thousand bronze statue fragments and foundry remains from the Hellenistic period were discovered over the course of archaeological field work conducted between 1978 and 1989 by the Centre for Archaeological Studies of the Republic of Georgia at the Vani city site in western Georgia.

Many of the fragments are identifiable, beginning with the torso of a youth (1.05 m h.). Other identifiable fragments include a refined right knee and foot, a left human hand grasping a lock of hair or fur, a left human ear, a human neck, fingers, eyelids with traces of eyelashes, locks of hair, drapery, fragments of armour bordered with tassels, the head and body parts of a snake, fragments of a horse's hoof, as well as a number of patches that were used to conceal imperfections in the cast bronze [O. Lordkipanidze 1996: 27-29, 392-397, pl. 85. Pirtskhalava, Kipiani 1986: pl. 44-46].

Taking into consideration the different scale of the items, we can imagine the hypothetical number of human figures, as well as the number of animal sculptures. Most of the fragments were gathered from the central terrace of the city site, at the Hellenistic levels: around the twelve-stepped altar and on the eastern slope of the site (among the remains of ruined buildings). As the fragments seem to have been deliberately broken up, two equally acceptable explanations can be given: one possibility is that it could have been the result of outrage over a local cult or ruler, and the other is that the damaged statues could

have been broken up with the intent to melt them for re-use.

Among the identifiable fragments there are certain groups that could be attributed to definite categories. On this occasion we have chosen a group of pieces which we regard as parts of an armoured equestrian statue.

Of course the fragmentary nature of this material complicates its attribution to a definite sculpture with any certainty. Thus we cannot be fully confident in our choice. Nevertheless, the whole complex of evidence leads us to regard this group as the remains of an equestrian statue.

This paper will discuss the fragments of the horse and the military clothing of the mounted figure.

Only a few parts of the horse have survived: fragmentary hoofs, ears and probably a tail.

One of the hoof fragments consists of three joining pieces (max. pres. dim. 8.5 x 11.5 cm; th. 0.5 cm; light green patina with black spots). This represents the right side of a hoof (fig. 1); the hair on the coronet of the hoof is reproduced with two series of tufts, composed by incised strokes which meet at the centre of the hoof. The second hoof fragment is of the same proportions and represents the left side of the hoof (max. pres. dim. 7 x 10 cm; th. 0.3-0.4 cm). Part of a patch-hole is visible beneath the coronet (fig. 2). We cannot be absolutely certain whether this fragment really belongs to the same hoof, but the probability that the fragment comes from the same horse is more likely. There are some other small pieces with the same treatment of the coronet hair (figs 3-5). Although one of these (better preserved) hoof fragments is missing the final lower part, it has the same proportions as other hoof fragments (fig. 3; max. pres. dim. 13.5-7-15 cm; w. 2 cm; light green patina). On the underside of the unshod hoof a quadrangular groove can

be seen (fig. 4; dim. 3.0-3.4 cm) with traces of ferric oxide on the sides; it presumably served as a socket for a metal tie. The horse seems to be somewhat life-sized. Similar fragments come from Hellenistic and Roman contexts in Olympia (fig. 6) and other places in the classical world [Bol 1978: pl. 35, nos 190-194; pl. 49, nos 237-239. Bergemann 1990: pl. 48, no 61. Oddy 2002: 98-101, fig. 1. Giumlia-Mair 2002: 93-97, fig. 4]. It is important to note that the style of modelling incised tufts of hair, which we have on the hoofs from Vani, is considered as being one of the notable features which betrays their Hellenistic origin [Hemingway 2004: 92-93]. They are closely reproduced on the hoofs of the well-known Artemision horse dated to the second half of the second century BC (fig. 7) [Hemingway 2004: 49-51; 92-93. Pl. 3]. The archaeological context of the Vani statue fragments suggests the same date [Pirtskhalava, Kipiani 1986: 64].

From the same archaeological context come two fragmentary ears and a tail. Only the tops of both ears are represented, their tips are somewhat effaced; fine hairs are incised along the edges of the ears (max. pres. dim. I: 3 x 2.5 cm; II: 2.5 x 2.6 cm; th. 0.4 cm. light green patina, with black spots). The animal's ears are not pressed back as if it is galloping, but are erect and upright, indicating a static posture of the animal (fig. 8).

Such treatment of the ear seems to have been unchanged for a long time. We can find similar examples on horse statues from the Hellenistic and Roman periods (figs 9, 10) [Bol 1978: 68; pl.62, n.371. Bergemann, 1990: 103; nos P 50, pl. 7d; 105, no P 51, pl.78-80, 7b].

We provisionally consider the next fragment (figs. 11,12) to be a horse's tail owing to its resemblance to the tail on the bronze horse statue from Monte Circeo, which is believed to be a creation of the early Augustan age, though it also bears early Hellenistic features [Bergemann

1990: 108-110, no P 52, pl. 79]. The Vani horse tail fragment has two layers. The outer layer is characterized by hairy and wavy incised lines (fig. 13). The underlying layer is smooth and concave. The ends of the hair on the tail are uneven and cut in a jagged fashion (max. pres. dim. 14.5 x 9.5 cm; th. 0.3-0.5-0.8 cm; light green patina). At the narrow end of the fragment a pipe-like cavity is outlined where, presumably, the tail joined the croup (fig. 14).

Let us now turn to an examination of the armoured equestrian figure. We have parts only of the military clothing worn by the statue, but none of the human figure, because such parts are too fragmentary for attribution. A man's neck, three fingers and other body parts have also been found, but we cannot attribute them to the equestrian statue with any certainty. We possess fragments of what was well known in the classical world as a "muscle" cuirass. These include three fragments of breastplate (figs 20, 22, 24), a piece of a shoulder guard (fig. 28) and several sections of tasselled hem (figs 31, 32). There is also a piece of the garment worn with a cuirass (fig. 26). In addition, drapery fragments (figs 39, 40), two weight tassels (fig. 41) and a knot-like detail of a garment (fig. 38) have also been provisionally included in this group in view of the fact that they may have belonged to a military cloak: cuirassed figures have often been found wearing such fringed cloaks, sometimes, with weight tassels [Bol 1978: pl. 59, no 339. Hallett 2005: 132-133, no 29, pl. 81. History of Ancient Rome 1971: 311].

One of the three breastplate fragments has floral relief ornamentation depicting a stem and a five-petal rosette, each leaf divided into two by incisions (fig. 20). A groove with incised dots is visible along the broken edge of the breastplate fragment (max. pres. dim. 6 x 5 cm; th. 0.4 cm; dark green patina). On the second breastplate fragment a similar groove, covered with incised dots and a rounded relief

stem, can be seen (fig. 22; max. pres. dim. 12.5 x 3.5 cm; th. 0.8 cm; dark green patina). A relief floral ornament on the cuirass, as well as incised dots, were a very popular motifs in antiquity [Stemmer 1978: 7, pl.1.Vermeule 1980: 14, fig.7, 11]. We can find similar fragmentary examples among the bronzes from Industria (figs 21, 23) [Mercando, Zanda 1998: 116, 117; nos 76, 77; pl. LXVII]. The third fragment, in our opinion, may have belonged to the same category. It is composed of two pieces and is decorated with an acanthus stem and leaf (fig. 24; max. pres. dim. 14 x 8 cm; th. 0.2-0.5 cm). Like the previous two breastplate fragments, it is analogous to the Roman bronzes from Industria, namely on the breastplate fragment with relief stem, covered with short, obliquely disposed incisions (fig. 25) [Mercando, Zanda 1998: 117, N 78, pl. LXVII].

The next fragment comes from the tunic worn under the cuirass. Based on the characteristics described below, we believe this fragment comes from the hem of the tunic (fig. 26). It is engraved with a geometrical design of two panels with alternating antithetic triangles with a bar between them (max. pres. dim. 4.1 x 3.4 cm; th. 0.3-0.4 cm; light green patina). The opposing triangles, pointing inward, as well as the bar between them, are gilded and have dotted circles within, while the outward pointing triangles are ungilded. The lower edge is also gilded. The fragment becomes wider on the right hand side, and this suggests to us the idea that it may be the hem of a garment. This idea is prompted by a Roman bronze fragment with silvered triangles which is said to be the hem of a tunic worn under the cuirass (fig. 27) [see the reconstruction in: Mercando, Zanda 1998:116, no 75, pl. LXVI, LXXIV]. It should be noted that the dimensions of the triangle on each fragment coincide with each other (h. 1 cm), so it seems quite possible that the Vani fragment belongs to a cuirassed statue.

Another fragment connected with the cuirass is a piece of a shoulder guard ending with tassels (max. pres. dim. 8 x 9 cm; th. 0.3-0.5 cm; green and dark green patina). Five strips and three sections of tassels are preserved (fig. 28). The tassels are slightly inclined to one side. A double bar, covered with facing short oblique incisions, marks out the strips from the tassels. Shoulder guards characterized military clothing beginning from the Hellenistic period, and it remained unchanged for years. We can see the same type of shoulder guards on bronze and marble cuirassed statues and their fragments from the Hellenistic and Roman periods [Stemmer 1978: 126; pl.1, 2, 3, etc.; Bergemann 1990: cat. P 4, pl. 12; pl. 28; no 61, pl. 48. Hallett 2005: 133, pl. 81. Fedorova 1979: fig. 2b, 28e. D'Amato and Sumner 2009: 38, 135]. The form and iconographic detail of cuirassed statues is said "to have begun in late Hellenistic period with an art that is Greek" [Vermeule 1968: 42]. The Vani fragment is quite similar to the shoulder guard of a bronze torso from an equestrian statue in the Metropolitan Museum of Art wearing a cuirass of the Hellenistic type (fig. 29) [Art of the Classical World 2007: 447, no 211]. Such shoulder guards are said to be Hellenistic in style [Vermeule 1968: 41-42]. Consequently our shoulder guard fragment is of special interest because it comes from the archaeological context of the first century BC.

The next category of the cuirass consists of fragments of a tasselled hem (figs 31-32). The first one represents a section of a fringed hem composed of twisted interlacing tassels (fig. 31). Above the tassels there is a horizontal twisted double bar. From below the hem is cross-hatched, with enclosed incised triangles, imitating the ends of the tassels (fig. 35; max. pres. dim. 10 x 5 cm; th. 0.3-0.5 cm; base w. 2 cm). Three other fragments belong to the lower part of the cuirass's hem (fig. 36) and, like the pervious fragment, they have the same cross-

hatch design for depicting the tips of the tassels (max pres. dim. 2.5 x 3.2 cm; base w. 0.6-0.7 cm). We can see a similar incised net on the bronze cuirass fragment from Olympia (fig. 7) [Bol 1978: 69, pl. 63, no 386].

Insufficiency of data prevents us from being precise about the reconstruction of the cuirass, but the modelling of the tasselled hem clearly displays parallels to those of late Hellenistic and Roman bronze and marble sculptures (figs 33,34) [Bol 1978: 62, nos 294-296. Vermeule 1980: fig. 7, 11; no 73. Stemmer 1978: pl.1, 2, 3 etc. Mercando, Zanda 1998:114-115, pl. LXIII.]. It is known that cuirassed equestrian bronze statues have a long tradition in the Hellenistic and Roman world. Romans often adopted cuirasses of the Hellenistic type. This fact makes it difficult for the precise dating of the preserved examples. Under these circumstances, it is notable that the fringed hem fragment from Vani was found in the burned ruins of the so-called treasury next to the twelve-stepped altar dated to the first century BC. [Pirtskhalava, Kipiani 1986: 63-64].

If our identification is acceptable, it appears that in the late Hellenistic period at the Vani city site there stood, besides to the figure of a nude standing youth, and alongside bronze statues of many styles [Mattusch 1996: 216], an armoured equestrian bronze statue, partly gilded. If that was the case, several questions arise: Who is represented by this statue? Who commissioned this statue? When was it cast and who was the intended audience? Most of these questions remain open.

Insofar as far as all the Vani bronze fragments derive from a destruction context (in the first century BC), we can determine the time when the statue was broken, but not the date it was created. Based on a brief examination of the whole identifiable complex of material, scholars have assumed that they were cast during the city's final period,

somewhere in the second century BC. [O. Lordkipanidze 1996: 27-29; Mattusch 1996: 215]. The discovery of the foundry remains on the central terrace of Vani – a casting pit with a mould base inside and other casting debris [Gigolashvili et al. 2008: 14-18, 201-202], as well as some unusual technical features of Vani bronzes – suggests the idea that, at any rate, some of the bronze statues was produced locally [Mattusch 1996: 213].

It is known that equestrian statues from the Hellenistic epoch in most cases depicted real personalities [Presicce 1990: 16]. In this period each statue had its specific reason and purpose, and could have had one of four main functions: cult, votive, funerary or honorific. We assume that the honorific function was the main purpose of the Vani fragmentary evidence. The honorific function was an important category and the statues with this function were almost always bronze. They were more political in purpose than made for art's sake [Smith 2006: 9-10]. Equestrian statues in armour, even though few have survived intact, are said to have been common throughout the Hellenistic world. In the second and first centuries BC equestrian statues were erected in Greece for Hellenistic rulers, for their generals and for respected citizens, just as for prominent Romans [Bergemann 1990: 57. Stemmer 1978: 139. Hallett 2005: 43, 144]. Especially as far as it concerns the cuirassed statues, Roman art directly continued the Hellenistic tradition [Stemmer 1978: 139]. It is for this reason that we have ruled out cult, votive and funerary functions.

The fact that the Vani statue was gilded is an indication of the importance of the figure it represents and his wealth [Hemingway 2004: 61. Presicce 1990: 25]. Besides the gilded tunic hem fragment, we have some more gilded bronze pieces from the same archaeological context that cannot be attributed with any certainty to any type of sculpture. These are two fragments of gilded bands with engraved floral orna-

mentation. On one fragment there is a palmetto (fig. 44). On the other fragment, consisting of two broken pieces, a row of repeating tendrils are depicted (fig. 45). This style of ornamentation is analogous to a band with similar ornamentation found on an Apulian "muscle" cuirass of the fourth century BC (fig. 46) [Cahn 1990: 116, 122]. Although examples of gilded statuary are quite rare before the Roman imperial era, some fragments from gilded statues of the Hellenistic epoch are known to exist [Mattusch 1996: 28, 125, 128. Oddy et al. 1990: 105-121].

As for gilded equestrian statues, we can mention several Roman gilded hoof fragments with the same modelling of coronet hair which we have on the horse hoofs from Vani [Oddy 2002: 98-101, fig. 1. Giumlia-Mair 2002: 93-97, fig. 4].

Thus the whole complex of items described above, when compared to similar fragments and whole equestrian statues from antiquity, has led us to believe that this supports the view that the fragments come from an equestrian statue representing an important political or military leader.

Certainly the identification of the person represented by this statue might not be quite correct especially as no statue base has been found in the whole – large but fragmentary – collection of the variety of statues of the Vani excavations. But if we think back to Colchis, whether a vassal kingdom or satrapy at the turn of the second and first centuries BC, it was in actual fact subordinated to the military ambitions of Mithridates VI [O. Lordkipanidze 2010: 229-238. G. Lordkipanidze 1970: 17-24, 26. Maksimova 1956: 195. Lomouri 1979: 167-180]. It is known that numerous monuments honouring Mithridates VI were erected beyond the boundaries of his kingdom [Højte 2009: 155-157. Kreuz 2009: 132, 133]. Under these circumstances it should be taken

into consideration that, according to some scholars, the impact of the Pontic religion was great in Colchis [G. Lordkipanidze 1970: 124. Saprikin 2009: 250-251]: a temple to Dionysos was built at the turn of the second and first centuries BC in Vani. In its ruins, parts of an elaborate bronze vessel – relief heads of the cohort of Dionysian deities shown in the Pergamon plastic style – were found [O. Lordkipanidze 1972: 30-34; figs 138-142]. The construction date of the sanctuary coincides with a surge of Mithridatic propaganda, politically and ideologically exploiting Mithridates as Dionysos after the king's triumph at Pergamon in 88 BC [Saprykin 2009: 250-251].

We fully realize that this article contains several arguable points. Future research will, we hope, shed more light on these, and lead to their confirmation or rejection.

Bibliography

Art of the Classical World *2007: Art of the Classical World in the Metropolitan Museum of Art. Carlos A. Picón, Joan R. Mertens, Elisabeth J. Milleker, Christopher S. Lightfoot, and Seán Hemingway. Yale University Press, New Haven and London. 2007.*

Bergemann *1990: Bergemann, J. Römische Reiterstatuen. Mainz. 1990.*

Bol *1978: Bol, P.C. Grossplastik aus Bronze in Olympia. Olympia IX. Berlin. 1978.*

Cahn 1990: *Cahn, D. Set of Armor from a Burial. In: Glories of the Past: Ancient Art from the Shelby White and Leon Levy Collection. Ed. by Dietrich von Bothmer. The Metropolitan Museum of Art. 114 – 122. New York. 1990.*

D'Amato, Samner *2009: D'Amato, R. and Sumner, G. Arms*

and Armour of the Imperial Roman Soldier. From Marius to Commodus, 112 BC – AD 192. London. 2009.

***Fedorova** 1979: Федорова, Е. В. Императорский Рим в лицах. Москва. 1979 (In Russian).*

***Gigolashvili et al.** 2008: Gigolashvili, E., Pirtskhalava, M., Tolordava, V. Bronze Statuary and Bronze Production in the Ancient City Site of Vani. Journal of the Otar Lordkipanidze Centre of Archaeology, " Iberia – Kolchis", 4. 14-18. Tbilisi, 2008 (in Georgian).*

***Giumlia – Mair** 2002: Giumlia – Mair, A. Technique and Composition of Equestrian Statues in Raetia. Journal of Roman Archaeology. Supplementary Series Number 39. 93- 97. Portsmouth, Rhode Island. 2002.*

***Hallett** 2005: Hallett, Ch. H. The Roman Nude: Heroic Portrait Statuary 200 BC – AD 300. Oxford. 2005.*

***Hemingway** 2004: Hemingway, S. The Horse and the Jockey from Artemision. A Bronze Equestrian Monument of the Hellenistic Period. Berkeley, Los Angeles, London. 2004.*

***History of Ancient Rome 1971:** История Древнего Рима. (Под редакцией А. Г. Бокщанина и В. И. Кузищина). Москва, 1971 (In Russian).*

***Højte** 2009: Højte, Jakob Munk. Portraits and Statues of Mithridates VI. in: Mithridates VI and the Pontic Kingdom. Edited by Jakob Munk Højte. Black Sea Studies, 9. The Danish National Research Foundation's Centre for Black Sea Studies. 145-162. Aarhus University Press. 2009.*

***Kreuz** 2009: Kreuz, Patric-Alexander. Monuments for the King: Royal Presence in the Late Hellenistic World of Mithridates VI. In: Mithridates VI and the Pontic Kingdom. Edited by Jakob Munk Højte. Black Sea Studies, 9. the Danish National Research Foundation's Centre for Black Sea Studies. 131-144. Aarhus University Press. 2009.*

***Lomouri 1979:** Ломоури, Н. К истории Понтийского царства. Тбилиси, 1979 In Russian).*

Lordkipanidze, G. *1970: Лордкипанидзе, Г. К истории древней Колхиды. Тбилиси, 1970 (In Russian).*

Lordkipanidze, O. *1972: The Vani City Site (Excavations. History. Problems). Vani I. Archaeological Excavations. 1947 – 1969. Ed. Otar Lordkipanidze. 7-42. Tbilisi, 1972 (in Georgian).*

Lordkipanidze, O. *1996: Lordkipanidze, O. Vani – ein Antikes Religiöses Zentrum im Lande des Goldenen Vlieses (Kolchis). Sonderdruck aus Jahrbuch des Römisch-Germanischen Zentralmuseums. Mainz. 42. 353-401. Jahrgang 1995 (1996).*

Lordkipanidze, O. *2010: Lordkipanidze, O. Ancient Georgia (Colchis and Iberia) in Strabo's "Geography". New Commentaries. Otar Lordkipanidze Works, vol.I. Tbilisi, 2010 (in Georgian).*

Maksimova *1956: Максимова, А.И. Античные города Юго-Восточного Причерноморья. Москва – Ленинград, 1956 (In Russian).*

Mattusch *1996: Mattusch, C. C. Classical Bronzes. The Art and Craft of Greek and Roman Statuary. Cornell University Press. Ithaca and London. 1996.*

Mercando, Zanda *1998: Mercando, L., Zanda, E. Bronzi da Industria. Roma. 1998.*

Oddy et al. 1990*: Oddy, W.A., Cowell M.R., Craddock, P.T., and Hook, D.R. The Gilding of Bronze Sculpture in the Classical World. In: Small Bronze Sculpture, 103-124. Malibu, Calif. 1990.*

Oddy *2002: Oddy, W.A. The technology and conservation of two fragments of life-size gilt bronze Roman statuary. In: Journal of Roman Archaeology. Supplementary series number 39. 98-103. Portsmouth, Rhode Island. 2002.*

Pirtskhalava, Kipiani *1986: Pirtskhalava, M., Kipiani G. Excavations at the Western part of the Central Terrace in 1978-1981. Vani VIII. Archaeological Excavations (Ed.*

Otar Lordkipanidze). 52-78. Tbilisi. 1986 (In Georgian).

***Presicce** 1990: Presicce, C. P. The Equestrian Statue of Marcus Aurelius in Campidoglio. Milan. 1990.*

***Saprykin** 2009: Saprykin, Sergei J. The Religion and Cults of the Pontic Kingdom: Political Aspects. In: Mithridates VI and the Pontic Kingdom. Edited by Jakob Munk Højte. Black Sea Studies, 9. The Danish National Research Foundation's Centre for Black Sea Studies. 249-275. Aarhus University Press. 2009.*

***Smith** 2006: Smith, R.R.R. Hellenistic Sculpture. Thames and Hudson. 2006.*

***Stemmer** 1978: Stemmer, K. Untersuchungen zur Typologie, Chronologie und Ikonographie der Panzerstatuen. Archäeologishe Forschungen, Band 4. Berlin. 1978.*

***Vermeule** 1968: Vermeule, C. C. Roman Imperial Art in Greece and Asia Minor. Cambridge. 1968.*

***Vermeule** 1980: Vermeule, C. C. Hellenistic and Roman Cuirassed Statues. Boston. 1980.*

Illustrations

Fragments of bronze sculpture from Vani excavations (Otar Lordkipanidze Archaeological Muzeum at Vani) and some parallels:

1 – 7. Horse hoof fragments: 1-5. Vani; 6. Olympia (after Bol 1978); 7. Artemision (after Hemingway 2004).

8 – 10. Tops of horses' ears: 8. Vani; 9. Olympia (after Bol 1978); 10. Rome (after Bergemann 1990).

11 – 14. Parts of horse's tails: 11-12. Vani; 13. Monte Circeo; 14. Monte Circeo, detail (after Bergemann 1990).

15 – 19. Well-known marble cuirassed statues: 15. Statue of Augustus at Prima Porta (after D'Amato and Samner

2009); 16. A statue of the Emperor Marcus Aurelius, from the Baltimore Art Gallery (after Samner 2002); 17-19. Statues from Stemmer's Catalogue (after Stemmer 1978).

20 – 25. Breastplate fragments from a muscled cuirass: 20, 22, 24. Vani; 21, 23, 25. Industria (after Mercando and Zanda 1998).

26 – 27. Tunic hem fragments: 26. Vani. gilded bronze; 27. Industria. Bronze tunic hem fragment inlayed in niello and a graphic reconstruction of a muscled cuirass (after Mercando and Zanda 1998).

28. Part of a shoulder guard. Vani.

29. Torso from an equestrian statue wearing a cuirass. Bronze. The Metropolitan Museum of Art (after Art of Classical World in the Metropolitan Museum of Art 2007).

30. Marble torso of an equestrian armoured portrait from Delos (after Hallett 2005).

31 – 34. Pieces of tasselled hem from a muscled cuirass: 31, 32. Vani; 33-34. Olympia (after Bol 1978).

35 - 37. The lower parts of a cuirass hem: 35, 36. Vani; 37. Olympia (after Bol 1978).

38. A knot-like detail. Vani.

Drapery fragments. Vani.

40. Fragments of a fringed military cloak(?). Vani.

41 – 42. Two weight tassels: 41. Vani. 42. Olympia (after Bol 1978).

43. A bust of the Emperor Vespasian: the tip of a paludamentum with weight tassel is visible (after History of Ancient Rome 1971).

44. A gilded fragment with engraved palmetto. Vani.

45. Parts of a gilded band with a row of engraved tendrils. Vani.

46. An Apulian muscle cuirass. Bronze (after Cahn 1990).

საქართველო განვითარების ევროპულ გზაზე

ალექსანდრე ორჯონიკიძე

აზიასა და ევროპას შორის მოქცეული კავკასია, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველო, ოდითგანვე ბუნებრივი საკომუნიკაციო გზაჯვარედინი იყო, რომელზეც გადიოდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი კულტურული მაგისტრალები. მართალია, გარკვეული ჩრდილოური ელემენტები აქ თითქმის ადრეული ხანებიდანვე შეინიშნება, მაგრამ ურთიერთობა სამხრეთთან, როგორც ჩანს, უფრო მჭიდრო და ხანგრძლივი გახლდათ. ეს ურთიერთობა შესამჩნევი ხდება ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან ჰალაფის კულტურის ელემენტების გავრცელებისას. წინააზიური ნიშნები აღენიშნება ცენტრალური ამიერკავკასიის შულავერ-შომუთეფეს კულტურის თიხის სამშენებლო-არქიტექტურულ ტრადიციას, რომელიც

1 მინაშენი სამხრეთ დასავლეთიდან

2 მინაშენი №1

3 მინაშენი № 2

მზა სახით შემოვიდა ხითა და ქვით მდიდარ სამხრეთ კავკასიაში. მეცნიერები ამ მოვლენას სამხრეთიდან მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების გადმონაცვლებას უკავშირებენ.

წინააზიურ სამყაროსთან ურთიერთობა, როგორც ჩანს, არც პალაფის მომდევნო, ობეიდის ხანაში შეწყვეტილა, რაც ლითონის პირველი ნივთების გამოჩენით აღინიშნება. რამდენადმე მოგვიანებით, ურუკის ხანაში ეს კავშირები კიდევ უფრო გაძლიერდა. საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნილება ლითონზე, ძირითადად სპილენძსა და ოქროზე, რასაც მოჰყვა მოსახლეობის ახალი ნაკადის გადმონაცვლება. გადმოსახლებულთა ერთმა ნაწილმა აღმოსავლეთ საქართველოში მოიკიდა ფეხი, მეორე კი დასავლეთ საქართველოს გავლით ჩრდილოეთით ყუბანისპირეთისკენ წავიდა, სადაც მაიკოპის კულტურას ჩაუყარა საფუძველი.

დაახლოებით ამავე ხანებში სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში მტკვარ-არაქსის კულტურის ფორმირების პროცესი მიმდინარეობდა. ეს კულტურა დროთა განმავლობაში ფართოვდებოდა, ძირითადად სამხრეთის მიმართულებით მიიწევდა და უზარმაზარ ტერიტორიას იკავებდა. მახლობელ აღმოსავლეთში მისმა ფართო განფენამ განაპირობა ძველ აღმოსავლურ სამყაროსთან კონტაქტების გაძლიერება, გააფართოვა ამ კულტურის ტომების ფუნქცია წინა აზიის უძველეს ისტორიაში, კავკასია სამხრეთის დაწინაურებული სამყაროს განუყოფელ ნაწილად აქცია.

ვითარება ძირეულად შეიცვალა ამ კულტურის დასასრულს, როდესაც მან არსებობის თითქმის ათასწლოვანი პერიოდის მიწურულს კრიზისი განიცადა. ეს კრიზისი სხვადასხვა რაიონში განსხვავებულად წარიმართა. აღმოსავლეთ საქართველოში მის გამომწვევ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ბედენური კულტურის გავრცელებაა მიჩნეული.

ამ დროს მკვეთრად შეიცვალა კულტურის ორიენტაციის ძირითა-

დი მიმართულება – დასუსტდა კავშირი სამხრეთის ცივილიზაციებთან და გაძლიერდა ურთიერთობა ჩრდილოეთ რეგიონებთან.

ახალი, ბედენის კულტურის გამოჩენამ იმთავითვე მრავალი კითხვა წარმოშვა: ადგილობრივ ნიადაგზე იყო იგი წარმოქმნილი, თუ მის ფორმირებაში მთავარი ფუნქცია გარეგანმა ფაქტორმა შეასრულა? სად ლოკალიზდება მისთვის დამახასიათებელი ელემენტების უმთავრესი წყარო და სხვ. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოითქვა არაერთი, ხშირად ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავებული მოსაზრება, რომელთა მიხედვით ბედენის კულტურას საფუძვლად დაედო წინარე, მტკვარ-არაქსის კულტურა; ან, მისი წარმოშობა წინააზური სამყაროს მძლავრ ზემოქმედებას უკავშირდება; არც ამიერკავკასიის ჩრდილოეთით მდებარე ოლქებთან კავშირი დარჩენილა ამ მხრივ ყურადღების მიღმა.

ბედენის საწყისების ძიება ტრადიციულ, მტკვარ-არქსულ წიაღში, ბუნებრივი იყო, რამდენადაც იგი მართლაც პოულობს მტკვარ-არაქსის კულტურასთან ბევრ საერთო ნიშანს, მაგ., როგორიც არის ნასახლართა ტოპოგრაფია, შენობის ტიპი და სამშენებლო საქმე, აგრეთვე, ლითონის იარაღის ზოგიერთი ფორმა. სიახლოვე ჩანს თიხის ჭურჭლის ხელით დამზადების ტრადიციაშიც, მის სადად გამოწვა-გაპრიალებაში, ორნამენტის ზოგიერთი მოტივისა და ჭურჭელზე მისი დატანის ხერხების იგივეობაში და სხვ. აშკარაა, რომ მტკვარ-არაქსის მძლავრი კულტურის არსებობას უკვალოდ არ ჩაუვლია, მიუხედავად ამისა, სხვაობა ამ ორი კულტურის ძირითად მახასიათებელს შორის თვალსაჩინოა. ასე, რომ ძალზე გაჭირდება ბედენის კულტურის მომდინარეობის დადგენა უშუალოდ მტკვარ-არაქსულის წიაღიდან. მით უმეტეს, რომ რიგ ძეგლებზე ჩანს თანაარსებობა, რაც დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში მათ პარალელურ განვითარებაზე მიუთითებს.

ბედენის კულტურის ფესვების ძიებას ძველ აღმოსავლურ სამყა-

როშიც არ მოჰყოლია მაინცდამაინც დიდი წარმატება. მართალია, წინა აზიაში თითქოს ჩანს ბედენური საიუველერო ნაწარმისა და ლითონის ზოგიერთი იარაღ-სამკაულის მეტ-ნაკლებად ახლო პარალელები, მაგრამ სამხრეთის დაწინაურებული სამყაროს ტექნოლოგიური მიღწევების აქ დანერგვას ბედენის ფორმირების საქმეში არ უნდა მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა. იგი უფრო მეტად კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის ამსახველი უნდა იყოს. ასე, რომ არც წინა აზია გამოდის ბედენის სამშობლო.

რაც შეეხება კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე ოლქებთან კავშირს, იგი მართლაც თვალსაჩინოა ყორღნული ტიპის სამარხებით. ამგვარმა სამარხმა ნაკლებად ცნობილი კავკასიის სამხრეთით, ძალზე ადრეული ხანიდან იჩინა თავი, აღმოსავლეთ ევროპის სტეპში და შემდგომაც უწყვეტად განაგრძო არსებობა. ქ.წ. III ათასწლეულიდან იგი ჩრდილო კავკასიაშიც გავრცელდა და მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთისა და კავკასიის დამახასიათებელ სამარხის ტიპად იქცა. მართალია, ჩრდილოეთთან გარკვეული ურთიერთობა მტკვარ-არაქსის ხანაშიც შეინიშნებოდა, მაგრამ ეს კავშირი, როგორც ჩანს სუსტი იყო და ჩრდილოეთის გავლენები ჯერ კიდევ არ გახლდათ ისეთი ძლიერი, როგორსაც მომდევნო – ბედენურ ხანაში ვხედავთ. ჩრდილოეთსა და ბედენს ბევრი რამ აკავშირებს დაკრძალვის წესჩვეულების მხრივაც. ბედენურის მსგავსი დასაკრძალავი ეტლები აღმოჩენილია ევროპის არაერთ რეგიონში. მასთან განსაკუთრე-

ბით ახლოა ნოვოტიტოროვკის, ანუ ძველი ორმოსამარხების დროის "დასაკრძალავი ეტლების კულტურის" ეტლები. ბევრია საერთო ბრინჯაოს იარაღ-სამკაულში, მის ხასიათში. მეცნიერები არ გამორიცხავენ, რომ ოქრომჭედლობის პირველი ჩვევები უკავშირდება ჩრდილოეთ კავკასიას, კერძოდ კი, ნოვოსვაბოდნიას კულტურას და არა ძველი აღმოსავლეთის კულტურას. ეს კი სწორედ ის პერიოდია, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში იმძლავრა ევროპის გავლე-



ნებმა, ბოლო დროს ამავე გავლენას უკავშირებენ კავკასიაში ბრინჯაოს ხანაში, კალის უმთავრეს იმპორტსაც.

მაგრამ ევროპასთან ბედენის კავშირი პირველ რიგში ვლინდება მასობრივი ნაწარმით – კერამიკით, რაც ყველაზე ნათლად აისახა რიგ ნასახლართა სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულების თიხის ჭურჭელზე. დაღესტნისა და სამხრეთ რუსეთის სტეპების კერამიკაში იძებნება ანალოგები ზველის, ილტოს, ციხიაგორის A ფენის, ხაშურის ნაცარგორის, ორჭოსნისა და სხვა ნასახლართა ნაწარმთან, რომელიც შემკულია შვერილებით, რელიეფური რანტით, კოპებითა და სხვა იმ სახეებით, რომლებიც ასევე უახლოვდება ენეოლითური ხანის თიხის ზოგიერთ ჭურჭელსაც. ამგვარი კერამიკა მტკვარ-არაქსის დროს გაქრა, მაგრამ ზოგ ადგილას, განსაკუთრებით კი, კონსერვატიულობით გამორჩეულ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, კვლავ განაგრძობდა არსებობას. ბედენის კულტურის გამოჩენას აღმოსავლეთ საქართველოში ამ ადრეული კერამიკული ტრადიციების გამოცოცხლება მოჰყვა და ის ფართოდ გავრცელდა ჩრდილოურ ელემენტებთან ერთად.

ჩრდილოეთთან ბევრ საერთო ნიშანს ავლენს ბედენური უხეში ჭურჭლის ზედაპირის სავარცხლისებრი ღარებით დაფარვის ტექნიკაც, ძალზე დამახასიათებელი ძველი ორმოსამარხებისა და კავკასიისპირეთის კულტურათა კერამიკული წარმოებისთვის. იგივე შეიძლება ითქვას ტრიპოლიესა და კატაკომბურთან დაკავშირებით, რომელთაც ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის კერამიკის მსგავსად, ბედენურთან აახლოებს ასევე ქილისებრი ფორმის ჭურჭელი, მხარზე შემოყოლებული რელიეფური ფოსოებიანი რანტითა და სხვ.

მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება ევროპასთან ურთიერთობა. უტყუარი ნიშანი, რომლითაც ბედენური კერამიკა უკავშირდება მას, თხიერი თიხით ჭურჭლის ზედაპირის შელესვის ხერხია,

რომელიც სრულიად უცნობი დარჩა მტკვარ-არაქსისა და ზოგადად, სამხრეთული კულტურებისთვის. სამაგიეროდ, მან ღრმად გაიდგა ფესვები დაღესტანში, სადაც ამგვარი კერამიკა ადრე ბრინჯაოს ხანის მოგვიანო ეტაპზე გაჩნდა და წარმოაჩენს სტეპების იმ კულტურათა გავლენების გაძლიერებას, რომელთაც, თავის მხრივ, ახლო კავშირი ჰქონდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასთან.

ბედენურის გოფრირებული, ხშირად წვრილი წერტილებით შემკული დეკორიც ახლოა ტრიპოლური კერამიკის ერთ-ერთი ჯგუფის ორნამენტთან. მისი წვრილი კოპების მწკრივიც ნოვოსვაბოდნაიასა და ძველი ორმოსამარხების შემკობის მსგავსად, უახლოვდება ბედენურ ნაწარმს და მჭიდროდ უკავშირდება თიხის ჭურჭელს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპიდან. ეს თავისებურებები კი, ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ამიერკავკასიაში მათ გამოჩენას და მიუთითებს ჩვენში ან ნიშნების გავრცელებაზე ჩრდილოეთის მხრიდან.

კავკასიის ჩრდილოეთითა და დასავლეთით გავრცელებულ კულტურებთან აღნიშნული მრავალი საერთო ნიშანი ქმნის საფუძველს იმისა, რომ ბედენის ჩამოყალიბებაში მთავარი ფუნქცია სწორედ ევროპას დავუკავშიროთ. სამხრეთში ამ თავისებურებათა სიმცირე, ან სულაც არარსებობა უნდა ათვალსაჩინოებდეს ბედენის მიდრეკილებას ევროპული სამყაროსადმი. შეიძლება ითქვას, რომ ევროპული გავლენები აღმოსავლეთ საქართველოში ბრინჯაოს ხანის მთელ პერიოდში არასოდეს ყოფილა ისეთი მძლავრი, როგორსაც ადრეული ყორღნების გავრცელების დროს ვხედავთ. ამასთან,

ბედენზე იგი ვლინდება ევროპის არა მხოლოდ ერთი კულტურული ცენტრიდან, არამედ სხვადასხვა ცენტრიდან, რაც წარმოშობს კითხვას: სად უნდა წარმართულიყო მისი ფორმირების ძირითადი პროცესი?

არსებული მოსაზრების თანახმად, ადრე ბრინჯაოს ხანის მიწურულს ამიერკავკასიაში ჩრდილოეთიდან მძლავრი კულტურული ნაკადი შემოვიდა და მონაწილეობდა ბედენის ფორმირებაში, რაც თითქოს შიდა ქართლის მტკვარ-არაქსული კულტურის საფუძველზე, ადგილობრივ უნდა მომხდარიყო, მაგრამ ამ პროცესის ამსახველი შუალედური ძეგლების გამოვლენამდე ეს მოსაზრება ნაკლებად დამაჯერებელია, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მტკვარ-არაქსული ელემენტები ბედენურ კერამიკაზე მართლაც შეინიშნება.

ასევე ძალზე გაჭირდება წინარე, ადგილობრივი კულტურის წიაღში წარმოვიდგინოთ ბედენის ჩამოყალიბებაც მხოლოდ იმის გამო, რომ შიდა ქართლის ზოგიერთ ნასახლარზე ბედენური და მტკვარ

-არაქსული კერამიკა უწყვეტად ვითარდება სტრატიგრაფიულად განლაგებულ რამდენიმე ჰორიზონტზე, რადგან უადრეს იმ ჰორიზონტშიც კი, საიდანაც მათი თანაარსებობის დაწყება შეინიშნება, ბედენური კერამიკა სრულიად სპეციფიკური სახით წარმოგვიდგება. როგორც ჩანს, მას განვითარების საკმაოდ დიდი გზა უკვე უნდა ჰქონდეს გავლილი. ნიშნები, რომლებიც ბედენურ თიხის ჭურჭელს მჭიდროდ აკავშირებს ევროპასთან, არ შეიძლებოდა მას შეეძინა შიდა ქართლში, მტკვარ-არაქსის გარემოში, რომლისთვისაც ისინი სრულიად უცნობი იყო. ეს ნიშნები აქ ბედენის კულტურის გავრცელებასთან ერთად ჩნდება. მაგრამ რამდენადაც ბედენური თიხის ჭურჭელი შეიცავს მტკვარ-არაქსულ ელემენტებსაც საფიქრებელია, რომ მისი ჩამოყალიბების პროცესი წარმართულიყო იმ არეალზე, სადაც თავმოყრილი იყო, როგორც ევროპული ისე, მტკვარ-არაქსული კერამიკული ტრადიციები. ასეთი კი ჩრდილო კავკასიაა. შეიძლება ითქვას, რომ ბედენის კულტურის გავრცელებით აღმოსავლეთ საქართველო მოექცა ევროპულ ორბიტაში. თუმცა, მალევე, ბედენის კულტურის დასრულებით, დამთავრდა ევროპასთან მჭიდრო კავშირიც და აღმოსავლეთ საქართველო კვლავ დაუბრუნდა წინააზიურ სამყაროს.

ლიტერატურა

* *გოგაძე ე. - თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბილისი, 1972.*
* *მახარაძე ზ. - ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი, თბილისი, 1994.*
* *ორჯონიკიძე ა. - ბედენის კულტურის ფორმირების ზოგიერთი ასპექტი. - ანალები, 10 თბილისი, 2014, 418-429.*
* *ჯაფარიძე ო. - კავკასიის წინა აზიის სამყაროსთან ურთიერთობის საკითხისათვის. — ძიებანი, 20, 2011, 178-196.*

* *Гаджиев М.- Раннеземледельческая культура ÑåÂåaî-ÂîbgîeíîÃî Кавказа, Москва, 1991.*
* *Гей А. - Новотиторовская культура, Москва, 2000.*

ტაბ. I-V ბედენის კულტურა. გერმანე გობეჯიშვილის, ვახტანგ ნიკოლაიშვილის, ზებედე და ვახტანგ შატბერაშვილების მიხედვით.

GEORGIA ON THE EUROPEAN WAY OF DEVELOPMENT

Aleksandre Orjonikidze

The Caucasus is placed between Asia and Europe, especially Eastern Georgia, was a natural communication crossroads from which cultural and logistical routes were connected to Europe and Asia. It is true that some of the northern elements here are almost from early times, But the relationship with the South seems to be closer and longer. This relationship is noticeable when spreading the Alapha culture elements from northern Mesopotamia. Pre-Asian significance is remarkable on the architectural tradition of cultural clays of Shulaver-Shomutepe culture of Central Trans Caucasus,which is in the form of ready-made wooden and stone-rich in South Caucasus. Scientists link this event to some groups of people moved from the south.

The relationship with the Pre-Asia seems to have been abandoned either in the subsequent Obeidi period, which marked the first appearance of metal items. These links have been further strengthened in the era of Uruki. Increased demand for metal, mostly copper and goldfollowed by the flow of new stream of population. One part of the resettlement walked to East Georgia, while the other went through west Georgia toward to the north of Kubani coastal area, where the Mykopi culture was laid.

About the same time, the process of formation of Kura-Arax culture in the eastern part of the South Caucasus was underway. This culture was

extended over time, largely moving towards the south and occupying a vast territory. Its wide distribution in the Near East led to the strengthening of contacts with the old East World, expanding the function of these cultural tribes in the ancient history of the ancient pre- Asia, the Caucasus became an integral part of the promoted South.

The situation has changed fundamentally in the end of this culture, when it incurred a crisis of nearly a thousand years of his existence. This crisis was different in different districts in Eastern Georgia. Bedenian culture is considered to be one of the reasons for its causes.

At this time, the main direction of culture orientation has dramatically changed - the weakening of the main directions of the south and strengthening relations with the northern regions.

The emergence of the new Bedian culture has led many questions: Was it originated on the local soil, if its external function was performed by external factors? Where is the main source of elements that are unique to him and others? In this connection, there is often a diametrically different view that the Bedenian culture based on the basis of the Kura-Arax culture. Or, its origin is associated with the strongest antiquity of the ancient world; Neither of the districts have been left in this direction in the north of the Transcaucasia. The search for Bedeni's origins was natural in the traditional, muddy-uneven bosom, as it really finds many common signs with the Kura-Arax' culture; Such as the topography of the dwellings, the type of building and the construction work, as well as some form of metal weapons. The proximity is also seen in the tradition of handling the clay vessel, its roasting-polishing, some of the ornaments with different motive and the dishes in the same vessel. It is obvious, that the existence of the Mtkvari-Arax powerful culture has not suffered, despite the difference between the two main cultural characteristics. So, it is very difficult to find the progress of the Bedian culture directly from the Kura- Arax bottom, the number

of some of the monuments indicate that they are at parallel development during a certain period of time.

The search for Bedeni's roots in the ancient East World has not been a great success. It is true that in previous Asia it seemed to be more or less close to parallel jewelry or some of the metal's jewelry, but the introduction of technological achievements in the promoted world of the south could not be a decisive factor in Bedenian formation. It should reflect more cultural-economic relations. So, no previous Asia comes to Bedeni's homeland.

As for connections to the northern Caucasus of the Caucasus, it is indeed visible to the graveyard type burial sites. Such a grave came from the very early to south of the Caucasus. In the Eastern Europe step and continued to exist continuously. So called From the 3rd millennium, it spread into the North Caucasus and became the typical tomb of the North Black Sea and Caucasus in the entire South-Eastern Europe. Although some sort of relationship with the North was observed in the Mtkvari-Araxs period, it seemed to be weak and the northern influences were not as strong as we see in later times. North and Beden have a lot to do with the rules of funeral. The Beden-like wheelchairs found in Beden are found in many regions of Europe.It is very close to him with the wheelchairs of the "prohibiting cultural chariots" of the time of Novosvobodnaia, i.e. the old pit-burial wheelchairs. There are a lot of common bronze weapons and jewelry in its nature. Scholars do not rule out that the earliest habitat of the golden age is related to the North Caucasus, namely, the culture of Novosvobodnaia and not the Old Eastern culture. This is exactly the period when Europe's influence in the North Caucasus has wrestled. Recently, the same influence has been linked to the mainstream of the Kali in the Bronze Age in the Caucasus.

Beden union with Europe is primarily manifested in mass-ceramics, which is most clearly reflected on a ceremonial kitchen and agricultural clay vessel Dagestan and southern Russia steppes ceramics are looking for analogs with the old ones, Ilto, Tsikhiagori A layer, Khashuri Natsargori, Orchosani and other barbed wire products.Which are decorated with switches, relief rings, hill and other kinds that are also close to some of the clay clays of the Eneolite period. Such ceramics disappeared during the Kura-Araxs, but in some places, especially in the conservative north-east Caucasus, continued existence. The emergence of Bedeni's culture was followed by the revitalization of these early ceramic traditions in eastern Georgia and it was widely distributed among the northern elements. Many common signs with the North show the conduction of the coordinates of the Bedeni Rouge surface. For the ceramic production of the old-timber and Caucasian culture cultures. The same can be said about Tripoli and Catacombur, which, like the North-Eastern Caucasus ceramics, get closer to Bedeni, also the kettle shaped vessels, the reliefs of the reliefs on the shoulder and the other. But only this alone is not limited to relations with Europe. The undoubted sign is that Bedeni culture is connected with a clay surface, which is completely unknown to the Kura-Araxs and the Southern cultures. Instead, he drew deep roots in Dagestan, where such ceramics appeared in the later stage of the Bronze Age and demonstrates the strengthening of the influence of steppe cultures which had close ties to central and eastern Europe. Bedeni's gofferd, often spacious décor is also close to the ornament of a group of Tripoli place ceramics. Its mini-hills retain the line of Novosvobodnaia and the old pyramid-like gravestone closer to Bedeni and closely linked to the earthenware from Eastern and Central Europe. These peculiarities are chronologically preceded by the appearance of them in the Transcaucasia and

indicates that we are distant from the north side.

Many common signs of cultivation in the north and west of the Caucasus form the basis for linking Europe with the main function of Bedeni's formation. In the south, the lack of these peculiarities or the absence of Benedis's predisposition to the European world. It can be said that European influences in Eastern Georgia during the Bronze Age were never as strong as we can see during the early waves. Besides, it is evident on Bedeni that it's not only from one cultural center of Europe, but from different centers that generate the question where should the main process of its formation be carried out?

According to the existing opinion, at the end of the Bronze Age, the mighty cultural stream came from the North in the South Caucasus and participated in the formation of Bedeni, it should have been localized on the basis of the Kura-Arax culture of Shida Kartli, but this opinion is less convincing until the intermediate monuments depicting this process; Although some Kura-Arax elements are actually observed in Bedenic Ceramics.

It is also very necessary for you to imagine foundation of Bedeni in the local culture, because that in some Shida Kartli villages, Bedeni and Kura-Arax ceramics are continuously developing strategically on several horizons, even in the horizon, from where they start their coexistence Bedenic ceramics are presented in a very special way. Apparently, it has already gone through a lot of development. Signs that connect the beaded clay vessel to Europe could not have been born in Shida Kartli, Kura-Araxs area, for which he was completely unknown. These signs come together with Bedenian culture. But as far as the clay pottery contains the Mtkvari-Araxelements, it is believed that the process of its formation would be carried on the area, where the European and Kura-Arax ceramic traditions were collected. This is the North Caucasus.

It can be said that the beginnings of Bedeni culture in the ecosystem of Georgia in the area of European development. However, soon after the end of Bedenian culture ended, close ties with Europe and East Georgia returned to the Pre-Asian world.

Used literature:

E. Gogadze: Periodization and Genetics of Trialeti burial ground, Tbilisi, 1972

Z. Makharadze:Tsikhiagori's Kura-Araxian settlement, Tbilisi, 1994

A. Ordjonikidze : Some aspects of the formation of Bedeni culture 10 Tbilisi, 2014, 418-429

O. Djaparidze: Themes on interrelation of Caucasus with Pre-Asia, #20, 2011, 178-196.

M. Gadjiev: The early-agricultural culture of the North-Eastern Caucasus, Moscow, 1991

Gay A.: Novotitor culture, Moscow, 2000

Bedeni culture, Tab I-IV: by German Gobejisvili, Vakhtang Nikolaisvili, Zebede andVakhtang Shatberasvili

ჰეპოჰტაჟი გათხებიდან
ანუ
ვიჰტუალუჩი ჩახთვა ახქეოლოგიუჩი ჯვლევის პჰოცესში - გათხებამდე, გათხების დჰოს და მეცნიეთა ჯვლევის შედეგები - გათხების დინამიჯა ონლაინ ჰეჟიმში

ამჟამად ვიმყოფებით საქართველოს ყველაზე ზურმუხტისფერი მდინარის — ტეხურის ნაპირას, სოფელ ნოქალაქევში, იქ, სადაც ქართველებმა ქ.წ. III საუკუნის პირველ ნახევარში, ეგრისის ერისთავის, ქუჯის რეზიდენცია ააშენეს.

ნოქალაქევის ნაქალაქარზე, რომელიც ციხეგოჯად იწოდებოდა და კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთ უმსხვილეს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ-კულტურულ ცენტრად მოიაზრებოდა, 2017 წლის საველე-არქეოლოგიურ სეზონზე მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები, რომელსაც ნოქალაქევის საერთაშორისო ქართულ-ინგლისური ექსპედიცია აწარმოებს. ეს გახლავთ მულტიდისციპლინარულ კვლევებზე დამყარებული მულტიკულტურული ექსპედიცია თავისი ინდივიდუალური წარსულით, რომელმაც უდავოდ დიდი წვლილი შეიტანა, არა მხოლოდ სამეცნიერო სეგმენტის განვითარების, არამედ ზოგადად რეგიონის წინსვლის საქმეში. ანუ ის სამეცნიერო და, იმავდროულად, სოციალური პროექტია. შესაბამისად, ჩვენი რეპორტაჟიც ნოქალაქევის ნაქალაქარის გათხრებიდან უფრო მრავალმხრივი იქნება და მას წაიყვანენ არქეოლოგიის დოქტორები ნიკოლოზ მურღულია, პოლ ევერილი და ისტორიის დოქტორი ბესიკ ლორთქიფანიძე.

რეპორტაჟი №1

მიჰყავს ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური საერთაშორისო ექსპედიციის ხელმძღვანელს, არქეოლოგიის დოქტორს ნიკოლოზ მურღულიას:

2017 წლის გათხრებამდე

ნოქალაქევის ნაქალაქარზე 1973 წლიდან წარმატებით მუშაობს არქეოლოგიური ექსპედიცია, რომლის დამფუძნებელი პარმენ (ნაპო) ზაქარაია გახლავთ. 2001 წელს, პროფესორ დ. ლომიტაშვილისა და კემბრიჯის უნივერსიტეტში მოღვაწე ისტორიკოსის იან ქოლვინის შეთანხმებითა და თაოსნობით ამ ძველი ექსპედიციის ბაზაზე ჩამოყალიბდა ნოქალაქევის საერთაშორისო ქართულ-ინგლისური ექსპედიცია. ასე რომ ბოლო ჩვიდმეტი წელია ნოქალაქევის გათხრებში მონაწილეობენ კემბრიჯის, ოქსფორდის, ბრედფორდის, საუთჰემპტონისა და ვინჩესტერის უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები, არქეოლოგები, ისტორიკოსები და სტუდენტები. ჩვენი ექსპედიციის მთავარი მიზანი ყოველთვის იყო და არის არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევების წარმოება, არამედ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ანუ ჩვენ არ ვართ ორიენტირებული სენსაციებზე, ყოველი წლის დასაწყისში კონკრეტულ გეგმას ვადგენთ და იმ გეგმის მიხედვით ვმუშაობთ.

2017 წლის გათხრები

წელს ვიკვლევთ ორ უბანს — და თხრილებს, ორივე ძალიან საინტერესოა. ერთ მათგანზე მუშაობა დავიწყეთ შარშან და წელსაც ვაგრძელებთ. იქ იმთავითვე გამოჩნდა ელინისტური ხანის, ქ.წ. III-II საუკუნეების ნაგებობის ნაშთები. ძალიან საყურადღებო ნაგებობაა. სულ ცოტა ორ ტერასაზეა გაშენებული, ვფიქრობთ, რომ შეიძლება ჰქონდეს საფეხურებიც. გათხრების მიმდინარეობისას გამოვლინდა იმავე პერიოდის მეტად საინტერესო კერამიკული მასალა და ერთი საკმაოდ დაზიანებული, მაგრამ თანადროული სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა ინვენტარი — ძალიან ლამაზი მძივები და საკინძი. სამწუხაროდ, სამარხის ტიპი ვერ დგინდება, რადგან ძალიან დაზიანებულია. მნიშვნელოვანია ის, რომ ერთ სამარხში გამოვლინდა ორი თავის ქალა და ორი ხელის მტევანი, რამდენიმე მალის ძვალი, სხვა არაფერი. ეს უნდა იყოს საშუალო ფენის წარმომადგენლის სამარხი.

მეორე თხრილის შესწავლა წელს დავიწყეთ. ახლა იხსნება ზედაპირი — XX, XIX სს-ის ფენები. ამ მხრივ ნაკლებად საინტერესოა, თუმცა ზედაპირზევე, ერთ-ერთ ზედა ფენაში აღმოჩნდა VI საუკუნის მონეტა, რომელიც ეკუთვნის ბიზანტიის იმპერატორ ტიბერიუს მეორეს და 578-582 წწ. თარიღდება. მონეტა არ არის კულტურული ფენიდან, თუმცა, გამოვლინდა ნაქალაქარის ძალიან მნიშვნელოვან ადგილას, ჭიშკრის უბანში და თავისთავად

საინტერესო აღმოჩენაა. გარდა ამისა, უკვე გვაქვს სხვადასხვა პერიოდის ცალკეული ეგზემპლარები — შუა საუკუნეების, ელინისტური ეპოქის, უფრო ადრეული მასალაც, რომლებიც ახლა კვლევის საგანია და, რა თქმა უნდა, ექსპედიციის დასრულების შემდეგ, კამერალური სამუშაოების დროს, უფრო კარგად განისაზღვრება მათი რაობა და დანიშნულება.

ექსპედიცია, მუზეუმი და რეგიონი

როგორც აღვნიშნე, ექსპედიცია დაფუძნდა 1973 წელს, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბაზაზე და ის დღემდე ჯანაშიას მუზეუმის სამართალმემკვიდრის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო ჯგუფისგან შედგება, შესაბამისად, ნოქალაქევში აღმოჩენილი არტეფაქტების ნაწილი ინახება შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების დასავლეთ საქართველოს ფონდში, რომელიც სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმშია განთავსებული, ნაწილი კი ადგილობრივ, პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალში რჩება. ჩვენ ვეხმარებით ადგილობრივ მუზეუმს ფონდების შევსებაში ახალი არტეფაქტებით, ანუ ექსპედიცია ხელს უწყობს ადგილობრივი მუზეუმისა და ზოგადად რეგიონის განვითარებას.



უნდა აღინიშნოს, რომ 90-იანი

წლების კრიზისის შემდეგ, 2001 წელს ნოქალაქევის საერთაშორისო ქართულ-ინგლისური ექსპედიციის ამოქმედება ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო საქმე იყო. ექსპედიცია მთელი თავისი საკმაოდ მრავალრიცხოვანი შემადგენლობით (როგორც ქართველების ისე, უცხოელების) მინიმუმ 1 თვის განმავლობაში სახლობს სოფელ ნოქალაქევში და ეს არის ნამდვილი გამოცოცხლება არა მხოლოდ სოფლის, არამედ მთლიანად მუნიციპალიტეტის, რადგან საქმდება ადგილობრივი მუშახელი (როგორც ფიზიკურ სამუშაოებზე ისე, მზარეულების დონეზე), მოსახლეობა აქირავებს სახლებს, დიდი თანხები შედის ადგილობრივ ბაზარში, სადაც ყოველდღიურად ვყიდულობთ საკვებ პროდუქტს. მთელი ეს თანხები უკანგებით უბრუნდება რეგიონს და ხმარდება ქვეყნის განვითარებას. ამგვარი სამეცნიერო-სოციალური პროექტი, ცხადია, ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებასაც. სხვა რომ არაფერი ითქვას 2001 წლიდან დღემდე 200-ზე მეტმა უცხოელმა სტუდენტმა გაიარა პრაქტიკა ნოქალაქევის ნაქალაქარის გათხრებზე. ისინი ახლა ფაქტობროივად საქართველოს ელჩები არიან უცხოეთში, ავრცელებენ დადებით ინფორმაციას საქართველოსა და კონკრეტულად ამ ძეგლის შესახებ, რის შედეგადაც, ცხადია, ძეგლისა და რეგიონის ცნობადობა იზრდება.

რეპორტაჟი №2

მიჰყავს ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური საერთა-

შორისო ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილეს ისტორიის დოქტორს ბესო ლორთქიფანიძეს, რომელმაც "ონლაინ არქეოლოგიის" პოპულისტურ კითხვაზე — როგორ ფიქრობს არის თუ არა ნოქალაქევი ის მითიური ტერიტორია, სადაც იაზონმა, მედეამ და არგონავტებმა ოქროს საწმისი მოიპარეს? — კატეგორიულად გვიპასუხა, რომ ნოქალაქევის ნაქალაქარზე ყველაზე ძველი ფენები ქ.წ. მეგ- საუკუნის I ათასწლეულით თარიღდება და რომ მიუხედავად ლეგენდისა არგონავტებზე, მიუხედავად პოეტური მუზებისა და ა.შ. თუ ნაქალაქარზე არქეოლოგიურად არ დადასტურდება ქ.წ. II ათასწლეულის ფენები ყოველი მითი, ყოველი ლეგენდა და ყოველი მუზის შედევრი ლამაზი ზღაპარია მხოლოდ. მისი აზრით: "ლეგენდა ლეგენდაა, მითოლოგია მითოლოგია (სიმართლის მცირე დოზით), მაგრამ არქეოლოგია მეცნიერებაა ისე, როგორც ისტორია და მას ფანტაზიები არ უყვარს." თავად ბატონი ბესო ისტორიკოსი ბრძანდება და რეპორტაჟსაც გათხრებიდან ისტორიული რაკურსით გვთავაზობს:

2017 წლის გათხრებამდე

პირადად მე ნოქალაქევის ნაქალაქარზე 1981 წლიდან ვმუშაობ, იმთავითვე ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე ვიყავი და დღემდე იმავე პოზიციაზე ვარ. ჩემი სადისერტაციო თემა ძირითადად ნოქალაქევზე იყო აგებული. ნოქალაქევის ნაქალაქარი და ქართულ-ინგლისური საერთაშორისო ექსპედიცია მეცნიერის განვითარების უზარმაზარ პოტენციას შეიცავს.

საქმე ის არის, რომ თვითონ ნაქალაქარი უამრავ ინფორმაციას იძლევა იმ პერიოდის საქალაქო, სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების შესახებ, ისტორიისა და კულტურის ისტორიის შესახებ — ქ.წ. III საუკუნიდან — ქ.შ. VIII საუკუნემდე. ციხეგოჯი IV-VIII საუკუნეებში, დასავლეთ საქართველოს, ეგრისის სამეფოს

დედაქალაქი იყო. ჩვენს ისტორიულ წყაროებში წერია, რომ ნოქალაქევში არის ციხეგოჯი, რომელიც დააარსა ერისთავმა ქუჯიმ ქ.წ. III საუკუნეში. თუმცა, აქ იმ პერიოდის არქეოლოგიური ფენა უამრავია, ძალიან ბევრია ელინისტური ხანის ფენა და ნაგებობების კვალიც, თვითონ ციხეგოჯი, ქუჯის დროინდელი ციხე არ არის აღმოჩენილი (შესაძლოა, ხის არქიტექტურაც იყო მაგ პერიოდში), მაგრამ ეს ციხე ძალიან ხშირად იხსენიება, როგორც ქართულ ისე, ბიზანტიურ ისტორიულ წყაროებში. ბიზანტიურ წყაროებში არქეოპოლისის სახელით, ქართულ წყაროებში კი ციხეგოჯად. ამიტომ მისი არსებობა აქ მოსალოდნელია, თუმცა ესეც არქეოლოგიამ უნდა დაადასტუროს. წყარო შესაძლოა, მცდარი იყოს, მაგრამ არქეოლოგია არ ცდება არასდროს.

ზოგადად იკვეთება ამგვარი ჯაჭვი — ისტორია-არქეოლოგია, წყარო-არტეფაქტი. აი, ახლა პარალელურად მიმდინარეობს გათხრები სოფელ ხუნწში და მე, როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელს ხშირად მეკითხებიან არის თუ არა შესაძლებელი სოფ. ხუნწში აღმოჩენილი ციხე იყოს ონოგურისი და რა წყაროები იძლევა ამ ვარაუდის საშუალებას?

აქაც იგივე სიტუაციაა — ვარაუდის საშუალებას იძლევა ონოგურისის მდებარეობა, რომელიც მოხსენიებული აქვს აგათია სქოლასტიკოსს. იქ ჩანს, რომ ქუთაისთან და ნოქალაქევის მახლობ-

ლად, მდინარესთან, ანუ ზუსტად ცხენისწყლის ნაპირას, უნაგირა მთასთან არის ხუნწი. სიმონ ყაუხჩიშვილი ფიქრობდა, რომ უნაგირა მთიდან მომდინარეობს სახელი ონოგურისი. ამ მთის ბოლო კალთა ზუსტად ხუნწშია, ზუსტად იქ არის ციხეც. გარდა ამისა, თუ ახვალთ ამ ციხეზე და გადახედავთ არემარეს დაინახავთ, რომ ის მთლიანად აკონტროლებს ცხენისწყლის ხეობას. მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით მხოლოდ სამეცნიერო ვარაუდია. თუმცა, იმედი მაქვს, რომ არქეოლოგიური მასალა მოგვცემს ამ ვარაუდის დადასტურების საშუალებას. ჯერ მხოლოდ ერთი წელია, რაც გათხრები დავიწყეთ, ვნახოთ რას იტყვიან არტეფაქტები.

რეპორტაჟი №3 მიჰყავს ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური საერთაშორისო ექსპედიციის ინგლისური მხარის ხელმძღვანელს ვინჩესტერის უნივერსიტეტის პროფესორს პოლ ევერილს:

2017 წლის გათხრებამდე

საქართველო და ნოქალაქევი ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოს გახდა ცნობილი ბრიტანეთის სამეცნიერო წრეებისთვის. 1998-1999 წწ. ვანის სიმპოზიუმებს ესწრებოდა ისტორიკოსი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი იან კოლვინი, რომელმაც სიმპოზიუმზე გაიცნო არქეოლოგი დავით ლომიტაშვილი. სწორედ ბატონმა დავითმა უთხრა იანს, რომ არსებობს საქართველოში ისეთი არაჩვეულებრივი საიტი, როგორიც არის ნოქალაქევი და შესთავაზა ამ

საიტზე ერთად მუშაობა. იანმა ნახა ნაქალაქარი და ძალიან მოეწონა. როდესაც დაბრუნდა კემბრიჯში, თავის არქეოლოგ მეგობარ ნიკ არმოურს ესაუბრა ნოქალაქევის შესახებ. მათ მიიღეს გადაწყვეტილება და 2001 წელს სამუშაოდ ჩამოვიდნენ ნოქალაქევში, შეარჩიეს გასათხრელი ადგილები. პირველი ექსპედიცია მცირე შემადგენლობის იყო, მუშაობდნენ ძირითადად სტუდენტები. მე ნოქალაქევი ნიკმა გამაცნო (მასთან ვმუშაობდი), მან მიამბო ამ არაჩვეულებრივი ძეგლის შესახებ და ჩამოვედი, სხვათა შორის, თავდაპირველად სუპერვაიზერის პოზიცია მეკავა.

გათხრების მეთოდიკა

პირველი გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ნაქალაქარის სტრატიგრაფია იმდენად დახუნძლული იყო, იმდენად დატვირთული ურბანულად, გრძელდებოდა სიღრმეზე, რომ ბრიტანულ მეთოდიკას აქ სრული დატვირთვით ვერ გამოვიყენებდით. შესაბამისად, ვიმუშავეთ და ახლაც ვმუშაობთ ქართულ ლანდშაფტზე მორგებული ბრიტანული მეთოდიკით. საერთოდ მუშაობისას, არა მხოლოდ ნოქალაქევში, არამედ ყველგან, მეთოდიკა ძალიან მნიშვნელოვანია. ბრიტანეთში არსებობს გათხრების მეთოდიკის წიგნი, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმის სამა-



გიდო წიგნია — მოლასი (ოლას). ის ქართულად პირველად დავით ლომიტაშვილმა თარგმნა. ეს გამოცემა იყო განკუთვნილი გამოცდილი არქეოლოგებისთვის. ახლა მიმდინარეობს მუშაობა ახალ წიგნზე, რომელიც მკითხველთა უფრო ფართო წრეს მოიცავს, მათ შორის, სტუდენტებს. მოლასის ახალი გამოცემა ითვალისწინებს რეგიონულ თავისებურებებსაც და კომპლექსურ, ურბანულ ძეგლებზე მორგებულ მუშაობის მეთოდიკას.

სუპერვაი ზერობიდან ექსპედიციის ხელმძღვანელობამდე

2004 წელს ნიკ არმოურმა, რომელიც ექსპედიციის თანახელმძღვანელი იყო, ვერ მოახერხა აქ წამოსვლა. სტუდენტების მოზიდვა და ექსპედიციის ხელმძღვანელობა იანმა იტვირთა. მე ჯერ მას ვეხმარებოდი, შემდეგ ნელ-ნელა ინდივიდუალურად დავიწყე სტუდენტების ჩამოყვანა. ნოქალაქევის გარეშე უკვე ისედაც ძალიან გამიჭირდებოდა ცხოვრება. საკუთარ მოვალეობად ვთვლიდი სტუდენტებისთვის გამეცნო საქარ-

თველო და აქ ჩამომეყვანა ისინი ყოველწლიურად ერთი თვით. 2002 წელს, სწორედ იმ წელს, როდესაც ნოქალაქევში სუპერვაიზერად ჩამოვედი, დოქტორანტურაში ჩავაბარე და ვინჩესტერის უნივერსიტეტის პროფესორის წოდება მივიღე. 2013 წლიდან უკვე ექსპედიციის ინგლისური მხარის ხელმძღვანელი ვარ.

ნოქალაქევი — მასთან დაკავშირებული სტატიები, პრეზენტაციები ზვავის პრინციპად აისახა ჩემს კარიერაზე, თითქოს თოვლის ბურთულა აგორდა და გაიზარდა. ანუ, ძალიან შემიწყო ხელი ვინჩესტერის უნივერსიტეტში კარიერულ წინსვლაში. ბრიტანეთში დიდ ანგარიშს უწევენ მეცნიერებს, რომლებიც ჩართული არიან საერთაშორისო პროექტებში. ნოქალაქევი ჩემი მოღვაწეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროექტია.

2017 წლის გათხრები

წლევანდელი ექსპედიცია ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ამ ეტაპზე აღმოჩენები გვაქვს თხრილიდან, რომელიც შარშან გავხსენით და გავაფართოვეთ. აქ არის საკმაოდ დიდი ელინისტური ნაგებობა, ელინისტური ნაგებობები სხვა თხრილებზეც დადგინდა, თუმცა ასეთი დიდი არ სად გვაქვს. წელს ჭიშკართან გაიხსნა თხრილი. ახალი თხრილი ყოველთვის საინტერესოა, რადგან ბევრ სიახლეს ინახავს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ნოქალაქევს მრავალი ახალი აღმოჩენა ელის.

Reportage from excavations

i.e.

Virtual involvement in the archaeological survey process- before excavations, during excavations and theresults of scientists' research - Dynamics of the excavation in online regime

We are currently in the village of Nokalakevi, at the bank of the River Tekhura, the most emerald river of Georgia, in Noqalaqevi Village, where Georgians built the residence in the first half of the third centuryAD for Quji, the feudal Lord of Egrisi.

On Nokalakevi's former settlement, which was called as Tsikhegoji and was considered as one of the largest political-administrative and cultural centers in the Kingdom of Colchis, archaeological excavations are underway in 2017 field-archaeological season, which is being conducted by Nokalakeiv's international Georgian-English expedition. This is a multicultural expedition based on multidisciplinary researches with its individual past, which has undoubtedly contributed not only to the development of the scientific segment but in the overall development of the region. I.e. that is scientific and, at the same time, a social project. Accordingly, our reportage will be more versatile from the excavations at Nokalakevi former settlement and it will be led by the doctors of archeology Nikoloz Murghulia, Paul Everili and Besik Lortkipanidze, Dr. of History.

Reportage №1

It is led by Nikoloz Murghulia, Doctor of Archeology, head of Nokalakevi Georgian-English International Expedition.

Before the excavations of 2017

Archaeological expedition has been successfully working since 1973 at the Nokalakevi settlement, the founder of which is Parmen (Napo) Zakaraia. In 2001, Nokalakevi international Georgian-English expedition was established on the base of this ancient expedition with the agreement and initiative by D. Lomitashvili and the historian Jan Kolvin atCambridge University. So the professor-teachers, archaeologists, historians and students of Cambridge, Oxford, Bradford, Sauthempton and Winchester Universities has been participating in the excavations of Nakalakevi for the last seventeen years. The main goal of our expedition always was and is to conduct not only scientific studies but also to carry out educational programs, i.e. we are not focused on sensations, we make a specific plan at the beginning of each year and work according to the plan.

Excavations in 2017

This year we are studying two precincts - F and G ditches, both are very interesting. We started work on one of them last year and we are still continuing it this year. The ruins of Hellenistic Age Building of III-II BC centuries were found there from the outset. It is a very important building. It is built at least on two terraces are, we think that it may have a steps. Increasingly interesting ceramic material of the same period were found during the excavation as well as one quite damaged but contemporary burial in which the inventory was found - very beautiful beads and studs.Unfortunately, it is not possible to determine the type of the burial because it is greatly damaged. It is important that two skulls and two hands, some vertebra bones were observed in one tomb, nothing else. This could be the burial ground of the middle

class.

We started studying the second dich this year. Now the surface of the XX, XIX cc is being opened. It is less interesting in this regard though a coin of VI century was foundon the surface, on one of the upper layers of it, which belongs to Byzantine Emperor Tiberius II and is dated 578-582 years. The coin is not from a cultural class, but it is revealed at a very important location of the city, in the precinctof the gate and is an interesting discovery in its part. In addition, there are already separate copies of different periods of time - medieval, Hellenistic epoch, and even the earliest material, which is now the subject of research and, of course, their essence and purpose will be better determined after finishing the expedition, during camera works.

Expedition, Museum and Region

As I pointed, the expedition was established in 1973 on the base of Simon Janashia State Museum of Georgia and is still composed of janashia museum's legal successor, Georgian National Museum's scientific group. Accordingly, some of the artefacts found in Nokalakevi are kept in the stocks of East Georgia of medieval archaeological collection, which is located in Simon Janashia's Georgian Museum, some of them are kept in the local Parmen Zakaraia Museum-Reserve of Nukalakevi. We help local museums withexpandingnew artefactsin the stock i.e. expedition promotes the development of local museum and the region in general.

It should be noted that after the crisis in the 90s, the launch of Nokalakeev's international Georgian-English expedition in 2001 was very important and necessary. The expedition with

its quite many staff (both Georgians and foreigners) lives in the village of Nokalakevi for at least 1 month and it is a real revival not only of the village but also of whole municipality, because the local manpower (both for physical work and cooks' level) are employed, inhabitants rent out houses,great amount of money goes to the local market, where we buy food productsevery day. All these funds are returned back to the region and are used for development of the country. Such a scientific-social project, obviously, promotes tourism development. If nothing else is said, more than 200 foreign students had practical works at Nokalakevi's former settlement excavationssince 2001. Actually, they are now ambassadors of Georgia abroad, spreading positive information about Georgia and specifically about this monument due to which, obviously, the awareness of the monument and region increases.

* * *

Reportage №2 is led by Dr. Besot Lortkipanidze, the deputy head of the Georgian-English International Expedition of Nokalakevi, who categorically replied to the populist question of "online archeology" - how do you think Nokalakevi is a mythical area where Iazon, Medea and Argonauts have stolen golden fleece – that the oldest layers on Nokalakevi's former settlement are dated in I millennium of the 8th century BC and despite the legend of Argonauts, regardless of poetic muse and etc. if the layers ofmillennium II, BC are not confirmed archaeologically at the former settlement every myth, every legend and every muse masterpiece is a beautiful fairy tale. According to him: "Legend is legend, mythology is mythology (with a small dose of truth), but archeology is a science like a history and it does not like fan-

tasies." Mr. Beso is a historian himself and offers us the reportage from historical foreshortening**:**

Before the excavations of 2017

Personally, I have been workin at Nokalakeev's former settlement since 1981, I was the deputy head of the expedition from the outset and I am still in the same position. My dissertation theme was mainly built on Nokalakevi. The former settlement of Nokalakevi and the Georgian-English International Expedition have a tremendous potential for development of scientist.

The thing is that the city itself provides a lot of information about the city's urban, socio-political and economic life, history of history and culture - from III BC century – to VIII AD century. Tsikhegji was the capital of the kingdom of Egrisi in western Georgia, in IV-VIII centuries. It is written in our historical sources that Tsikoghiji is Nokalakevi which was founded by Kuji, feudal lord in III BC century. However, there are a lot of archeological layers of that period, there are many layers of Hellenistic periods and the marks of the buildings, the Tsikhegiji itself, the castle in the period of kuji is not found (perhaps there was the an architecture of wood in this period), but this fortress is often referred in the Georgian and Byzantine historical sources. In the Byzantine sources it is named as Archaeopolis, in Georgian sources as a Tsikhegoji. Therefore, its existence is expected here, but it shall be confirmed by archaeology as well. The source may be false, but archeology is never mistaken.

In general, such chain - history-archeology, source-artefact- is outlined. Now, the excavations are carried out in Khuntsi village and I, as the head of the expedition are often asked if it is

possible that the fortress found in the village is Onoguris and which sources enables us to have this assumption.

Here is the same situation - the location of Onogurisi mentioned by Agatia Scholastic allows us to have such assumption. It is shown there that there is Khuntsi near Kutaisi and Nokalakevi, by the river, i.e. exactly at the bank of Tskhenistskali, by Unagira Mountain. Simon Kaukhchishvili thought that the name of Onogurisi is derived from Unagira Mountain. The last skirt of this mountain is exactly in Khuntsi, the fortress is exactly there too. In addition, if you go to this fortress and look down the area from it you will see that it is completely controls the Tskhenistskali Ravine. But this is only a scientific assumption. However, I hope that archeological material will allow us to confirm this assumption. It is just a year we have started excavations, let's see what the artefacts will say.

Reportage №3 led by Paul Everil, the Professor of the University of Winchester, theEnglish side head of Nokalakevi's Georgian-English International Expedition:

Before the excavations of 2017

Georgia and Nokalakevi became known for the British scientific circles at the end of the 90s. Yan Colvin, historian, professor of Cambridge Universityattended the symposiums of VAniduring 1998-1999, who met the archaeologist David Lomitashvili at the symposium. Exactly Mr. David told Yan that there is a wonderful site in Georgia such as Nokalakevi and offered him to work together on this site. Yan has seen the city and liked it very much. When he returned to Cambridge, he talked to his archaeologist friend Nick Armoursabout Nokalakevi. They made a decision and went to work in Nokalakeev in

2001. They selected the places for excavations. The first expedition consisted of few members, mainly students were working. Nick introduced Nokalakevi to me (I was working with him), he told me about this remarkable monument and I have arrived, by the way I initially was assigned as a supervisor.

Excavation methods

The first excavation revealed that the Stratigraphy of the town was so loaded, so urbanely busy, continued in depth that the British method could not be used here in full load. Therefore, we have worked and are now working with the British method adapted to the Georgian landscape. In fact, the method is very important while working not only in Nokalakevi but everywhere. In Britain there is a book of excavation, which is a desk book of the British Museum - Molas. David Lomitashvili translated it for the first time into Georgian. This edition was intended for experienced archaeologists. Now we are working on a new book that covers a wide range of readers, including students. The new edition of the Molas envisages regional peculiarities as well and the methods adapted to working on complex, urban monuments.

From supervisor to the head of expedition

In 2004, Nick Armor, who was the co-leader of the expedition, could not manage to get here. Yan has took the responsibility of attracting students and leading the expedition. I helped him first, and then Igradually started to bring the students individually. It would be difficult for me to live without Nokalakevi. I considered that it was my obligation to get students acquainted with Georgia and bring them here every year for one month. In 2002, when I arrived in Nokalakevi as a supervisor,

Ibecame a PhD student and got a rank of professor at the University of Winchester. I have been the head of the expedition of English side since 2013.

Nokalakeev - articles related to it, presentations reflected as avalanche principle on my career as if the snowball rolled up and grew. That is to say, it helped me greatlyto advance my career at the Winchester University. In the United Kingdom, scientists engaged in international projects are greatly respected. Nokalakeev is one of my biggest projects.

Excavations in 2017

This year's expedition was one of the best. At this stage we have the findings from the Ditch F, which we opened and expandedlast year. There is a quite big Hellenistic structure here, the Hellenistic structures have been discovered on other ditches, but we don't have such a big one anywhere. TheDitch G was opened at the gate this year. A new ditch is always interesting because it keeps a lot of novelties. I am sure that Nokalakevi will have many new discoveries.

თვალსაზრისი

ვინ არის ადამიანი ჯრუჭულის მღვიმიდან?

საიდან მოვდივართ ადამიანები? რომელი წარსულიდან? ვინ და როგორები იყვნენ ჩვენი წინაპრები?.. სწორედ ამ და სხვა მსგავს კითხვებზე, რომლებიც მუდმივად აწუხებს კაცობრიობას, პასუხების ძიებაა სამყაროს პროგრესისა და მეცნიერების განვითარების საფუძველი.

საინტერესოა, არის თუ არა საჭირო საქართველოში, ზემო იმერეთის ჯრუჭულის მღვიმეში აღმოჩენილი ნეანდერტალელის ნაშთის გენეტიკური კვლევა იმის დასადგენად, თუ როგორი იყო რეალურად ადამიანთა ის მოდგმა, რომელმაც 300 000 *წლის წინ ისეთი მცირე ქანდაკებები შექმნა, რომლებსაც ჯერჯერობით ბადალი არ ჰყავს იმ ეპოქისა და კულტურის სამყაროში?*

ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, არქეოლოგი ნიკა თუშაბრამიშვილი გთავაზობთ საკუთარ თვალსაზრისს იმის თაობაზე თუ - ვინ არის ადამიანი ჯრუჭულის მღვიმიდან?

ჯრუჭულის მღვიმე პალეოლითური ეპოქის ერთ-ერთი იმ ძეგლთაგანია, რომელიც ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან, არა მარტო საქართველოსა და ყოფილი სსრკ-ის, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო წრეების უდიდეს ინტერესს იწვევდა.

ინფორმაცია ამ ძეგლის შესახებ ქვეყნდებოდა მისი აღმოჩენისთანავე და ქვეყნდება დღესაც, რაც მთავარია, იგი მუდმივად პალეოლითურ ძეგლად მოიაზრებოდა, ჯრუჭულაზე აღმოჩენილ ქვის ინდუსტრიასთან, მის თარიღთან, ადამიანის ნაშთთან და სხვა არტეფაქტებთან დაკავშირებით მუდამ სხვადასხვა აზრი არსებობდა.

ძეგლის აღმოჩენის ისტორია:

ჯრუჭულის მღვიმე მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვ. ზოდის ტერიტორიაზე, მდ. ყვირილის მარჯვენა შენაკადის, მდინარე ჯრუჭულის მარჯვენა ნაპირზე, მდინარის დონიდან 35 მ სიმაღლეზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 600 მ-ის სიმაღლეზე.

მღვიმე 1957 წელს აღმოაჩინა რიონ-ყვირილის აუზის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დავით თუშაბრამიშვილის ხელმძღვანელობით. ექსპედიცია ძეგლს იკვლევდა 8 წლის განმავლობაში (1958-1966 წწ.); ჯრუჭულაზე გარკვეული ტიპის სამუშაოები განხორციელდა 1998-1999, 2017 წლებშიც (რიონ-ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღ. ნიკა თუშაბრამიშვილი).

კვლევების დროს ჯრუჭულის მღვიმეში გამოვლინდა 18 ლითოლოგიური ფენა (ჰუმუსოვანი ფენის ჩათვლით). ეს 18 ლითოლოგიური, გეოლოგიური ფენა გაერთიანდა ორ შუა პალეოლითურ ფენად (იმდროინდელი ტრადიციული განსაზღვრებით, 2 მუსტიერ ფენად).

თვალსაზრისი

დავით თუშაბრამიშვილმა ჯრუჭულის მღვიმე, მასალისა და ფაუნისტური ნაშთების საფუძველზე იმთავითვე განსაზღვრა ორი განსხვავებული ფუნქციის ფენების შემცველ ძეგლად. მე-2 მუსტიეური ფენა იყო ნეანდერტალელთა ინტენსიური, ხანგრძლივი, საცხოვრებელი, 1 მუსტიეური ფენა კი, მათივე დროებითი სადგომი, ანუ მონადირეთა დროებითი, ან სეზონური ბანაკი. აქ აღმოჩენილია პალეოლითის ეპოქის ნივთები და მდიდარი პალეონტოლოგიური მასალა. დ. თუშაბრამიშვილმა, იმდროინდელი კრიტერიუმების საფუძველზე ქრონოლოგიურად და ტექნოლოგიურად (ლამელების დიდი რაოდენობა, ლევალუაზური ტექნოლოგიის ინდექსის მაღალი მაჩვენებელი) ძეგლი მიაკუთვნა მუსტიეს განვითარებულ და გვიანდელ საფეხურს, რომელიც ტექნოლოგიურად მიეკუთვნებოდა მუსტიეს ტიპურ ლამელარულ, ლევალუას ფაციას, ხოლო გეოლოგიურად ვიურმის პირველ ეტაპს, რომელიც დაახლოებით 115 000 წლიდან დაიწყო (საქართველოს არქეოლოგია, ტ 1, 1991, გვ. 247).

აქვე აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ 1961 წელს მღვიმის მე-2 ფენაში აღმოჩნდა ადამიანის კბილი, რომელიც განისაზღვრა, როგორც ნეანდერტალელის, იმ დროისთვის ცნობილი პროგრესული ფორმა - „პალესტინელი ადამიანი“ (Габуния, Тушабрамишвили, Векуа. 1961).

ჩვენს მოგვიანო კვლევებში, კბილის მორფოლოგიური შესწავლის შედეგად, ჯრუჭულის ადამიანი ნეანდერტალელად განვსაზღვრეთ (Л. К. Габуния, А.К.Векуа, Д. О.Лордкипанидзе, М.Г. Ниорадзе Н.Д. Тушабрамишвили. Палеоантропы Грузии. Археология Кавказа, 4, стр. 148-162).

რაც შეეხება ფაუნისტურ მასალას, იგი წარმოდგენილია მღვიმური დათვებით, მერკის ტიპის მარტორქით, გიგანტური და კეთილშობილი ირმებით, დომბით, აღმოსავლურ კავკასიური ჯიხვებით (თუ თხებით) და სხვ.

თვალსაზრისი

მოგვიანებით, ქვის მასალის ხელახლა შესწავლის შედეგად (მასალა შეისწავლეს ცნობილმა ფრანგმა სპეციალისტმა ლილიან მეინენმა და პროფ. ნიკა თუშაბრამიშვილმა) ქვის ინდუსტრია განისაზღვრა ლევანტის მსგავს "ლევალუა-მუსტიეურ" კულტურად, რომელსაც გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ლევანტის პალეოლითში.

აღნიშნული მასალის კარგად გაცნობამ განაპირობა სურვილი და აუცილებლობა იმისა, რომ ხელახლა გადაგვეხედა საქართველოს ზემოთ აღნიშნული ძეგლების მასალებისა და წინასწარული თარიღებისთვის, გაგვევლო მათთან პარალელები.

ლევანტის მუსტიეში გამოყოფილია შემდეგი კულტურული ჯგუფები:

1) "ტაბუნი-D ტიპი" - ამ ჯგუფს ახასიათებს ანატკეცები, ლამელები და წაგრძელებული წვეტანები, რომლებიც ატკეცილია უნიპოლარული, კონვერგენტული ნუკლეუსებიდან. ამ ნამზადების დარტყმის მოედნები დამუშავებულია მინიმალურად; წაგრძელებული, რეტუშირებული წვეტანები, დიდი რაოდენობით ლამელები, სახოკები და საჭრისები ჭარბობს იარაღთა სხვა ტიპებს. მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ბიფასები (შეიძლება შერეულია ტაბუნი C ფენიდან). ამ ტიპის ძეგლებს ეკუთვნის ტაბუნი-D, აბუ-სიფი, საჰბა, რომ ეან მორი, ნაჰალ აგევი, ჯეფრ აილა, დუარას IV ფენა 11.

2) "ტაბუნი-C ტიპი" - ნამზადები უფრო ხშირად ოვალურია; ანატკეცები დიდი ზომისაა. ისინი მიღებულია "ხაზოვანი" ლევალუაზური ტექნიკით, რადიალური ატკეცვის მეშვეობით. ჯგუფში მცირე რაოდენობითაა სამკუთხა წვეტანები. ასეთი ინდუსტრია დადგენილია კაფზეხში, სხულში, ნაამეში და სხვ.

3) "ტაბუნი '-B ტიპი" - ამ ჯგუფისთვის დამახასიათებელია: ნამზადები, ატკეცილი უნიპოლარული, ლევალუაზური ნუკლეუსებიდან; მინიმალური რადიალური ატკეცვა: ფართოფუძიანი, უმეტესად მოკლე, თხელი ანატკეცები, ე.წ. "ჟანდარმის ქუდიანი" დარტყმის მოედნებით; მცირე რაოდენობით ლამელები, რომლებიც მიღებუ-

ლია “პერიოდული” მეთოდით. ამ ინდუსტრიას ეკუთვნის: ქებარას VI- XII ფენები, ტორ-ფარაჯი, ტორ-საბიჰა, ქსარ-აკილის XVIII ფენა და, შესაძლოა, დედერიეჰი.

ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს ის, რომ ჯრუჭულის ინდუსტრია მთლიანად ლევანტის შუა პალეოლითის ანალოგიურია, რადგან, აქ გვაქვს ყველა ის კომპონენტი, რომლებიც აღნიშნულია ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯრუჭულის ინდუსტრია გარკვეული ნიშნებით (ნახევრად-ორმხრივი დამუშავება) ჩრდ. კავკასიურ და რუსეთის ველის ინდუსტრიებსაც ჰგავს. სწორედ ეს არის ჯრუჭულა-კუდაროს ჯგუფის ძეგლების უნიკალურობის არსის ერთ-ერთი ნიშანი (მონსელი და სხვ.).

ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ერთი ფაქტი - ***ქებარასა და სხულის ნაშთების ბოლო დროინდელი გენეტიკური კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ „პალესტინელი ადამიანი“, ანუ, ე.წ. „პროგრესული ნეანდერტალელი“ არ არის ნეანდერტალელი. ის ანატომიურად თანამედროვე ადამიანი, ანუ ჰომო საპიენს საპიენსია.*** გარდა იმისა, რომ ჯრუჭულის ინდუსტრია მსგავსია ლევანტისა და კერძოდ, ქებარას ქვის ინდუსტრიისა, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჯრუჭულა დათარიღდა 274/250 000 – 130 000 წწ-ით (თერმოლუმინენსენციის მეთოდით). ახალი გამოკვლევების მიხედვით, ლევანტელი *ჰომო საპიენს საპიენსის* ასაკი (ქესემის მღვიმე) 300 000 წ-ია. ჯრუჭულის მღვიმის ორივე ფენაში აღმოჩენილია ხელოვნების მცირე, იშვიათი სინატიფით დამუშავებული ფორმები (მცირე ზომის ქანდაკებები), რომლებიც ორივე შუა პალეოლითურ ფენაშია აღმოჩენილი. ერთი მათგანი (გამოვლენილი მეორე ფენაში) ჯიხვის (?) ქანდაკებაა, მეორე კი თევზის, ან ქალის (პირველყოფილი ვენერა?) გამოსახულებაა.

მართალია, ხელოვნების მცირე ფორმების არსებობა უკვე დადასტურებულია, როგორც შუა ისე, ქვედა პალეოლითში, მაგრამ ამ ეპოქის ***ასეთი სრულყოფილი და დახვეწილი ფორმების ქანდა-***

თვალსაზრისი

კებები, როგორიც ჯრუჭულაშია, ჩვენთვის უცნობია.

ლოგიკურად ჩნდება კითხვა - ***ხომ არ მიეკუთვნება ეს ქანდაკებები ჰომო საპიენს საპიენსს?*** ანუ, ხომ არ მიეკუთვნება „პალესტინელ ადამიანს“, რომელიც ადრე განიხილებოდა როგორც „პალესტინელი, პროგრესული ნეანდერტალელი“, მაგრამ დღეს ანატომიურად თანამედროვე ადამიანად მოიაზრება?

?სულ ცოტა ხნის წინ საერთაშორისო სამეცნიერო ჯგუფთან ერთად ჯრუჭულის ორივე კულტურული ფენიდან ავიღეთ სინჯები გენეტიკური ანალიზისთვის უახლესი, თანამედროვე მეთოდებით კვლევისთვის (ეს მეთოდი გულისხმობს დნმ-ის მოძიებას უშუალოდ ძვლის აღმოჩენის გარეშე. შედეგებს ველით უახლოეს მომავალში), ***შესაბამისად, ვფიქრობთ რომ აუცილებელია ჯრუჭულის „ნეანდერტალელის“ ნაშთის ხელახალი, ახლა უკვე გენეტიკური კვლევა დადგენა იმისა, თუ რომელ სახეობას ეკუთვნოდა ასეთი დახვეწილი ხელოვნებისკენ მიდრეკილი და უნარ-ჩვევების მფლობელი ადამიანი?***

თვალსაზრისი





თვალსაზრისი







Who is the man from Djruchula cave?

Where do people come from? From which past? Who were our ancestors and what did they look like?.. Finding answers to these and other similar questions that constantly disturb mankind is the basis of the world progress and science development.
It is interesting, whether there is a need for a genetic study of Neanderthal remains discovered in Djruchula cave, Zemo Imereti, Georgia, in order to find out how a human being, who created such small sculptures 300, 000 years ago, which have no equal in that epoch and culture, actually looked like? Professor of Ilia University, arceologist Nika Tushabramishvili provides his opinion on -who the man from Djruchula cave is.

Djruchula cave is one of those monuments from Palaeolithic period, which was in the great interest of not only Georgian or former Soviet Union scientists, but also of international scientific circles since 60s of the 20th century.

Information about this monument was published immediately after its disovery and it is being published even today. That is the most important, it was always percieved as a paleolithic monument. There were always a different opinions about the stone industry, human remains and other artefacts

180

discovered in Djruchula cave.

Djruchula cave is one of those monuments from Palaeolithic period, which was in the great interest of not only Georgian or former Soviet Union scientists, but also of international scientific circles since 60s of the 20th century.

Information about this monument was published immediately after its disovery and it is being published even today. That is the most important, it was always percieved as a paleolithic monument. There were always a different opinions about the stone industry, human remains and other artefacts discovered in Djruchula cave.

History of discovery of the monument

Djruchula cave is located in the territory of Qv. Zodi Village, Chiatura Municipality, on the right bank of the Djruchula River, which is the right tributary of the Kvirila River, at a height of about 35m above the river level and 600 m above the sea level.

The cave was discovered by Rion-Kvirila`s archeological expedition under the guidance of Davit Tushabramishvili in 1957. The expedition had been studed the monument during 8 years (1958-1966); a certain tipe of works were conducted on Djruchula by archeological expedition in 1998-1999 and 2017 (leaded by Nika Tushabramishvili).

As a result of the research, 18 lithological layers (including the topsoil) were found in the cave. These 18 lithological and geological layers were united as two Middle Palaeolithic layers (2 Mousterian layers – as a traditional definition of that time).

Based on the material and fauna remainings, Davit Tusharamishvili defined Djruchula cave as a monumet containing layers with two distinct functions from then on. The second Mousterian layer was Neanderthal's intensive, long term inhabitancy, the first layer was their temporary shelter, i.e. hunters' temporary or seasonal camp. Items from the Palaeolithic period and rich paleontological materials were found here. Based on the criteria of that time, D. Tushabramishvili chronologically and technologically (large number of lamellas, the high index of Levallois technique) defined it as a monument of Mousterian developed and late stage, which was technically attributed to the Mousterian typical lamellar, the Levallois phase, and geologically – the first phase, which had been started since about 115,000 (Georgian Archaeology, vol. 1, 1991, p. 247)

It is also noteworthy that in 1961, human teeth was discovered in the second layer of the cave, which was defined as Neanderthal, the progressive form of that time known as "Palestinian Man"

(Габуния, Тушабрамишвили, Векуа. 1961).

In our late studies, as a result of morphological study of the teeth, we identified the man from Djruchula as Neanderthal (**Л. К. Габуния, А. К. Векуа, Д. О. Лордкипанидзе, М. Г. Ниорадзе, Н. Д. Тушабрамишвили. Палеоантропы Грузии. Археология Кавказа, 4, стр. 148-162).**

As for the fauna materials, it is represented with cave bears, merk type rhinoceros, giant and red deers, European bisons, East Caucasian aurochs (or goats) and others.

Later, as a result of restuding the stone materials (materials

were studied by French spesialist Lilian Meinen and Professor Nika Tushabramishvili) the stone industry was defined as a "Levallois - Mousterian" culture, which was a dominant in Paleolithic period of Levant.

Well awarness of this material has stipulated desire and necessity of re-examining above-mentioned Georgian monument`s materials and tentative dates and drow a parallel between them.

The following cultural groups are included in Levant`s Musterian culture:

1) "Tabun D type" – this group is characterized by: flakes, lamellas, elongated points, which are cracked from unipolar, convergent nucleus. The hitting acreages of these items are minimally processed; Elongated, retouched points, large number of lamellas, scrapers and cutting tools are excessive than other type of tools. Choppers are presented in small quantities (can be mixed with Tabun from C layer). These types of monuments include: Tabun D, Abu-Siph, Sahba, Rom Ean Moore, Nahal Aghiv, Jeff Aila, IV layer of Duara 11.

2) "Tabun C type~ - the items are often oval, flakes are large and they are derived by "linear" Levallois technique, through radial flaking. There is a small number of triangular points represented in the group. This kind of industry is identified in Kaphkhesi, Skhuli, Naame and so on.

3) "Tabun B type" – the characteristics of this group are: workpieces from the flaked, unipolar, Levallois nucleus; minimal radial flaking: with large base, mostly short, thin flakes so called "gendarme`s hat" with hitting acreages; a

small number of lamellas, that are obtained through the periodical method. This industry includes: VI- XII layers of Kebara, Tor-Pharaji, Tor-Sabiha, XVIII layer of Ksar-akili and possibly Dederiehey.

It follows from this discussion that Djruchula industry is entirely similar to Levant`s Middle Paleolithic period, because here are all the components which are mentioned in above groups.

It should be noted that Drujula industry`s some signs (half-bilateral processing) has similarities with north Caucasian and Russian industries. This is one of the signs (Monsel and others) of uniqueness of Drujula-Kudaro monuments group.

The most important fact for us is that – ***as a result of the recent genetic studies of Kebara and Skhuli`s remains was found out that the "Palestinian man" or so-called "progressive Neanderthal" is not Neanderthal. Anatomically it is a modern man, i.e. Homo Sapiens's sapiens.***

Besides the fact, that Djruchula industry is similar to Levant, and in particular Kebara stone industry, it is interesting to note, that Djruchula was dated 274/250,000 – 130,000 (by thermo luminescence method). According to new research, the age of Levantine Homo Sapience is 300,000 (Kesemi cave). Small forms of art, processed with rare refinement (small size sculptures) that are found in both Palaeolithic layers, were discovered in the both layers of Djruchuli cave. One of them (discovered in the second layer) is a sculpture of aurochs (?), the second one is portrayal of a fish or a women

(primitive Venus?)

Although the existance of small forms of art is already confirmed in the middle and lower paleolithic (lit.) period, ***but the perfect and sophisticated forms of sculptures of that epoch, which was found in Druhula, is unknown to us.***

Logically the question arises – ***whether these sculptures belongs to Homo sapienes sapience*** or do they belong to "Palestinian Man", which was previously considered as "Palestinian, progressive Neanderthal", but today is considered as ananomically modern man?

Consequently, we think that it is necessery to re-conduct genetic research of Djruchuli "Neanderthal" remains to determine, which group included such a sophisticated art skilled person, creating such small statues, having no equals in that period of cultural world.

ნაომარი გორა

კოტე ფიცხელაური

XX საუკუნის დასასრულს, საქართველოს არქეოლოგიის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი გარეჯის მრავალმთაში კავკასიის უძველესი ცივილიზაციის, ქ.წ. XIV-VIII საუკუნეების ქალაქური ტიპის დასახლებების აღმოჩენა იყო. მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, კომუნისტების მმართველობის პერიოდში, სამხედრო მიზნებით გადაფრენების დროს წარმოებული აეროგადაღებების შედეგად შემორჩა ნეგატივები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ძველი ნეგატივები გამომზეურდა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა. სწორედ მათი დეშიფრირების შედეგად გამოიკვეთა უდაბნოს ნაქალაქარის კონტურები. ნაქალაქარი მდებარეობს საგარეჯოდან 18 კმ-ის სიშორეზე, მის სამხრეთით, დავით გარეჯის ადრეული შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსებისკენ მიმავალი ასფალტირებული გზის მე-17 კილომეტრზე, გზიდან 2 კმ-ის მანძილზე, მთის თხემსა და ფერდობებზე (ზღვის დონიდან 900-970 მ).

ცენტრალური ნაქალაქარის სიგრძე 1 კმ-ია, ციტადელს აქვს თავდაცვითი კედელი, სამხრეთ-დასავლეთით შეინიშნება წყალმომარაგების სისტემის ნიშნები, შესაძლოა, იყოს საიდუმლო გვირაბიც. ნაქალაქარის გარშემო 5 ასეთივე დასახლებაა. ნამოსახლარები მასშტაბით ნაქალაქარზე პატარაა, მაგრამ ისინი არა ნაკლებ შთამბეჭდავი უნდა იყოს.

ნეგატივების დეშიფრირების შემდეგ დავუკავშირდით გერმანიაში ტიუბინგენის ებერჰარდ-კარლის უნივერსიტეტს, სადაც ხორციელდებოდა ტროას პროექტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. მანფრედ კორფმანი. პროფესორი დაინტერესდა ახალი აღმოჩენით, ჩამოვიდა, დაათვალიერა ადგილი, ნახა ძეგლი და ჩემთვის დაუვიწყარი ემოციით წარმოთქვა: “არ მითხრათ არაფერი, მე ვიცი, რომ ძველ აღმოსავლეთში ვდგავარ!”

2000 წელს ქართულ-გერმანულმა ექსპედიციამ, პროექტ „ტროა-უდაბნოს“ ფარგლებში, საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ნაქალაქარის „ნაომარი გორის“ არქეოლოგიური გათხრები დაიწყო. გერმანიის მხრიდან სამუშაოებს აწარმოებდა ტიუბინგენის ებენ-ჰარდ-კარლის უნივერსიტეტის წარმომადგენლობა პროფ. მ. კორ-ფმანის ხელმძღვანელობით, ქართული მხრიდან _ ოთარ ლორ-თქიფანიძის კვლევის ცენტრი. ექსპედიციამ (გერმანული მხარის დაფინანსებით) ათი წელი იმუშავა. მისი საქმიანობა მოულოდნე-ლად შეწყდა 2006 წელს მ. კორფმანის გარდაცვალების გამო. გა-მოუქვეყნებელი დარჩა დიდძალი, უდიდესი მეცნიერული მნიშვნე-ლობის მასალა.

1998 წლიდან 2006 წლამდე ძეგლი გეომაგნიტურად აიზომა, გა-კეთდა მიწის სკანირება, გაითხარა ციტადელის ნაწილი, იქ აღმოჩ-ნდა პატარა სამლოცველოც, ქვემოთ გაითხარა საცხოვრებელი სათავსები. საინტერესოა ის, რომ ეს ძეგლი ნაჩქარევად აშენებუ-ლი კი არ გახლავთ, არამედ წინასწარი გეგმარებითაა აგებული, რა-ზეც მეტყველებს სათავსების ანალოგიურობა, მათ შორის 1 მეტ-რიც კი არ არის სხვაობა. ნაქალაქარი, სავარაუდოდ, ელიტარული სამხედრო დასახლება იყო, რადგან აქ ნაკლებად დადასტურდა სა-მეურნეო იარაღი და ინტენსიურად გამოვლინდა საბრძოლო ია-რაღები, თვითონ ტოპონიმიც _ ნაომარი გორა - მეტყველებს მის სამხედრო წარმომავლობაზე, გათხრილ სამარხებშიც არც ერთი მთელი მიცვალებული არ გამოვლენილა, ზოგს თავი არ ჰქონდა, ზოგს ფეხი და ა.შ. როგორც ჩანს, აქ რაღაც დიდი ბრძოლა მომ-ხდარა. აღმოჩენილია საძგერებელი მახვილი _ რაპირა, რაც იშვი-ათობაა და ნაქალაქარის ისტორიულ მნიშვნელობაზე მიუთითებს, რადგან აქ ძირითადად საჩეხი იარაღი დომინირებს. ნაქალაქარის თავდაცვითი კედელი 3-4 მ სიგანისაა, ანუ, ამიერკავკასიაში ერ-თ-ერთი ყველაზე დიდი კედელია. ნაქალაქარზე გათხრების გან-ხორციელების შემთხვევაში გაირკვევა, ვინ იყვნენ და რანი იყვნენ

საქართველოში ჩინეთის დიდი კედლის ზომებთან მიახლოებული საფორტიფიკაციო ნაგებობის აღმშენებლები.

სამუშაოების მიმდინარეობისას გაკეთდა C14-ის ანალიზები, დადგინდა ნაქალაქარის თარიღი ქ.წ. XII-IX საუკუნეები, ეს არის პერიოდი, რომელიც ემთხვევა ხეთური სამყაროს დაშლას, ამიტომ სავარაუდოა, ერთ-ერთი ჯგუფი იმ ხალხისა მოსულიყო აქ და დაეარსებინა ნაქალაქარების მთელი სისტემა. დაფიქსირდა კარიბჭე, შესასვლელი კოშკებით (2?), მაგრამ ის ჯერ გათხრილი არ არის და, რაც მთავარია, არც კონსერვაციაა ჩატარებული, ამიტომ აზერბაიჯანელ მოსახლეობას თავისუფლად მიაქვს ეს უძველესი ქვები თავიანთი სახლების ასაშენებლად.

დასკვნა

დღეის მდგომარეობით გათხრილია ძეგლის მხოლოდ მცირე ნაწილი. ნაქალაქარებზე სამუშაოების გაგრძელება მნიშვნელოვანია, ვინაიდან, აქ კავკასიის უძველესი ქალაქების ნაშთებია რეგულარული გეგმარებით, რაც უკვე ამ პერიოდში მიგვითითებს სახელმწიფოებრივი სტრუქტურის არსებობაზე. ამჟამად, მოუვლელია ძეგლის განათხარი ტერიტორიაც, სადაც 3 000 წლის სიძველის ქალაქის ქვის კედლები ზოგ ადგილას ჯერ კიდევ გადარჩენილია 2 მეტრის სიმაღლეზე. ამასთან, დღემდე დაუდგენელია ქალაქის



Auf Luftbild angepasstes Magnetogramm von Udabno I aus Daten des Fluxgategradiometers und Cäsiummagnetometers (Jahre 2000 und 2001). (Cäsiummagnetometer, Gradiometeranordnung h = 0,3 – 1,3 m, Empfindlichkeit 0,1 nT, Raster 0,5 × 0,15 m, Dynamik –10/10 nT in 256 Graustufen [weiß nach schwarz]. Fluxgategradiometer, Empfindlichkeit 0,3 nT, Raster 0,5 × 0,25 m, Dynamik –5/5 nT in 256 Graustufen [weiß nach schwarz]).

Interpretation der Messergebnisse auf der Siedlungsanlage Udabno I.

ციტადელზე მთავარი შესასვლელისა და ქალაქის წყალმომარაგების სისტემის გეგმარება, მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობის სტრატიგრაფია, და სხვ. ყველა ეს დეტალი კარგად იკვეთება სიღრმისეული კვლევის შედეგად, მაგრამ აუცილებელია მათი დაზვერვითი საველე სამუშაოებით შემოწმება და ამ სრულიად უნიკალური ძეგლის შესახებ ინფორმაციის წინასწარი პუბლიკაცია.

არქეოლოგიური სამუშაოების გაგრძელება საშუალებას მოგვცემს აღვადგინოთ, როგორც ციტადელის ისე, ქვედა ქალაქისა და საფორტიფიკაციო ნაგებობების გეგმარება, გამოვავლინოთ სატაძრო კომპლექსები, საზოგადოებრივი შენობები, საცხოვრებელი კვარტლები და სამაროვნები, აგრეთვე, წყალგაყვანილობის საიდუმლო გვირაბების მთელი სისტემა, რომელიც აეროგადაღებების დეშიფრირებით ზუსტად იხაზება.

საჭიროა „ნაომარი გორის“ ციტადელზე, თვენახევრიანი დაზვერვითი არქეოლოგიური საველე სამუშაოების ჩატარება. ამისთვის საკმარისია დაზვერვითი თხრილების გაჭრა ნაქალაქარის ქვემოთ ჩამოთვლილ უბნებზე: ნაქალაქარის კარიბჭესთან - ციტადელის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში; ციტადელის პირველი დამცავი გალავნის დასავლეთ ნაწილში - იქ, სადაც კარგად იკითხება ორი სამშენებლო ფენა (ქ.წ. XIV-XIII სს. და ქ.წ. XII-VIII სს.). ქალაქის წყალმომარაგების 900 მეტრიანი საიდუმლო გვირაბის სამ მონაკვეთში - დასაწყისში, შუა ნაწილსა და ბოლო ნაგებობასთან - იქ, სადაც წყაროს არსებობა ფიქსირდება.



უდაბნოს ჯგუფის დასახლებების ცენტრალური ქალაქი - ტაძარი და II უბანი ძველი წელთაღრიცხვის XIV-IX საუკუნეები



"EMBATTLED HILL'" ("NAOMARI GORA")

Kote Pitskhelauri

At the end of the 20th century, one of the greatest achievements of Georgia's archeology was the discovery of urban settlements of XIV-VIII AD centuriesin GarejiMravalmta, the ancient civilization of the Caucasus. In the 80s of the 20th century, during the Communists' governancethe photo negatives are remained as a result of airborne mapping during the flights with military objectives. After the collapse of the Soviet Union, the old negatives were exposed and became available to the public. The result of their decryption revealed the contours of former settlement in the desert. The former settlement (Naqalaqari) is located at a distance of 18 km from Sagarejo, on the 17th kilometer of the asphalted road leading to the early medieval monastery complexes of David Gareji in its south, 2 kilometers away from the road, on the summit and slopes of the mountain (900-970 m above sea level).

The length of the central Naqalaqari is 1 km, the citadel has a defensive wall, the signs of water supply system is observed in the south-west, a secret tunnel may also be there. There are 5 similar settlements around the former settlement (Naqalaqari). The scale of ruined dwellings are smaller than the site of former city, but they shall be no less impressive.

After decryption of the negatives, we contacted the Eberhard Carley University of Tubingen in Germany, where the Trojan project was conducted by Prof. Manfred Korfman. The professor got interested in a new discovery, has arrived, seen the place, seen the monument and said, with an unforgettable emotion for me:

“Do not tell me anything, I know that I am standing in the Old East!”

In 2000, the Georgian-German expedition started archaeological excavations of ‘’Embattled hill’’ (“Naomari Gora”), one of the largest cities of Georgia within the framework of the “Troy-Desert” project. The worksfrom German side were carried out by the representatives of Tiubingen Ebenhard Carl University with Prof. M. Corpman’s leadership, from Georgian side - by Otar-Lortkipanidze Research Center. The expedition (with German financing) had worked for six years. Its activities were suddenly stopped in 2006 because of of Korfman’s death. The great amount of material with the greatest scientific importance has left unpublished.

From 1998 to 2006 geomagnetic measure was carried out to the monument, land scanning was done, the part of the citadel was excavated,a small chapel was found there, residential rooms were excavated below. It is interesting that this monument is not constructed hastily, but it is constructed according to the preliminary plans, which is indicated by the similarity of the spaces; not even 1 meter is different between them. The former settlement(Naqalaqari)was supposedly an elite military settlement, as agricultural implements were less proventhere,military weapons were revealed intensely, even the toponymy itself -‘’Embattled hill’’ (“Naomari Gora”) speaks about his military origin, no complete defunct was found in the excavated burial grounds, some of them did not have heads, some- legs and etc. As it seems some big fight has been here. The pushing dagger– a rapier is found, which is rare and indi-

cates the historic importance of the former settlement (Naqalaqari), because mainly chopping tools are dominated here. The defensive wall of the former settlement (Naqalaqari) is 3-4 m wide, i.e. it is one of the largest walls in Transcaucasia. In case of excavations inthe former settlement (Naqalaqari), , it will be clarified who they were and what the builders of the fortifications works close to the dimensions of the Great Wall of China were in Georgia.

During the works, C14 analyzes were made, the date of the former settlement (Naqalaqari) was determined -XII-IX AD centuries, this is the period that coincides with the collapse of the Hittite world, so it is likely that one of the groups of these people would come here and establish the city. The gate was detected with the entrance towers (2?), but it is not excavated yet and what is most important, no conservation has been carried out, so the Azerbaijani population freely captures these ancient stones to build their houses.

Conclusion

As of today, only a small part of the monument is dug/excavated. The continuation of works on the settlements is important because the remnants of the oldest cities of the Caucasus here with regular plans are here, which indicates the existence of a state structure here in this period. At present, even the excavated area of the monument is neglected, where some 3,000 years old city walls are still survived at 2 meters high. At the same time, it is not known till today the design of the main entrance on the city citadel and thecity water supply system, stratigraphy of the

strong fortifications and etc. All these details are well outlined as a result of in-depth research, but it is necessary to examine them by intelligence field work and to publish information about this entirely unique monument in advance.

Continuation of archeological works will enable us to restore the design of citadel as well as the plans of lower city and fortifications, reveal the temple complexes, public buildings, residential quarters and mortars, as well as the whole system of secret tunnels for plumbing that is accurately lined by airborne mapping decryption.

It is necessary to conduct a month-and-a-half intelligence archaeological work on the Citadel of ''Embattled hill'' ("Naomari Gora"). For this it is enough to excavate the intelligence trenches at the precincts listed below: at the Gate of theformer settlement- in the south-western part of the Citadel; in the western part of the first protective wall of the citadel - where two construction layers are readable (XIV-XIII AD century and XII-VIII AD century). In the three sections of 900 meter tunnel of city water supply- in the beginning, in the middle and at the last structure - where the existence of the stream is confirmed.

სატახტო ქალაქები

უფლისციხე

უფლისციხე - ქურუმთა, ბელადთა და მეფეთა კლდეში ნაკვეთი ეს საოცარი სამყოფელი უნიკალური საეტაპო მნიშვნელობის ძეგლია, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს კლდეში ნაკვეთ ნაქალაქართა სისტემაში. საეტაპოა ის საქართველოს არაქეოლოგიის ისტორიის თვალსზრისითაც, რადგან სწორედ უფლისციხის გათხრებით, რომლებიც აწარმოა დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილმა დაიწყო საქართველოს არქეოლოგიის ისტორია. ძეგლი რამდენიმე ჰექტარზეა გაშლილი და დღესაც აოცებს მნახველს სილამაზით, კომპოზიციური სტრუქტურის თავისებურებით, კლდის კვეთისა და დამუშავების ოსტატობით.

ქართლის ცხოვრების მიხედვით, უფლისციხე ქართველთა ერთერთ ეთნარქს უფლოსს დაუარსებია, რომელიც იყო უფროსი ძე მცხეთოსისა და მამისაგან მიცემული ჰქონდა უფლობა ქართლოსიანთა. მემატიანე მას უფლად საყდართა ქართლოსისათა, ანუ სასულიერო ხელისუფლადაც მიიჩნევს, რაც იმის მიმნიშნებელია, რომ მის მიერ დაარსებული უფლისციხე მნიშვნელოვანი წარმართული სასულიერო ცენტრი იყო.

უფლისციხის წარმართული კულტი იმდენად გავლენიანი იყო, რომ აქ წარმართობა საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგაც დიდხანს შემორჩენილა. მეცნიერთა აზრით უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარი თითქოს გაგრძელება და ბოლო პუნქტია კლდოვანი ხუროთმოძღვრების იმ ძეგლებისა, რომლებიც მრავლად არის ეტრურიაში, იუდეაში, მიდიასა და ირანში, მთელ ანატოლიაში.

კავკასიის ეს ერთ-ერთი უძველესი დასახლება, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, კვერნათის ქედის ერთიან კლდოვან მასივშია გამოკვეთილი. ნაქალაქარს დასავლეთიდან და სამხრეთიდან კლდის ბუნებრივი ციცაბო იცავს, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან კი, კლდეში ხელით ჩაკაფული თითქმის 10 მ სიმაღლის თხრილები.

მის ირგვლივ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ აქ ყათლანისხევში, ბამბებში, ლალაანთხევსა და ლაშეთხევში, სალიზვარისა თუ ყვავის ნამოსახლარზე ადამიანი ჯერ კიდევ ქ.წ. III ათასწლეულის I ნახევრიდან სახლობდა. ნაქალაქარის დასავლეთით, 1,5 კმ-ზე მდებარე ყათლანისხევის შემაღლებულ ბორცვზე არქეოლოგებმა გვიანდელი ბრინჯაოს ხანის სამლოცველო გათხარეს, სადაც ქალღმერთ დედანანას ჰორელიეფური გამოსახულება აღმოაჩინეს, აქვეა ნაპოვნი საკურთხევლების ნაშთებიც, ნატაძრალიდან ამოღებული ჭურჭელი იმდენად მცირე ზომისაა, რომ მხოლოდ საკულტო დანიშნულების შეიძლებოდა ყოფი-

ლიყო, იქ გამოვლენილ მინიატურულ შავპრიალა თიხის ვაზაში კი ვაზის წიპწა და ფშატის კურკები დადასტურდა. აშკარაა, რომ ქ.წ. II ათასწლეულის მიწურულს უფლისციხეში მევენახე-მიწათმოქმედი ხალხი ცხოვრობდა, ფშატის კურკების აღმოჩენა კი იმაზე მიანიშნებს, რომ ფშატი წმინდა ხედ იყო შერაცხული.

ქ.წ. I ათასწლეულში, ქართლში რკინის იარაღის გამოყენებამ, შესაძლებელი გახადა უფლისციხის კლდოვან მასივში საცხოვრებლების გამოკვეთა და წარმოიქმნა კლდეში გამოქანდაკებული დასახლება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში უფალთა ღმერთთა და მათ ამქვეყნიურ განსახიერებათა ქურუმთა, ბელადთა და მეფეთა სამყოფელი გახლდათ.

ქ.წ. VI-V სს. უფლისციხე უკვე აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ხელით გამოკვეთილ კლდეკართა შორის ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი კლდეკარია მთელი კავკასიის მასშტაბით. აქ გადიოდა აბრეშუმის დიდი გზა, უფლისციხეში აღმოჩენილი გადასაზიდი ჭურჭელი, შესამკობელი ოქროს ნივთები თუ აღმოსავლეთ-დასავლეთის მბრძანებელთა მიერ მოჭრილი მონეტები ადასტურებს, რომ ეს ქალაქი ორი სამყაროს გზაჯვარედინზე მდებარეობდა. ქალაქის სიმდიდრეზე მიანიშნებს მშვენიერი დარბაზებიც. უფლისციხის შიდაქალაქი სამი უბნისგან შედგებოდა და ოთხი შესასვლელი ჰქონდა, მას იცავდა ქვის გალავანი, რომელიც ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. შიდა ქალაქს კვეთს მთავარი ქუჩა, რომელიც თანდათანობით იტოტება. ქუჩების გასწვრივ გამოკვეთილია დარბაზები, მათი ფასადები ძირითადად სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხარესაა მიმართული. ანტიკურ ხანაში გამოკვეთილი დარ-

ბაზები ერთიანი, კარგად გააზრებული გეგმითაა ნაკვეთი, კედლები იმდენად სუფთადაა დამუშავებული, რომ საჭრეთლის კვალი არ ემჩნევა. დარბაზების მორთულობისთვის გამოყენებულია ქვის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი დეკორი - კესონები, კაპიტელი და პილასტრები, ზოგან კი ხის ნაგებობის ელემენტების იმიტაციაც. ანტიკური ხანის დარბაზები ერთსართულიანია. ისინი ქვიშაქვის მასიურ კლდეში, სამშენებლო წესის დაცვით იმდენად გონივრულად და ოსტატურადაა გამოკვეთილი, რომ დრომ ვერაფერი დააკლო. ფეოდალურ ხანაში, როგორც ჩანს, ასეთ

გულმოდგინებას უკვე აღარ იჩენდნენ, კვეთდნენ ორსართულიან დარბაზებს, რასაც ქვიშაქვა ვერ უძლებდა და მათი უმეტესობა ინგრეოდა. ამ ხანის კვეთის ტექნიკაც უხეში ჩანს, კედლებს აშკარად ეტყობა საჭრეთლის კვალი.

საეტაპო ძეგლები

ქალაქს ჰქონდა წყალსადენი და წყალსწრეტი არხების ქსელი, მისი საიდუმლო გვირაბი კი, შიდა ქალაქიდან მტკვარზე გადიოდა და ომიანობის დროს დიდ სამსახურს უწევდა უფლისციხეს. VI საუკუნეში აქ სამნავიანი ბაზილიკა გამოუკვეთავთ. X საუკუნის უფლისწულის ეკლესიაც ძველი წარმართული ტაძრის ადგილზეა აშენებული. აქ არის უძველესი აფთიაქიც. შიდა ნაქალაქარსა და მის შემოგარენში აღმოჩენილი მარნები, საწნახლები, ღვინის სასმისები თუ სხვა ჭურჭელი უფლისციხელთა მაღალ განვითარებულ მევენახეობაზე მიუთითებს. ქ.წ. III და ქ.შ. I საუკუნეებით დათარი-

ღებულ ქვევრის პირებზე ამოკაწვრით შესრულებულია არამეული წარწერები. აქ აღმოჩენილი სტილოსები (საწერი კალმები), დამწერლობის არსებობას ადასტურებს. ნაქალაქარში დასტურდება კლდეში ამოკვეთილი მარცვლეულის ორმოები, რაც მარცვლეულის მოყვანის კულტურის მაღალ დონეზე მეტყველებს. აქვე აღ-

მოჩენილია ბრინჯაოს ნამგლები, რომლებიც ქ.წ. II ათასწლეულის მიწურულს ეკუთვნის.

1934 წელს ნაქალაქარის ჩახატვა-აღწერისას დიუბუა დე მონპერეს უთქვამს: "უფლისციხის ქალაქი და ციხესიმაგრე არ არის მხოლოდ თავშესაფარი, აქ ცხოვრობდა ხელოვნების მოყვარული და მისი მცოდნე ხალხი". უფლისციხის კედლებს მტრის მრავალი შემოსევა უნახავს, ამიტომ ქალაქი ყოველთვის მზად იყო ომისთვის. ფეოდალურ ხანაში უფლისციხე ციხესიმაგრედ მოიხსენიება, VIII საუკუნიდან არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის ბასტიონად იქცა და

ისევ იტვირთა ქართლის ცენტრის ფუნქცია. ამიტომაც საქართველოს გაერთიანებისთვის წარმოებულ ბრძოლაში მის დასაუფლებლად იბრძოდნენ, როგორც აფხაზთა მეფენი ისე, კახეთის მთავრები და ტაო-კლარჯელი ბაგრატიონები. უფლისციხის დაუფლება ქართლის, ანუ კავკასიის გულის დაუფლებას ნიშნავდა. სწორედ

საეტაპო ძეგლები

უფლისციხიდან დაიწყო საქართველოს გაერთიანება X საუკუნეში მეფე ბაგრატ მესამემ. XIII-XIV საუკუნეებში მონღოლთა შემოსევის შემდეგ უფლისციხე ძლიერ დასუსტდა და XV საუკუნის დასაწყისში თემურ-ლენგის გამანადგურებელმა თარეშმა მას საბოლოოდ მოუღო ბოლო.

უფლისციხის ნაქალაქარის ირგვლივ არქეოლოგთა მიერ ხელუხლებელი მრავალი ადგილია, შესაბამისად, მრავალი აღმოჩენაა მოსალოდნელი საქართველოს ამ უნიკალურ, საეტაპო ძეგლზე.

სტატია შედგენილია უფლისციხის შესახებ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით სტუდია "ქრეატივის" მიერ გადაღებული ფილმის მიხედვით.

UPLISTSIKHE

Uplistsikhe – the unique wonderful monument of priests, leaders and kings carved in rock with state importance, not only for Georgia, but in the system of former cities of whole world. It has stage importance also in the point of view of archeological history of Georgia, because exactly according to the excavations made by Dimitri Megvinetukhutsesishvili there has begun the history of archaeology of Georgia. The monument is located on several ha and even today impresses the spectator with its beauty, by the peculiar composition structure, with the mastery of rock carving and processing.

According to the KartliTskhovreba, Uplistikhe was founded by one of theethnarchsUploss, who was senior son of Mtskhetosi and was granted from father kingdom of Kartli. Historin considers him as Kartli stronghold's kind, or as well as theologian authority, which indicates on the fact that Uplistsikhe founded by him was important pagan spiritual center.

Pagan cult of Uplistsikhe was so influencial that paganism dwelled here after the Christianity for a long time. According to the opinion of scientists the former city carved in the stone is supposedly continuation and the last point in the list of those rock monuments, which are a lot in Etruscan, Judea, Mide, and Iran, throughout Anatolia.

One of the oldest settlements of caucasus, on the left embarkment of Mtkvari, is carved in whole rock massive part of Kvernati ridge. The former city is protected from west and south with rock natural steep, and from, north and east, nearly 10 meters hight trenches made with hand. The archeological researches made around the monument proved that human was dwelling here in Katlaniskhevi, Bambebi, Lalaantkhevi and Lashetkhevi, Salizvari or Yvavi former settlement yet from I half of III



STAGE MONUMENTS

millenium. On the west side of former city, on the high hill of Katlaniskhevi located on 1,5 km, archeologists dig late bronze age chapel, where there was found out the depiction of Goddess Dedanana, also here was found the remains of altar, the utensil taken from the former tample have so little size hat it could have only coult destination, and in the miniature black glossy vase there was found out grape stone and bot oleaster stone.

It is obvious that at the end of II milelnium B.C. in Uplistsikhe were living vineyard farmer people, the discovery of bot oleaster stones indicates that bot oleaster was recognized as saint tree.

In I millenium B.C. In Kartli the use of iron weapon made it possible carving of Uplistsikhe in rock and there formed the carved settlement which during centuries was the place for Lords, Gods and their worldly depiction priests, leaders and kings.

In VI-V centuries B.C. it was already important center of eastern Georgia. Between the rock cities it is one of the most important carved city in whole Caucasus. Big Silk Road was going through it, in Uplistsikhe there is discovered the carrying vessels, decorative golden items and eastern-western king's catted coins which proves that this city was located on the crossroad of two worlds. Beautiful halls indicate on the wealth of the city. Internal city of Uplistsikhe was consisting from three regions and had four entrances, it was protected from stone fence, which came to us as fragments. Internal city is cut through with main street, which is branching little by little.

Along the streets there are carved halls, their facades mainly are directed to south and east side. The halls carved in antique period are carved according to the common, well inteliligent plan, the walls are processed so well that there is not seen the trace of steering. For the decoration of the halls there is used the décor characterized to stone

architecture - Caesons, Capital and Pilates,, on some places there is even imitation wooden elements. Antique period halls have one floor. They are carved so wisely and masterly defending all the construction rules in sandstone massive rock, that time couldn't make any damage on it. In Feudal period, as it is seen, they couldn't show so diligence, they were carving two floor halls: the sandstone couldn't stand it and mostly they crashed down. The carving technique of this period seems to be more rude, the walls show the trace of steering.

The city had the net of drain and drainage channels, and its secret tunnel, was connecting internal city to Mtkvari and while the war was very useful for Uplitsikhe. In VI century here there was carved three story basilica. X century Uplistsuli church is also built on the place of pagan temple. There is also pharmacy. The oldest wine cellars, winepress and wine vessels and other vessels discovered in internal former city and its surrounding indicates on the developed viticulture of the population of Uplistsikhe. On Kvevri sides dated with III and I centuries B.C .there is stripped Aramaic inscriptions. The styluses (pens) discovered here, confirmed existence of inscriptions. In the former city there is confirmed the pits of cereals carved in the rock, which talks about high culture of the cereals culture. Also there are discovered bronze sickles dated II millennium B.C.

While painting-describing of former city in 1934, Diabu de Méppere said: "Uplistsikhe city and stronghold is not only shelter, here used to live people who loved art and knew it". The walls of Uplistsikhe used to see many enemy invasions, that's why the city was always ready for the war. In the feudal age the Uplistsikhe named as stronghold, from VIII century it was bastion of fight with Arabs and carried the function of the center of Kartli. That's why in the fight for the union of Georgia they used to fight for its mastering, as kings of Abkhazia, as well as

nobles of Kakheti and Bagrationi's of Tao-Klarjeti. Mastering of Uplistsikhe was meaning mastering of Kartli, the same heart of Caucasus. Exactly from Uplistsikhe has begun the union of Georgia in X century by the king Bagrat the third. In XIII0XIV centuries after invasion of Mongols Uplistsikhe was very weak and at the end of XV century finally destroyed because of disastrous raid of Temur-Leng.

Around the former city of Uplistsikhe there are many places not touched by archaeologists, accordingly there are many discoveries to be found on this unique monument of Georgia.

The article was made about Uplistsikhe with the order of National Agency of Cultural heritage according to the film made by the studio "Creative".

სულ სხვა ჯავახეთი

- ჯავახეთში ნამყოფი ხარ? - ამ შეკითხვის პასუხად თვალწინ გაიელვებს ხოლმე ფარავნის ტბა, კუმურდოს ტაძარი და სტერეოტიპული წარმოდგენებით გამოწვეული გაორებული ემოციები. თუმცა... დამიჯერეთ, გამომყევით და აღმოაჩინეთ სულ სხვა ჯავახეთი. საოცარი ტბების, მუდამ შენი თანმდევი მთისა და ათასფერი ველების მხარე; სადაც ვულკანური სამსარის ქედი კავკასიის შექმნის ისტორიას გიამბობს, წეროები მინდვრებში შენთან ერთად დააბოტებენ და ქვაში გაყინულა საქართველოს IX-XIV საუკუნეების ისტორია. ჯავახეთი ბუნებისა და ადამიანის ხელქმნილის ის ტანდემია, რომელსაც ერთმანეთს ვერ დააშორებ, რადგან ისინი ერთმანეთის გარეშე უფერულია!

აქ სანახავი ძალიან ბევრია, მაგრამ ამჯერად მხოლოდ იმის შესახებ გიამბობთ, რაც ჩემში ყველაზე დიდ ემოციებს იწვევს... ჯავახეთში გული პირველ ყოვლისა კუმურდოსკენ მიიწევს. ხუროთმოძღვარ საკოცარის ეს ქვაში ნათალი საოცრება (964 წ.), რო-

მელიც უგუმბათოდაც მშვენიერი და გრაციოზულია, ამაყად დგას პლატოზე და თავის დიდების დაბრუნებას მოთმინებით ელის. ფასადებზე მოცემული ფრინველთა თუ ანგელოზთა, მცენარეული თუ დეკორატიული რელიეფების თვალწარმტაცობამ არ შეიძლება მართლაც არ წარიტაცოს თვალი, მაგრამ განსაკუთრებულ ემოციას გუმბათქვეშა აფრებსა და კამარის კუთხეებიდან მომზირალი მეფე ლეონის, დედოფალ გურანდუხტისა და ანგელოზთა ფიგურები იწვევს. ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერები კი, რომლებიც დეკორატიული ხალიჩასავით ფარავს ტაძრის სამხრეთ კედელს, ტაძრის მშენებლობის ისტორიას გვიამბობს და აღუწერელ განცდას აღძრავს: „შეწევნითა ღმრთისაითა იოვანე ეპისკოპოსმან დადვა საძირკველი ამის ეკლესიისაი, ხელითა ჩემ ცოდვილისა საკოცარისათა ლეონ მეფისა ზე, ადიდენ ღმერთმან, ქორონიკონსა რპდ თვესა მაისსა, დღესა შაფათსა, ა მთოარისსა, ერისთავობასა ზვასსა. ესე ბალავარი მან დადვა. ქრისტე შეეწიე მონასა შენსა, ამინ“. კუმურდოს ნახვის შემდეგ აუცილებლად იბადება კითხვები: საკოცარი თუ არსუკისძე?!.

გაიცანით საქართველო

კიდევ რა უნდა ნახო ჯავახეთში ისეთი, რომ ეს ემოცია დაგავიწყოს?! .

დაადექით ბარალეთის გზას. მე-13 საუკუნის ორნავიანი ბაზილიკის ლორფინის სახურავზე დასმული მე-19 საუკუნის სამრეკლო საქართველოს სხვა კუთხეში შესაძლოა, კონტექსტიდან სრულიად ამოვარდნილი მოგჩვენებოდათ, მაგრამ აქ, ჯავახეთში, ესეც კი ეგზოტიკურად მოჩანს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ტაძართან მისულს სამრეკლოს წვერზე ბუდეში მოკალათებული წერო გადმოგხედავს. ბარალეთში შეგხვდებათ ორნავიანი ბაზილიკა, ლორფინის სახურავი და რელიგიური სცენა - დანიელი ლომების ხაროში. ბარალეთზე სამი საუკუნით ადრეულ ტაძარ ბურნაშეთზე (X ს.) აღმოსავლეთ კედელზე ისევ შეგხვდებათ სცენა დანიელისა ლომებთან ერთად, იქვე შესრულებული წარწერა კი, ღმერთს შესთხოვს ეკლესიის მაშენებლები ისევე იხსნას ჯოჯოხეთისგან, რო-

ბარალეთი

გორც დანიელი იხსნა ლომებისგან. ბურნაშეთს განსაკუთრებული ხიბლი სამხრეთის ნავის სვეტები, თაღნარი და ვოლუტებიანი კაპიტელებია.

ბარალეთიდან გამოყოლილი და ბურნაშეთში გაძლიერებული ემოცია თუ სადმე უნდა დაგვირგვინდეს, ეს აუცილებლად აზავრეთია. აბსიდის ნატეხი ქვის წყობა და სამხრეთი მინაშენის ნათალი კვადრების პერანგის თითქოსდა შეუთავსებლობა მაშინვე დაგავიწყდებათ, როგორც კი ტაძრის ინტერიერში აღმოჩნდებით. დასავლეთ კედელში სვეტზე დაყრდნობილი ორი თაღია. ამ თაღებით ტაძარი დასავლეთიდან მიდგმულ პატრონიკეს უერთდებოდა. ყველაზე დიდ ემოციას კი, მაინც კედლების თავში დედოფლებივით ჩამწკრივებული, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული

აზავრეთი

პროფილის ექვსი წყვილი კაპიტელი იწვევს, როდესაც მათ უყურებ გრძნობ, რომ ჩამოქცეული კამარა და მცხუნვარე მზით განათებული კედლები ხანდახან ცხოველმყოფელობას მატებს ძეგლს.

ჯავახეთის კიდევ ერთი ხიბლი და მშვენება სტელებია. აქ განსაკუთრებულად ბევრი სტელაა. ჯვრის გამოსახულებით დასრულებული, ქვის კუბურ ბაზისში ჩასმული, სხვადასხვა სიმაღლის ქვაში ნათალი სვეტები, VI საუკუნიდან - X-მდე სალოცავის ფუნქციას ასრულებდა. შემდეგ კი ზოგი მათგანი სხვადასხვა პერიოდის ნა-

გებობებში ჩააშენეს, ზოგი კი თავის ადგილას დარჩა, მაგრამ ფუნქცია დაკარგა და მათი დანიშნულებაც დავიწყებას მიეცა. სწორედ ასეთი სალოცავი იყო ვეებერთელა ქვაჯვარი თავისი სადგარით, რომელიც შემდგომში ხანდოს ეკლესიის დარბაზში აღმოჩნდა. ერთი შეხედვით მომცრო ტაძარში შესული, თუკი საკურთხევლის წინ აღმართულ თითქმის კამარამდე აზიდულ ქვის ჯვარს შეხედავთ, უეცრად გაიფიქრებთ, რომ ხანდოს შემთხვევაში, ტაძარში კი არ შეაბრძანეს ჯვარი, არამედ ეკლესიით შემოსეს ის.

ზოგადად ჯავახეთი დარბაზულ და ორნავიან ეკლესიათა მხარეა და შესაბამისად, მათი ნახვისას, თითქოს ერთი და იგივე კადრები ენაცვლება ერთმანეთს, მაგრამ ცალკეული დეტალები, არქიტექტურული გადაწყვეტა და რელიეფები მაინც განასხვავებს მათ ერთმანეთისგან.

სწორედ ორ ამგვარ ტაძარზე მინდა გიამბოთ.
ერთი მათგანი ბავრაა.

ბავრა ახალქალაქიდან ოთხიოდე კილომეტრითაა დაშორებული. ეს კამარაჩამოქცეული და მინაშენშეცემენტებული, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი დარბაზული ეკლესია, აღმართულია მდინარის პირას. როგორც კი კარის წინ აღმოჩნდებით და მზერას უნებლი-

ბავრა

ეთ შეაჩერებთ ფრონტონში ჩადგმულ რელიეფზე, მოგეჩვენებათ, რომ ჩარჩოში ჩასმულ ბორჯღალოსა და მის ორივე მხარეზე გამოსახულ სამმაგ დისკოთა რელიეფებს სპირალები აჩარჩოვებს, რეალურად კი, ეს არის ულამაზეს ასომთავრულ ასოთა რიგი, რომელიც ამგვარი შინაარსის ტექსტს ქმნის: ,,სახელითა ღვთისაითა

ბავრა

აიგო ესე ეკლესია წმიდაი, სოფრონ ქონქოლსა ამენ“. იგივე პიროვნება ამ ტაძრის აღმოსავლეთი სარკმლის თავზე ჩადგმულ დანიელისა და ლომების რელიეფთანაც იკითხება: „ქრისტე ადიდე სოფრონ“. ყველაზე მეტ ემოციას ტაძრის ინტერიერი აღძრავს, ოღონდ პროფილირებულ კაპიტელებთან ერთად ტაძრის აბსიდის კონქში მოთავსებული მზისა და მთვარის გასულიერებული რელიეფები უნდა მოძებნოთ. სხვაგან ასეთს ვერსად ვერაფერს ნახავთ!

მეორე ეკლესია სოფელ ხორენიაშია.

მას საქართველოს პირველმა პატრიარქმა - მელქისედეკმა, 1029 წელს სამხრეთიდან მინაშენი გაუკეთა. მდიდრულად მორთული მინაშენი დღეს უწინდელზე მეტად შთამბეჭდავია, რადგან XV საუკუნეში დადაბლებულმა კამარამ და XIX საუკუნეში გაგანიე-

ხორენია

რებულმა სარკმლებმა, აგრეთვე, შეთეთრებულმა ინტერიერმა, ტაძარს ხიბლი დაუკარგა. აქაც თვალს წარიტაცებს რელიეფები. მათ შორის ყველაზე გამორჩეული მაინც დასავლეთ კედელში, კარნიზის ქვემოთ ჩადგმული ტახტზე დაბრძანებული კვერთხიანი მამაკაცისა და ამავე ფასადზე, სარკმლის გასწვრივ ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი ადამისა და ევას რელიეფებია სამოთხის ხესთან. მსგავსი რელიეფები ძნელად გასახსენებელია საქართველოს ტაძრებიდან.

ხორენია

ჯავახეთში ძირითადად უგუმბათო ეკლესიებია, მაგრამ კუმურდო და დიდი სამსარისკენ მიმავალ გზაზე მდებარე კლდეში ნაკვეთი ტაძარი გამონაკლისია. სამსარის წყლის კანიონში შეფენილი X-XI საუკუნეების კლდეში ნაკვეთი კომპლექსი შორიდან მხოლოდ გამოქვაბულთა ერთობლიობის შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ შეხვალთ თუ არა პირველივე გამოქვაბულში მაშინვე მიხვდებით, რომ სხვა სამყაროსა და ეპოქაში მოხვდით. აქ რამდენიმე კლდეში ნაკვეთი დარბაზული ოთახია, ერდოსებური ჭრილითა და უკანა კედელში დატანილი ხვრელით. ეს ხვრელები შეიძლება გვირაბები გეგონოთ, სინამდვილეში დარნებია და თან ისე დატოტვილი, უკან დასაბრუნებელი გზის დაკარგვის შიშით წინ ვეღარ წახვალთ. პირველივე გამოქვაბულის კედელზე მოცემულია პატარა ბარელიეფი - მხართეძოზე წამოწოლილი კაცუნა. კარგად დააკვირდით, ასეთი გამოსახულებებით განებივრებულნი ნამდვილად არ ვართ. მეო-

რე გამოქვაბული პირველზე დიდია, იქ დარნებიც მეტია, მესამე კიდევ უფრო გამორჩეულია... და უცებ აღმოჩნდებით მთელ საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ სვეტოვან სივრცეში, რომელიც კლდეში ნაკვეთი გუმბათოვანი ტაძარია. აქ კლდეში ნაკვეთი ნამდვილი გუმბათია, აბსიდის მხრებსა და ორ მასიურ სვეტზე დაყრდნობილი. სივრცე დანაწევრებულია კლდისგან ნაკვეთი სვეტებითა და თაღებით. კედლებზე შერჩენილი შელესილობა კი მიგახვედრებთ, რომ ტაძარი მოხატულიც უნდა ყოფილიყო. ეკლესიის შუბლზე ნამდვილი ქართული მატიანეა გადაშლილი - ასომთავრული წარწერა, რომელიც გვიყვება, რომ ღვთისმშობლის სახელობის ქვაბული ეკლესია ვინმე სულას გამოუკვეთავს, დავით მესამე კურაპალატის დროს და ეს მომხდარა მაშინ, როცა თურქებს მცხეთის ჯვრიდან, ე.წ., ნინოს ჯვარი მოუტაციათ: “ქ. აშენდა წმიდაი ესე ვანი ღმრთისმშობლის სამკვიდრე ოდეს ქართველთა მეფემან, კურაპალატმა დავით და ერმან ყოველმან ესე ვანი და კრებული შეგუიბრალა, მაშინ დიდი საჭირისაგან გუიხსნა, და უფალო

იხსენინ იგიცა დღეს ამას განკითხვისასა. სულამ მაშინ დავწერე, ოდეს აგარიანთა მცხეთისა ეკლესიაი დაწუეს და ნინოის ხელი ტყუედ წარიტანესნ.

ყოველივე ამის ნახვის შემდეგ თუ დრო და ენერგია კიდევ დაგრჩებათ, ჯავახეთი არ დატოვოთ ისე, რომ ღართა და დანკალი არ მოინახულოთ. ჯავახეთის პლატოს დასავლეთის კიდეზე, მტკვრის

დანკალი

ხეობაზე გადმომდგარ ამ ორ ნასოფლარში დროც კი შუა საუკუნეებშია გაყინული. ნასოფლართა შუაში თითო ეკლესია დგას. მათ გარშემო ფურნიანი ნასალხარები, ფართო ქუჩები და სამაროვნებია გაშლილი. თუ ღართაში უფრო შთამბეჭდავი სწორედ კარგად შემონახული სახლის ბუდეებია, რომლებშიც ადვილად ამოიკითხავთ ძველ მესხურ ყოფას, დანკალში ეკლესია გაგაოცებთ. ორნავიანი ნაგებობა, რომელიც გარედან მონოლითივით ჩანს და თითქოს განსაკუთრებულს არაფერს მოიცავს, ინტერიერში სრულიად სხვა

დანკალი

ემოციას აღძრავს: ფართო ცენტრალური და ვიწრო სამხრეთის ნავები ერთმანეთს ერწყმის და, იმავდროულად, ემიჯნება სამსაფეხურიან ბურჯზე გადასული ორი თაღით, რომლებიც გაფორმებულია ჭადრაკულად წითელ-შავი ქვებით. თუ მზის ჩასვლისას მოხვდებით ღართასა და დანკალში კარგად დააკვირდით ცას: აქ დაისი შუა საუკუნეების წარმოდგენას გაგახსენებთ - თითქოს, დასავლეთით სამყაროს დასასრულია. მაგრამ თუ გაჰყვებით წითელ მზეს, პლატოს კიდეში სამყაროს დასასრულისა და სიბნელის ნაცვლად, თავზე დაადგებით მტკვრის ულამაზეს ხეობას და იგრძნობთ, რომ სამუდამოდ შეგყვარებიათ ჯავახეთი.

ქეთევან დიღმელაშვილი

ფოტოები გადაღებულია ქეთევან დიღმელაშვილის მიერ

OTHER JAVAKHETI

- Have you been in Javakheti? - In response to this question, you will see the Paravani Lake, Kumudo Cathedral and the emotions caused by stereotypical imaginations. But ... believe me, follow me and discover another Djavakheti. Amazing lakes, always with your accompanying mountain and thousands of forests; Where the volcano Samsara ridge tells you the story of the creation of the Caucasus, the coins will be with you in the fields and the history of IX-XIV centuries has been frozen in stone. Djavakheti is the tandem of nature and human work that cannot be separated from each other because they are without a worm!

There is a lot to see here, but this time I only tell you what causes me the greatest emotions... In Javakheti, heart is first going to Cumurto. Architect Saqocar's magnificent wonders (964 BC), which is the most

beautiful and gracious without Temple dome, is proudly stands on the plateau and patiently waiting for its glory. You can't turn your eye from the facades of the birds or angels, the scenery of vegetative or decorative reliefs, but the special emotion is caused by the figures of King Leon, Queen Gurandukht and Angels from the corners of the dome and cameras. The inscriptions of the Georgian Asomtavruli, which decorate the southern wall of the temple, tell us the story of the construction of the temple and the gives untold feeling:"With the help of God, with the help of the Bishop Iovane, the founder of this church was cut by the hand of the Saqocari at the time of the reign of Leon, and this was done by Goddess Choronicon RDP in the month of May, on Saturday, in full moonlighting. By the intercession of Christ Amen." After seeing Kumuda, there is a question: Kumuda or Arsukidze.

What else should you see in Djavakheti to forget that emotion?!

Stay on Baraletta's way.You might be surprised to see the 19-th centu-

ry bell tower is built on the 13-th century double-boat basilicas on the Lorfin roof.In other parts of Georgia, It would seem to be a completely drop out of context, but here in Javakheti it looks exotic. Especially when you come to the cathedral and will see how the cane is staring at you from it's nest. In Baraletta you will meet two-boat basilica, Lorfin roof and religious scene-Daniel in the lions' pit. You can find out the same scene with Daniel and lions on the eastern wall of Burnashetti Cathedral (X century) which was built three centuries earlier. The inscription on the wall asks God for health the builders of the church and safe them from the hell, as Daniel was saved from the lions. Special charm gives to Burnashetti the Southern Naval columns, the thrifty and the mighty capitals. Emotions up warded in Baraletta and enhanced in Burnashetti should be crowned somewhere, this is definitely in Azavretti. The absorbent stone structure and the correction of the shadow of the southern sequence of the sculpture will seem to be incompatible with you as soon as you get into the interior of the temple. There are two thumbs in the western wall of the pillar. With these arches the temple was joined to the galleryfrom the west. The biggest emotion causes the

six pair of the totally different of each other arc capital, watching them impressing that the falling down sky's vaultand thewalls illuminated luminous sunlight which gives huge energy to the monument. Another charm and beauty of Djavakheti is the steels. There are a lot of stelae here. The sculptured columns based in the cubic base with cross image performed the function of the shrine from the VI century to X century. Then some of them were built in different periodic structures, while others remained in their place but lost their function and forgotten their purpose. The huge stone built cross with its stand was a prayer, which was discovered later in the church of Khando. You can notice while enter the small temple, if you look at the stone crossing near the altar, you will suddenly think that in case of Khando, the cross didn't enter the church, but it was clothed (covered) by the church. In general, Djavakheti is a part of the hall and double boat churches, seeing themas if the same footage is replaced by one another, but individual details, architectural solutions and reliefs still distinguish between them.

I want to tell you about two such temples.

One of them is Bavra

Bavra is four kilometers away from Akhalkalaki. This vault collapsed and constructed, seemingly ordinary hall of the church, is erected at the edge of the river. As soon as you get in front of the door and stop gazing at the relief in front of gable,it seems to you that framed branching antlers and depicting triple discs filled reliefs from both side are filled with spiral frame. In fact, this is the most beautiful number of letters that create the text of such a content: "This church is built by the name of God. Sofron Konkol, amen" The same person's name reads on the top of the temple's east panel built inthe relief of Daniel and Lions.

"Glory to Christ, Sofron". Most of the emotions motivate the interior of the temple,along with the profiled arc capitals, animated reliefs of the sun and moon in the temple's enclosure should be searched. Nowhere else can find you like this.

The second church is in the village of Khoreni.

The first Patriarch of Georgia, Melkisedek, made outbuilding to the south in 1029. The richly decorated look more impressive than ever before, because in XV century lowered vault and in XIX century expanded fenestra with whitened interior -lost charm to the temple. Here also charm on reliefs. The most outstanding is a man with a Scepter on a throne, standing below the corner on western wall and reliefs along the fenestra of Adam and Eve, dressed in traditional Georgian clothes-standing at the paradise tree. Similar reliefs are hardly remembered in other Georgian temples. In Djavakheti are mostly dome less churches, there is an exception -Kumurdo and a temple, sculpted in the rock, located on the road to Great Samsara. The X-XI Century Complex of Samsara's water canyon gives you the impression of the cave only from the distance, but you will soon find in the first cave that you are in the other world and epoch. There are several rocky chamber style rooms with a hole in the back wall. The holes can be tunnels but in reality, they are drops and hollows, which are so branching that you can't go ahead with the fear of losing back. On the first cave wall there is a small bas-relief of a little fellow lying on one side. Look well, we aren't use to such images. The second cave is bigger than first, there are more drops and hollows, but the third one is really distinguished …and you suddenly find yourself in one of the largest pillars in the whole country, which is rock sculpted dome-dome cathedral. The cave is a true dome here, based on the absit's sleeves and relied on two massive pillars.

The space is fragmented columns and arches sculpted from the rock. Smeared walls give you a clue that they were painted. A true Georgian chronicle is hidden on the forehead of the church- the Asomtavruli inscription tells us that the Mother Goddess Church was sculptured by Sula in the days of David III Qurapalat, and this happened when Turk's stole a cross from Mtskheta known as Nino's Cross. "The holly city Vani was built by the Georgian King David Qurapalat. He released us from great difficulty. This was written by Sula when the church of Mtskheta was settled and Nino's hand was lit up"

If you got more energy and time don't leave Djavakheti not to see Garta and Dankal. Time is frozen like in the Middle ages at the western edge of Djavakheti Plateau, where are these two ruined villages located on the right side of Mtkvari gorge. There is a church in the middle of the ruins. They are filled with fogs, wide streets and burial grounds.If Garta is more impressive well-preserved house nests in which you can easily read the old Meskheti, In Dankal Church will surprise you. The double-boat building, which looks like a monolith outside and seems to be unique, implies a completely different emotion in the interior: The wide central and narrow south boats merge each other and isolates the same time two arches crossed three-stage pier of bridge, decorated red-black stones lined in chess. If you get into the sunset, you can look carefully at the Dankal and the Garta: here you will remember the medieval -As if the west is the end of the universe. But if you follow the Red Sun, instead of the end of the world and the darkness of the Plateau, you will be on top of the beautiful valley of the Mtkvari and you will feel that you have always loved Djavakheti.

Ketevan Dighmelashvili

The photos are taken by Ketevan Dighmelashvili

ხორნაბუჯი

თუ სირთულეები არ გაშინებთ, სიმაღლე თავბრუს არ გახვევთ და მუხლიც მაგარი გაქვთ, მაშინ გვიანი შემოდგომა სწორედ ხორნაბუჯის „დაპყრობის“ დროა, ციხისა, რომელიც ცასა და დედამიწას შორის აწოწილი სვეტი, ლეგენდების საუფლო და საქართველოს ისტორიის ნამდვილი მემატიანეა.

ხორნაბუჯის ციხე მდებარეობს კახეთში, დედოფლისწყაროს ცენტრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 4 კმ-ზე, გომბორის ქედის კალთის ბოლოზე.

არავინ იცის საიდან მომდინარეობს მისი სახელი. ლათინურად მიუწვდომელ, შორეულ ქალაქს უნდა აღნიშნავდეს. სხვა მოსაზრებით (რომელიც უფრო მეტად მისტიკურია), ხორნაბუჯი, მზის ქალაქს ნიშნავს. პრინციპში, ორივე თავისებურად ამართლებს ემოციებს. ამას მაშინვე მიხვდებით, როგორც კი ციხის მიდამოებში აღმოჩნდებით...

გვიან შუა საუკუნეებში ხორნაბუჯს სახელი შეეცვალა და ჭოეთის

ციხე უწოდეს. დღეს კი მოსახლეობაში უფრო მეტად ცნობილია თამარის ციხედ და ლეგენდებიც, რომელსაც ჩემს ბავშვობაში ყვებოდნენ, სწორედ ამ მეფესა და ხორნაბუჯს უკავშირდება.

ხორნაბუჯის, როგორც ქალაქის დაბადება ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება. იგი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი პროვინციის - კამბეჩოვანის ადმინისტრაციული და საეპისკოპოსო ცენ-

ტრი იყო. VI ს-ის I ნახევარში ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ ხორნაბუჯი სპარსელი მოხელის რეზიდენცია გახდა. VI ს-ის II ნახევარში ქალაქი გაათავისუფლეს გუარამ ერისთავის ძმებმა. მემატიანის მიხედვით, ბაგრატიონები დიდხანს მართავდნენ ხორნაბუჯს. ჰერეთის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ ხორნაბუჯის ერისთავი განაგებდა ,,ქიზიყს და გარე-კახეთს კუხეთის საზღვრამდე, ალაზანსა და მტკვარს შიგნით და ჰერეთის მთასან. ხორნაბუჯის ერისთავები ჰერეთის მეფის ერთგულები იყვნენ. საქართველოს ერთიანი მონარქიის წარმოქმნის შემდეგ ხორნაბუჯი ქვეყნის სანაპირო საერისთავოს ცენტრად იქცა. მას მართავდნენ მახატლის-

ძეები, რომლებიც XIII ს-ის 60-იან წლებში უნდა შეცვლილიყვნენ. ამ სასწაულებრივ ამბავს წყაროები ამგვარად მოგვითხობს: ბათო ყაენთან მიმავალმა დავით VII ულუმ სამეფოს გამგებლად დედოფალი ჯიგდა-ხათუნი და მესტუმრე ჯიქური დატოვა. მეფის ქვეყანაში არყოფნით ისარგებლა პანკისის გამგებელმა თორღვა პანკელმა, მეფეს განუდგა და კახეთი დაიკავა. უკან დაბრუნებულმა მეფემ თორღვა თავისთან დაიბარა, მაგრამ ის არ ეახლა. თორღვას დათანხმების მიზნით შუამავალმა ბერი ხორნაბუჯელმა ფიცი დადო ალავერდის წმინდა გიორგის ხატის წინაშე, რომ თორღვა პანკელი შინ უვნებელი დაბრუნდებოდა და იგი ტაბახმელას სასახლეში მიიყვანა. დედოფლისა და ჯიქურის ბრძანებით თორღვა პანკელი კლდეკარიდან გადაჩეხეს. ბერი ხორნაბუჯელი კი ფიცის გატეხვისთვის წმ. გიორგიმ დასაჯა - ბერის ერთადერთი შვილი, შალვა მონღოლებთან ბრძოლაში დაეცა, მისი შვილები ,,მყის დაიხოცნენნ, ხოლო ბერი მწუხარებაში გარდაიცვალა. ასე იქმნა ,,უმკვიდრო სახლი მისინ.

1265 წ. ოქროს ურდოს ყაენის ბერქას ლაშქრობამ ხორნაბუჯი შე-

იწირა და მას აქეთ ქალაქად აღარ აღორძინებულა.

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, ხორნაბუჯი კახეთის სამეფოს ერთ-ერთი საყრდენი ციხესიმაგრეა. ის, როგორც ჩანს, ერთგვარი სატუსაღოა, საიდანაც კახეთის მეფე დავით I-მა, 1603 წელს, თავისი ძმის, გიორგის 12 შეფიცული გადმოაგდო. აქვე ჰყავდა დატყვევებული თეიმურაზ I-ს მოწინააღმდეგე ჯავახიშვილთა საგვარეულოს თავკაცები.

1615 წ. ციხე ირანის შაჰმა აბას I აიღო და იგი თავისი მოხელის, კახეთის გამგებლის, ფეიქარ-ხანის რეზიდენციად აქცია, რომელმაც გიორგი სააკაძის ხმალს ვერ გაუძლო და 1625 წ. ციხეც დაკარგა და კახეთიც.

XVIII ს. ქიზიყის ცენტრის სიღნაღში გადანაცვლების შემდეგ, ხორნაბუჯმა ნელ-ნელა დაკარგა თავისი მნიშვნელობა, მივიწყებას მიეცა და ლეგენდების ბურუსში გაეხვია...

გაიცანით საქართველო

როდესაც ციხესთან მიხვალთ თავად მიხვდებით, რატომ სთქვა შაჰ-აბასის პირადმა ისტორიკოსმა ისქანდერ მუნშმა სიტყვები: ,,ეს დიდებული ციხესიმაგრე მდებარეობს ერთი მაღალი და მიუვალი მთის წვერზე და არც ერთი მხრიდან არ აკრავს მაღლობი, საიდანაც შეიძლებოდეს მასზე თავს წამოდგომა. მისი სიმაღლე ისეთია,

რომ კარის ზღურბლიდან იმ ადგილამდე, სადაც ციხის მცველები დგანან, ხუთას სამოცი კიბის საფეხური უნდა აიაროს კაცმა. ერთი სიტყვით, იმ ციხეს რომ წვიმის ასავსები ამბრის გარდა ერთი წყაროც ჰქონოდა, ვერც ერთი დიდებული ხელმწიფე მას ვერასოდეს დაიპყრობდან.

ციტადელზე ასულები კი, როცა თვალს მოავლებთ ხელისგულზე გაშლილ მთელ კახეთს კავკასიონიდან აზერბაიჯანამდე, იმასაც მიხვდებით, რატომ აირჩია ბრძენმა მეფემ ეს კლდეები თავისი ქვეყნის აღმოსავლეთი საზღვრის დარაჯად, რატომ იყო აღფრთო-

ვანებული ალექსანდრე დიუმა ამ ციხის ნახვით და რატომ ირჩია უნგრელმა მხატვარმა მიხაი ზიჩმა ხორნაბუჯი ქაჯეთის ციხის პროტოტიპად.

როგორც აღვნიშნე, ციხეს მოსახლეობა თამარის ციხის სახელით იცნობს. სწორედ მას უკავშირდება ადგილობრივებში დაცული ლეგენდაც, თითქოს ციტადელის კლდის პირზე არსებული ერთი პატარა გამოქვაბულიდან 7 გვირაბი გადის, ლაბირინთებად იხლართება, ექვსი მათგანი უკან ბრუნდება და მხოლოდ ერთს მიჰყავხართ თამარ მეფის დარბაზებამდე. . .

ქეთევან დიღმელაშვილი

ფოტოები გადაღებულია ქეთევან დიღმელაშვილის მიერ

KHORNABUJI

If the difficulties do not frighten you, the height does not get tired and the knee is strong, the late autumn is the best time for "conquering"K-hornabuji, Fortress (citadel) is located between heaven and earth, full of legends and is real chronicler of Georgian history.

Khornabuji Fortress is located in Kakheti, 4 km north-east of Dedo-plistskaro center, at the end of the Gombori ridge.

No one knows where his name comes from. It should be noted that in Latin, means "inaccessible" In other opinion (which is more mystical), Khornabuji means sun city. In principle, both versions justify emotions,

you will soon find out as soon as you are in the Fortress area ...

In the late Middle Ages Khornabuji was renamed and called the Choeti fortress. Nowadays is more known as King Tamar's Fortress and all legends, which I heard in my childhood are related to this king and Khornabuji.

Khornabuji, as the birth of the city is connected to the name of Vakhtang Gorgasali. It was the administrative and episcopacy center of one of the provinces of the Kingdom of Kartli – Kambechovani. After the abolition of the reign of Kartli, in the first half of VI century, Khornabuji became a resident of the Persian Empire. In the second half of VI century, the city was released by the Gueram Eristavi brothers. According to the memorandum, the Bagrationi ruled Khornabuji for a long time. After the creation of Hereti Kingdom, Khornabuji Eristavi ruled "Qiziki and external-Kakheti to Kakheti border, Alazani and Mtkvari within the mountains of Hereti". The Khornabuji's Eristavs were devoted to the king of Hereti. After the creation of the monarchy of Georgia, Khornabuji became the center of the coastal region of the country.

It was ruled by Makhatlidzes who had to change in the 60s of the XIII c. The sources tell us this miracle: While David VII Ulu visiting Bato Khan, he left Queen Jigda-Khatun and Mestumre Jiquri as rulers. The

Pankisi governor Torghva Pankeli profited of king's leaving and deserted from the king and conquered Kakheti. After returning king called Torghva, but he did not visit him. In order to agree Torghva, the mediator monk from Khornabujimade an oath before Alaverdi St. George's icon that Torghva Pankeli was returning home and brought him to the Tabakhmela palace. With the order of the Queen and Jiquri Torghva Pankeli was dropped down from the rock. Monk from Khornabuji was punished by St. George for braking the oath. The only son of the monk, Shalva fell into the battle with the Mongols, his children died faster too, and monk died in sadness. After that his house became a house without inheritor.

In 1265 years Berqa Khan, leader of the golden Horda buried Khornabuji and it was no longer rebuilt.

After the collapse of the Kingdom of Georgia, Khornabuji is one of the basis of the Kingdom of Kakheti. It seems it became a prison,

from which Khakhetian King Davis I dropped(throw) down 12 devoted persons of his brother's -George XII-s. Teimuraz I hold as hostages the head of Javakhishvili Family.

In 1615 the fortress was conquered by Iranian Shah Abbas I and gave a residence to his subordinated Peikhar-Khan, who was defeated with George Saakadze and lost fortress in 1625.

In XVIII c. After shifting Qiziki to Sighnaghi as a center, Khornabuji slowly lost its meaning, forgotten and gained the legend of the legend ...

When you go to the fortress you will find yourself wondering why Shah-Abbas's personal historian Ishander Munsh said: "This magnificent fortress is located on a high and uninhabited mountain top, and no one from the side of the mountain can find it. Its height is that from the threshold of the door to the place where the prison guards stand, the five hundred sixty staircases should cover the man to get there. In a word, if the fortress had one more source of spring water, no great king could never have been captured. " when you get on fortress, take a look to the entire Kakheti region from the Caucasus to Azerbaijan, you can see why the wise king chose these cliffs as the guards of the eastern border of the country, why Alexander Duma was delighted with this prison, and why the Hungarian artist Mihai Zich has made a Khornabuji as a prototype of Kajeti prison.

As I mentioned, the population of the fortress is familiar with the name of the Tamara fortress. It is linked to the legendary legend in the locals, as if 7 tunnels pass from one small cave, crosses into labyrinths, six of them go back and only one can take to the Queen Tamar's Hall.

Ketevan Dighmelashvili

The photos are taken by Ketevan Dighmelashvili

უფლისციხე

ზევსისა და მნემოსინეს საიდუმლო კავშირის შედეგად, სიმღერისა და ცეკვის ხელოვნებით დაჯილდოებული ცხრა ქალიშვილი დაიბადა. ეს მუზა-ქალღმერთები _ პოეტთა შთაგონების წყარონი, პარნასზე ცხოვრობდნენ. მუზებს თავიანთი ტაძრები სჭირდებოდათ და გაჩნდა "მუზეუმები." ცხრა მუზის ცხრა მუზეუმი, ცხადია, არ იკმარა სიძველეების, ხელოვნებისა და ზო-



გადად მშვენიერების ტრფიალმა კაცობრიობამ და დღეს სამყაროს უამრავი მუზეუმი ამშვენებს.

“ონლაინ არქეოლოგია” დამდეგ შობა-ახალწელიწადს ულოცავს მუზეუმების მესვეურთ, თანამშრომლებსა და დამთვალიერებლებს. მკითხველს კი უფლისციხის მუზუმ-ნაკრძალში სამოგზაუროდ ეპატიჟება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამუზეუმო მიმართულების კურატორი ირმა დოლიძე გიამბობთ უფლისციხის მუზეუმის შესახებ, ხოლო ძეგლს გაგაცნობთ უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის გიდი ქეთევან ნადირაშვილი.

საქართველოში სამი უდიდესი კლდეში ნაკვეთი კომპლექსია: უფლისციხე, დავით გარეჯი და ვარძია. მათგან უძველესი უფლისციხეა, დაარსადა ქ.წ. IV-III სს. აქ თავდაპირველად რამდენიმე ბუნებრივი გამოქვაბული იყო, შემდეგ მოსახლეობას კლდის კვეთა რკინის იარაღებით დაუწყია და ნელ-ნელა მივიღეთ ის ლამაზი დარბაზები, რომლებიც დღეს გვაქვს. აქაური მოსახლეობა წარმართული იყო, თაყვანს სცემდნენ სხვადასხვა ციურ სხეულს, მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს და ა.შ. მართალია, IV საუკუნეში სა-

ქართველო გაქრისტიანდა, მაგრამ ეს ადგილი VI საუკუნემდე წარმართულად დარჩა და აქ მრავალი სხვადასხვა რიტუალი მიმდინარეობდა. დადასტურებულია სამსხვერპლო ორმოებიც.

თვითონ ლეგენდად ქცეული ნაქალაქარი უამრავ ლეგენდას ინახავს. როგორც ამბობენ, ის დააარსა ვინმე უფლოსმა, რომელსაც მემკვიდრეობით მიუღია გარკვეული ტერიტორია და ადგილს სახელად _ უფლისციხე _ უფლოსის პატისაცემად დაერქვა. არსებობს მეორე ვერსიაც: რადგან უფალი ნიშნავდა მმართველს და შემდეგ პერიოდში უფლისციხე იქცა მმართველთა ციხედ ანუ ციხედ, საიდანაც დაახლ. IX-X სს. ქართლი იმართებოდა, დაერქვა უფლისციხე. X საუკუნეებში ეს უკვე სამეფო რეზიდენცია იყო. უფლისციხე განადგურდა XIII-XV საუკუნეებში მონღოლთა შემოსევების შედეგად. XVIII საუკუნეში ის უკვე მწყემსების თავშესაფრად იქცა.

ნაქალაქიდან 2 კმ მანძილზე აბრეშუმის სავაჭრო-საქარავნო გზა მდებარეობს. უფლისციხეს ოთხი შესასვლელი ჰქონდა. ნაქალაქარი სამი უბნისგან შედგებოდა. აქ ორი ტიპის გამოქვაბულებია - ანტიკური პერიოდისა და შუა საუკუნეების. მიწისძვრების შედეგად

გამოქვაბულების ნაწილი დაზიანებულია. 1920 წლის მიწისძვრამ ქალაქის ნაწილი დაანგრია, დანგრეულია დარბაზები. ზოგადად, უფლისციხე ნაშენია ქვიშაქვაზე, რომელიც როგორც მარტივად იკვეთება ისე, მარტივად ინგრევა.

ანტიკური პერიოდის დარბაზები დახვეწილი სილამაზით გამოირჩევა. მათ კედლებიც გასწორებული აქვს და ჭერიც ლამაზად გაფორმებული. ხოლო შუა საუკუნეების გამოქვაბულებში არანაირი დეკორაცია არ შეინიშნება. ნაქალაქარში დადგენილია ორმოების სამი ტიპი - სამსხვერპლო, მარცვლეულის შესანახი და წყლის დასაგროვებელი. არის თიხის ფილებით დაფარული საკანალიზაციო სისტემა. სუფთა, დასალევი წყალი უფლისციხელებს გადმოჰყავდათ ახაშნებისა და ალაზნების მთიდან. უნიკალურია ნაქალაქარის საკვების შესანახი გამოქვაბულები, ისინი ინარჩუნებს ტემპერატურას და, შესაბამისად, არაჩვეულებრივი იყო საკვების შესანახად. დადგენილია, რომ პურის საცხობი თონეების ცეცხლის დასანთებად უფლისციხელები იყენებდნენ წივას (გამხმარი ნაკელი) და არა ფიჩხს. ნაქალაქარში არის ბაზრის ტერიტორია, მცირე თეატრონი და თეატრონი, რომელსაც კესონებიან დარბაზსაც უწოდებენ. ის გაფორმებულია რვაწახნაგა კესონებით, რომლებიც ქ.წ. I საუკუნით თარიღდება, მათ რომაულ კესონებადაც მოიხსენიებენ. თეტრონს აქვს სცენა, კულისები და იარუსები. ეს მშვენიერი დარბაზები

ქალაქის სიმდიდრის მიმნიშნებელია. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ უფლისციხის არქიტექტურა დარბაზის მორთულობებით პართიულ ლივანიან სახლებს ჰგავს.

უფლისციხის მთავარი ქუჩის მარჯვენა მხარეს მდებარეობს "მაყვლოვანის დარბაზები". არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ აღმოჩნდა მაყვლის ბუჩქები და სწორედ ამიტომ უწოდეს "მაყვლოვანის დარბაზები". აქვეა მზის ტაძრების კომპლექსი, სადაც ტარდებოდა ძირითადი რიტუალები. აქ ასრულებდნენ უზენაესი ქურუმები წარმართულ რიტუალებს, სწირავდნენ მსხვერპლს და ადიდებდნენ ქალღვთაება ნანა მზე ქალს. მის რვასაფეხურიან კიბესაც სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა: მზის კულტს აღნიშნავდა და მარადიულობასთან იყო დაკავშირებული. აქვე არის ჩამოსაჯდომიც, როგორც ამბობენ ეს იყო დასაჯდომი ქურუმთათვის რიტუალების მიმდინარეობისას. ეს ადგილი 1957 წლამდე მიწისქვეშ იყო მოქცეული, შემდგომ ის გაითხარა და გამოვლინდა ოქროს არტეფაქტები, რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. უფლისციხეს ამშვენებს ქორედიანი დარბაზებიც. მის მთავარ ქუჩაზე გახლავთ 8 მეტრიანი დილეგიც, სადაც მხოლოდ ფეხზე დგომა შეიძლებოდა, ადამიანი ვერც დაჯდებოდა და ვერც გაინძრეოდა. და იყო დილეგი მთავარ ქუჩაზე იმიტომ, რომ ყველას დაენახა სამაგალიოდ იმისა, რომ არ ჩაედინათ დანაშაული.

უფლისციხის ყველაზე მშვენიერი დარბაზი -

თამარის დარბაზია. არავინ იცის რეალურად იმყოფებოდა თუ არა აქ თამარ მეფე. ისტორიული წყაროები თამარ დედოფლის უფლისციხეში ყოფნას არ მოწმობს. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ საქართველოს ისე უყვარს თამარი, ყველა ლამაზ ადგილს მის სახელს უკავშირებს. ეს დარბაზი მართლაც გამოირჩევა სილამაზით, მას ახლა ერთი სვეტი აქვს (თუმცა, უწინ ორი სვეტი აკავშირებდა ჭერთან. ისინი იწყებოდა რვა კუთხით და მთავრდებოდა 4 კუთხით), აქ ჭერიც გაფორმებულია და ყველაზე კარგად იკითხება განსხვავება ანტიკურსა და შუა საუკუნეების დარბაზებს შორის. ამბობენ, რომ ეს ადგილი გამოკვეთილია მონების მიერ. ლეგენდის მიხედვით, მონებს ეჭირათ წერაქვები, რომლებშიც ოქრო იყო დატანილი. თუ ბევრს იმუშავებდნენ და ლამაზად გამოკვეთდნენ ამ დარბაზებს ოქრო გაშიშვლდებოდა და ისინი მიიღებდნენ ოქროსა და თავისუფლებას. ეს დარბაზი იმითიც ცნობილია, რომ საქართველოს გამაერთიანებელმა მეფე ბაგრატ მესამემ სწორედ აქ დაიდგა გვირგვინი, აქ ეკურთხა მეფედ. შემდგომ უკვე დედამისი გურანდუხტი მართავდა აქედან ქართლს.

მარანი, ნასახლარი, აფთიაქი, სამტრედე... სავარაუდოდ, სადმე უნდა იყოს სასაფლაოც... ერთ-ერთ მარანში 58 ძირი ქვევრია... შიდა ქალაქიდან მდ. მტკვარზე გამავალი საიდუმლო გვირაბი, ფშატი და ყურძნის წიპწები... ცეცხლის ტაძარი, რომელიც მე-6 საუკუნეში სამნავიან ბაზილიკად გადაკეთდა უფლისციხის პირელი ქრისტიანული ადგილი იყო. მოგვიანე-





ბით ეს ადგილი დაივიწყეს და სალოცავად წმ. გიორგის ეკლესია-ში მიდიოდნენ, რომელიც კლდეზე საძირკვლის გარეშეა ნაგები X საუკუნეში.

მუზეუმი

მუზეუმი უფლისციხეში 1979 წლიდან არსებობს. მისი განახლება 2012 წელს დასრულდა და განახლებული სახითა და ექსპოზიცი-ით გაიხსნა 2013 წლის 18 მაისს. უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაშია და განახლდა სააგენტოს ინიცი-ტივითა და დაფინანსებით.

სამუზეუმო სივრცე მოიცავს საგამოფენო დარბაზსა და პატარა დარბაზს, სადაც მიმდინარეობს უფლისციხეზე გადაღებული დო-კუმენტური ფილმის ჩვენება. ამ მცირე ტერიტორიას 50 ადამიანიც დაუტევია. მუზეუმში შესული დამთვალიერებელი ერთ სივრცეში, ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით, ეცნობა უფლისციხის შესა-ხებ არსებულ ინფორმაციასა და არტეფაქტებს დაწყებული ქ. წ. II

ათასწლეულის სამეურნეო და ყოფის ამსახველი მასალით, გვიანდელი შუა საუკუნეებისა და XIX საუკუნის კერამიკული ნიმუშებით დამთავრებული. საგამოფენო დარბაზის მომცველი, ორიგინალური ტალღოვანი ფორმის ერთიანი საექსპოზიციო სტენდი, რომელიც უფლისციხის კლდის არქიტექტურის ფერის, ფორმებისა და ფაქტურის ერთგვარი გამოძახილია, ვერტიკალური, შემინული სტენდების აქცენტირებით სამნაწილიანია და, შესაბამისად, სამ ქრონოლოგიურ პერიოდს მოიცავს – საწყისები ანუ ბრინჯაოსა და ადრე რკინის პერიოდი, ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები (ადრექრისტიანული ხანიდან გვიანდელი შუა საუკუნეების ჩათვლით). თითოეულ მათგანში ეპოქისთვის სახასიათო აქცენტები გამახვილებულია ყოფაზე, მეურნეობაზე, კულტზე, ტრანსკავკასიურ მაგისტრალზე, იბერიის ქალაქების თავისებურებაზე, ვაზის კულტურასა და ღვინოზე, მუსიკალურ საკრავებზე, დამწერლობაზე, უფლისციხის პოლიტიკურ-ეკონომიკურ აღზევებასა და დაცემაზე.

სხვადასხვა პერიოდში ძეგლზე მომუშავე არქეოლოგების ღვაწლს დამთვალიერებლები ბანერების საშუალებით ეცნობობიან.



MUSEUMS AND ARTIFACTS

UPLISTSIKHE

Nine daughters of the singing and dancing art were born after Zeus and Mnemosyne's secret connection. This muse-goddesses, who lived on the Parness were a source of poetry inspiration. There were created museums after muse needed their own temples. Nine muses' nine museum, obviously wasn't enough for humanity, who loved antiques, art and beauty in general. That's why a huge number of museums are decorated the world.

"Online archaeology" congratulates Christmas and New Years eve to the museums leaders, staff and visitors. The reader is invited to travel to the Uplistsikhe museum-reserve.

Irma Dolidze, Curator of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, tells you about Uplistsikhe museum, and Ketevan Nadirashvili, a guide to the historical-architectural museum reserve of Uplistsikhe.

There are three great rocky cut complexes in Georgia: Uplistsikhe, David Gareji and Vardzia. The oldest of them is the Uplistsikhe,which was created in IV-III cc. Initially there were some natural caves, and then the population began to climb the cliff with metal arms and slowly got the beautiful halls we have today. The local population was pagan, worshiping various celestial bodies, sun, moon, stars, etc. It is true that in the IV century Georgia was converted to Christian, but this place remained pagan until the 6th century and many different rituals were

held there. The altar is also confirmed.

The legendary Nakhalakhari itself stores a lot of legends. As it is said, it was founded by someone named Uflos, who had inherited some territory, and the place was named as Uplistsikhe in honored of Uplos. There is also another version: because “Upali” meant the Ruler (Lord), and then the Uplistsikhe became the council of the rulers in the IX-X centuriesand governed Kartli region, that’s why it was called as Uplistsikhe. In the X century it was already a royal residence. Uplistsikhe was destroyed in the XIII-XV centuries by the Mongol invasions. In the XVIII century, he became the shepherd’s shelter.

The silk trade-road road is located 2 km away from the Nakhalakhari. Uplistsikhe had four entrances. The city was composed of three districts. There are two types of caves - antiquity and medieval. Part of the cavity has been damaged as a result of earthquakes. The 1920s earthquake destroyed part of the city, damaged halls. Generally, the Uplistsikhe is a piece of sandstone that easily built and easily falling down(destroyed). Antique period halls are distinguished by its elegant beauty. Their walls have been straightened and the ceiling is beautifully decorated. And in the medieval caves there is no decoration noticeable. There are three types of pits in Nakhalakhari - altar, grain storage and water collector. A sewage system covered with clay tiles. The clean drinking water was brought from Alazani and Akhasheni mountains. Nakhalakhari’ food storage cave is unique, because of keeping temperature and kept food freshly. It’s established that population of Uplistsikhe used dry manure instead of brush in thebread bakeries tolight the fire. In the city is the market area, small Theatron (Theater) and Theatron (Theater), also known as the caisson style Hall. It is decorated with eight-quarters caisson style dated to the 1-st century and called as Roman caisson style. Theatron (theater) has a scene, behind the scenes and tier. These beautiful halls represent the riches of the city. Specialists think that the Uplistsikhe architecture is similar to the halls of the Parthian

Lebanon's houses."Blackberry Halls" are located on the right side of Uplistsikhe main street. As a result of archeological excavations, blackberry bushes appeared to be here and that is why it is called "Blackberry Hall". There is also a complex of solar temples where the main rituals were performed. Here the Supreme priests performed pagan rituals, sacrificed their victims and glorified the goddess Nana the Sunny women. His eight-steps stair had a symbolic meaning. It was celestial cult and related to eternity. There is special place for Supreme priests to sit, during the pagan rituals. This place was underground until 1957, after Archaeological excavations revealed golden artifacts which are protected in the Georgian National Museum. Uplistsikhe is decorated with Qoredian style halls.On the main street there is an 8-meter custody, where only one can just stand, the man could not sit down and could not move. And the custody was on the main street was for everyone, to remark not to commit a crime. The most beautiful hall of Uplistsikhe - Tamar's hall. Nobody knows whether if Tamar king really was here or not.Historical sources do not agree the presence of Queen Tamar in Uplistsikhe. It is more likely that Georgia loves Tamar, so all the good places named to her honor. This hall is really distinguished by beauty, it now has one column (but before the two columns were connected to the ceiling. They started at eight angles and ended at 4 angles), where the ceiling is lined and the difference between antiquity and medieval halls is best to read. It is said that this place is sculptured by slaves. According to the legend, the slaves were holding the golden pickaxe. If the slaves would work hard and beautifully clear, these halls' gold would be stripped(shattered) and they would get gold and freedom.This hall is also known as coronate place of united Georgia's King Bagrat III was Later his mother Gurandukht was ruled from here to Kartli.

Cellar, pharmacy, pigeon's house …Supposedly there should be a cemetery …There were found 58 pitchers in one of the cellar. A secret tunnel on the RiverMtkvarifrom the inner city, Fresh and grape seeds, The

Temple of Fire, which was transformed into a three-dimensional basilica-All of these are first place of Christianity in Uplistsikhe. Later this place was forgotten and they went to pray to the church of St. George, which is built on the rock without a foundation in the X century.

MUSEUM

The museum is located in Uplistsikhe since 1979. Its renovation was completed in 2012 and opened on May 18, 2013 with renewed form and exposition. Uplistsikhe Museum-Reserve is under subordination of the National Agency for Cultural Heritage Preservation and renewed with the initiative and financing of the Agency. The museum space includes an exhibition hall and a small hall where the documentary film on Uplistsikhe is being screened. This small area can hold about 50 persons. A visitor entering the museum in one space, with the chronological principle, is familiar with the information about the Uplistsikhe and the artifacts are started in the II millennium BC of agricultural and living materials with ceramic specimens of the late Middle Ages and XIX Centuries.The unique exhibition stands of the original curling shape, which exhibits the unique shape of the Uplistsikhe rock architecture, forms and textures, has three stages of emphasis on vertical and glazed stands, and therefore includes three chronological periods - basics, or bronze and early iron period, antique times, middle Centuries (AD Including the late Middle Ages from the Old Testament). Each of them emphasizes the characteristic emphasis of epoch on the life, farming, cult, trans Caucasian highway, peculiarities of Iberian towns, vines culture and wine, musical instruments, writing, the political and economic rise and fall of Uplistsikhe.

Various visitors will be able to visit the monuments of archaeologists through banners.

რეცენზიები

“ონლაინ არქეოლოგია” იწყებს ახალ რუბრიკას - “რეცენზიები”, რომელიც მოტივირებულია საამისოდ, რომ მეცნიერებს მიეცეთ ქურნალთან და ერთმანეთთან, რაც შეიძლება მეტად აქტიური თანამშრომლობის საშუალება.

ქურნალის რედაქცია სთხოვს არქეოლოგებს, გამოგზავნონ თავიანთი რეცენზიები კოლეგების ნაშრომებთან დაკავშირებით, გამოთქვან საკუთარი აზრი, წამოჭრან სადისკუსიო თემები და სხვ.

“რეცენზიების” პირველი რეცენზიის ავტორები ისტორიის დოქტორი ბესიკ ლორთქიფანიძე და არქეოლოგიის დოქტორი ნიკო მურღულია არიან.

რეცენზია დავით ლომიტაშვილის მონოგრაფიაზე

“ნოქალაქევის ნაქალაქარი IV-VII ss. არქეოლოგიური მასალების მიხედვით“

დავით ლომიტაშვილის მონოგრაფია „ნოქალაქევის ნაქალაქარი IV-VII სს. არქეოლოგიური მასალების მიხედვით“ IV-VIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს, ეგრისის სამეფოს დედაქალაქის, ციხეგოჯი-არქეოპოლისის არქეოლოგიურ-ისტორიული ხასიათის ფუნდამენტური კვლევაა. ნაშრომი ნოქალაქევის ნაქალაქარის არქეოლოგიური მონაპოვრების კომპლექსური და მონოგრაფიული შესწავლის პირველი მცდელობაა. მონოგრაფიაში საფუძვლიანად არის გამოკვლეული IV-VIII საუკუნეების, როგორც არქეოლოგიური მასალა ისე, ისტორიული წყაროები; ამომწურავადაა წარმოდგენილი ამ თემატიკასთან დაკავშირებით არსებული ისტორიოგრაფია.

დ. ლომიტაშვილი მიმოიხილავს როგორც საკუთრივ ციხეგოჯთან ისე, ეგრისის სამეფოსთან დაკავშირებულ ისტორიულ წყაროებს. წარმოდგენილი აქვს ქართული და უცხოური მატიანეების მონაცემები: ქართული წყაროებიდან აღსანიშნავია „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეტანილი ლეონტი მროველისა და ჯუანშერის, ვახუშტი ბაგრატიონისა და „დავითის და კონსტანტინეს მარტვილობის“ ცნობები. უცხოური წყაროებიდან კი, უნდა აღინიშნოს იუსტინიანე I-ის, ე.წ.,

„ნოველები“, პროკოპი კესარიელის, აგათია სქოლასტიკოსის, მენანდრე პროტიქტორის, თეოპილაქტა სიმოკატტას, თეოფანე ჟამთააღმწერლის მონაცემები.

მონოგრაფიის ძირითადი ნაწილი ნოქალაქევის ნაქალაქარიდან მომდინარე IV-VIII საუკუნეების მასობრივი არქეოლოგიური მონაპოვრის განხილვაა; თუმცა, ავტორი მოკლედ წარმოადგენს წინა პერიოდის მასალასაც, რაც მნიშვნელოვანია ამ ნაქალაქარის სტრატიგრაფიის გამოსაკვლევად. უნდა აღინიშნოს, რომ დ. ლომიტაშვილმა პირველმა განსაზღვრა ნოქალაქევის სტრატიგრაფია; გამოყო ის არქეოლოგიური შრეები, რომლებიც წარმოდგენილია ნაქალაქარზე. სწორედ მისი კვლევის შედეგია ის, რომ ნაქალაქარზე პირველი საცხოვრისის ქრონოლოგიური ზღვარი ქ.წ. VIII-VII საუკუნეებამდე დაიწია. დ. ლომიტაშვილმა ნივთიერი მასალა, თიხის, მინისა და ლითონის ნაკეთობები სრულად შეისწავლა და მოახდინა მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

მონოგრაფიიდან ვიგებთ, რომ ადრეული შუა საუკუნეების კერამიკული მასალა თიხის ნაკეთობების თითქმის ყველა ტიპს მოიცავს. ეს არის სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი, რიტუალური დანიშნულების ნივთები და სამშენებლო კერამიკა. დ. ლომიტაშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ყველაზე მრავალრიცხოვნად წარმოდგენილია სამეურნეო დანიშნულების ნივთები (ქვევრები და ამფორები) და სამშენებლო კერამიკა, რაც არა მხოლოდ ამ პერიოდის საქართველოს, არამედ მთელი მახლობელი აღმოსავლეთის, პირველ რიგში, ბიზანტიის ციხე-ქალაქებისთვის არის დამახასიათებელი.

დ. ლომიტაშვილმა, პირველ ყოვლისა ქვევრებისა და ამფორების კლასიფიკაცია მოახდინა (როგორც თიხის ისე, სხვა მახასიათებლების მიხედვით). ქვევრები ძირითადად ადგილობრივი წარმოებისაა და დამზადებულია წითლად გამომწვარი უხეში თეთრმინარევებიანი თიხისგან. მათი კლასიფიცირება წარმოდგენილია

გვირგვინის, ძირისა და ტანის ფორმების მიხედვით. ავტორი გვირგვინის მიხედვით გამოყოფს ხუთი ტიპის ქვევრებს: სამკუთხაგანივკვეთიანი, ოთხკუთხაგანივკვეთიანი, რთულპროფილიანი, მარტივპროფილიანი, გარეთა შესქელებებით და ყელზე მიძერწილი, გარეთ გადახრილი გვირგვინით. ყელის მიხედვით გამოიყოფა სამი ტიპის ქვევრი: ვერტიკალურ-მაღალყელიანი, ყელზე პირდაპირ მხრებზე მიძერწილი გვირგვინითა და გვირგვინიდან მხრებში თანდათან მომრგვალებულად გარდამავალი ყელით. ტანის მიხედვით დ. ლომიტაშვილმა გამოყო, ე.წ. კვერცხისებურკორპუსიანი და შედარებით ფართო მუცლიანი ქვევრები. ზოგიერთი ქვევრის გვირგვინზე გვხვდება სხვადასხვა ნიშანი - დამღით დატანილი წრეში ჩასმული რთულპროფილიანი ჯვარი, ოთხკუთხედში ჩასმული სხვადასხვა ფორმის ჯვარი, ასევე წრეში ჩასმული გადაჯვარედინებული ამოკაწრული ხაზები. დ. ლომიტაშვილის აზრით, ისინი საწარმოო ცენტრების აღმნიშვნელი ნიშნები უნდა იყოს. მან განსაკუთრებით გამოყო ნაქალაქარის აღმოსავლეთ გალავნებთან ჩაწყობილი ქვევრები, რომლებიც როგორც სასმელი წყლის ისე, ქალაქის ალყის დროს მტრის დასამდუღრავად გამოიყენებოდა, რაც ჩვენი აზრით ძალიან საინტერესო მოსაზრებაა.

ნაქალაქარზე ასევე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი, როგორც ადგილობრივი წარმოების ისე, იმპორტული ამფორები. ადგილობრივ ამფორებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია, ე.წ., წელშეზნექილი ამფორები, რომლებიც ნაქალაქარზე დადასტურებულია, როგორც მთლიანი ცალები ისე, ცალკეული ნატეხების სახით. დ. ლომიტაშვილმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ქალაქის ციტადელის თავდაცვის მეორე ხაზზე - შიდა შვერილებს შორის გამოვლენილ 22 ცალ წელშეზნექილ ამფორას. ის ვარაუდობს, რომ ეგრისის დედაქალაქის დამცველები ამგვარ ჭურჭელს სპეციალურადაც კი უკვეთავდნენ უწყლობის პრობლემის მოსაგვარებლად. იმპორტული ამფორებიდან დ. ლომიტაშვილი გამოყოფს რამდენიმე ტიპს:

წაგრძელებული ცილინდრის ფორმის გოფრირებულტანიანი ყვითელი, ვარდისფერი ან წითელი ფერის ჭურჭელი, V-VIII საუკუნეებით დათარიღებული დაღარულზედაპირიანი ამფორები ვარდისფერი კეცითა და თეთრი ანგობით, ე.წ. სამოსური და სინოპური ამფორები. ნოქალაქევში წარმოდგენილია ადგილობრივი ლუთერიუმები, რომელთა თიხა ანალოგიურია ადგილობრივი წარმოების ქვევრებისა და ამფორების. სამეურნეო დანიშნულების ნაკეთობებში მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი კვირისტავები (მათ შორის ორი ქვისგანაა დამზადებული). დ. ლომიტაშვილი მათ სიმცირეს ადრე შუა საუკუნეებში ფეოდალური წარმოების წესის დამკვიდრებით ხსნის, რამაც გამოიწვია საქალაქო მეურნეობის მკვეთრი დაცემა. ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს ნაქალაქარზე თხუთმეტ ერთეულამდე სათევზაო ბადის თიხის საძირავის გამოვლენის ფაქტს, რაც მისი აზრით, მეთევზეობის, როგორც საქალაქო მეურნეობის ერთ-ერთი დარგის განვითარებაზე მეტყველებს.

სამზარეულო დანიშნულების ჭურჭელი გამოვლენილია შედარებით მცირე რაოდენობით, თუმცა, დადასტურებულია მისი თითქმის ყველა სახეობა. ავტორი ახდენს მათ კლასიფიციკაციასაც: ადგილობრივი წარმოების მომრგვალებულტანიანი და გადაწეულ გვირგვინიანი ქოთნები, სფერულმუცლიანი ანალოგიური ჭურჭელი. მათი ზომები განსხვავებულია. როგორც აღვნიშნეთ, დ. ლომიტაშვილმა მოახდინა მათი კლასიფიცირება პირ-ყელის ფორმის მიხედვით:

ა. მომრგვალებულ პირიანი;

ბ. დაქანებულად წაკვეთილპირიანი;

გ. ჭრილში სამკუთხა განივკვეთიანი მცირედ გამოხატული პირით;

დ. მკვეთრად გამოყოფილ ყელიანი ქოთნები, პირს ქვემოთ სუსტად გამოხატული წიბოთი.

საინტერესო მონაპოვარია ორ ათეულამდე ცალი ქვაბის, როგორც მთლიანი ცალის ისე, ნატეხების სახით გამოვლენა. ამ ჭურჭელს

პირს ქვემოთ გამოყვანილი აქვს რელიეფური წრიული ქედი და ჰქონდა ორი გახვრეტილი ყური, როგორც ჩანს, ცეცხლზე ჩამოსაკიდებლად. დ. ლომიტაშვილი მათ მოიხსენიებს ნეიტრალური სახელით - ქვაბ-ქოთანა.

სუფრის ჭურჭლიდან ყველაზე ფართოდ დოქებია წარმოდგენილი. დ. ლომიტაშვილი საგანგებოდ გამოყოფს ერთ დოქს მოკლე ყელითა და ფართოდ გაშლილი პირით, რომელსაც, ე.წ. „წებელდური დოქის“ პროტოტიპად მიიჩნევს. ავტორის აზრით, მისი აღმოჩენა ეგრისის შიდა რაიონებში (სხვა ფაქტორებთან ერთად) ადასტურებს მოსაზრებას ერთიანი დასავლურ-ქართული კულტურის არსებობაზე. სუფრის ჭურჭლის სხვა სახეობებიდან ავტორი გამოყოფს ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტულ (წითელლაკიან) ჯამებს.

ნოქალაქევში გამოვლინდა რამდენიმე არტეფაქტი, რომლებიც ხალხის სულიერ ყოფას უკავშირდება. დ. ლომიტაშვილი საგანგებოდ გამოყოფს IV-VI სს. ფენებში აღმოჩენილ სეფისკვერის საბეჭდავს. ის მრგვალი ფორმისაა და ღრმა რელიეფური გადაჯვარედინებული ზოლებით გაყოფილია ოთხ თანაბარ ნაწილად. ავტორი ამ ზოლებში სვასტიკას კითხულობს. თითოეულ ნაწილში სამ-სამი, წრეში ჩასმული რელიეფური ჯვარია განლაგებული.

მონოგრაფიაში საგანგებოდაა განხილული ნაქალაქარზე გამოვლენილი სამშენებლო კერამიკა: აგურები, თიხის ფილები და კრამიტები. ისინი დახარისხებულია ფორმებისა და ზომების მიხედვით. აღნიშნულია, რომ აქ წარმოდგენილია, როგორც კვადრატული ისე, მართკუთხა ფორმის აგურები. გამოვლენილია უფრო მცირე ზომის გრძელი აგურებიც. ასევე მნიშვნელოვანია მრგვალი აგურების დადასტურება, რომლებიც აბანოს კალორიფერების ამოსაყვანად გამოიყენებოდა. ნაქალაქარზე წარმოდგენილია ორი სახის კრამიტი: გვერდებაკეცილი და ე.წ. ღარიანი. ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ გვერდებაკეცილი კრამიტები ადამიანის დასაკრძალა-

ვადაც გამოიყენება, რაზეც სამი კრამიტსამარხი მეტყველებს.

მინის ნაწარმიდან დ. ლომიტაშვილი გამოყოფს სხვადასხვა ფორმის (ძირითადად ფეხიანი) სასმისებს, რომლებიც შემოტანილი უნდა ყოფილიყო; ასევე მიუთითებს აბანოს ტერიტორიაზე სარკმლის მინის გამოვლენის ფაქტზე.

ლითონის ნაკეთობებში ჭარბობს ცულები, რომელთა შორის დ. ლომიტაშვილი ხუთ ტიპს გამოყოფს. მათგან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, ე.წ. „წებელდურ„ ცულებს. ამ ტიპის იარაღის წარმოების ცენტრად წებელდას მიიჩნევდნენ; თუმცა, უკანასკნელ პერიოდში მათი გამოვლენის გეოგრაფია გაიზარდა და მთელი დასავლეთი საქართველო მოიცვა. ეს მონაცემები დ. ლომიტაშვილს მათ საერთო ეგრისულ წარმომავლობას ავარაუდებინებს. ჩვენი აზრით, შეუძლებელია არ გაიზიარო ეს მოსაზრება. ამ ცულების წებელდაში ფართოდ წარმოდგენა შესაძლოა, მათი აქ დამზადების ერთ-ერთი ცენტრის არსებობაზე მეტყველებდეს და არა რაიმე ლოკალური კულტურის დამახასიათებელი ნიშანი იყოს. ნაქალაქარზე წარმოდგენილი ლითონის ნაკეთობებიდან ავტორს განხილული აქვს საბრძოლო იარაღიც: შუბისა და ისრისპირები, ასევე მეომრის მუზარადის ჩარჩო. ლითონის ნაკეთობების გარდა აქ აღმოჩენილია ქვის ჭურვები და შურდულის მრგვალი ქვები.

ცალკეა განხილული სამკაული: მშვილდსაკინძები, მათ შორის, სამკუთხედისებრი დაფანჯრული ან დაუფანჯრავი მშვილდებით, რომლებიც დ. ლომიტაშვილმა V-VI საუკუნეებით დაათარიღა. განხილულია სამაჯურები, საყურეები, ბეჭდები, ბალთები, მძივები. დ. ლომიტაშვილი გამოყოფს ბრინჯაოს მასიურ სამაჯურს ოვალურგანივკვეთიანი ღეროთი ზედაპირზე შვიდი სიმეტრიული კუბური გამსხვილებით და მას II-VII საუკუნეებით ათარიღებს.

ასევე ცალკეა განხილული ამ ნაქალაქარიდან წარმოდგენილი ნუმიზმატიკური მასალა და სამარხები (სამ ათეულამდე).

ზემოხსენებულ მასალაზე დაყრდნობით, მონოგრაფიაში დ. ლომიტაშვილს გამოაქვს დასკვნა: IV საუკუნეში ამ მასშტაბების ქალაქის მშენებლობა ქვეყნისა და კერძოდ, ამ რეგიონის ეკონომიკურ სიძლიერეზე მეტყველებს. ამასვე ადასტურებს მასობრივი არქეოლოგიური მონაპოვარიც. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ ნოქალაქევში და მისგან 6 კილომეტრით დაშორებულ სოფ. ლეძაძამეში გამოვლენილ ორ ქვევრს ერთნაირი დამღები აქვს, რაც ამ რეგიონში სამეთუნეო სახელოსნოს არსებობაზე მეტყველებს. საფეიქრო მეურნეობის განვითარებაზე მიუთითებს კვირისტავების გამოვლენა, რაც თავის მხრივ, მეცხოველეობის მაღალ დონეს ადასტურებს. ასევე ავტორმა ყურადღება გაამახვილა პროკოპი კესარიელის ერთ ცნობაზე, რომლის თანახმადაც ლაზი წარჩინებული ცხოვრობს ციხეგოჯ-არქეოპოლისში, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ამ ქალაქს არა მხოლოდ თავდაცვითი ფუნქცია ჰქონდა, არამედ საცხოვრებლადაც გამოიყენებოდა. მასობრივი არქეოლოგიური მონაპოვრებისა და ნოქალაქევის არქიტექტურული ნაგებობების ანალიზის შედეგად დ. ლომიტაშვილი მიმოიხილავს IV-VII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ურბანიზაციის საკითხებს.



ამრიგად, დ. ლომიტაშვილის მონოგრაფიაში - „ნოქალაქევის ნაქალაქარი IV-VII სს. არქეოლოგიური მასალების მიხედვით“, წარმოდგენილია ბევრი სიახლე და არაერთი ნოვატორული მოსაზრება, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია ამ პერიოდით დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოებისთვის.

REVIEWS

"Online Archeology" launches a new rubric - "Reviews", which is motivated to enable scientists to collaborate actively with the magazine and each other as much as possible. The magazine editor asks the archaeologists to submit their reviews about colleagues' works, express their opinions, raise discussion issues and so forth.

The authors of the first review of "Reviews" are Besik Lortkipanidze, Doctor of History and Niko Murgulia, Doctor of Archeology.

Review about David Lomitashvili's monograph "Nokalakev's settlement according to IV-VII cc. archaeological materials"

David Lomitashvili's Monograph "Nokalakeev's settlement according to IV-VII cc. archaeological materials" is a archaeological-historical type fundamental study of Tsikhegoji-Archaeopolis,the capital of Egrisi kingdom in the western Georgia during IV-VIII centuries. The work is the first attempt of complex and monograph study for archaeological findings of Nokalakevi's ancient settlement/ former site of the city. The monographs thoroughly researches the archaeological material as well as historic sources of this period; Existing historiography with regard to this topic is exhausted.

D. Lomitashvili highlights the historical sources relating to the Tsikhegazi as well as the Egrisi Kingdom. He has a collection of Georgian and foreign chronicles: Georgian sources should mention Leonti Mrovelis and Juaneser as well as Vakhushti Bagrationi and David and Konstantin Martyr. Foreign sources should be mentioned in Justinane I,the so-called "Novels", Procopius Caesareal, Agatya Scholastikas, Menander Protector, Theopilaka Sikokatas,Theophane,

The main part of the monograph is to consider mass archaeological achievement of IV-VIII centuries from the Nokalakevi settlement; However,the author briefly describes the material of the previous period,which is important to find the stratigraphy of this settlement. It should be noted that D. Lomitashvili first determined Nokalakeev stratigraphy; He has allocated archaeological layers that are represented in the city. The result of his research is that the chronological

boundary of the first house in the city He went down to VIII-VII centuries. However,we still need to note that monograph is mainly related to the Middle Ages. D. Lomitashvili studied substances,clay,glass and metal ite ms and made their classification according to different marks.

From monographs we find that early medieval ceramic material covers almost all types of clay. This is the food,kitchen and tableware,ritual objects and construction ceramics. D. Lomitashvili specifically notes that most of the goods (qvevri and amputations) and construction ceramics are represented,not only of this period but for the whole neighboring east,primarily for the Byzantine fortresses.

D. Lomitashvili classify first of all pitchers and amputations (according to clay and other characteristics). The pitchers are mainly local production and are manufactured from reddish-white rough clay. Their classification is represented by crowns,roots and body forms. The crown is divided by five types of qvevri: triangular,quadrilateral,hard-pressed,easy-to-paint,outer sheaths and thorns on the neck. On the throat,three types of qvevri are separated: vertical-high,straighten up on the shoulders of the neck and gradually rolled in the shoulders from the crown. Body by d. Lomitashvili allocated Egg-colored and relatively wide abdominal pitchers. On the crown of some pitcher there are a different sign - a cross-pronged cross enclosed in a barrel circle,a cross of different shapes enclosed in a quadrilateral line,as well as a crossed stream enclosed in the circle. D. According to Lomitashvili,they should be signs of manufacturing centers. He especially emphasized the pitchers set up in the east fence of the city,which,like drinking water,was used in the siege of the city during the siege of the city,which is of great interest to us.

The city also has a large number of local production as well as import amphoses. Among the local amphoses are the most numerous,so-called

fossilized amphoraes that are confirmed in the city as a whole piece in the form of separate pieces. D. Lomitashvili gave a special significance to the 22-year high-profile amphora between the second line of the city's citadel defense. He supposes that the Egrisi capital defenders have been able to solve this problem in a special way. From import amphora d. Lomitashvili embodies several types: yellow, pink or red colored vessels with elongated cylindrical shape, V-VIII centuries, dirty amber with pink kites and white fingers. Garment and sophisticated amphorae. Nokalakeva is represented by local luturia whose clay is similar to local production pitchers and amphorae. A small quantity of warehouses (including two stone made) are available in agricultural products. D. Lomitashvili explains the lack of feudal production in the middle of the Middle Ages, which caused a sharp decline in urban farming. The author specifically refers to the fact that fifteen units of the fish were found in the clay casket, which indicates the development of fisheries as one of the fields of urban farming.

Culinary dishes are found in relatively small quantities, but almost all of its species are confirmed. The author also classifies them: the local production curve and the crowned pearls, spherical-shaped vessels. Their dimensions are different. As we mentioned, d. Lomitashvili categorized them according to the form of the throat:

A. Rounded person;

B. Dripping;

C. With a triangular intersection with a slightly pronounced mouth;

D. The sharply pinned pots are below the person with a lowly pronounced beech.

An interesting achievement is to reveal two to ten pieces of boiler as a whole piece in the form of pieces. This vessel has a relief circular ridge below the person and has two splashed ear, apparently on

the fire. D. Lomitashvili refers to them as a neutral name - a potter.

The most widely distributed jackets are from the tableware. D. Lomitashvili specializes in a single dock with a short necklace and a wide spread. Consider the "docked drum" prototype. In the opinion of the author,his discovery in the internal regions of Egrisi (along with other factors) confirms the existence of a united Western-Georgian culture. From other types of tableware,the author employs the local production and import (red).

There are several artefacts found in Nokalakeev that are associated with the spiritual beings of the people. D. Lomitashvili specially allocates IV-VI cc. Seafiskver found in layers. It is round shape and deep reliefs divided into four equal parts. The author reads Swastika in these bands. Each part of the three is a relief cross into the circle.

In monographs, the construction ceramics found in the city are considered: bricks,clay tiles and tiles. They are sorted by shapes and sizes. It is indicated here that the square and rectangular shapes of bricks are presented here. Smaller sizes of small size are also revealed. It is also important to verify the round brick that was used for taking bath calories. There are two types of tiles: the grass and the so-called Poor. The author specifically notes that the tiled tiles are also used to prohibit the human being,and the three tramplings show.

Glassware d. Lomitashvili allocates various forms (mainly leg) vessels that should have been introduced; It also indicates the fact of revealing the glass window in the bathroom.

In metal products,there are axes,including d. Lomitashvili allocates five types. It gives special importance to them "Securities". This type of weapon was considered a center for manufacturing; However, in recent times, the geography of their detection has grown and the whole of Georgia is covered by Georgia. This data is d. Lomitashvili supposes their common origin. In our opinion,it is impossible to share this opinion. It can be widely believed in the presence of one

of these axioms in the presence of one of the centers of production, and not the characteristic of any local culture. From the metal items presented at the city, the author has also considered the combat weapon: the shabby and the arrowers, as well as the frame of the warrior's helmet. In addition to metal merchandise, stone shells and rounded stones are found.

Separate jewelry: bitch, including triangular or grumpy bow Lomitashvili donated by V-VI centuries. The bracelets, earrings, rings, buckles, necklaces are considered. D. Lomitashvili lays out a bronze massive bracelet with a seven-dimensional cubic lamp on the surface of the oval curved surface, and it sticks to the II-VII centuries. Numismatic materials and tombs (three to ten) presented in this settlement are also discussed separately.

Based on the above material, in monograph d. Lomitashvili concludes the conclusion: In the IV century, the construction of this magnitude shows the country and, in particular, the economic strength of this region. This also confirms mass archaeological achievement. He took note of the fact that in Nokalakev and 6 km away from the village. The two pitchers found in Lezghadzam have the same kind of knife, which demonstrates the existence of a salutary workshop in this region. The development of textile farming indicates the wastes, which in turn confirms the highest level of breeding. The author also drew attention to the conception of Procopius Caesarea, which according to which Laz is a successful resident in Ciaggiag-Archaeopolis, indicating that the city was not only defensive, but also used as a dwelling. Due to the analysis of mass archaeological findings and Nokalakevi architectural structures Lomitashvili reviews the issues of Urbanization of Western Georgia IV-VII s.

Finally, it should be said that D. Lomitashvili's Monograph - "Nokalakeev's Town IV-VII ss. According to archaeological materials, there are many novelties and innovative ideas that are very important for the scientific community interested in this period.

წარწერებით გაცოცხლებული წარსული

ბოლნისის სიონის სამი უძველესი წარწერა

(გაგრძელება)

• "სამშენებლო" წარწერა

წარწერა ამოკვეთილია ტაძრის ჩრდილოეთის ცენტრალური საკარე ღიობის არქიტრავზე. იგი არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა[1] და, ჩემი აზრით, ტაძრის ისტორიას მოგვითხრობს. წარწერის ტექსტი გამოქვეყნებულია მრავალგზის[2]. მე მოკლე შენიშვნებით თითქმის ყველა მათგანს წარმოვადგენ, მაგრამ მანამდე თვით ის ბლოკი უნდა განვიხილოთ, რომელზეც "სამშენებლო" წარწერაა გამოსახული და რომელსაც ოდესღაც "ძლევის ჯვარი" ამკობდა.

ქვის ამ „ბლოკს" კარის არქიტრავის (კოჭის) კონსტრუქციული ფუნქცია ჰქონდა და ერთმანეთისაგან მიჯნავდა საკარე ღიობსა და ნალისებური მოყვანილობის ლუნეტს.

მისი ცენტრალური ნაწილი ჩამოვარდნილია. ის ძეგლის გასუფთავებისას აღმოჩნდა, მაგრამ მისი კიდევ ორი, კიდურა ნაწილი ტაძრის სტრუქტურას შერჩა.

ქვის მონოლითი, წარწერიანი და არქიტრავად გამოყენებულ[3], თავდაპირველი ზომის არ არის, სიმაღლე აკლია. ამაზე მის ცენ-

[1] ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 325-427.

[2] ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 65.

[3] ამ ქვას ორთოსტატსაც უწოდებენ — ლ. მუსხელიშვილი, გვ. 399; ს.კაკაბაძე, ბოლნისის ტაძრის... გვ. 150; ზღუდარსაც — რ. პატარიძე, ბოლნისის ტაძრის სამშენებლო წარწერები, „მნათობი", 1984, 2, გვ. 140 და შმდ.; ტიმპანის ქვასაც — ვ. სილოგავა, ბოლნისის... გვ. 34; და ბალავრის ქვასაც — ელ. მაჭავარიანი, ბოლნისის სიონის... გვ. 3 და შმდ.; „ბალავრი"-ს ქვად მოიხსენიება იგი კატალოგშიც, იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებული ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ. ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1953, კატ. 23(146), ფოტო კატალოგიდან — ტაბ. I.

ტრალურ არეში შემორჩენილი “ძლევის ჯვრის“ (ბოლნური ჯვარი) ქვედა სეგმენტი მიგვანიშნებს. ამჟამად არქიტრავის სიმაღლე 67 სმ-ია.[4] გადაკვეთილი ჯვრის დიამეტრი კი 28 სმ იყო (სურ. 43; სურ. 44) და უკვე არქიტრავის სიმაღლე 84 სმ გამოგვდის, მაგრამ მის ზემოთაც რაღაც არე უნდა ვიგულისხმოთ. დავით ეპისკოპოსის წარწერის კომპოზიციური მოდელის გათვალისწინებით ამ არქიტრავის თავდაპირველი სიმაღლე, მინიმუმ 90 სმ გამოდის. ეს ფაქტი კი უტყუარად მოწმობს, რომ მონოლითი კარის ღიობის თავზე მეორადი გამოყენების შედეგად მოხვდა. გრაფიკულად აღდგენილ ბლოკს თუ საკარე ღობის თავზე მოვათავსებთ, მაშინ მისი ზედა ჰორიზონტალური ხაზი ლუნეტის გეომეტრიულ ცენტრს გაუსწორდება.[5]

ეს ქვა გვიან გადააქციეს არქიტრავად. შევადაროთ მისი ფუძის სწორხაზოვნება ზედა კიდის დახრილ და არასწორხაზოვან კონტურს. ცხადია, რომ 3,3 მ სიგრძის ქვის გადახერხვისას სწორხაზოვნებას ვერ დაიცავდნენ. მონოლითი თავისი “მედალიონით“ (რომელსაც არქიტრავად გადაქცევისას ზედა ნაწილი გადაახერხეს) თავდაპირველად სრულიად სხვაგან უნდა ჩაესვათ.

აქ გასარკვევია შეიცავდა თუ არა მედალიონიანი მონოლითი წარწერას თავდაპირველად? ყველა ნიშნის მიხედვით შეიცავდა. სხვა შემთხვევაში რისთვის უნდა შეექმნათ ამ სიდიდის სიბრტყე ჯვრით, კომპოზიციური ცენტრითა და ღერძით? ის, რომ ეს ქვა გაცილებით მაღალი უნდა ყოფილიყო, ვ. სილოგავამაც აღნიშნა.[6].

ჯვრიანი მედალიონის გრაფიკული აღდგენა რთული არ არის, ზედაპირზე წრეწირის საკმაოდ დიდი მონაკვეთია შემორჩენილი, თუ აღმოჩნდება, რომ ჯვრის განივი მკლავებისადმი საწარწერე ჩარჩო პარალელური არაა. ჯვრის ცენტრიდან, მარჯვნივ და მარცხნივ 77 სმ-ის დაშორებით მანძილი ჩარჩომდე 2 სმ-ით განსხვავდება (სურ.

[4] ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 325.

[5] გ. აბრამიშვილმა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის 1994 წლის სამეცნიერო სესიაზე აღნიშნა: „შეუძლებელია ეს ჯვარი სიონის მშენებლობის სინქრონული იყოს, რადგან მისი აღდგენის შემთხვევაში ჯვარი ლუნეტის ცარიელ სივრცეში მოექცეოდა“ — იხ. საქ. აკად. შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, საშემოდგომო სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, ოქტომბერი, თბ., 1994, გვ. 8.

[6] ვ. სილოგავა, ბოლნისის... გვ. 34.

44). ეს თითქოსდა უმნიშვნელო სხვაობაა, მაგრამ ცდომილება მაინც არ უნდა ყოფილიყო: ყველა ბოლნური ჯვარი (ძლევის ჯვარი), რომელიც ტაძრის საფასადე სიბტყეებზე და ინტერიერში გვხვდება, მკაცრად ექვემდებარება, ე.წ. ფარგლის გეომეტრიას[7] და ზუსტი პარალელური ხაზის გავლება, თუკი ერთიანი კომპოზიციური სქემა უნდა შექმნილიყო, რთული არ იქნებოდა. სრულიად სხვაა ახლის მისადაგება არსებულზე, და ხაზთა პარალელურობა აქ იმიტომ ირღვევა, რომ როდესაც საწარწერე ჩარჩო, და შესაბამისად წარწერა იქმნებოდა, ჯვრის აღარც ცენტრი არსებობდა და აღარც მისი განივი მკლავები.

საწარწერე მოედანი ზედაპირიდან 2 სმ-თაა ჩაღრმავებული და მედალიონის ქვედა წერტილიდან დაშორებულია 4 სმ-ით. აქ ასონიშანთა კვეთის იგივე სტილი დასტურდება, როგორც ეს "დავით ეპისკოპოსის" წარწერაზე აღვნიშნეთ. ასოები არ არის ნაქანდაკარი, როგორც ეს ფარნავაზ-აზარუხტის წარწერაში გვაქვს. ისინი უბრალოდ ვერტიკალურად, ან უფრო ზუსტად, ირიბად ჩაჭრა-ჩაკვეთის შედეგადაა მიღებული (სურ. 37; სურ. 38). ის ვარაუდი, რომ წარწერა ქვაზე მას მერე ამოიკვეთა, რაც მას ადგილი მოუძებნეს საკარე ღიობის თავზე[8], ძნელი დასაჯერებელია, კვეთის მსგავსი მანერის დროს სიბრტყე მხოლოდ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს.

ჯვრიანი მედალიონი მცირედ არის შემორჩენილი, მაგრამ ნაშთიც საკმარისია იმისათვის, რომ აღინიშნოს მისი დახვეწილი, "ინტალიოს სტილის" სკულპტურულობა (სურ. 46) და არ შეიძლება აქვე არ შევეხოთ ქვის ბლოკის ზედაპირის "დამუშავების" მანერას. იგი დიაგონალურად ზემოდან ქვემოთ და მარჯვნიდან მარცხნივ, უხეში იარაღით, ალბათ წერაქვითაა ნაკვეთი (ეს კარგად შეინიშნე-

[7] იხ. А. Н. Костовский, Геометрические построения одним циркулем, М., 1984, გვ. 7 და შმდ.
[8] ელ. მაჭავარიანი, ბოლნისის სიონის... გვ. 6; გვ. 17.

ბა ბლოკის მარცხენა არეში), ანუ ზედაპირი აქ გათლილი კი არაა, არამედ რაღაც წარხოცილია (სურ. 43). ჯვრიანი მედალიონი კი ფაქიზი "საიუველირო" იარაღებითაა შექმნილი (სურ. 46).

აღნიშნულია, რომ საწარწერე მოედნის ჩარჩოს ბორტისა და ასოთა სიმაღლე ერთი და იმავე ზომისაა,[9] მაგრამ ეს ასე არ არის, ასოთა სიმაღლე რამდენადმე მეტია ჩარჩოს ბორტის სიმაღლესთან შედარებით, რაც ლ. მუსხელიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ფოტოზეც ჩანს, განსაკუთრებით მის ზედა არეში[10] (სურ. 45).

წარწერა პირველად აკ. შანიძემ წაიკითხა და გ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა.[11] გამოთქმულია მოსაზრება (ჩემი აზრით, სარწმუნო), რომ გ. ჩუბინაშვილისთვის წარწერის აკ. შანიძისეული წაკითხვა, მის მიერ შემოთავაზებული ძეგლის აგების თარიღის (V ს-ის მიწურული ან VI ს-ის დასაწყისი), ძირითადი საფუძველია[12], განსხვავებითიმ აზრისგან, რომ სამშენებლო წარწერის წაკითხვა-აღდგენა და ძეგლის მხატვრულ-სტილისტური ანალიზი ერთმანეთთან სრულ თანხმობაშია.[13]

გთავაზობთ აკ. შანიძისეული წაკითხვა-აღდგენის პირველი ვარიანტს:

[შეწევნითა წმიდ]ისა სამებისაჲთა ოც წლისა პეროზ მეფ[ისა ზე]
[ხიქმნა დაწყებაჲ] ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხოჯთმეტ წლის[ა შემდგომად]
[განხეშორა ვი]ნ აქა შინა თაჯყანის ხცეს ღ"ნ შეიწყალენ და ვინ ა[მის ეკლ]
[ესიაჲსა დ(ავი) ე]პისკოპოსსა ხოჯლოცოს იგიცა ღ"ნ შეიწყალენ [ამნჱ].

გამოდის, რომ ტაძრის შენება ირანის შაჰის პეროზის მეფობის მე-

[9] ელ. მაჭავარიანი, ბოლნისის სიონის... გვ. 6.
[10] ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, სურ. 10.
[11] Г. Н. Чубинашвили, Болнисский Сион, გვ. 69.
[12] კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 13.
[13] ნ. ლომოური, ბოლნისის სიონის საკითხისათვის, გვ. 69.

20 წელს დაუწყიათ (იგი 459—484 წლებში მეფობდა), ანუ 479 წელს და 15 წლის შემდგომ, 494 წელს, დაუსრულებიათ.

494 წლისათვის პეროზი ათი წლის გარდაცვლილი იყო. ამიტომ ტექსტმა მოითხოვა, რომ მასში აღდგენილიყო ირანის იმ მეფის სახელი, კერძოდ, კი კავადისა, რომელიც 494 მეფობდა, და ტექსტში მისი სახელი აღადგინეს (ამის შესახებ მოგვიანებით მოგახსენებთ).

წარწერის აღმომჩენმა ლ. მუსხელიშვილმა სიფრთხილით გამოაქვეყნა იგი და მასზე მისეული ხედვაც თავშეკავებით გადმოგვცა[14]. მანვე, პირველად, დიდი ეჭვი გამოთქვა წარწერის აკ. შანიძისეული წაკითხვისადმი, თუმცა თვითონ მას წარწერა სამშენებლოდ მიაჩნდა, მაგრამ საისტორიო წყაროებს, როგორც ჩანს, მეტ ნდობას უცხადებდა.[15]

მინდა აღვნიშნო რამდენიმე ტექნოლოგიური "უცნაურობა" ტექსტის ცალკეულ სიტყვებსა თუ გრაფემებთან დაკავშირებით. ეს "უცნაური" ფაქტები ძალიან ბევრმა მკვლევარმა აღნიშნა.

ლ. მუსხელიშვილი წერდა, რომ „თუ გრუნტის ამოღებისას ასო შემთხვევით გაუფუჭდებოდათ, მას სულადაც ამოჰკვეთავდნენ და ახალ ადგილას გააკეთებდნენ ხოლმე"[16]. იგივე აზრი ელ. მაჭავარიანის ნაშრომშიც გვხვდება — "როგორც ჩანს, ოსტატს მუშაობის პროცესში უხდებოდა დაზიანებული ასოების წაშლა და მათი გამეორება". "ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერის ოსტატს, ჩანს, უზიანდებოდა ასოთა რელიეფური კონტურები, რომელთაც შემდეგ შლიდა, ზედაპირს ასწორებდა და გვერდით იწყებდა იმავე ასოს კვეთას"[17].

ვ. სილოგავამ დაწვრილებით აღნუსხა თითქმის ყველა "შეცდომა": "ყურადღებას იქცევს წარწერის ტექსტში ზოგჯერ ერთი სიტყვის ასოებს შორის, ხოლო ერთგან სიტყვებს შორისაც (მე-4 სტრ. "იგი-

14 ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 327.
15 ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 322, შენიშვნა 1.
16 ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერას ხეობაში, თბ., 1941, გვ. 14, შენ. 1.
17 ელ. მაჭავარიანი, ბოლნისის... გვ. 11, 16-17.

ცა“ და „ღნ“ შორის) შედარებით დიდი არეების დატოვება. როგორც ჩანს, ამ ადგილებში (პირველ სტრიქონში სიტყვაში “სამებისაძთა“ მე-2 სტრიქონის м და п-ს შორის; მე-2 სტრ. სიტყვაში “ეკლესიაძ-საძთა“ кКК-კ და д-ლ-ს შორის; მე-3 სტრ. სიტყვაში “შეიწყალენ“ щ-წ და с-ყ-ს შორის; მე-4 სტრ. “იგიცა“-ს და „ღნ“-ს შორის) წარწერის შემსრულებელს თუ რომელიმე ასო შემთხვევით დაუზიანდებოდა, მას გადაფხეკდა და იქვე, მისსავე გაგრძელებაზე, იმავე ასოს გამოქანდაკებას აგრძელებდა, როგორც ამის შესახებ ადრევე აღნიშნა ლ. მუსხელიშვილმა. ერთი შეხედვით, წარწერის პირველ სტრიქონში, სიტყვაში „ოც“ მას ასო ъ-ც დაუზიანებია, ქუსლის ადგილი თვითონვე ჩაუჭრია, მაგრამ ეს დამახინჯებული ъ-ც, რომელიც ისედაც შეიძლება ამ ასოდ წავიკითხოთ, არ გადაუთლია“[18].

საქმე ის გახლავთ, რომ ერთი ოთხსტრიქონიანი წარწერისათვის მეტისმეტად ბევრია “შეცდომა“. ამას რაღაც უნდა იწვევდეს. ფარნევან-აზარუხტის წარწერის 2,67 მ-იან მონაკვეთში არც ერთი შეცდომა არ დასტურდება. შეცდომად მე არც ზოგიერთ გრაფემასა და სიტყვას შორის გაუმართლებლად დიდი არეები მიმაჩნია.

“შეცდომები“ თუ “გაუგებრობები“ ამ წარწერაში სხვაც მრავლადაა: პირველი სტრიქონის მე-16-ე გრაფემის Ъъ-ც წინ ჩამოწეული წრიული სეგმენტი ჩანს (სურ. 51); ამავე სტრიქონის ბოლოს ფ-ს წინ ნამდვილად е-ე გვაქვს, მაგრამ თითქოსდა ოდესღაც н-ნ წერებულა (სურ. 50, 51). გაუგებარია აგრეთვე მე-2 სტრიქონის 27-ე გრაფემა щ-წ, რატომ უნდა შეუღლებოდა მე-3-ე სტრიქონის в-ვ-ს ასწვრივი ვერტიკალებით (სურ. 37, 38); რატომ უნდა მომხდარიყო ასე? რა მიზეზმა განაპირობა ეს? ნამდვილად ვერ ვიტყვით იმას, რომ ოსტატი კვალიფიციური არაა, თუმცა შესაძლოა, რომ მას ფარნევან -აზარუხტის წარწერის ამომკვეთის ოსტატობა აკლია, ანდა, არც აკლია, მაგრამ რაღაც ფაქტორს ექვემდებარება.

შესაძლებელია იმის წარმოდგენა, რომ, როცა ოსტატმა დაკვალა მეორე სტრიქონი, შეეძლო მას სცოდნოდა, რომ მისი 27 გრაფემა щ

18 ვ. სილოგავა, ბოლნისის... გვ. 36.

ვერტიკალით შეეუღლებოდა მე-3-ე სტრიქონის 34-ე გრაფემა в-ს? წინასწარ გამოკვეთა ეს ვერტიკალური ლიგატურა და მერე მიაახლოვა მასთან მე-3-ე სტრიქონის 33-ე (!) გრაფემა? თუ ოთხივე სტრიქონისათვის ერთიანი შაბლონი არსებობდა, მაშინ არავითარ მანძილის დარღვევებს ცხადია აქ ადგილი არ ექნებოდა. ამას გარდა ერთმანეთთან შეუღლებულია მე-2-ე სტრიქონის მე-6 გრაფემა к და მე-3-ე სტრიქონის п-ნი (სურ. 47, 48, 49).

მე სრულიად დარწმუნებული ვარ, ზემოთ მოყვანილი ფაქტების გათვალისწინებითაც, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ლაპიდარულ პალიმფსესტთან.

ადრე არსებული წარწერა ბლოკის ზედა ნაწილში წარხოცილია და ქვედა ნაწილში არსებული წარწერის ძირითად ვერტიკალებს მოგვიანებით, დავით ეპისკოპოსის ოსტატი, თავის ტრაფარეტებს უსადაგებს. მას არაფერი ეშლება, გზადაგზა ანადგურებს დავით ეპისკოპოსისთვის გამოუსადეგარ გრაფემებს. სწორედ მათი ნარჩენებია, რაც თვალში ხვდებოდათ და ხვდებათ მკვლევარებს, და მათ ოსტატის შეცდომებად მიიჩნევდნენ.

ამ ქვაზე, ალბათ, ტაძრის თავდაპირველი აღმშენებლობითი ფორმულირების ტექსტი იყო გამოკვეთილი და სრულიად სხვა ადგილზე იქნებოდა განთავსებული. ასეთი არე ჩრდილოეთის კედლის სტრუქტურაში ჩანს. ეს არის პორტალებსშორისი სიბრტყე, იმავე სიგანის, რაც თვით პორტალთა სიგანეებია, და შესაბამისად არქიტრავის სიგრძის ტოლი (სურ. 25). ადგილზეც და ანაზომზეც შესანიშნავად ჩანს, რომ იატაკის დონიდან 2,8 მ-ის სიმაღლის შემდგომ, პორტალებს შორის, მთელ სიგანეზე, 1 მ-ის სიმაღლის წყობა შეცვლილია. მისი სახე არ შეესაბამება კედლის ამ მონაკვეთის არც ქვედა და არც ზედა სტრუქტურას (სურ. 25). ტაძარმა, როგორც ჩანს, მხოლოდ ერთადერთი თავდაპირველი წარწერა შემოგვინახა — ფარნევან და აზარუხტისა.

მივუბრუნდეთ თვით “სამშენებლო“ წარწერას:

მიუხედავად იმისა, რომ წარწერაში მისი პირველი სტრიქონის ბოლოს აშკარად ჩანს e, ф-ს შემდგომ (სურ. 50), აღდგენილ ტექსტში პეროზის მეფური განსაზღვრება გადმოიცა, როგორც მეფ[ისა ზე]. როგორც ზემოთაც აღინიშნა, წარწერისეული დროის მონაკვეთების შეჯერებისას გამოდის, რომ ირანის შაჰი პეროზი ტაძრის დასრულების დროისათვის 10 წლის გარდაცვლილია მის შემდგომ მეფობდნენ ჯერ ვალარში და შემდგომ კი კავადი. ამასთანავე გამოდის, რომ კავადის ზეობის დროზე ტაძრის მშენებლობის ყველაზე დიდი პერიოდი მოდის (დაახლოებით 6 წელიწადი), წარწერაში კი არავითარი კავადის, ან რომელიმე სხვა მმართველის (მათ შორის, არც ვახტანგ გორგასლის), სახელი არა ჩანს.

ვ. სილოგავამ აღნიშნა, რომ მოქმედი მეფის ზეობის წელი წარწერაში არ ჩანს, შესაბამისად არც ის ჩანს, თუ ვინაა ტაძრის მშენებლობის მოთავე. ასეთ შემთხვევაში “სამშენებლო“ წარწერა აზრს კარგავს.[19] მაგრამ არის კი ეს წარწერა სამშენებლო, ამ ცნების ტრადიციული მნიშვნელობით?

აკ. შანიძემ ზემოთ მოყვანილი წაკითხვის გარდა, კიდევ ორჯერ გამოაქვეყნა წარწერის წაკითხვა-აღდგენა ცვლილებებით, მაგრამ კვლავ “მეფისასა“ დატოვა პირველი სტრიქონის ბოლოს. კვლავ აღვნიშნავ სხვა მკლევართა კვალდაკვალ, რომ „ф“-ს შემდგომ ნამდვილად „e“ იკითხება (სურ. 50).

გთავაზობთ აკ. შანიძის მეორე პუბლიკაციის ტექსტს:

> **“[შეწევნითა წდ̃] და სამებისაჲთა ოც წლი(სა) პეროზ მეფი[სა ზე დახი [დვა საფუძველი ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხუთმეტ წლი[სა კავატ მეფისა ზე განხეშორა ვინ აქა შინა თაჯყანისხცეს ღნ შეიწყალენ და ვინა ა[მის ეკლესიაჲსა მაშ̃ნებელსა დთ̃ ეპისკოპოსსა ხულოცოს იგიცა ღ̃ნ შეიწყალენ“[20].**

გამოდის, რომ ეკლესიის აგება დაუწყიათ 479 წელს და 15 წელი-

19 ვ. სილოგავა, ბოლნისის... გვ. 37-38.
20 აკ. შანიძე, ბოლნისის წარწერები, „ნობათი“, 1, თბ., 1975, გვ. 30-31.

წადს გაგრძელებულა და 493 ან 494 წელს დასრულებულა, ე. ი. პეროზის გარდაცვალების შემდგომ იგი კიდევ ორი მეფის, ვალარშისა და კავადის ზეობაში შენდებოდა.

ვალარში 483-488 წლებში მეფობდა, ხოლო კავადი 488-497, და 499-531 წლებში. შუალედში კი თითქმის სამი წლის განმავლობაში ირანს ჯამასპი მართავდა.

აკ. შანიძე ვარაუდობს, რომ „თუ ეკლესიის შენების დაწყება აღნიშნეს პეროზის მეფობის მე-20 წლით, რატომ მისი დასრულება არ აღნიშნეს იმდროინდელი ხელმწიფის მეფობის წლების მიხედვით? ამიტომ უსაფუძვლო არ იქნება ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა "ათხუთმეტ წლისა" აღნიშნავდა არა ტაძრის შენების ხანგრძლივობას (რაც ასეთი დიდი ეკლესიისათვის იმდროინდელი სამშენებლო ტექნიკის პირობებში ცოტაა), არამედ კავატის მეფობის წელს. ამ შემთხვევაში მეორე სტრიქონის ბოლო და მესამე სტრიქონის დასაწყისი შეიძლება ასე წავიკითხოთ: „...და ათხუთმეტ წლი[სა კავატ მეფისა ზე] [განხეშორა ვი]ნ აქა შინა...". კავატი გამეფდა 488 წელს, რომ მივუმატოთ თხუთმეტი წელი, გამოვა 502-503 წელი, და მაშასადამე, ასეთი წაკითხვის თანახმად, ბოლნისის სიონი შენდებოდა 25 წელს და დასრულებულა VI საუკუნის დასაწყისში".[21]

აკ. შანიძემ ტექსტის წაკითხვა-აღდგენის მესამე ვარიანტიც გამოაქვეყნა. იგი არსებითად მეორე ვარიანტის გამეორებაა, მაგრამ მეფე კავატის შესახებ პატივცემული მკვლევარი აქ აღარაფერს ამბობს, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ მესამე ვარიანტშიც დარჩა ფორმა — "მეფის[სა". თავის მეორე და მესამე წაკითხვაში აკ. შანიძემ გაიზიარა მიხეილ თარხნიშვილის მიერ შემოთავაზებული კორექტივი, რაც ასე გამოიხატა: „ვინ ამის ეკლესიაძსა აღმშენებელსა დავით ეპისკოპოსსა ხულოცოს".

ეს მოსაზრება მაშინვე გაუზიარებია ი. მოლითორს, ე.ი. გაუზიარე-

[21] აკ. შანიძე, ბოლნისის წარწერები, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, გვ. 454-455.

ბია წარმოდგენა დავით ეპისკოპოსზე, როგორც ტაძრის მშენებელზე.[22]

ლაპიდარული წარწერების I ტომში წარწერას ეწოდება „494წ. სამშენებლო წარწერა დავით ეპისკოპოსისა“.[23]

წაკითხვის ტექსტიც რამდენადმე განსხვავებულია:

> **“[შეწევნითა წმიდ]ისა სამებისაჲთა, ოც [ჳ]ლისა პერო[ზ მ]ეფი[სა ზე], [ვიწყე შენებაჲ] ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხუთმეტ წლის[ა შ(ემდგომა)დ] [განვასრულე. ვი]ნ აქა შინა თაჳყანის ხსცეს, ღ(მერთმა)ნ შეიწყალენ. და ვინ ა[მი]ს [მ(ა)შ(ჱნე)ბ(ე)ლსა დ(ავი)თ ე]პისკოპო[ს]სა ხულოცოს, იგიცა ღ(მერთმა)ნ შეიწყა[ლ]ენ. [ი(ყავნ), ი(ყავნ)]“.**

აკ. შანიძის “ხიქმნა დაწყებაქ“ შეიცვალა „ვიწყე შენებაქ“-თ. “განხეშორა“, კი “განვასრულე“-თი. დანარჩენი, აკ. შანიძის მეორე და მესამე წაკითხვას იმეორებს, მხოლოდ რატომღაც ბოლოს, “ამთნ“-ის ნაცვლად დავით ეპისკოპოსის წარწერისეული “იყავნ, იყავნ“-აა აღდგენილი.

როგორც ვ. სილოგავამ აღნიშნა, აღდგენისა და წაკითხვის ეს ვარიანტი სათანადოდ ვერ დასაბუთდება, რადგან ზმნური ფორმები აღრეული სახითაა წარმოდგენილი. გარდა ამისა, შეინიშნება თითქოს “ორთოგრაფიული არათანმიმდევრობაც“.[24]

მკვლევარებს რამდენიმე წარწერისეული “მოვლენა“ აღელვებთ:

I. რატომ დათარიღდა ქრისტიანული ეკლესია ირანის შაჰის ზეობით;

II. თუ წარწერაში იხსენიება შაჰი პეროზი, მაშინ რატომ არ ჩანს წარწერაში ის “შა“-ჰი, რომლის მეფობის დროსაც დასრულდა ტაძარი (წარწერაში აღნიშნული დროის ორი მონაკვეთის გათვალისწინებით, მითუმეტეს, რომ კავადის დროს ტაძრის აღმშენებლობას ყველაზე დიდი დრო უნდა დათმობოდა).

---

[22] აკ. შანიძე, ბოლნისის წარწერები, „ნობათი“, 1, თბ., 1975, გვ. 30-31.
[23] ვ. სილოგავა, ბოლნისის... გვ. 40.
[24] ვ. სილოგავა, ბოლნისის... გვ. 43.

III. რატომ არ იხსენიება წარწერაში ვახტანგ გორგასალი?[25]

მომყავს მ. ჩხიკვაძის წაკითხვის ტექსტი:

“ოო. შეწევნითა წმიდ|ისა სამებისაჲთა, ოც წლისა პეროზ მეფ|ე და ვახტანგისა დახეს

როვლა შ(ჳ)ნებაჲ წდსა| ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხოჯთმეტ წლის|ა ინდიკტიონს წა აღდ

გომასა განათლდა. ვი|ნ აქა შინა თავყანის ხცეს ღნ შეიწყალენ და ვინ | ამა ეკლესიაჲსა მშრო

მელთა და დავით ე|პისკოპოსსა ხოჯლოცოს, იგიცა ღნ შეიწყალენ | ამ(ჳ)ნ“[26]

აქ საყურადღებოა, რომ ტექსტის დასაწყისში მ. ჩხიკვაძემ ორი „ლ“-ნი წაიკითხა, უფრო ზუსტად, პირველი ივარაუდა, ხოლო მეორე წაიკითხა და საკმაოდ დამაჯერებელი ჩანს მეორე „ლ“-ნის არსებობა. პირველი კი აღდგენილია გრაფემის ზოგადი “წრიულობის“ გათვალისწინებით, მაგრამ მე აქ „ი“-ნს უფრო ვივარაუდებდი.

რ. პატარიძისა და ბ. მჭედლიშვილის მიხედვით წარწერა შემდეგნაირად იკითხება:

“უფალო. შეწევნითა წმიდისა სამებისაჭთა, უფალთუფლისა პეროზ მეფეთა თვისისა ნახპეტობასა ხიწყო წმიდისა ამის ეკლესიაჭსაჭ და ათხუტმეტ წლისა ჟამეულსა აღხეშენა. ჯუარსა ქრისტჭსსა ვინ აქა შინა თავყანისხცეს ღმერთმან შეიწყალენ და ვინ ამა ეკლესიაჭსა მშრომელსა ბოლნელსა ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღმერთმან შეიწყალენ ამენ“.[27]

ჯერ ერთი, როგორც უკვე აღინიშნა, თუ ტექსტი იწყება სიტყვით “უფალო“, მაშინ ნახაპეტი, კიდევაც რომ სარწმუნოდ მივიღოთ, ასეთი წაკითხვა როგორღა უნდა აღნიშნულიყო “უფალთუფლად“?

[25] იხ. და შდრ. ი. მერაბიშვილი, რატომ არ იხსენიება ვახტანგ გორგასალი ბოლნისის წარწერაში, „მაცნე“, ისტორიის..., სერია 4, 1974, გვ. 121 და შმდ.

[26] მ. ჩხიკვაძე, ბოლნისის ტაძრის... გვ. 51.

[27] რ. პატარიძე, ბოლნისის ტაძრის სამშენებლო წარწერები, „მნათობი“, 1, თბ., 1984, გვ. 153.

თუ ამ დროისათვის საერთოდ გვაქვს კიდევაც ეს ფორმა — "უფალ-თუფალი" დადასტურებული, იგი ვერაფრით ვერ მიესადაგება მეფის ხელქვეითს, რა შესაძლებლობებითაც არ უნდა მიისწრაფვოდეს იგი დამოუკიდებლობისაკენ.

სარგის კაკაბაძემ ტექსტი 1958 წელს წაიკითხა და აღადგინა, მაგრამ იგი მხოლოდ 1985 წელს გამოქვეყნდა.[28]

იგი ასე იკითხება:

„1. შეწევნ[ითა წმიდისა სამებისაჲთა, ო[არიზისა პეროზ მეფე[თა ავადაგისა [ნახპე-

2. [ტობასა ხიწყეს ამის ეკლესიასაჲ და ათხოვთმეტ წლი[-სა ზედა სროვლიადღა [გან-

3. ხეშორა და რომელმან აქა შინა თაჳყანისხცეს ღ*ნ შე-იწყალენ და ვინ ა[მის [ეკლე[სიაჲსა[ჲ შინა

4. [მშრომელსა დთ ეპისკოპოსსა ხოჳლოცოს იგიცა ღ*ნ შეიწყალენ [ამ֍ნ"

აქ ნავარაუდევი და აღდგენილი სიტყვები "ოარიზისა", "ავადაგისა", "ნახპეტობასა", ძალიან გვაშორებს რეალურ სიტუაციას. სირთულე კვლავ წარწერისეული "პეროზი"-ია და აღდგენილი სიტყვებიც მისი "მოთხოვნაა", ისევე, როგორც "პეროზის" "მოთხოვნა" იყო რ. პატარიძის წაკითხვაში "თვისი"-ც და "უფალთუფალი"-ც.

ელ. მაჭავარიანი თავის დიდად ფასეულ ნაშრომში შეეცადა წარწერის პირველი სტრიქონის ბოლოს „ϕ"-ფ-ს შემდეგ უეჭველად არსებულ „e"-ე-ს მორგებას ტექსტისთვის, უჩვეულო კონსტრუქციის სიტყვის, "მეფეძსასა"-ს აღდგენით.[29] ამას გარდა არც ის ჩანს აქ, თუ ვინ "შთნებაძ ხიწყო".[30]

„ϕ"-ს შემდგომ უეჭველად არსებული „e"-ე, მართლაც გადაულახავ წინაღობად ისახება, ისევე, როგორც საკუთარი სახელი "პეროზ".

გთავაზობთ ელ. მაჭავარიანის ვარიანტს (1985 წ.):

---

[28] ს. კაკაბაძე, ბოლნისის ტაძრის... გვ. 150.

[29] ზ. სარჯველაძე, ბოლნისის უძველესი წარწერის ზოგი აღდგენილი ადგილის შესახებ, „კრიტიკა", 3, თბ., 1988, გვ. 99.

[30] ვ. სილოგავა, ბოლნისის... გვ. 47.

„ქ. შეწვნითა წმიდისა სამებისაჲთა ოც წლისა პეროზ მეფეჲსასა შ҃ნებაჲ ხიწყო წმიდისა ამის ეკლესიაძსაჲ და ათხუთმეტ წლისა განხეშორა. ქრისტე, შენდა მიმართ ვინ აქა შინა თაჳყანისხცეს, ღმერთმან შეიწყალენ და ვინ ამის ეკლესიაჲსა მაშ҃ნებელსა დავით ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღმერთმან შეიწყალენ. ამ҃ნ“.[31]

და ბოლოს წარმოგიდგენთ ვ. სილოგავას წაკითხვა-აღდგენის ორ ვარიანტს:

I. “[შეწ҃ევნითა წ(მიდ)]ისა სამებისაჲთა, ოც წლისა პერო[ზ მ]ეფე[თა მეფისსა დახიდ] | [ვა საძირკველი წ(მიდ)ისა] ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხუთმეტ წლისა [შემდგომად, მეფობასა] | [კავატისსა, განხეშორა. ვი]ნ აქა შინა თაჳყანისხცეს, ღ(მერთმა)ნ შეიწ҃ყალენ და ვინ ამ[ის მაშ҃ნებელსა დ(ავი)თ ე]პისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღ(მერთმა)ნ შეიწ҃ყა[ლ]ენ; ამ҃ნ“.

II. “[შეწ҃ევნითა წ(მიდ)]ისა სამებისაჲთა, ოც წლისა პერო[ზ მ]ეფე[თა მეფისსა დახიდ]‖[ვა საძირკველი წ(მიდ)ისა] ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხუთმეტ წლისა [კავატ მეფეთა მეფი‖სსა, განხეშორა. ვი]ნ აქა შინა თაჳყანისხცეს, ღ(მერთმა)ნ შეიწ҃ყალენ და ვინ ამ[ის წ(მიდ)ისა ეკლესიაჲსა]‖[მაშ҃ნებელსა დ(ავი)თ ე]პისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღ(მერთმა)ნ შეიწ҃ყა[ლ]ენ; ამ҃ნ“.[32]

ამ ორმა ქრონოლოგიურმა მონაკვეთმა, „ოც წლისა“ და “ათხუთმეტ წლისა“, მოითხოვა წარწერაში, როგორც აკ.შანიძემ თავისი წაკითხვის მეორე ვარიანტში შემოგვთავაზა, შაჰ კავად I-ის აღდგენა, ანუ იმ მეფის სახელის, რომლის ზეობაშიც, თითქოსდა უნდა დასრულებულიყო ბოლნისის სიონი.

I ვარიანტით გამოვიდა, რომ ტაძრის აგება ირანის მეფის პეროზის

[31] ელ. მაჭავარიანი, ბოლნისის... გვ. 20 შდრ. ვ. სილოგავა, ბოლნისის... გვ. 46-47.
[32] ვ. სილოგავა, ბოლნისის... გვ. 64-65.

ზეობის მე-20 წელს დაუწყიათ, ე. ი. 478 წელს და 15 წლის შემდგომ დაუმთავრებიათ, ანუ 493 წელს. ირანს ამ დროს "შა"-ჰი კავადი მართავდა.

II ვარიანტით, კი ტაძრის აგება ასევე 478 წელს დაუწყიათ და კავადის მეფობის მე-15 წელს დაუსრულებიათ, ანუ 503 წელს და უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვარიანტი საკმაოდ მოტივირებულია, თუმცა კრიტიკა მის მიმართაცაა გამოთქმული (იხ. ქვემოთ).

აქ აუცილებელია სასანიდთა მმართველობის შუა პერიოდის გენეალოგიური სქემის წარმოდგენა:

იეზდეგერდი (399—420)

ვარაჰრან V (420—438)

იეზდეგერდ II (438—457)



ყურადღება უნდა მივაქციოთ, ალბათ, იმასაც, რომ კავადი 488 წლიდან ირანში უწყვეტად მხოლოდ 9 წლის განმავლობაში მეფობდა. შემდეგ თითქმის 3 წლის შუალედით ტახტზე ჯამასპი იჯდა და კავადი ტახტს 499 წელს დაუბრუნდა და შემდგომ კი მთელი 32 წლის განმავლობაში მართავდა ირანს.[33]

საიდან იწყებენ კავადის მეფობის ათვლას ტაძრის მშენებლები?

[33] М. М. Дьяконов, Очерк истории... გვ. 305-36.

თუ 488 წლიდან, მაშინ გამოდის, რომ ჯამასპის სამწლიანი მმართველობა მათთვის უცნობია, ან მას მეფედ არ მიიჩნევდნენ — თუმც ძალიან საეჭვოა ასეთი რამის წარმოდგენა, კავადი ხომ ამ სამწლიან შუალედში ტყვეა, და არა მეფე. 499 წელს იწყება კავადის მეფობის მეორე და იშვიათად ხანგრძლივი პერიოდი, და თუ ამ წლიდანაა ათვლილი "ათხუთმეტ წლისა", მაშინ ეკლესია 514 წელს დასრულებულა.

ვ. სილოგავას წაკითხვის II ვარიანტი 258 გრაფემას შეიცავს. ამას, ცხადია, იწვევს ტექსტში "კავად"-ის, მეფეთა ტიტულებისა და სხვათა ჩამატება. ამ რაოდენობის ასო-ნიშანს საწარწერე მოედანი ვერაფრით დაიტევს, იგი 52 გრაფემით მეტია აკ. შანიძის ტექსტის პირველი ვარიანტის ასო-ნიშანთა რაოდენობასთან შედარებით. შესაძლოა, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ "კავად მეფე" -ზე, თავისი წაკითხვის მესამე ვარიანტში, აკ. შანიძემ უარი თქვა.

გარდა ამისა, ვ. სილოგავას წაკითხვის ორივე ვარიანტი ენობრივად შეუძლებლადაა მიჩნეული: „ოც წლისა პერო[ზ მ]ეფე[თა მეფისსა, ათხუთმეტ წლისა [კავატ მეფეთა მეფისსა. აქვე შევნიშნავთ, რომ ასე ადრეულ ხანაში სრულიად დაუშვებელია "მეფისსა" ფორმა (იყო: "მეფისასა")".[34]

ერთ-ერთი მთავარი სირთულე ტექსტის გააზრებისთვის "პეროზი"-ია. ანუ, თუ ის ირანის შაჰია, მაშინ რა აპირობებს ქრისტიანული ტაძრის მშენებლობის საწყისის ქრონოლოგიურ ათვლას ირანის მეფის ზეობის წლებიდან. იმდროინდელი ისტორიულ-პოლიტიკური სიტუაცია არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ბოლნისის ტაძრის მშენებლობა ირანის შაჰს, პეროზს დავუკავშიროთ. ვფიქრობ, წარწერისეული პეროზი მხოლოდ ირანის შაჰია, რომელიც 459-484 წლებში მეფობს და არა მეფე მირიანის სიძე ერისთავი ფეროზი. მკვლევართა საკმაოდ დიდმა ნაწილმა მიიჩნია, რომ წარწერისეუ-

34 კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, გვ. 15.

ლი “პეროზი“ ქვემო ქართლის ერისთავი ფეროზია, რომელსაც საისტორიო მწერლობა, მართლაც დიდ ადგილს უთმობს.

ერისთავი ფეროზი ქართლის ცხოვრების მიხედვით ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის სიძეა, ქალიშვილის ქმარი, რომელიც რაღაც დიდი სამხედრო შენაერთის მეთაურადაც ჩანს და ქვეყნის (ქართლის) ფარგლებში მდინარე მტკვრის ორსავე სანაპიროზე განფენილ ტერიტორიას, ხუნანიდან ბარდავამდე, ერისთავის რანგში ფლობს.[35]

რანისა და მისი მიმდებარე მთის რეგიონების გაქრისტიანების გზაზე ძირითად დაბრკოლებად სწორედ ფეროზი გვევლინება: “... არა ნათელ იღო ფეროზ, სიძემან მირიან მეფისამან... არც ერმან მისმან ნათელ-იღო“.[36]

მირიანს განზრახული ჰქონდა, რომ ფეროზი და მას დაქვემდებარებული ქვეყანა სამხედრო ძალის გამოყენებით მოექცია: “მაშინ რქუა მეფემან წმიდასა ნინოსა და ეპისკოპოსსა: მნებავს ესრეთ, რათა იძულებით მაბვილითა მოვაქციენეთ მთეულნი და სიძე ჩემი ფეროზ“[37] და ამის შემდგომ განმანათლებელი მართლაც წარემართა რანს[38], მაგრამ ქრონიკიდან არ ჩანს, რომ ფეროზის მიმართ რაიმე წარმატებას მიაღწია ხელისუფლებამ.

მხოლოდ გვიან, როდესაც ბაქარმა (მირიანის ვაჟმა) შეცვალა ადმინისტრატორი, რაღაც პოლიტიკური გარიგების მსგავსი გამოჩნდა: “გაუცვალა ქვეყანა დისძესა მისსა ფეროზს, რომელსა აქუნდა რანი... და მისცა მას წილ სამშვილდიდგან მიღმართ ქუეყანანი ვიდრე თავადმდე აბოცისა...“, და შემდეგ კი “მაშინღა ნათელ იღო ფეროზ და ერმან მისმან“. აქ არ ჩანს ნათელღებული ერი ქვემო ქართლის ერია, თუ მთისა. ფეროზი რომ მოაშორეს მთას, მერე ხომ არ მოექცა მთა ქრისტიანობაზე?

ფეროზის წინააღმდეგობა თითქოსდა მოიხსნა, მაგრამ უეცრად

35 ქც. გვ. 69.
36 ქც. გვ. 116-117.
37 ქც. გვ. 125.
38 ქც. გვ. 126.

ბაქარი მოულოდნელ გადაწყვეტილებას იღებს, იგი ირანისაკენ გადაიხარა: "ეზრახა სპარსთა მეფესა".[39]

ასეა თუ ისე, ფეროზი, მირიანის სიძე, დიდად ენერგიული ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენს და გარკვეულ წინააღმდეგობასაც უქმნის სამეფო კარს. მატიანე ხშირად ახსენებს მას,[40] იგი ჩართულია IV საუკუნის ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ბევრი საკითხი მის პრიზმაშია გადაწყვეტილი.

ჯუანშერის მიხედვით ფეროზს საფორტიფიკაციო ნაგებობაც აუგია — "წარემართა ვახტანგ შესლვად საბერძნეთად და მოიწივნეს სომხითს, და მოერთნეს პეროჟა-კაფას, სადა — იგი ციხე აეგო პირველ გსენებულსა ფეროზს, ერისთავნი სომხითისანი".[41]

"პეროჟა-კაფა" სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა პეროზ-ფეროზის კააბა[42] და ეს "კააბა", ჯუანშერისეული "კაფა" აქ ციხის ან კოშკის მნიშვნელობითაა მოყვანილი.

საისტორიო წყაროებში, ფეროზის ქმედებათა ესოდენ ვრცელ ჩამონათვალში, მის მიერ საკულტო მშენებლობის წარმართვა არ ჩანს. თუ მატიანეს არ გამორჩა ციხე "პეროჟა-კაფა", როგორ უნდა გამორჩენოდა ფეროზის მოღვაწეობა ქრისტიანული კავკასიის ერთ-ერთი უდიდესი ბაზილიკის (V საუკუნისათვის), მშენებლობის პროცესში.

ისედაც, ეს მთავარი (ფეროზი), არ ჩანს საიმისოდ მომართული, წყაროების მიხედვით, რომ ეკლესიები ეშენებინა. არც ისეთი მინიშნება ჩანს მატიანეში, რის გამოც ფეროზი ბოლნისის ტაძრის მშენებლებს "უფალთ-უფალად" მოეხსენებიათ, როგორც ამას რ.

39 ქც. გვ. 130-131.

40 მის შესახებ ათი ცნობა აქვს ბ. მჭედლიშვილს ამოკრეფილი ქართლის ცხოვრებიდან და ერთზეც სავსებით სამართლიან ვარაუდს გამოთქვამს, რომ ცნობა ფეროზს ეხება. იხ. ბ. მჭედლიშვილი, ბოლნისის სიონის დათარიღებისათვის, 3, „მაცნე", ისტორიის... სერია, თბ., 1094, გვ. 103-104.

41 ქც. გვ. 159.

42 კააბა — ისლამურ სიმბოლოთა სისტემაში და მისი ძირეული განმარტებით, ქვეყნის ჭიპია, ის წერტილი, საიდანაც ხდება კავშირი ადამიანსა და ღმერთს შორის. კააბა სიმბოლიზაციას ახდენს ღმერთის 7 ატრიბუტისას. იხ. ჟ. ჩ. ჩოოპერ, ეხიკონ ლტერ შყმბოლე პზ, 1986, გვ. 88; შემდეგ იგი ზოგადად კოშკის მნიშვნელობას იძენს.

პატარიძე ვარაუდობს "სამშენებლო წარწერის" მიხედვით. მის მიმართ საისტორიო წყაროთა კონტექსტი ძირითადად უარყოფითია. მატიანეს არ გამოეპარებოდა მისი საკულტო სამშენებლო მოღვაწეობა იმ "საისტორიო კანონი"-დან გამომდინარე, რაც მას ახასიათებს: სამშენებლო მოღვაწეობა მყარია და უძრავი რეალური მოღვაწის მიმართ.

რ. პატარიძის წაკითხვის (ბ. მჭედლიშვილთან ერთად) მიხედვით, ტაძრის მაშენებელი ერისთავი ფეროზია: "პეროზ მეფეთა თვისისა ნახპეტობასა ხიწყო წმიდისა ამის ეკლესიაძსაძ და ათხუთმეტ წლისა ჟამეულსა აღხეშენა".*43*

უფრო ადრე ეს ს. კაკაბაძემაც ივარაუდა, მან წარწერაში "ავადაგი" აღადგინა: "შეწევნითა წმიდისა სამებისაძთა, ოარიზისა, პეროზ მეფეთა ავადაგისა ნახპეტობასა..." და ა. შ.

საქმე ისაა, რომ პიროვნება, რომელსაც ასეთი გრანდიოზული მშენებლობა ხელეწიფება, არავის წინაშე (თუნდაც მეფის ნათესავთა თვისობით, ავადაგობით და ა. შ.) თავს არ დაიმცირებდა. მით უმეტეს, რომ პეროზი თავის ქმედებებით სწორედ მეფეს ეწინააღმდეგება. გაურკვეველი პოლიტიკური პროგრამა გამოდის — ვებრძვი მეფეს და ამავე დროს თავი მომაქვს მისივე ნათესაობით?

ეკლესია ხომ, უპირველესად, პოლიტიკური ნების გამოხატულებაა და მისი აღმშენებელი საზოგადოებისთვის არავის ნათესავი არ არის ან აღარ არის. მას უკვე თვითონ ჰყავს "თვისები". მეფის "ნათესავების" ადგილი არავთარ წარწერაში არ შეიძლება რომ იყოს, და არც არის.

იმ ფაქტს, რომ თითქოსდა ირანის მაზდეანი შაჰის ზეობით თარიღდება კავკასიის ერთ-ერთი უდიდესი ბაზილიკა, უპრეცედენტო შემთხვევად მიიჩნევს მკვლევართა დიდი ნაწილი[44], და ეს მართლაც ასეთად ისახება. ლიტერატურული წყაროების მიხედვით კი პარალელები იძებნება, რაც იმ აზრს ამკვიდრებს, რომ აქ არაფერია გან-

43 რ. პატარიძე, ბოლნისის ტაძრის.. გვ. 151-152.

44 ასეთი რამ, ე. ი. ის, რომ ტაძრის მშენებლობის ამოსავლად სპარსეთის მეფის ზეობის მე-20 წელი უნდა მიგვეჩნია, თავიდანვე აეჭვებდა ლ. მუსხელიშვილს. იხ. მისი ბოლნისი, გვ. 326.

საკუთრებული, ანუ თუ ქრისტიანული ჰაგიოგრაფიული ძეგლები თარიღდება სპარსეთის (ირანის) მეფის ზეობით, მაშინ რატომ არ შეიძლება, რომ ქრისტიანული ეკლესია დათარიღდეს შაჰ პეროზის მეფობის მე-20 წლით. ერთი შეხედვით ეს თითქოსდა გამოსავალია, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ შესავალი ფორმულირებები ამ ლიტერატურული ძეგლებისა: "მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა",[45] და ივარაუდება, რომ ტექსტის სრული სახე შემდეგნაირად წარმოდგებოდა: "იყო მერვესა წელსა პეროზ სპარსთა მეფისასა".[46].

გარდა ამისა: "წელსა მეათესა ხუასრო მეფისასა".[47]

და ბოლოს, ამონარიდი ბოლნისის სიონის "სამშენებლო წარწერიდან": „ოც წლისა პეროზ მეფექსასა" (ელ. მაჭავარიანის მიხედვით).

გთავაზობთ ციტატას ელ. მაჭავარიანის წიგნიდან: "როგორც ვხედავთ აღნიშნულ ძეგლებში თარიღის ათვლა სპარსეთის მეფეთა ზეობის დროიდან განისაზღვრება. შუშანიკის წამების ტექსტში და ბოლნისის სიონის წარწერაში ორიენტირი აღებულია პეროზ მეფის ზეობაზე, ხოლო ევსტათი მცხეთელის წამების ტექსტში ხოსრო სპარსთა მეფეა დასახელებული".[48]

ჩემი აზრით, წარწერა მინიმუმ სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს: 1. მექანიკური და არამექანიკური ფორმულები; 2. ტაძრის ქრონიკა და 3. ვედრება. ვფიქრობ, რომ ტაძრის ქრონიკა ორი ქვეთავისაგან შედგება.

ყოველთვის მაკვირვებდა ფორმულა: "[შეწევნითა წმიდ]ისა სამებისაჲთა" ან [სახელითა წმიდ]ისა სამებისაჲთა". შეუსაბამოდ მიმაჩნდა ამ ფორმულით ძეგლის სამშენებლო წარწერის მოწოდება.[49]

---

[45] იაკობ ცურტაველი, მარტვლობაჲ შუშანიკისი. ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1938, გვ. 77.

[46] ვ. გაბაშვილი, „შუშანიკის წამება", საიუბილეო კრებული, თბ., 1978, 212—233.

[47] მარტვილობა და მოთმინება წმიდისა ევსტათი მცხეთელისა. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1978, გვ. 41.

[48] ელ. მაჭავარიანი, ბოლნისის სიონის... გვ. 25.

[49] გ. ყიფიანი, კოლხეთისა და იბერიის... გვ. 111-112 და შესაბამისი შენიშვნები.

გარდა ამისა, ფორმულის წინ ნამდვილად გვაქვს გრაფემათა რაღაც კომპლექსიც.

ფორმა (ფორმულა) "შეწევნითა წმიდისა სამებისაჲთა", რომლითაც თითქოსდა მოგვაწოდეს სამშენებლო წარწერა, ქართულ სინამდვილეში აღარ განმეორებულა და ეს ფრიად მოულოდნელი რამ არის, რადგან უდიდესი და უძველესი ტაძრის სამშენებლო წარწერის მოწოდების ფორმას: "შეწევნითა წმიდისა სამებისაჲთა... ათხუთმეტ წლისა შემდგომად განხეშორა"-ს, აღარავინ მიბაძა. იმიტომ ხომ არა, რომ "წმიდა სამება" მის წინა ნაწილთანაა მიმართებაში და არა ძეგლის ქრონიკასთან? და იქნებ არც უკავშირდება ძეგლის აღმშენებლობას?

რ. პატარიძემ აღნიშნა, რომ: "რაკი ტექსტის დაწყების ასეთი ფორმულა ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში შემდეგ აღარ გვხვდება, იგი ყველაზე უფრო ძველი და არქაული წარმოშობისა უნდა იყოს".[50]

არქაული წარმოშობისა ნამდვილად არის, მაგრამ რატომ აღარ გვხვდება?

ტექსტის დასწყისში მკვლევარები "ოო"-ს —„**лл**"-ს ვარაუდობენ ანუ ვედრების გამომხატველ ფორმას — "უფალო"-ს, რომელიც ტექსტიდან გამოცალკევებულია და მას არ ერწყმის. ანუ "უფალო" არაფერს აღნიშნავს შემდეგი ფორმულის "შეწევნითა წმიდისა სამისაჲთა"-ს მიმართ. მართლაც, უჩვეულო შემთხვევაა, რადგან ვედრების ტექსტში "წმიდა სამება"-ს ყოველთვის აქვს ფუნქცია, ისევე როგორც "ოო"-ს ე. ი. "უფალს".

მაგ., ურბნისის სიონის წარწერაში "უფალო იესუ ქრისტე, კონსტანტი, მარიამ, მიქაელ შეიწყალენ, ამის სიონისა მაშენებელნი"[51] და მრ. სხვ.

მაგრამ ჩვენს ტექსტში "წმიდა სამება" რაღას მიემართება? გამოდის, რომ თხრობას აღარ მიემართება, რადგან ტექსტის მე-3-ე ნაწილში, ანუ ვედრების ნაწილში შეწყალებას ღმერთს თხოვენ: **„ვინ**

[50] რ. პატარიძე, ბოლნისის ტაძრის... გვ. 146.
[51] კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, გვ. 21.

აქა შინა თაჳყანის-ხცეს, ღ ნ შეიწ҃ყალენ და ვინ ამის ეკლესიასა ღ̃თ ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღ ნ შეიწ҃ყალენ“ და ბოლოს კი, ალბათ, უფრო “ამ֎ნ“-აა სავარაუდებელი, ვიდრე “იყავნ იყავნ“.

“უფალო“, ხომ იგივეა რაც “წმიდაო სამებაო[52] და მაშინ რა გამოგვდის შინაარსობრივად — “უფალო, შეწევნითა უფლისაჲთა“?

ერთი ვარაუდის დაშვება აქ შესაძლებლად მიმაჩნია. ასომთავრულში მოგვეპოვება დაწერილობის სწორ ან არასწორ წრიულობაზე დაფუძნებული შემდეგი გრაფიკული ნიმუშები „п“ — “а“-ნი, „ж“ — “д“-ონი, „л“ — “о“-ნი და „ъ“ — “ц“-ანი. თუ წარწერის დასაწყისში სრული უეჭველობით „л“ — “о“-ნი არ დასტურდება პირველ გრაფემად, მაგრამ დასტურდება მისი გრაფიკის წრიულობა, მაშინ ის მხოლოდ „п“ — “а“-ნის კვალი შეიძლება რომ იყოს. მაშინ მივიღებთ „пл“-ს.

ბერძნული A და Ω ქრისტეს სიმბოლოებია,[53] ანუ საქმე უნდა გვქონდეს ქრიზმასთან, რასაც იოანეს გამოცხადება უდებს საფუძველს (1,8; 21,6): `ἐγώ εἰμι το α΄λφα καί το῾ ω, λέγει κύριοζ ο῾ Θεός῀. ეს ფორმულა ქართულად ასე ჟღერს: „მე ვარ ანი და Ⴡ, პირველი და უკანასკნელი იტყჳს უფალი“ ან „მე ვარ დასაწყისი და დასასრული სიტყვითა უფლისაჲთა“ და ა. შ.

ის ფაქტი, რომ „Ⴡ“ მაგივრად ქრიზმაში „л“ აისახა, სავსებით ბუნებრივი უნდა იყოს, როგორც ბერძნულიდან გადმოტანილი მექანიკური ასახულობა.

მათ შორის, ანუ “а“-ნსა და „о“-ნს შორის შეიძლება ს. კაკაბაძის მიერ ტექსტის დასაწყისში ნავარაუდევი “ძ“-ანიც აღვადგინოთ — „пбл“.

საქართველოში ნებისმიერ ქრისტიანულ, ბერძნულ ენაზე შესრუ-

[52] „სამება ერთი ღთი სამგვაროვანი, ერთი არსება, ერთი უფალი“, სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV2, თბ., 1966, გვ. 40.

[53] ჟ. ჩ. ჩოოპერ, ეხიკონ ლტერ შყმბოლე, გვ. 10 და გვ. 132.

ლებულ წარწერაში შეიძლებოდა ამ ფორმულის ნახვა, თუნდაც მარტო მცხეთის “ანტიოქი“-ს წარწერა რად ღირს.[54]

ტექსტის დასაწყისისათვის თუ მივიღებთ ამ ფორმულირებას, მაშინ “წმიდა სამების“ წინ ვეღარც “მეოხებითა“-ს აღვადგენთ და ვერც “შეწევნათა“-ს. მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი გვრჩება — “წმიდა სამებისაჲთა“-ს წინ “სიტყვითა“ აღვადგინოთ, და მაშინ ამდაგვარ ფორმულირებას ვღებულობთ თანამედროვე წაკითხვითა და სიმბოლოთა გახსნით: მე ვარ პირველი (დასაწყისი) და უკანასკნელი (დასასრული) სიტყვითა წმიდისა სამებისაჲთა, ანუ უფლითა. ეს იგივეა, რაც „მე ვარ პირველი და უკანასკნელი, იტყვის უფალი“.

შემდეგ კი ქრონიკა იწყება. მანამდე კი შესავლის მიმართ ერთი საეჭვო ვარაუდი მინდა დავუშვა: თუ ვერ მივიღებთ ტექსტის დასაწყისის ჩემეულ აღდგენას, მაშინ ისღა გვრჩება დავუშვათ, რომ “წმიდისა სამებისაჲთა“ ამ ფილაზე არსებობდა, როგორც წინამორბედი ერთიანი დიდი წარწერის შემადგენელი ნაწილი, და იგი თავისი საკრალური შინაარსის გამო არ წარხოცეს და საკმაოდ უხერხულად, ახალ ტექსტს მიუსადაგეს. კვლავ ვიმეორებ, რომ ასეთი დაშვება ფრიად საეჭვოა.

როგორც აღინიშნა, ფორმულას ტექსტის ქრონიკალური ნაწილი მოსდევს: „ოც წლისა პეროზ...“, რატომ ვერ უნდა აღვადგინოთ აქ ფორმა “პეროზის“? “პეროზის“ შემადგენელ „л“-სა და “მეფე“-ს შორის ოთხი გრაფემის ადგილი სავსებითაა (და ცოტათი მეტიც) (სურ. 52), და რაც მთავარია ჩანს განადგურებული გრაფემების ასწვრივი, ვერტიკალურ ღერძთა ნაშთები. ვფიქრობ, შეიძლება, რომ წაკითხვა გავაგრძელოთ. „ოც წლისა პეროზის მეფე...“ და შემდეგ ვივარაუდოთ ყველა სხვა ვარიანტისაგან განსხვავებით ფორმა — “მეფეობასა“. ქრონიკის დასაწყისი გვამცნობს, რომ „ოც წლისა პეროზის მეფეობასა“ რაღაც მოხდა, და ძეგლის ანალიზი გვკარნახობს ამას: მოხდა ის, რომ დაინგრა ეკლესია და ეს შეიძლება ასახულიყო ამ-

[54] თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, II, გვ, 202.

დაგვარად: „ოც წლისა პეროზის მეფეობასა დაეცა კედლები ამისა წმიდისა ეკლესიაძსაძ“ (ასეთ შემთხვევაში შაჰს ქრისტიანთა მხრიდან ტიტულები არ ეგების, არც აქ, და არც ლიტერატურულ ძეგლებში, რადგან შუშანიკის წამებისა და ევსტათი მცხეთელის ქრონიკის შინაარსიდან გამომდინარე მათ ზოგადი, უარყოფითი კონტექსტი ახლავთ, ისევე როგორც ბოლნისის სიონს).

ქრონიკის მეორე და ბუნებრივი ნაწილი იქნება „და ათხუთმეტ წლისა შემდგომად კუალად აღხეშენა“.

შემდგომ, კი ვედრების ტექსტი მოდის: “რომელმან აქა შინა თავ-ყანისხცეს ღნ შეიწყალენ...“ და ა. შ.

ვედრების ვარიანტები განსახილველია, კონკრეტულად კი მისი ის პირველი ნაწილი, სადაც არ ჩანს თუ ვის მიმართ, “შინა თავყანის-ხცეს“. ამიტომაც გაჩნდა ელ. მაჭავარიანის აღდგენა-წაკითხვაში შემდეგი თანმიმდევრობა: “ქრისტე, შენდა მიმართ ვინა აქა შინა თავყანისხცეს, ღმერთმან შეიწყალენ“[55], მაგრამ თუ ქრისტეს მიმართ თაყვანი უნდა სცეს, მაშინ კიდევ რომელმა ღმერთმა უნდა შემიწყალოს? ანდა რატომ მჭირდება კიდევ შეწყალება?

“კონტექსტიც“ და “ტექსტიც“ აღდგენილ ეკლესიას ეხება. “კონ-ტექსტში“ ვგულისხმობ კონსტრუქციას: „ვინ აქა შინა“-ს და “ტექ-სტში“ — „ვინ ამის ეკლესიაძსა“. ასე რომ, ვედრების ნაწილი ასეთი ფორმით წარმომიდგენია: “...ამა ეკლესიასა ვინ აქა შინა თაჳყა-ნისხცეს, ღმერთმან შეიწყალენ და ვინ ამის ეკლესიაჲსა მაშ-ჱნებელსა დავით ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღმერთმან შე-იწყალენ“.

ყველა მონაცემთა ურთიერთშეჯერებითა და სიმბოლოთა გახ-სნით წარწერა ასეთი შინაარსისაა:

„მე ვარ პირველი და უკანასკნელი სიტყვითა წმიდისა სამები-საჲთა. ოც წლისა პეროზის მეფეობასა დაეცა კედლები ამისა

[55] ელ. მაჭავარიანი, ბოლნისის სიონის... გვ. 31.

წმიდისა ეკლესიადსად და ათხუთმეტ წლისა შემდგომად კუალად აღხეშენა. ამა ეკლესიასა ვინ აქა შინა თაჳყანიხსცეს, ღმერთმან შეიწყალენ და ვინ ამის ეკლესიასა მაშენებელსა დავით ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღმერთმან შეიწყალენ, ამჱნ“.

ჩემი ეს წაკითხვა-აღდგენა იმ მრავალმა ფაქტორმა განაპირობა, რაც ძეგლის სტრუქტურული ანალიზისას გამოიკვეთა. დავით ეპისკოპოსი ძეგლის რესტავრატორია, წარწერაც ე. წ. სამშენებლოც, მის ღვაწლს გადმოგვცემს, მაგრამ სარესტავრაციო სამუშაოთა აუცილებლობის ასახსნელად იგი წარწერას ფორმულის შემდგომ ქრონიკას ურთავს: „ოც წლისა პეროზის მეფეობასა...“ და ა. შ.

მონაცემთა გათვალისწინების შემდგომ ასეთი სურათი იკვეთება: ბოლნისის სიონის მშენებლობა მეფე ფარსმანის დროს დასრულდა V ს-ის 20-იან წლებში და განადგურდა 461 წელს „ოც წლისა პეროზის მეფეობასა“ და 15 წლის შემდგომ ანუ 494 წელს აღსდგა, მეფე კავადის პირველ მეფობაშივე. ტაძრის აღდგენა ალბათ პეროზის გარდაცვალების, 484 წლის, შემდგომ დაიწყებოდა, მით უმეტეს ცნობილია, რომ ამ წელს პეროზის უშუალო მემკვიდრემ, ვალარშმა, კავკასიის მმართველებთან სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა.

V ს-ის მეორე ნახევარში (70-იანი და 80-იანი წლები) ირანისა და თვით მისი მეფის პოზიციაც უაღრესად რთული იყო. პეროზი თითქმის ერთდროულად ებრძოდა “ჰუნებს“ შუა აზიაშიც და კავკასიაშიც.

ჰუნების კავშირში ოდესღაც მყოფმა სარაგურებმა და აკაცირებმა კავკასიის უღელტეხილები გადმოლახეს და მათთან ირანის შაჰი საომარ მოქმედებებს კავკასიის ტერიტორიაზე აწარმოებდა[56]. ახლა კი ძნელი სავარაუდოა, თუ ვინ ანგრევდა ტაძარს. თვით პეროზი, რომელმაც შესაძლოა ისარგებლა ამ მომთაბარე ტომებთან საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული ომით (რომელიც მისი გამარჯვებით დამთავრდა და მან ისინი გადარეკა უღელტეხილებს

[56] Н. Пигулевская, Города Ирана... გვ. 892; М. М. Дьяконов. Очерк истории. გვ. 276-277.

მიღმა), თუ თვით აკაცირები და სარაგურები. შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ ტაძარი, საისტორიო წყაროებში არასახული, რომელიღაც სხვა მოვლენის გამო ინგრევა, „ოც წლისა პეროზის მეფეობასა“.

რატომ არ იხსენიება წარწერებში მეფე ვახტანგ გორგასალი? ეს კითხვა თითქმის ყველა მკვლევარს აღელვებდა. არ იხსნება იმიტომ, რომ ტაძრის მშენებლობა ფარსმანის მეფობისას დასრულდა, ხოლო სარესტავრაციო (და სარეკონსტრუქციო) სამუშაოების ისტორიის მაუწყებელ ტექსტებში მისი მოხსენიება საჭიროდ არ მიიჩნიეს. ძეგლი არც მისი ინიციატივითა და არც დაფინანსებით არ აღდგენილა. მან ეს დარღვეული ტაძარი ეპარქიის ცენტრად წარმოიდგინა და იქ ეპისკოპოსი განაწესა.

გურამ ყიფიანი

ლიტერატურა

აბრამიშვილი გ., სტილისტური და შედარებითი ანალიზი და ძეგლთა ქრონოლოგიის საკითხები. საქართველოს აკად. შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები. თბილისი, 1994.

ამირანაშვილი შ., ბოლნისის ტაძრის აგების თარიღის დაზუსტებისათვის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შრომები, 4, თბილისი, 1958.

ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. თბილისი, 1966.

ანდღულაძე ნ., თუმანიშვილი დ., საყვარელიძე თ., ბოლნისის

სიონის საკითხისათვის, “მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 3, თბილისი, 1984.

ბოგვერაძე ა., ბრძოლა ირანის აგრესიის წინააღმდეგ ქართლში IV საუკუნის მეორე ნახევარსა და V საუკუნის პირველ ნახევარში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები II. თბილისი, 1973.

ბოგვერაძე ა., ქართლი V ს-ის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასალი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები II. თბილისი, 1973.

ბოგვერაძე ა., ძიებანი V ს-ის საქართველოს ისტორიიდან, “მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 4. თბილისი, 1985.

ბოგვერაძე ა., ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერის დათარიღებისათვის. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, VII. თბილისი, 1991.

გაბაშვილი ვ., “შუშანიკის წამება“, საიუბილეო კრებული. თბილისი, 1978.

გვერდწითელი რ., წმ. მარიამის ეკლესია თბილისში. ანჩისხატი. თბილისი, 2001.

გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია. თბილისი, 1990.

დანელია კ., სარჯველაძე ზ., ქართული პალეოგრაფია. თბილისი. 1997.

იაკობ ცურტაველი. მარტვილობაჲ შუშანიკისი. ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი. 1938.

კაკაბაძე ს., ბოლნისის ტაძრის წარწერების შესახებ. მნათობი 5, თბილისი, 1985.

კეკელიძე კ., ბოლნისის ტაძრის წარწერების ინტერპრეტაციი-

სათვის, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან VI ს. თბილისი, 1968.

ლომოური ნ., ბოლნიის სიონის საკითხისათვის, "მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 3, თბილისი, 1984.

მარტვილობა და მოთმინება წმიდისა ევსტათი მცხეთელისა, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. თბილისი, 1978.

მაჭავარიანი ელ., ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა. თბილისი, 1985.

მერაბიშვილი ი., რატომ არ იხსენიება ვახტანგ გორგასალი ბოლნისის წარწერაში. "მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 4. თბილისი, 1974.

"მოქცევაჲ ქართლისაჲ" და მისი სინური რედაქციები. გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზაზა ალექსიძემ. თბილისი, 2007.

მუსხელიშვილი ლ., ბოლნისი, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე III. ტფილისი, 1938.

მუსხელიშვილი ლ., არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერას ხეობაში. თბილისი, 1941.

მჭედლიშვილი ბ., ბოლნისის სიონის დათარიღებისათვის, "მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია,. თბილისი, 1985.

პატარიძე რ., ბოლნისის ტაძრის სამშენებლო წარწერები. მნათობი. 1. თბილისი, 1984.

სარჯველაძე ზ., ბოლნისის უძველესი წარწერის ზოგი აღდგე-

ნილი ადგილის შესახებ. “კრიტიკა“ 3. თბილისი, 1988.
საყვარელიძე თ., ბოლნისის სიონი. თბილისი. 1983.
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი. შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებული ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი. 1958.
სილოგავა ვ., ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები. თბილისი. 1994.
სულხან-საბა ორბელიანი. თხზულებანი, IV ტ. თბილისი, 1966.
ქართლის ცხოვრება, ტომი I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი. 1955.
ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, ტ. I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბილისი. 1980.
ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, II, თბილისი, 2000.
ყიფიანი გ., კოლხეთისა იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები, თბილისი, 2000.
ყიფიანი გ., მეფე მირიანის ბაზილიკა, “ბიზანტინოლოგია საქართველოში — 2“, თბილისი, 2009.
შანიძე აკ., ბოლნისის წარწერები, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 2. თბილისი, 1977.
შანიძე აკ., ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრექფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1922-1923. ტფილისი, 1924.
შანიძე აკ., ძველი ქართულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ I, ქრესტომათია, ტფილისი, 1935.
შანიძე აკ., ბოლნისის წარწერები, “ნობათი“ 1. თბილისი, 1975.
ჩხეიძე თ., ნარკვევები ირანული ონომასტიკიდან, თბილისი, 1989.

cnobisaTvis

ჩხიკვაძე მ., ბოლნისის ტაძრის აგების დათარიღებისათვის. არქიტექტურა და მშენებლობა. თბილისი, 1981.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1963.

წერეთელი გ., უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან. თბილისი, 1960.

ჯავახიშვილი ივ., ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. 2. ტფილისი, 1923.

ჯავახიშვილი ივ., ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. თბილისი, 1939.

ჯაფარიძე ვ., ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან, თბილისი, 1982.

ჯღამაია ჯ., სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში. თბილისი. 1980.

Beyer H. W., Das Syrische Kirchenbau, Berlin, 1929.

Brentjes B., Die iranische Welt vor Mohammed. Lpz. 1978.

Briggs M. S., Everyman's Concise Encyclopaedia of Architecture. London, New-York, 1959.

Brosset M., Explication de diverses inscriptions Géorgiennes, Arméninnes et Grecques, Mémoires de L'Academie Imperiale des sciences de St-Peterburg, VI Série. t. IV, St.-Peterburg, 1839.

Cooper G. C., Lexikon Alter Symbole. Lpz. 1988.

Durm G., Die Baukunst der Römer. Stuttgart. 1905.

Glück H., Der Breit – und Langhausbau in Syrien, Heidelberg, 1911.

Khatchatrian A., Les Baptistères Paléochrétiens. Paris. 1962.

Diez E., Die Kunst der Islamisches Völker. Berlin, 1930.

Mepisaschwili R., Zinzadze W., Aufnahmen von R. Schrede. Georgien, Wehrbauten und Kirchen, Lpz. 1986.

Naumann R., Takht – i Suleiman. Bericht uber die Ausgrabungen 1965-1973, Archaeologischer Anzeiger. Heft 1, Berlin, 1975.

Беридзе В.В., Архитектура Грузии. М., 1948.

Брагинский И.С., Ăша Вāхишта, Мифологический словарь, М., 1990.

Гвердцители Р., Некоторые характерные черты грузинских Базилик V-VII вв. в свете новых данных. IV Муждународный симпозиум по грузинскому искусству. Тбилиси, 1983.

Дейхман Фр. В., О. развитии базилик со столбами. Базилика Болнисский Сион. II Международный симпозиум по грузинскому искусству. Тбилиси. 1977.

Дьяконов М. М., Очерк истории древнего Ирана. М. 1961.

История Ирана. Ответсвенный редактор проф. М.С.Иванов. М. 1977.

Костовский А. Н., Геометрические построения одним циркулем. М. 1984.

Пигулевская Н., Города Ирана в раннем средневековье. М.-Л. 1956.

Шуази Ог., История архитеектуры. т. второй. М. 1937.

Цинцадзе В., О некоторых особенностях базилик раннехристианской Грузии. IV Международный симпозиум по грузинскому искусству. Тбилиси, 1989.

Н. Чубинашвили. Хандиси. Тбилиси, 1972.

Г. Н. Чубинашвили, Болнисский Сион. Известия института языка, истории и материальной культуры им.акад. Н. Я. Марра, IX, Тбилиси, 1940.

სტუდენტური გვერდი

ამჟამად, "ონლაინ არქეოლოგიის" სტუდენტური გვერდი წარმოგიდგენთ დავით ყაჭეიშვილს, რომელიც სწავლობს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, არქეოლოგიის მიმართულების ბაკალავრიატის მესამე კურსზე. დათოს ქვის ხანა აინტერესებს, 2 წელია ზიარის არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობს (ხელმძღვ. ნიკა თუშაბრამიშვილი); მონაწილეა შირაქის ველზე მიმდინარე დაზვერვების (ხელმძღვ. გიორგი კირკიტაძე); 2017 წელს კი მონაწილეობა მიიღო დედოფლისწყაროში, ილიას ბაზაზე გამართულ ახალგაზრდა მეცნიერთა სეზონური სკოლის სიმპოზიუმში.

ადამიანის განვითარების გზა პალეოლითის ეპოქაში და მისი სადგომ-სახელოსნო კახეთში

ადამიანის წარმოშობისა და განვითარებისთვის აუცილებელი პირობა დედამიწაზე მიმდინარე გეოლოგიური პროცესებია. ამჟამად დედამიწის ისტორია დაყოფილია ოთხ გეოლოგიურ ერად: არქეულ, პალეოზოურ, მეზოზოურ და კაინოზოურ ერებად. ჩვენთვის მნიშვნელოვანია პლეისტოცენის ხანა, რომელიც კაინოზოურ პერიოდში ერ-

თიანდება, ვინაიდან, სწორედ პლეისტოცენის დროს გაჩნდა პირველი ჰომინიდი და დაიწყო პალეოლითის ხანა (ძველი ქვის ხანა).

პალეოლითის (2,6 მლნ. - 10 000 წწ.) განმავლობაში ადამიანმა განვითარების გრძელი და საინტერესო გზა განვლო და საბოლოოდ ჩამოყალიბდა გონიერ არსებად (homo sapiens sapiens) .

ჰომინიდთა ჯგუფში პირველი გაჩნდა „homo habilis“ მარჯვე, მოხერხებული ადამიანი, რომელიც ავსტრალოპითეკისგან განსხვავდება, როგორც გარეგნულად ისე, ტვინის მოცულობით, იგი პირველად ოლდუვაის ხეობაში გაჩნდა (ტანზანია აღმ. აფრიკა) და სახელიც ადგილის მიხედვით ეწოდა. Homo habilisi დაახლოებით 2,5 – 1,5 მილიონი წლის წინ ცხოვრობდა.

ჰომინიდთა ჯგუფის კიდევ ერთი წარმომადგენელია homo erectus გამართულად მოსიარულე ადამიანი. იგი დაახლოებით 1,9 მილიონი წლის წინ გაჩნდა და 140 000 წლამდე იცოცხლა.

ადამიანის განვითარების შემდგომი ეტაპი ჰაიდელბერგერის ადამიანია, რომელიც დაახლოებით 600 000 წლის წინ გაჩნდა. მას განვითარების პროცესში მოსდევს ნეანდერტალელი ადამიანი, იგი ბოლო საფეხურია გონიერი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესში და უახლესი ინფორმაციით 400 000 წლის წინ გაჩნდა.

ადამიანის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა ქვის ინდუსტრიაც. მასზე დაკვირვება და შესწავლა გვაძლევს საშუალებას წარმოვიდგინოთ და ნაწილობრივ აღვადგინოთ პალეოლითის ხანის ადამიანის ცხოვრების წესი და მოთხოვნები.

პალეოლითის ხანის მატერიალური კულტურის, საცხოვრებელი ადგილისა და იარაღის მისაღებად გამოყენებული მასალის შესწავლა პრეისტორიულ ადამიანზე დაკვირვებისა და შესწავლის ერთადერთი საშუალებაა (თუ როგორ უმკლავდებოდა ახალ გამოწვევებს და რა გზა განვლო). ჩვენს რეგიონში მრავლად არის ქვის ხანის ძეგლები, რომელთა კვლევაც გვაძლევს საშუალებას დავინახოთ თუ როგორ ირჩევდა საცხოვრებელ ადგილს ადამიანი სხვადასხვა პერიოდში, პალეოგარემოს მიხედვით. ასევე კონკრე-

ტულ რეგიონში არსებული მასალის აღმოჩენა მიუთითებს მის მიგრაციაზე და, რაც მთავარია, შეგვიძლია დავაკვირდეთ ადამიანის განვითარებას ქვის ინდუსტრიიდან გამომდინარე, ქვის უბრალო გაპობა-გახლეჩვიდან მიზანმიმართულ ატკეცვამდე.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად არის ქვის ხანის ძეგლები, მაგრამ გამორჩეული გახლავთ კახეთის რეგიონში გომბორის ქედზე მდებარე ფუნქციურად და ტიპოლოგიურად უნიკალური ძველი ქვის ხანის იდეალურად სტრატიფიცირებული ძეგლები: "ზიარი 1" და "ზიარი 2" რომლებიც ერთმანეთისგან დაშორებულია რამდენიმე ასეული მეტრით.

"ზიარი 1" პირველყოფილი ადამიანის ღია სადგომია, რომლის წინასწარ ასაკად განისაზღვრა (450 000-300 000 წწ.), ხოლო "ზიარი 2" კირქვის საბადოსთან პალეოლითელი ადამიანის სახელოსნოა. მიუხედავად იმისა, რომ ძეგლი ფერდობზე მდებარეობს, ბუნებრივად წარმოქმნილ ოვალისებურ ჩაღრმავებაში დაილექა რვა ლითოლოგიური ფენა, რის გამოც ფენები უცვლელ მდგომარეობაში შენარჩუნდა. ძეგლის ასაკი განსაზღვრული არ არის, თუმცა, ქვის დამუშავების ტექნიკა და ტიპოლოგია დმანისის კულტურის მსგავსია (ოლდუვაის კულტურა), ძეგლზე მრავლად არის კლექტონური მასალაც (450 000-300 000 წწ.).

ზემოხსენებულ ძეგლებზე წარმოდგენილ ქვის იარაღებზე დაკვირვებით შეგვიძლია, თვალი მივადევნოთ ადამიანის განვითარებასა და ცხოვრების სტილს მთელი პალეოლითის განმავლობაში.

რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე არ გვაქვს ძეგლის აბსოლუტური თარიღი, თუმცა, იარაღებზე დაკვირვებით შესაძლებელია სხვადასხვა დასკვნის გამოტანა. "ზიარი 2"- ის ქვედა ფენებში ნაპოვნი ქვის იარაღები, დამუშავების პრიმიტიული ტექნიკითა და ფორმით ახლოა ოლდუვაის კულტურასთან (2,5-1,7).

ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია ქვის დამუშავების პრიმი-

ტიული მეთოდი, ქვის გახლეჩვა-გაპობა და ბასრი მხარის იარაღად გამოყენება, ასეთი იარაღები ცნობილია ჩოპერებისა და ჩოპინგების სახელით და მათ ძირითად მასალად გამოყენებულია რიყის ქვა, მათ შორის განსხვავება არის, ის რომ ჩოპერი მხოლოდ ერთი მხრიდანაა დამუშავებული, ხოლო ჩოპინგი ორივე მხრიდან. ოლდუვაის ადამიანი განვითარების პროცესში იარაღის დასამზადებლად იყენებდა სხვა მისთვის ხელმისაწვდომ ნედლეულსაც _ კირქვას, ანდეზიტს, კვარციტს, ობსიდიანს. მათგან პრიმიტიული ატკეცვით იღებდა იარაღს, რომელსაც ბუნებრივი ბასრი მხარე ჰქონდა, თუმცა, მათ კონკრეტულ ფორმებზე საუბარი შეუძლებელია. სწორედ მსგავს, პრიმიტიული კირქვისგან დამზადებულ იარაღებს ვხვდებით "ზიარი 2"-ზე , თუმცა, მსგავსება არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ კონკრეტულად ვისაუბროთ ძეგლის ქვედა თარიღზე. სწორედ ამიტომ ორივე ძეგლისთვის წინასწარ თარიღად განსაზღვრულია 450 000-300 000 წწ. ამ ძეგლებზე მოპოვებულ კლექტონურ მასალაზე დაყრდნობით, ვინაიდან, კლექტონური კულტურა/ინდუსტრია კარგად შესწავლილი და დათარიღებულია და, რაც მთავარია, ადვილად გამოსარჩევია ქვის დამუშავების სხვა ტექნიკისგან.

კლექტონური ანატკეცები მიღებულია მასიური და უხეში დამუშავების გზით, რაც გამოხატულია ანატკეცზე შესაბამისი ბურცულის დიდი ზომით. საქმე ის იყო, რომ დარტყმის მოედანი წინასწარ არ მზადდებოდა, ნუკლეუსიდან იარაღის ატკეცვა ხდებოდა ძლიერი დარტყმით, შესაბამისად, ბურცული დიდი ზომისა და დარტყმის მოედნიდან დაშორებული გამოდიოდა. კლექტონური კულტურა მსგავსებას ამჟღავნებს აშელურ კულტურასთან, მაგრამ ერთი დიდი განსხვავებით კლექტონში არ გვაქვს ხელცულები.

რა თქმა უნდა, თუ ოლდუვაის კულტურის ქვის გაპობა-გახლეჩვას შევადარებთ პროგრესი თვალსაჩინოა, ვინაიდან, ადამიანი იწყებს

ანატკეცების მიღებას, მეორად დამუშავებას და ცდილობს კონკრეტული ფორმები მისცეს იარაღს, რაც თავისთავად მრავალფეროვანს ხდის ქვის ინდუსტრიას, თუმცა, ატკეცვის შემდგომ მაინც ვერ იღებს კონკრეტულ ფორმებს, სწორედ ამიტომ ადამიანის განვითარების შემდგომ ეტაპზე ჩნდება ქვის დამუშავების ტექნიკა, რომელიც ლევალუას სახელითაა ცნობილი და იძლევა საშუალებას ადამიანმა მიიღოს წინასწარ დაგეგმილი ფორმები, რაც შესაძლებელი გახდა ნუკლეუსის წინასწარი შემზადებით.

ოლდუვაისა და კლექტონური კულტურებისთვის დამახასიათებელი იარაღების გარდა "ზიარი 2"_ ზე მრავლად გვხვდება მუსტიეური ხანის იარაღებიც, რომლებიც წარმოდგენილია კარგად დამუშავებული ანატკეცებისა და ლამელების სახით, აგრეთვე, მათზე გაკეთებული იარაღებით როგორებიცაა: საჭრისები, სახოკები, ლამელაზე დამზადებული დანები და ა.შ., ასევე გვხვდება ქერცლისებური ანატკეცები. მზა და დამზადების პროცესში ნაპოვნი იარაღთა სიუხვე მიუთითებს მასზედ, რომ ძეგლი არ იყო ადამიანის მუდმივი სადგომი და გამოიყენებოდა როგორც სახელოსნო კირქვის საბადოს გამო. ამის მთავარი არგუმენტი გახლავთ დიდი რაოდენობით აღმოჩენილი წარმოების ნარჩენები, რაც პირდაპირ მიუთითებს, რომ "ზიარი 2" გახლდათ პალეოლითელი ადამიანის დროებითი სადგომი, ქვის იარაღის დასამზადებლად. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ ძეგლზე აღმოჩნდა დამწვარი ფენა კერა.

რაც შეეხება "ზიარი 1"- ს, ის გახლავთ პალეოლითელი ადამიანის ღია სადგომი, რაზეც მიანიშნებს იქ აღმოჩენილი ქვის მასალა და ძეგლის მასშტაბიც, ძეგლზე არ გვხვდება წარმოების ნარჩენები. ნაპოვნი ქვის იარაღები მზა მდგომარეობაშია და ფორმით "ზიარი 2"-ის მსგავსია, სახელოსნოსგან განსხვავებით აქ ვხვდებით არა მარტო კირქვის, არამედ კაჟის იარაღსაც, რაც "ზიარი 2"-ზე მხოლოდ ერთეულია.

როგორც ჩანს, გომბორის ქედის ეს ნაწილი ფართოდ იყო განსახლებული პალეოლითის ხანაში და მხოლოდ ამ ორი ძეგლით არ შემოიფარგლებოდა, რაზეც მიუთითებს დაზვერვითი სამუშაოების შედეგები (სამუშაოების მიზანი იყო ქედის უმაღლესი წერტილის შესწავლა, ვინაიდან, ფერდობზე მრავლადაა ჩამორეცხილი მასალა და სტრატიფიცირება შეუძლებელია). დაზვერვების შედეგად, რომლის დროსაც მხოლოდ ზედაპირული და ჰუმუსური ფენის შესწავლა მოხერხდა, ნაპოვნია ქვის რამდენიმე საინტერესო იარაღი, ასევე შეისწავლეს ძველი შურფები, სადაც შუა პალეოლითის პერიოდის რამდენიმე საინტერესო არტეფაქტი აღმოჩნდა, აგრეთვე, ობსიდიანი, რაც იმ დროის ადამიანის მიმოსვლის გრძელ მარშრუტებზე მიუთითებს, რადგან მოგეხსენებათ უახლოესი ობსიდიანის საბადო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ან სომხეთის ტერიტორიაზეა (შემდგომ სეზონზე იგეგმება ქედის უმაღლესი წერტილის დეტალური შესწავლა და პოტენციური ძეგლების გამოვლენა).

“ზიარი 1“-ზე კონკრეტულად კი, V ფენაში გამოვლინდა ადამიანის ყბის ნაშთი ორი კბილის სახით, ასევე, ორივე ძეგლზე ნაპოვნია გარკვეული სახეობის განამარხებული ფაუნისტური ნაშთები, რაც მიუთითებს მასზედ, რომ შესაძლებელია შემონახული იყოს ადამიანის ან ცხოველის ძვლები, ვინაიდან, არც ერთ ძეგლზე გათხრებისას არქეოლოგები არ დასულან დედაქანამდე, შესაბამისად, სამომავლო საველე სამუშაოებმა და კვლევის ახალმა მულტიდისციპლინარულმა მეთოდებმა, შესაძლოა, დაადგინოს ძეგლის უფრო ადრეული თარიღი.

“ზიარი 1“ და “ზიარი 2“-ის ადგილმდებარეობა, ბუნებრივი გარემო, მათი სიახლოვე ცენტრალურ გზასთან, ძეგლის მასშტაბები და მდიდარი ქვის ინდუსტრია კაცობრიობის უძველესი ისტორიის კომპლექსური და ზოგადი შესწავლის კუთხით საგანმანათლებლო-სამეცნიერო პრაქტიკის შესაძლებლობას ქმნის.

STUDENT PAGE

Currently, "Online Archeology" Student page presents David Kacheishvili, who is studying at TSU Faculty of Humanities, on the third course of the Archeology Department of Bachelor's Degree. David is interesting in Stone Age and participating in Archaeological excavations of Ziari (Head of Nika Tushabramishvili) for 2 years. Participant is the current surveillance (head of Giorgi Kirkitadze) on Shiraki Valley; In 2017 he participated in the Symphony of Young Scientists at School, held in Dedoplistskaro, Ilia base

THE PATH OF HUMAN DEVELOPMENT IN THE EPOCH OF THE PALEOLITHIC AND HIS PLACE OF WORK IN THE KAKHETI REGION

The essential condition for human origin and development is the ongoing geological processes on earth. Now the history of the Earth is divided into four geological erodes: Archaeological, Paleozoic, Mesozoic and Cainozoic. It is important for us to have the Pleistocene period, which is united in the Cainozoic period, since it was the first hominid in the Pleistocene and started the Paleolithic period (old stone age).

During the Paleolithic (2,6 mln - 10 000) people developed a long and interesting way of development and eventually formed into a homo sapiens sapiens.

The hominid group first appeared in “Homo habilisi”, this man was adroit and convenient, a man who is different from Australopithecus, as in appearance and in the brain, it first appeared in the Valley of Olduwa (Tanzania in Africa) and was named after the place. Homo habilis lived about 2,5 - 1.5 million years ago.

Another representative of the hominid group is homo erectus. He walked straightened. It was about 1,9 million years ago and lived until 140 000 years.

The next stage of human development is Heidelberg’s man who appeared about 600,000 years ago. It is the Neanderthal man in the development process, the last step in the process of forming a wise person and the latest information emerged 400,000 years ago.

The development of stone industry growth along with human development. Observing and studying allows us to imagine and partially restore the way of life and requirements of the Paleolithic Age.

The study of material used for the material culture, place of residence and weapons of the Paleolithic period is the only way to observe and study the prehistoric person (How to deal with new challenges and how to pass).There are many stone monuments in our region, which research allows us to see how the place of residence is chosen by people in different periods, according to the paleo area. Also, the discovery of the material in the particular region indicates its migration and, most importantly, we can observe human development from the stone industry, from the simple stone-splitting stone to the targeted clock.

As mentioned above, there are many stone monuments

on the territory of Georgia but it is distinguished by the ideally stratified monuments of the functionally and typologically unique Old Stone Age at the Gombori Ridge in the Kakheti region: "Ziari 1" and "Ziari 2" are separated by several hundred meters from each other.

"Ziari 1" is the open space of the first person, whose preliminary age (450,000-300,000 years), and the "Ziari 2" limestone deposit is a paleolithic human workshop. Although the monument is located on the slopes, eight lithological layers have been erected in the naturally formed oscillating layer, which is why the layers remained in unchanged condition. However, stone processing techniques and typology are similar to Dmanisi's culture (the cult of Olduway), and there is a lot of sketch material (450 000-300,000 years) on the monument.

By observing the stone weapons presented on the above-mentioned monuments, we can look at the development and lifestyle of the whole Paleolithic.

Of course, at this stage we do not have an absolute date for the monument, however, it is possible to find different conclusions about the weapons. The stone tools found in the lower layers of "Ziari 2" are near primordial technique and form of cultivation near Olduwa culture (2,5-1,7).

This method is characterized by primitive method of stone processing, splitting the stone and using the weapon as a tool, such tools are known in the name of choppers and chopping, and their main material is used by cobble stone,

the difference is that the chopper is processed from one side and the chopping from both sides. Olduwa's man used to produce weapons in the development process of other available raw materials - limestone, andesite, quartzite, and obsidian. They choose with the primitive clutches of weapons from them, which had a natural blade, however, we cannot speak on specific concrete forms.Similarly, we find weapons made of primitive limestone on "Ziari 2", but the similarity does not allow us to specifically talk about the lower date of the monument. This is why 450,000-300,000 years are set as pre-date for both statues. Based on the collected material on these monuments, as the klectonic culture / industry is well studied and dated, and most importantly, it is easy to find other techniques of stone processing.

Klectonone antacids (hand-axe) have been obtained through massive and coarse processing, which is expressed in the large size of the corresponding bore on the body of axe. The point was that the hitting point was not prepared in advance, and the gun was fired from the nucleus by a strong hitting, so the stroke was out of reach of a large size and hitting ground. Klectonic culture expresses the similarity to the Asheli culture, but one of the great contrasts does not have a hand axes(chopper) in the Klecton.

Of course, if we compare the brush-splitting of the Oldowan culture, progress is evident, since people begin to receive the plates, secondary processing, and try to give

the concrete forms of weapons to the stone industry, but they still do not get concrete shapes even after clutter. At the next stage of human development, A stone-processing technology, which allows people to take a pre-planned and known as Levaluas name, which became available in the nucleus pre-preparation. In addition to the weapons characteristic of the Olduwa and Klaxon cultures, "Zari 2", there are also a number of weapons from Mustier era, which are presented as well-processed antennae and lamellar, as well as weapons on them: Cutters, lambs made of lamella, etc. are also found scaly plates.

The abundance of weapons found in the preparation and preparation process indicates that the monument was not a permanent parking space and was used as a workshop for a limestone field. The main argument for this is the wastes of large quantities discovered, which directly indicate that "Ziari 2" was the temporary parking space for a paleolithic man made of stone. It is also an important fact that the scattered layer was found on the monument.

As for "Ziari 1", it is the open space of the Paleolithic man, indicating the stone material found there and the scale of the monument is not found in the monument. The stone tools found in the finished position and the form is similar to the "Shari 2", unlike the workshop, here we find not only the limestone but also the weapon of the cage, which is only one of "Ziari 2".

Apparently, this part of the Gombori Ridge was largely set-

tled in the Paleolithic period and was not limited to these two monuments, which indicate the results of the intelligence work (the purpose of the works was to study the highest point of the range, as there is a lot of scattered material on the slope and no stratification is possible). As a result of intelligence, during which only superficial and humus layer was studied, some of the stone stones were found, and also the old scuffles, where some interesting artefacts of middle paleolithic periods, and obsidian, indicate long routes of human traffic, as you know the closest obsidian Ore Field Anoint-in the region or on the territory of Armenia (hereinafter referred to as the season is scheduled ridge highest point and a detailed study of the potential sites identified).

On “Ziari 1”, specifically, in the V layer, the human jaw remnant was found in two teeth and two types of fauna found in some monuments, indicating that it could be preserved by human or animal bones, as no excavator archaeologists Not to be drowned, therefore, future field work the new multidisciplinary research methods, may establish a monument to an earlier date.

The location, the natural environment, their close proximity to the central road, the scale of the monument and the rich stone industry create an opportunity for educational and scientific practice in the complex and general study of ancient history of mankind.

მარინა ნიკოლოზის ასული მიწიშვილი

მარინა მიწიშვილი დაიბადა 1928 წლის 11 ივნისს, ქ. თბილისში, აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა; 1953 წელს კი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. მან სტუდენტობისას აირჩია სპეციალობად არქეოლოგია და სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა მეცნიერების ამ დარგს.

მარინა მიწიშვილის ცხოვრების გზა იოლი არ იყო, ჯერ კიდევ ბავშვობაში იწვნია უსამართლობის სუსხი. მამამისი — 20-30-ანი წლების მწერალი („ცისფერყანწელთაგან“ ერთ-ერთი) და ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ნიკოლო მიწიშვილი 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს. მალე “ხალხის მტრის ოჯახის წევრის” აბსურდული ბრალდებით, დააპატიმრეს მისი მეუღლეც — თამარ ბაგრატიონი, რომელმაც შორეული ჩრდილოეთის საკონცენტრაციო ბანაკებში მოიხადა გადასახლების გაუსაძლისი, რვაწლ-

იანი ვადა. 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიებით გამოწვეული ნეგატიური მორალური ზემოქმედების ძალა იმდენად ძლიერი იყო, რომ საზოგადოების ნაწილს, მათ შორის, მარინა მიწიშვილს სამართლიანობისადმი (უფრო სწორად, უსამართლობისადმი) განსაკუთრებულად მწვავე დამოკიდებულება მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვა.

მარინა მიწიშვილმა შრომითი საქმიანობის საკმაოდ გრძელი გზა გაიარა: 1953 წლიდან მუშაობდა ისტორიის ინსტიტუტში — ჯერ ლაბორანტად სახელშეკრულებო საწყისებზე, 1956 წლიდან — არქეოლოგიურ განყოფილებაში უფროს ლაბორანტად, 1961 წლიდან — უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, 1974 წლიდან — უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჩამოყალიბების დღიდან (1977 წ.) ცენტრის შუა საუკუნეების ხანის არქეოლოგიის განყოფილების წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. რაც შეეხება საველე სამუშაოებს, ის მონაწილეობდა იორუჯარმის (1951-1952 წწ.), ბიჭვინთის (1952-1953), სიონის (1952), კამარახევის (1953), წიწამურის (1953), აბელიის (1954), ბულაჩაურის (1955), მცხეთის (1957), ხოვლეს (1955-1957), ორბეთის (1959, 1961), რუსთავის (1959-1962, 1972), ქუთაისის (1963-1965), ერწოს (1966), თბილისის (1966-1967, 1969-1970), ნატბეურის (1970) არქეოლოგიურ ექსპედიციებში, 1972 წელს კი, თავად ხელმძღვანელობდა რუსთავის არქეოლოგიურ ექსპედიციას; 1968 წლიდან რამდენიმე სეზონის განმავლობაში (1968-1977 წწ., 1982 წ.) მონაწილეობდა ვანის ექსპედიციის მუშაობაში, 1970-1973 წლებში ხელმძღვანელობდა ციხესულორის ციხის გათხრებს.

მარინა მიწიშვილის მეცნიერული კვლევის ზოგადი სფერო შუა საუკუნეების კერამიკა იყო, მაგრამ მან განსაკუთრებული წვლილი შეიტანა საქართველოში ხელოსნობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

დარგის — მეთუნეობის ისტორიის კვლევის საქმეშიც. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების საველე სამუშაოებში პირადი მონაწილეობის შედეგად დაგროვილმა ცოდნამ და გამოცდილებამ საშუალება მისცა გამოექვეყნებინა რიგი სამეცნიერო ნაშრომებისა, 1985-1986 წლებში შეადგინა განმაზოგადებელი ნარკვევი – "Средневековая поливная керамика Грузии IX-XVIII вв.", საკავშირო მრავალტომეულისთვის — "Археология", რომელიც გამოსაცემად მოსკოვში მზადდებოდა; მან ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული მოჭიქული კერამიკის შესწავლის საქმე, გამოიკვლია და გააშუქა მისი გენეზისის საკითხები, განვითარების ეტაპები და გავრცელების არეალი.

ჯვარისის ნიკოლოზ მიწიშვილის სახელობის საჯარო სკოლა

1981 წელს მარინა მიწიშვილი მიიწვიეს ბულგარეთში, სადაც მონაწილეობა მიიღო მელნიკის არქეოლოგიურ ექსპედიციაში და იქ მოპოვებულმა მასალამ შესაძლებლობა მისცა გამოეტანა მნიშ-

ვნელოვანი დასკვნები, შავი ზღვისპირეთში ქართული კერამიკის მიგრაციის შესაძლო გზებისა და აღმოსავლური კულტურის ნაკადის მრავალფერადობის შესახებ. ინტეგრალურია შედეგი მარინა მიწიშვილის მეცნიერული კვლევებისა საქართველოში მოჭიქული კერამიკის წარმოების შესახებ - **„ქართული გამოყენებითი ხელოვნების ეს დარგი მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენების პარალელურად ვითარდებოდა, იგი არ ჩამორჩებოდა და ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მათ. არსებობდა მუდმივი მოძრაობა, როცა ერთმანეთს ენაცვლებოდა ახალი გამოგონებები და სიახლეები, იყო სწრაფვა უკეთესისკენ, რასაც აღწევდნენ კიდეც“**[1].

შავი ზღვისპირეთში მრავალფერადი მოჭიქული კერამიკის მიგრაციის შესახებ წარმოდგენის მეტი დამაჯერებლობისთვის, 1998 წელს მეცნიერებათა აკადემიის გრანტით მ. მიწიშვილმა დაიწყო მუშაობა თემაზე – “საქართველოს კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობა შავი ზღვის ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონებთან XII-XIV საუკუნეებში”, რაც აღნიშნული მიმართულებით კვლევების გაფართოების შესაძლებლობასა და საინტერესო შედეგების მიღწევის მოლოდინს აღძრავდა. სამწუხაროდ, ეს მოლოდინი არ გამართლდა, რადგან მარინა იმავე წლის 17 სექტემბერს გარდაიცვალა.

მ. მიწიშვილს დაცული აქვს დისერტაციები ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატისა (1970 წ.) და დოქტორის (1998 წ.) სამეცნიერო ხარისხების მოსაპოვებლად. იგი ავტორია 40-მდე სამეცნიერო ნაშრომის, რომელთა დიდი ნაწილი (მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიული ხასიათის) გამოქვეყნებულია.

მარინა მიწიშვილი არა მარტო აქტიურად მონაწილეობდა საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო სესიების მუშაობაში, არამედ ინიციატორი იყო 1985 წელს თბილისში ჩატარებული სიმპოზიუმისა თემაზე – “ამიერკავკასიის მოჭიქული კერამიკა – მისი

[1] ამონარიდი სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატიდან.

საწყისი და გავრცელების გზები”, რომელშიც მასპინძლების გარდა, მონაწილეობდნენ სპეციალისტი-არქეოლოგები მოსკოვიდან, სანქტ-პეტერბურგიდან, ოდესიდან, სიმფეროპოლიდან, სევასტოპოლიდან, ეკატერინბურგიდან, გროზნოდან, ბაქოდან, ერევნიდან.



არ შეიძლება სათანადოდ არ შეფასდეს გარე სამყაროს წინაშე, ქვეყნისა და ხალხის წარმოჩენის თვალსაზრისით, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა შორის სამეცნიერო ფორუმებზე კონტაქტების შესაძლებლობის სიკეთე, რადგან ისინი, პროფესიული დონის ამაღლების გარდა, ადამიანური ურთიერთობების, კეთილგანწყობილი ხასიათის, მყარ საფუძველსაც ქმნის. ასეთი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა დროთა განმავლობაში ქართველ და ბულგარელ არქეოლოგებს შორისაც, რაშიც მარინა მიწიშვილის წვლილიც იყო. ამის დასტურია, თუნდაც, ამონარიდი ბულგარელ არქეოლოგ ჟანა ჩიმბულევას[2] წერილიდან (27.VII.1988), რომელიც ასახავს საქართველოში მისი ქალიშვილის სტუმრობით გამოწვეულ ემოციებს: «Что вы там в Грузии сделали с Пеночкой»! Она вернулась от вас такая счастливая, будто побывала в неземной стране – в раю!!! Она каждому рассказывает каждый день всем (а у неё множество знакомых – ведь библиотеку посещает вся интеллигенция

[2] ბეჟანა (ჟანა) ჩიმბულევა – ბულგარეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ქალაქ ნესებრის ისტორიული მუზეუმის დირექტორი.

.... Рассказывает про Грузию, про её живописную природу, про её богатые памятники старины, про её интеллигентных, самых гостеприимных людей... И про много, много, много хороших качеств грузин. А для тебя Маринушка, по-моему, в грузинской мифологии имеется еще одна богиня - это Марина! Она не верит, что на свете может быть еще один такой человек – умный, добрый, справедливый, гостеприимный и т. д., и т. д.»

სწორედ შორეულ კოლეგებთან აქტიური მიმოწერის წყალობით გვაქვს ჩვენ დღეს შესაძლებლობა წარმოდგენა შევიქმნათ მარინა მიწიშვილის ცხოვრებისა და ხასიათის მრავალ ნიუანსზე (როგორც სკრუპულოზური მკვლევარი, იგი გაგზავნილ წერილთა უმრავლესობის ასლებს ინახავდა).[3] მარინა კეთილგანწყობილი იყო ყველა ადამიანის მიმართ, მაგრამ საოცრად იცვლიდა ხასიათს პრინციპულ საკითხებთან მიმართებით. მისი ეს თვისება ხატოვნად ჩანს კოლეგის – ედი საიკოს[4] მიერ დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებით გაგზავნილ წერილში (02.VI.1977): «Дорогая Эди, я очень рада за Вас, автореферат замечательный, сама диссертация, конечно же, будет во много крат лучше. Я уверена, что Вы защищались яростно и блестяще, как тигрица, было наверное, очень интересное зрелище. Итак, поздравляю Вас со свершившейся защитой. Прошу, если не трудно, опишите ее поподробней».

იგი ყოველთვის ცდილობდა ობიექტური ყოფილიყო და კოლეგების საქებარ სიტყვებს არასდროს იშურებდა. აი, როგორ აფასებს ერთ-ერთ წერილში ხერსონესში ყოფნისას მონახულებულ გამოფენას: **«Самое же большое впечатление осталось от новой экспозиции. Я в восторге от нее – чувствуется большой и утонченный вкус, прекрасное знание материала (керамики, металла, стекла, мозаики, настенной росписи, архитектуры и т.д.), с необычайной**

[3] ამონარიდების მოყვანისას სტილი, ყველგან დაცულია.

[4] ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქოლოგიის პროფესორი, რუსეთის განათლების აკადემიის წევრი. დაიბადა და მოღვაწეობდა დუშანბეში, მუშაობდა შუა აზიის ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის, მ. შ. – კერამიკის საკითხებზეც.

выразительностью доведённые до посетителя. Эта выставка результат огромных знаний, долгих раздумий и высокой образованности. Правда Л. Колесникова работала над выставкой многие годы (иначе и не могло быть), но этим она еще при жизни воздвигла себе памятник». ნიშანდობლივია მისი დამოკიდებულება უფროსი კოლეგების დამსახურების მიმართაც, რაც მკაფიოდ გამოიხატა იაკობსონისადმი (მოჭიქული კერამიკის აღიარებული სპეციალისტი) მიწერილ წერილში: "Мой скромный знак внимания (მარინამ მას თავისი წიგნი გაუგზავნა) **не должен был Вас удивить, так как я считаю, что те, кто работают по керамике, тем более - по поливной, должны помнить Вас!"**

მარინას ჰქონდა მადლიერების გამოხატვის საოცარი უნარი, არასდროს ივიწყებდა მათ, ვინც თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა. ამ პრინციპს მარინამ მთელი ცხოვრების განმავლობაში უერთგულა. პირველ რიგში ეს ითქმის მისი „საბავშვო ბაღის დროინდელი" მეგობრების - „განუყრელი ექვსეულის" - ეკატერინე ოსიძის, მზია მრევლიშვილის, მზია ტყემალაძის, მარი ჟურულისა და ლამარა ვეფხვაძის – მშობლებსა და ოჯახებზე, რომლებმაც ადამიანურ ღირსებას არ უღალატეს და „ტროცკისტის შვილი" საკუთარი შვილივით მიიღეს, მიუხედავად ასეთი ქმედების შესაძლო არასასურველი შედეგებისა. უდიდეს სიყვარულსა და უკიდეგანო მადლიერების გრძნობას განიცდიდა და გამოხატავდა მარინა თავისი პაპის – კოტე ბაგრატიონის მიმართ, რომელმაც უმძიმეს პირობებში უპატრონა უმშობლებოდ დარჩენილ ბავშვებს.

მარინა მიწიშვილის პიროვნული თვისებებიდან უთუოდ აღსანიშნავია კომუნიკაბელურობა, რომელმაც საშუალება მისცა გულთბილი დამოკიდებულება დაემყარებინა, როგორც ქართველ ისე, უცხოელ კოლეგებთან, რის შედეგადაც მას ჩამოუყალიბდა ნაცნობ-მეგობართა ფართო წრე. განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა ჰქონდა შუა აზიელ კოლეგებთან, რასაც საფუძველი მოჭი-

ქული კერამიკისადმი საერთო ინტერესმა ჩაუყარა. პროფესიულ ინტერესებზე დაფუძნებული ეს კავშირები ძალიან ხშირად ადამიანური ურთიერთობისა და სიახლოვის მოდელები ხდებოდა. მარინას არქივში შემონახული მიმოწერა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმის თაობაზე, თუ როგორი იყო სამეცნიერო დისკურსი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ურთიერთდამოკიდებულება იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც თაობათა შორის განსხვავების, სოციალ-ეთნოგრაფიული განსხვავებულობისა და, ხშირად, საბჭოთა რეალობით განპირობებული სირთულეების მიუხედავად, საერთო ინტერესები აკავშირებდა.

მარინასა და მის კოლეგა-მეგობრებს შორის არსებული სულიერი სიახლოვე იმდენად ფაქიზი იყო, რომ ხანდახან რეალურ წინათგრძნობაშიც კი აისახებოდა: “Дорогая Таня! Ваше поздравительное письмо меня очень обрадовало, но, вместе с тем, оставило во мне чувство неясной тревоги – всё ли у Вас в порядке? Если интуиция меня не обманула... (წერილი მოსკოველ კოლეგა ტ. მაკაროვას)”. აღმოჩნდა, რომ, სამწუხაროდ, წინათგრძნობა გამართლდა, ადრესატს ოჯახის წევრი გარდაცვლია.

მარინას სახლის კარი მუდამ ღია იყო კოლეგებისთვის. კოლეგებიც აფასებდნენ მარინას გულთბილ დამოკიდებულებას, მადლიერება იგრძნობა მათ წერილებში.

ამონარიდი უზბეკი არქეოლოგის ზამირა იუსუპოვას პასუხიდან წერილზე, რომლითაც მას მარინას გარდაცვალება შეატყობინეს: “Мы сильно переживаем утрату, потому, что мы жили в гостеприимном доме Марины, нас навещали Наталья и Манана-ханум (მარინას დეიდები), ваша супруга, с которой мы ходили в театр”.

ცხოვრებამ მარინა ბევრ საინტერესო პიროვნებას შეახვედრა, მაგრამ განსაკუთრებული კვალი ორ მათგანთან შეხვედრამ დატოვა. ცნობილია, რომ რუსულენოვანი მკითხველის უზარმაზარი აუდი-

ტორიისთვის ქართული (არა მარტო საბჭოური) პოეზიის გაცნობის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით პოეტებს ნიკოლოზ ტიხონოვსა და ბორის პასტერნაკს. ნიკოლო მიწიშვილს, როგორც საგამომცემლო საქმის ერთ-ერთ აქტიურ მოღვაწეს (იგი იმ დროს სახელმწიფო გამომცემლობის მხატვრული ლიტერატურის განყოფილებას ხელმძღვანელობდა) მათთან თავის დროზე მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა.

მარინას ჩანაწერებიდან — ნიკოლო მიწიშვილი ვიქტორ გოლცევს:

„... სახელვამს აინტერესებს ბ. პასტერნაკისა და ნ. ტიხონოვის საქმიანობა. მიაწვდინეთ ხმა ტიხონოვს, რომ მან შემატყობინოს თავისი მილოცვების შესახებ. ბ. პასტერნაკმა დააჯამოს თავისი სტრიქონები ვაჟა ფშაველათი და უიმისოდ“.



განგებამ ისე ინება, რომ შეხვედრები 1937 წელს შეწყდა, თუმცა, განგებისავე ნებით, მრავალი წლის შემდეგ მარინა კვლავ სწორედ ამ პიროვნებებს შეხვდა.

1956 წელს მოსკოვში მივლინებით მყოფმა მარინამ სცადა, რაიმე შეეტყო მშობლების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, მაგრამ რეაბილიტაციის პროცესი ახალდაწყებული იყო, შესაბამისი უწყებები განმცხადებლებს ვერ აუდიოდა, რიგებს ბოლო არ უჩანდა, მივლინების ვადაც იწურებოდა, იმედი აღარაფრის დარჩა და სასოწარკვეთილმა მარინამ დახმარებისთვის ტიხონოვს მიმართა. ტიხონოვს იმ დროს ერთ-ერთი მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა – მსოფლიოს მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარე იყო და მასთან მიღებაზე მოხვედრის არაერთი უშედეგო მცდელობის შემდეგ, მარინამ ბოლო ხერხს მიმართა – ადმინისტრაციის თანამშრომლებს სთხოვა – მისი გვარი ეთქვათ ტიხ-

ონოვისთვის. ეს თხოვნა შეუსრულეს და მოვლენებიც ელვის სისწრაფით განვითარდა – მარინა მაშინვე შეუშვეს ტიხონოვთან, რომელმაც იგი ძალიან გულთბილად მიიღო, გამოჰკითხა ყველაფერი, გაამზადებინა შესაბამისი უწყების სახელზე მიმართვის ტექსტი და გამომშვიდობებისას მარინას პირობა ჩამორთვა, რომ თუ რამ დასჭირდებიოდა, აუცილებლად მიაკითხავდა. ამის შემდეგ ბიუროკრატიული მანქანა სწრაფად დატრიალდა და რეაბილიტაციის პროცესიც მალე დამთავრდა დადებითი შედეგით. მას შემდეგ, ყოველ სადღესასწაულო დღეს, მარინა და დედამისი რეგულარულად იღებდნენ ტიხონოვისგან მოსალოც ღია ბარათებს. მარინას არქივში დაახლოებით 40-მდე ასეთი ბარათია, რომელთა ტექსტი, მიუხედავად ლაკონურობისა, არც ერთხელ არ მეორდება!

ამონარიდი მარინას წერილიდან ტიხონოვისადმი (როდესაც 80 წლის იუბილეს ულოცავს):

მეგობრობა ბორის პასტერნაკთან

“ეძიმ ჭივაგოს” ქართველი პერსონაჟები

მარინა მიწიშვილის ჩანაწერებიდან:

„ყველას კარგად მოეხსენება, რომ 1959 წელს, ადრიან გაზაფხულზე ბორის პასტერნაკი იძულებული გახდა დროებით დაეტოვებინა მოსკოვი. მან თავი თბილისს შეაფარა და ტიციან ტაბიძის ოჯახის სტუმარი გახდა. მისი ჩამოსვლა არ უნდა გახმაურებულიყო.

ერთ დღეს, რუსთაველის გამზირზე, ოპერასთან (იმ მხარეს, სადაც ხალხი, ჩვეულებრივ, ცოტაა), ნიტა ტაბიძეს შევხვდი. მას ვილაც კაცი ახლდა. შევჩერდით, მოვიკითხეთ ერთმანეთი. ნიტამ თანამგზავრს მიმართა - დააკვირდით, ხომ არავის გავონებთო და აუხსნა ჩემი ვინაობა, პასტერნაკმა მაშინვე წამოიძახა - როგორ არა, მამამისს ძალიან მგონებს ჟესტიკულაციითო. ცოტა ხანს ვიმუსაიფეთ და დავშორდით ერთმანეთს.



სახლში რომ მივედი, დედას ვუთხარი - პასტერნაკი ჩამოსულა დეიდა ნინასთან-მეთქი და ავუხსენი თუ რა ვითარებაში იმყოფებოდა ივი. ერთხელ, თურმე, ბატონი ბორისი მარტო გამოსულა სასეირნოდ, ვილაცას უცვნია და უკითხავს - თქვენ ბორის პასტერნაკი არა ბრძანდებითო? მას ცივი უარი განუცხადებია - არა, ბატონო, არა, შეგეშალათ, ალბათ, მას მიმამსგავსეთო.

დედა მეორე დღესვე წავიდა დეიდა ნინასთან და მოიახსულა ბ-ნ ბორისი, რომელიც გადასახლების შემდეგ (1937-1946 წწ.) არ ენახა. წამოსვლისას დედამ ის სადილად მოიწვია. პასტერნაკი უარზე დამდგარა - თამარ, ეს ძალიან საშიშია, შეიძლება ახალი რამ უსიამოვნება შეგემთხვათ ჩემი მიზეზით. დედას დაუმშვიდებია და უთქვამს - მე ალარაფრის მეშინია, რაც გადამხდა, იმაზე მეტი რალა უნდა შემემთხვასო!

1937 წელს მამაჩემის, - ნიკოლო მიწიშვილის - დაპატიმრების შემდეგ გამოგვასახლეს ძველი ბინიდან (რასაკვირველია, ამასაც არ დაგვჯერდნენ და ჩამოგვართვეს ყველაფერი, მამის ტანისამოსიც კი) და შეგვასახლეს ჩვენნაირივე ბედის ოჯახისათვის ჩამორთმეულ ერთ პატარა ოთახში, მაშინდელ პლეხანოვის გამზირზე. სწორედ აქ მოგვიწია ბატონი ბორისის მიღება 1959 წლის 27 თებერვალს. მასთან ერთად მოვიდნენ ტიციან ტაბიძის მეუღლე - დეიდა ნინა - და ფატი თვალთვაძე (ცნობილი მთარგ-

მწელი), მოგვიანებით კი, სამსახურიდან დაბრუნებული ჩემი ძმა - ილიამ ზ მიწიშვილიც - შემოგვიერთდა.

ცხოვრების ჩვენმა პირობებმა, სივიწროვემ და სხვა გარემოებებმა ბატონი ბორისი ძლიან ააღელვა (ადრე ის არაერთხელ ყოფილა მშობლებთან ძველ ბინაზე), მაგრამ ტრადიციულმა ქართულმა მასპინძლობამ და განწყობილების უშუალობამ მას გუნება უცვალა და საუბარიც საინტერესოდ წარიმართა - პოეზიაზე საერთოდ, ადრეული პერიოდის მის ლექსებზე, თარგმანებზე, არქეოლოგიაზე და ა.შ. დედას ბევრი ქათინაური უთხრა და ბოლოს დასძინა - ამდენი რამ გადავიტანიათ, ნამდვილი გმირი ხართ და მე, რომელმაც ყველაფერი ეს ვიცოდი, შემეძლო განა „დოქტორი ჟივაგო“ არ დამეწერაო? წივნს ნინასთან ვტოვებდა ძლიან გთხოვთ, წაიკითხეთო.

როგორც თვითონ გვითხრა, იმ დროს ივი დაინტერესებული ყოფილა ანტიკური ხანით. ამის გამო მე შევთავაზე მას სტუმრებოდა ჩვენს მუზეუმს, სადაც მისთვის საინტერესო ბევრი მასალა შეიძლება აღმოჩენილიყო. მოგვიანებით ჩვენს სტუმრებს ნიჭა ტაბიძემ და მისმა მეუღლემ - ბ-მა ალექსი ანდრიაძემ - გამოუარეს და სახლში წაიყვანეს.

ნავსი გატყდა! ამის შემდეგ ბატონი ბორისი თითქმის ყოველ დღე ლებულობდა მიწვევებს.

მუზეუმში კი ივი მართლაც მობრძანდა და იქ მას მეგ ზურობა ბ-მა ლალი ჯავახიშვილმა[5] გაუწია. პასტერნაკი უზომოდ აღტაცებული იყო, როგორც მუზეუმით, ისე ბატონი ლალის პიროვნებით.

ივი თბილისიდან ძლიან კმაყოფილი, სულგამთბარი და ბედნიერი გაემგზავრა.

მალე პერედელკინოდან საჩუქრად მივიღეთ მის მიერ თარგმნილი წივნები (შილერის „მარია სტიუარტი“ და გოეთეს „ფაუსტი“) და წერილები.”

[5] ჯავახიშვილი ალექსანდრე (ლალი) ივანეს-ძე - ისტორიკოსი.

ბორის პასტერნაკი მარინა მიწიშვილს:

8 апреля, 1959

Дорогая Марина Николаевна!

С Георгием Георг. Маргвелашвили[6] послал кое-кому несколько книг, в том числе и Вам. Того, что я сам писал в последние 25 лет, не издавали. Поэтому я не мог послать никому ничего своего, и ограничился только переводами. Но ”Фауст” - серьёзная работа. И то, что у него (т. е. у Гёте) наворочено во II части трагедии, будет Вам, как археологу, интересно. Прочтите всю трагедию целиком, но не сразу, небольшими частями. Там конечно много мёртвого, условного (напр. всякого рода маскарады и увеселения при имп. дворе, дурацкая символика), но и немало гениального, свежего и всесильного, как сама природа.

